



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՆԱԿԱԿԱՆԱԿԱՆ

ԳԻՆԵԱԿ

8

1977



..ახალგაზრდობა..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სესია

243

გამომცემის ფოტო წელი



8

აგვისტო

1977

თბილისი

საბ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო

კ. შარტავას საბ. ხაჯ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა



ოქტომბრის დროებით!

- 3. დიდენიშვილი ნიკოლოზი — ხალხმა დაწერა, ხალხმა იწიგნა...
- 5. გიორგი ნატროშვილი — ხალხმა დაწერა, ხალხმა იწიგნა...
- პროზა, პოეზია
- 9. ოთარ შილაძე — წიგნიდან: „გახსოვდეს სიცოცხლე“ — ლექსები
- 13. ჯამალ დავლიანიძე — წონასწორობა, რომანი, დასაწყისი
- 53. ხუტა ბაბუა — განათება შალი... ლექსები
- 58. ვიტალი მიქიაშვილი — ამბავი უღრანში. მოთხრობა
- 96. ალექსი რაჭვიანიძე — ლექსები
- 98. ირაკლი ციგროშვილი — ლექსები
- 100. ვაჟა ჩორღელი — ტკივილი. მოთხრობები
- 111. ირაკლი წიკლაური — ციკლიდან: „ხალხშირად ნათქვამი“. ლექსები
- 113. გრიგოლ რუხია — ლექსები
- 115. შალვა ჭურაშვილი — ქირაში, ძმათა სხაფლავში. ლექსი

ქმობის სიმღერა

- 116. გენადი ბურაკიანი — ოთხი ბელორუსული ლექსი. თარგმნა ხუტა ბერუღვაძე
- პოეზიის მერიდიანები
- 119. ფიროფუსი — ამბავი ბეჟანისა და მინქისი. თარგმნა ბელა შალვაშვილი

წერილები

- 122. როინ მებრეველი — „რანი ვიყავით, რანი ვართ“...
- 132. ვენერი ძვანია — რა უკანასკნელ ვაჟს ფრთხილად ატაკი წარმეთელს?

მეცნიერება

- 136. ა. ბრეგვაძე, ს. მიქელაძე, ა. ასათიანი — სინტაქსი ნაწარმი საქართველოში მრეწველობისა და სამრეწველო პროდუქტების შესახებ

კუთხედის დღეები საქართველოში

- 140. გრიგოლ იარაღი — ქმები კუთხედები კახეთში. დასასრული

ხელოვნება

- 152. გიგა მარსაგიანი — ქართული ხელოვნების ზეიმი

ბიბლიოგრაფია

- 157. ბადრი კანდელაკი — ზუა და ოცნება

იუმორი

- 159. დიორდ მიქაუი — დიფინიტიური საკონედი, თარგმნა შოთა ამირანაშვილი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
 ვაჟა ამირეჯიბი,
 ვალერიან ბაქრაძე,
 გურამ კვიციანი,
 გივი ბეგიანი,
 რისვაზ ჭორღელიანი,
 გიორგი გუბლიანი,
 ნოდარ ლომიძე,
 მერაბ ელიოვიანი,
 ელუარდ მენაბდე,
 ოთარ პაპიაშვილი,
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნუგზარ წერეთელი,
 ტარიელ მანუჩარი,
 რეზო შიშკერი.

დიდმნიშვნელოვანი ნიშანვები

საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციას დიდმნიშვნელოვანი ნიშანვები უწოდეს. ჩვენ დღეს, ერთობლივად და ცალ-ცალკე, დიდს დაკვირვებით განვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს. ეს უველაფერი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ გააქტიურებას. მაღლდება თვითეული მშრომელის პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი აქტიურობა.

„ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა უველა ჩვენი ორგანიზაციისა და მთელი ჩვენი კადრების უპირველესი მნიშვნელობის საქმე უნდა ვახდელს“, თქვა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ჩვენი დიდი სამშობლო ემზადება, რათა ზემოთ შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

სწორედ ამ დღეებში, ამ საიუბილეო დღეებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში მთლიანადაა შენარჩუნებული საბჭოთა ქვეყნის ფედერაციული წყობის უველა ძირითადი ნიშანი, რომლებმაც სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ეროვნული სახელმწიფოებრივი წყობის საკითხთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩვენი მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესებისა და თვითეული მისი შემადგენელი რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას; ჩვენი სამშობლოს უველა ერთსა და ეროვნების ყოველმხრივ აუვაებას.

ჩვენს ახალ კონსტიტუციაში პირველად წავიკითხავთ ახლადშეტანილ თავებს: „საგარეო პოლიტიკას“ და „სოციალისტური სამშობლოს დაცვას“. მშვიდობის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებას, ხალხთა უშიშროების განმტკიცებას დიდად შეეხამება კონსტიტუციის ეს ახალი თავები.

ოცდაოთხ მისის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს საკითხი: საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესახებ. პლენუმმა მოისმინა გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენება.

ოცდაექვსი მისის „პრავდის“ მოწინავეში ვკითხულობთ: „საბჭოთა ადგიანები მხურვალედ იწონებენ და აღფრთოვანებით ხვდებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად უკერძო მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს და მისი მეთაურის საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას, კიდევ უფრო მკიდროდ ირავმებიან ლენინური პარტიის — უველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის გარშემო“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე ლეო-

ნიდ ილიას ძე ბრეჟნევიმა კიდევ უფრო აამაღლა და ღრმად მნიშვნელოვანი გა-
ხადა მწერლის პირადი ავტორიტეტი, მწერლის დიდი როლი ახალი დამიანის
ჩამოყალიბებაში, მის წრთობაში.

ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა სულ უფრო
თამამად და მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში. იმარჯვებს თავისუფალი სიტყვა,
კრიტიკა, რამეთუ შესანიშნავადაა ნათქვამი ჩვენი კონსტიტუციის ახალ პრო-
ექტში: ყოვლად აკრძალულია პიროვნების დევნა კრიტიკისათვის.

ჩვენს მწერლურ ცხოვრებაში, ჩვენს ეგრეთწოდებულ ოჯახში, უმთავრესია
მწერლის პირადი მაგალითი, რა თანამდებობისაც არ უნდა იყოს იგი, როგორი
დაფასებულიცა და აღწევებულიც, ყოველთვის უნდა ხასიათდებოდეს კეთილ-
სინდისიერებითა და ზნეკეთილობით. ამ მხრივ, ჩვენს შინაგან ყოფასა და ურ-
თიერთობებს ერთხელ კიდევ უნდა გადავხედოთ ახალი თვლით, ჭანსადი და
მიუმხრობელი თვლით.

ყველაფერს მოვლა უნდა. ჭრ მორალურად უნდა განეწუოს ახალგაზრდა
კაცი მწერლობისათვის და შემდეგ ვილაპარაკოთ წიგნების გამოცემაზე, ჰონო-
რარზე.

ახლოდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლის-
თავი. სწორედ ამ მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში,
ქართველი ახალგაზრდა მწერლები, ჩვენი უურნალი „ცისკარი“, მისი მრავალ-
ათასიანი არმია მკითხველებისა დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმა-
ღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომპარტიის
გენერალური მდივნის, გამოჩენილი მოღვაწის, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟ-
ნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის
შესახებ.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის VI პლენუმი, რომელზე-
დაც მთლიანად იქნა მოწონებული სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, მა-
ისის პლენუმის გადაწყვეტილებები და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე
ბრეჟნევის მოხსენება.

ერთი წელი გავიდა იმ ისტორიული დადგენილებიდან, რომელიც გამოი-
ტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა,
„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკუ-
რისამუშაოებისათვის სსრ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესას-
რულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

დოკუმენტში ხაზგასმულია ჩვენი რესპუბლიკის წინსვლა და მისი დღევან-
დელი მისი პოზიტიური პროცესები.

რას ცდილობს უურნალი „ცისკარი“, როგორ იღწვის იგი? ისე, როგორც
რესპუბლიკაში გაიზარდა შემოქმედებითი ორგანიზაციების როლი, რა თქმა
უნდა, უურნალის როლიც გაზრდილია. ვინც უურადლებით კითხულობს ჩვენს
უურნალს, თვალში ეცემა ის ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები, რომლებიც
გამსჭვალულია მოქალაქეობრივი სულიკვეთებით. უურნალი იბრძვის ახალგაზ-
რდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მხარში უდგას საქართველოს
კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომკავშირის ცენტ-
რალურ კომიტეტს, მწერალთა კავშირს. „ცისკარი“ იბრძვის, რესპუბლიკაში მო-
რალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას უპასუხოს მაღალ-
მხატვრული ნაწარმოებებით.

1976 წლის ივნისის დადგენილების წლისთავის გამო დაბეჭდილ წერილში
ვკითხულობთ: „გაკეთებული ცოტა არ არის, მაგრამ თვითდამშვიდების, გულ-
არხენიანობის, ყოყოჩობის საბაზი არა გვაქვს“. ასეა ჩვენთანაც, ცოტა არ გვიშ-
რთვია, მაგრამ უფრო მეტი გასაკეთებელი წინაა.





ხალხმა დანერგა, ხალხმა ინება...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სსდო-
მთა დარბაზის ტრიბუნის თავზე წარწერილია
სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი საბ-
ჭოური ცხოვრების დედააზრს, უპირველეს
მცნებათა მცნებას:

„საბჭოთა ადამიანები ინტერნაციონალიზმში
არიან, ასე ზრდის მათ პარტია, ასე ზრდის მათ
მთელი ჩვენი სინამდვილე“.

ეს სიტყვები ეკუთვნის საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-
ტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ლევონი ილიას ძე ბრეჟნევს. ამ სიტყვებს, იმა-
ვე დროს, ამაყად იმეორებს უოველი ჩვენგანი;
ჩვენ ინტერნაციონალიზმში ვართ, — ხმამაღ-
ლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს
უოველი საბჭოთა პარტია; ამავე სულით
არის გამსჭვალული ახალი კონსტიტუციის პრო-
ექტი, რომლის პირველივე მუხლი საბჭოთა
ქვეყნის უფლება ერთსა და ერთგვანს ურყევ
მომხრე და მეგობრობზე მეტყველებს, ხოლო
მეორე მუხლი იწყება სიტყვებით: „სსრ კავში-
რში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“.
ეს არის სახალხო-კონსტიტუცია, უაღრესად
ხალხური და დემოკრატიული კაცობრიობის
მთელ ისტორიაში ახალი და უმაგალითო.

საბჭოთა კონსტიტუციის პროექტში მთელი
ხალხის სულია გამოხატული, მისი მისწრაფე-
ბები და ღატოვანი; მასში ასახულია ის წმინ-
დათა წმინდა, ის დიადი აზრი და გრძნობა,
რომელიც წარწერილი იყო იმ პირველსავე
დროსავე, ოდესღაც თავისუფლებამონატარებუ-
ლი კაცის ხელმა მაღლა რომ აღმართა. ნატვრა
თავისუფლებისა კი ნათელ ზოლად გასდევს კა-
ცობრიობის მთელ ისტორიას. ხალხთა რაოდენ
ნატვრას, რამდენ ოცნებას, რამდენ დაუცხრო-
მელ მისწრაფებას ფრთა შეასხა, სინამდვილედ
აქცია საბჭოთა კონსტიტუციამ. ერთი მთავარი
ამ მისწრაფებათა და საუკუნოვან ოცნებათა
შორის ხალხების ძმობა იყო.

კონსტიტუციის პროექტს რომ კითხულობ,
უნებურად გებნდება კაცს დაუძლეველი სურ-
ვილი გადახედო ისტორიის მებრძობა, ძმობა,

სიუვარული — ეს იყო ოცნება ადამიანებისა,
ხალხებისა, მთელი კაცობრიობისა. ორი ათას
სამასი წლის წინ თქვა ანტიკური ეპოქის პოე-
ტმა — ზენდერიანის, ვინაც ნამდვილი მეგობ-
რის ჩრდილი მაინც უნახავსო. ხოლო უძველეს
ქართულ ხალხურ თქმულებაში აღნიშნულია—
მეზობელი ამოშავალი მზეა, მეგობარი ნახე რა
იქნებაო!

ძმობა და მეგობრობა ხალხებისა — ეს იყო
ოცნება, ეს იყო ნატვრა, სურვილი ადამიანები-
სა და ხალხებისა და მას აღებულებდნენ საუკუ-
ნეთა მანძილზე ლექსებშიც, თქმულებებშიც,
ტრაქატებში; გვახსოვს დიდი მეოცნებენი კა-
ცობრიობის ნათელ მომავალზე, ეან უკ რუსოს
მსგავსად, მომავლის კონსტიტუციებს რომ წერ-
დნენ, ქართველს რომ ადგენდნენ ხალხთა ძმო-
ბასა და სიუვარულზე, მაგრამ ეს სველაფერი
მაინც ოცნება იყო, მიუწევდომედი და განუხორ-
ცილებელი.

ერთი სიტყვით ამ გრძნობას, ამ იდეალს, ამ
მისწრაფებას შორს, საუკუნეების სიღრმეში
წასული ფესვები აქვს. ეს ფესვები, ცხადია,
ჩანს ქართველი ხალხის საულიერი ცხოვრების
ისტორიაში და ამას ადვანტურებს ერთი ძველი
ქართული ხალხური ლექსი. აქ წინასწარ მინდა
აღვნიშნო ერთი საგულისხმო რამ: მკითხველმა
რომ არ იცოდეს, რომ ეს ლექსი ძველია, რე-
ვოლუციამდე თქმული და ნათქვამი; დღეს და-
წერილი ეგონებოდა. მასში ხალხი გამოსთქვამს
თავის ისტორიის ფილოსოფიას და თავის
ზღვარდაუდებელ ინტერნაციონალიზმს; აი ეს
ლექსი:

წუთისოფელი რა არი?
— აგორებული ქვა არი;
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
საცა სოფელში მიხვიდე,
სუუველგან ორი გზა არი,
შუაში არი ზემოეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
ყველა ადამის ძენი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომხების შუა

განყოფილება არ არი?!
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი,
აგრეთი გქონდეს გუნება,
რო მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა,
აღმანი რა არი!

ლექსი კი არა მთელი ფილოსოფიაა, შორა-
ლური ტრაქტატია. უფრო დაუგდეთ რას ამბობს
ეს ბრძენი მოლექსი, ეს უსახელო სახალხო
მთქმელი. მან კარგად იცის, რომ წუთისოფე-
ლი მოკლეა და მთიდან დაღმართში დაგორე-
ბული ქვახავთ სწრაფად ჩაგირბენს გვერდით.
მაგრამ შენ არ უნდა შედრეკ, რომელ სოფელ-
შიც უნდა მიხვიდე, სადაც უნდა იყუდო, ყველ-
გან ორი გზა დაგზვდება: ერთი — კეთილისა,
მეორე ბოროტისა. შენ აირჩიე გზა სიყეთისა
და მაღლისა იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი, —
ქართველებიც, თათრებიც, სომხებიც, რუსებიც,
ყველანი ადამის ძენი ვართ, მავსასადამე, ყვე-
ლანი დები და ძმები ვართ ერთი მეორისა და
ამიტომაც სულიც ისე სუფთა უნდა გქონდეს,
როგორც მოწმენდილი ლურჯი ზეცა არის, და
თუ ამას ვერ ხვდები, მაშინ ღირსი არა ხარ
აღმანი გერქვასო, აი რას ამბობს ქართველი
ხალხი ამ მოლექსის პირით. მართლაც საოცარ-
ია ის მაღალი ჰუმანიზმი, რომელიც მასშია
გამოხატული; კარგად მოგხსენებათ, რაოდენ
უძლეველი და სამარადისოა ხალხში დღემამი-
შვილების და დაძმობის გრძნობა, მაგრამ ეს მო-
ქმეც სისხლით ნათესაობაზე, ღვიძელ ნათესა-
ობაზე მაღლა აყენებს ძმად თუ დედ გაფიცუ-
ლთა ერთობასა და სიყვარულს: „თუ ქალი
გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არის“ —ო, ნათ-
ქამია ამ მართლაც საოცარ ლექსში.

მოწმენდილ ცასავით სუფთა იყო მუდამ
გული ხალხისა და რას არ ჩაღიოდენ მძღავ-
ტნიცამა ქვეყნისკანი, თავკერძა ფეოდალები თუ
მათ კვალზე მოსული ბურჟუები, ოქროზე რომ
იწერდნენ პირჯვარს, რას არ ჩაღიოდნენ, რა
ხრიკებს არ აწუბოდნენ, რა ხლართებს არ აბამ-
დნენ, რა ომებსა და პროვოკაციებს რომ ძმე-
ბი წაეცილებინათ ერთმანეთისათვის, ამოქვეყ-
ტინებიათ ერთი მეორე, გაეთიშათ, სამტროდ
და სიძულვილისათვის აღეგნოთ, მაგრამ რა-
დაც უკვდავი ძალა ჰქონდა იმ სიყვარულს და
ხან აქ, ხან იქ წყაროსავით ამოხეთქავდა
ხოლმე.

სწორედ ასე წყაროსავით ამოხეთქა ამ საკა-
ცობრიო სიყეთის გრძნობამ უკვდავი რუსთავე-
ლის სტრიქონებში, სადაც ავთანდილის სიმღე-
რის ხმაზე მთელი მსოფლიოს ხალხები თავს
იყრიან, უსმენენ მის ტკბილ ხმას, ისმენდიან,
გაკვირდიან, რა ატირდეს, ატირდიან; და პატა-
რა როდია მისი ასპარეზი, მთელ პლანეტას
მოიცავს, მოსულან აქ:

ინდო-არაბ-საბერძნეთით
მასრიყით და მალრიბდენი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგნი
და მისრეთით მეგვიპტელნი.

ეს ხომ მთელი ინტერნაციონალია თავისი
მალრიბ-მასრიყით ანუ დასავლეთ-აღმოსავლე-
თით, თავისი უზარმაზარი რუსეთით, საფრან-
გეთით, რომლის სახელი რუსთაველის დროს
მთელ ევროპას ერქვა — ფრანგი, ან ფრანკი —
ევროპელს ნიშნავდა, და ამას გარდა, აქ არც
აზია და აფრიკაა დაიწვეებული — „სპარსნი
და მისრეთით მეგვიპტელნიც — მოვიდნენ“ —ო.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და
საბჭოთა პატრიოტიზმი, რა თქმა უნდა, ჩვენი
საუკუნის, ჩვენი დროის, სოციალისტური რე-
ვოლუციების ეპოქის, ოქტომბრის საუკუნის
იდეოლოგიაა, და თუ ჩვენ აქ წარსულ საუკუ-
ნებს გადავწვდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ
ინტერნაციონალიზმის შორეული საწყისები,
ხალხური და დემოკრატიული ფესვები და
ტრადიციები გვეჩვენებინა. ეს საუკუნის კირო-
გორც ზემოთ დავინახეთ, ხალხში მუდამ ძლი-
ერი იყო, იკამდე ძლიერი, რომ ის არა მარტო
პოქეზიზმი, ოფიციალურ მატერიალურ შეადწე-
და ხოლმე — ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვ-
რებაში“ ლაპარაკია საქმის მართლაც აღწონულ
და ვითარებისა მცნობელ კაცზე; რომელიც
ოცნებობს შემოიკრიბოს „ერნი, ტომნი და
ენანი... რუსეთისა და ყუიჩაღეთისანი, სომხე-
თისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსე-
თისანი“...

ასე წერდნენ, ასე ოცნებობდნენ წინაპრები,
შორეულნიცა და ახლობლებიც; გადიოდა საუ-
კუნეები, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, სისხლი-
საგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დაღებო-
და დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა
დაიდა და ისტორიული ფიცო, ხალხთა ძმობას
ისტორიის კანონად რომ აქცევდა. ეს იყო დღე,
როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალ-
ხების ძმური ოჯახი. ეს ფიცო დაიდო ამ ექვსი
ათეული წლის წინ, ლენინმა და ლენინის პარ-
ტიამ დააფიცეს ხალხები ძმობაზე და ეს ძმად-
შეფიცვა ისეთი უძლეველი გამოდგა, რომ მან
გაუძლო ყველაზე დიდსა და საშიშელ ქარტე-
ხილებს, ყველაზე ძლიერი მტრების შემოსე-
ვებს.

ღიას, ჩვენმა სამშობლომ ისტორიაში უზაგა-
ლითო განსაცდლებებს გაუძლო. როგორც ამხა-
ნაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, „ჩვენ შევქმე-
ნით ახალი საზოგადოება, რომლის მსგავსიც
კაცობრიობას არ ახსოვს, — ეს არის უკრიზი-
სო, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომწიფებუ-
ლი სოციალისტური ურთიერთობის, ნაშლევი
თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზო-
გადოება, სადაც გაბატონებულია მეცნიერული
მსოფლმხედველობა, ეს არის მოამავლის მტკიცე
რწმენის, ნათელი კომუნისტური პერსპექტივი-

ბის საზოგადოება. მის წინაშე გადაშლილია შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო სივრცეები“.

ღრმა შინაარსიანი და წარმატაცია ცხოვრება ხალხთა ამ დიდი ოჯახისა. აქ ერთი ძმის სიმღერე — მეორის სიმღერეც არის, ერთის სიღამაზე — მეორესაც შუქს აუენებს, ერთის სიბრძნე — მეორესაც მაღლა სწევს, ერთის ლექსი — მეორესაც გულს უთრთოლებს, ერთის დედაენას — მეორეც პათოსს სცემს... საბჭოთა ქვეყანა მტკიცე და ურღვევია იმით, რომ მის საფუძვლად ხალხების ერთი-მეორისადმი სიყვარული და პატივისცემა უძევს. ამაზე ნათლად შეტყუვლებს პროექტი ახალი საბჭოთა კონსტიტუციისა.

თანამედროვე საბჭოთა მწერლისა და ხელოვნების მუშაისათვის რა უნდა იყოს უფრო წარმატაც ამოცანა ვიდრე ის, რომ აღვივებდეს ამ წმინდა აზრსა და გრძნობას. დღევანდელი ქართული საბჭოთა მწერლობის სასახელოდ, სიამაყის გრძნობით უნდა ვთქვათ, რომ ამ თემაზე, ხალხთა ძმობის თემაზე, წლების მანძილზე მართლაც სანაქებოდ იმუშავეს ჩვენმა პოეტებმა და პროზაიკებმა; გავიხსენოთ თუნდაც გრ. აბაშიძის რუსულ-ქართული ქრონიკები და შესანიშნავი ლექსები „რუსეთის ველზე“, გავიხსენოთ ხუტა ბერულავას მშვენიერი პოემა „რუსული გული“, შოთა ნიშნიაიძის ბრწყინვალე ლექსები „ილია მურომეცი“ და „მეგობარ პოეტ“, თუმცა აქ ყველაფერს რას ჩამოვთვლი... თვით ყველაზე საუკეთესონი ამ ნაწარმოებიდან ერთ ციკლად რომ შექცართ ანთოლოგიის სახით გამოსაცემად, ერთ ტომში არ ჩაეტყვა, ეს არის უსაზრზარი ხევაი, რომელსაც ქართული პოეზია ყოველ წელს უმატებს ახალ-ახალ ნაწარმოებებს.

ეს ნაწარმოებები არა მარტო ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაში მუდამ დაიჭერენ შესაფერ ადგილს, მუდამ მოხსენებელი იქნებიან წარმატებათა აღმსუსხველი მატანის ფურცლებზე; და როცა ჩვენ ვკითხულობთ კონსტიტუციის პროექტს, რომელიც ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდებულ ისტორიულ პანორამას შლის ჩვენს თვალწინ, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ ისტორიულ ეპოქის შექმნა-დაფუძნებაში, ხალხის იდეურ-მორალურ აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა მწერლობამ და ეს არის მისი ისტორიული დამსახურება პარტიის, ხალხის, კაცობრიობის წინაშე. აი ასე უხილავად, მაგრამ მანძილ დასანახავად არის ჩაქსოვილი კონსტიტუციის პროექტის სტრიქონებში და სტრიქონებს შორის საბჭოთა პოეტის დეაწლი საშობლოს წინაშე.

დამწყები აქ, როგორც მუდამ, ცხადია, გალაკტიონ ტაბიძე იყო — მეოცე საუკუნის დი-

დი ქართველი პოეტი, ჩვენი დროის რუსთაველი, რომელიც ამოდ არ ამბობდა — „მწერ ვინმე შესხის მელექსე, რაც კი მივლი მე ვუბი“... გალაკტიონის ლექსის რეზონანსი გასწვდა მთელი ოქტომბრის საუკუნეს. გალაკტიონი რომ იტყოდა,

ორკესტრმა დაპკრა ინტერნაციონალი და შრუანტელი სხეულში მივლის...

ამ შრუანტელს, მაღალი ემოციური ძაბვის დენს პოეტი უმაღლ გადასცემდა მკითხველს. გალაკტიონის ლექსი მუდამ გრძნობათა რაღაც აფეთქება იყო. გალაკტიონი და გაზეთი — უნდა დაიწეროს ასეთი წერილი თუ მოგონება, დაიხატოს როტაციონთან რომ იდგა შუალამისა და ელოდა ახალი გაზეთის დაბადებას, სადაც მისი ლექსი იყო დაბეჭდილი. ერთხელ თბილისის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციის წინა დღეს „კომუნისტის“ რედაქციამ გალაკტიონს სთხოვა დაეწერა მისალმება ამ კონფერენციისადმი. ყველას ესახელებოდა მისი ლექსი და გამომხაურება. მეორე დღეს მკითხველმა გაშალა გაზეთი და წაიკითხა — „კონფერენციის პარტიულის პათვისაცემად“. ხედავთ როგორ უდრის? მას რომ დაეწერა „პარტიული კონფერენციის პათვისაცემად“, ან „უფლებნი პარტიულ კონფერენციას“, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი პროზა და გალაკტიონს კი უნდოდა სათაურშიც კი პოეზია ყოფილიყო; და აი, მართლაც, ეს სტრიქონი გაისმა ძლიერი ლირიკულად ოდნავ არქაულადაც, რაც ძალზე მოუხდა მას. რა გზით მიადწია პოეტმა ამ ფექტს? მან ერთი სიტყვა გადასვა მხოლოდ, ერთ სიტყვას შეუცვალა ადგილი და აშკარა პოლიტიკური პროზა იქცა ლირიკულ პოეზიად. ასეთი იყო გალაკტიონი, ის თითოდა სიხარულისაგან ყოველი ახალი ლექსის დაბეჭდვის დღეს, ისე თითქოს ეს მისი პირველი ლექსი ყოფილიყოს. ის იწვოდა და იფერფლებოდა ისევე, როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ასე უნდა ემსახურებოდეს პოეტი ხალხსა და პარტიას.

კონსტიტუციის პროექტში აღნუსხულია ყველაფერი, რითაც ჩვენ ვამყობთ, რაც ჩვენი ხელით შეექმენით, თუ წინაპრებმა გადმოგვცეს, მასში აღნუსხულია ყველა ჩვენი საუნჯე, ყველაფერი რაც გვაქვს, ტუე იქნება ეს თუ მიწოდორი, მაღალგანვითარული კულტურა, თუ ჩვენი ტკბილი დედაენა...

ასი ენა გვაქვს ძმებო, მგოსნებო, ასი საუნჯით ვართ ავსებულნი, ას ტკბილ ენაზე ერთად ვოცნებობთ ჩვენ ერთი მიზნით გატაცებულნი;

ბიორგანიზაციონალი ბალხმა დაწვირა, ხალხმა იწიბა...

ასი ენა გვაქვს ხატად, საფიცრად,
სულში, სხეულში ფესვებგადგმული,
თავისუფლება მკერდით დავიცვათ —
ას. ენაზე გვაქვს ერთად დათქმული.

ასე წერს ირაკლი აბაშიძე, და ეს ქვეშაობიტი
სურათია ხალხთა დიდი ერთიანობისა, ინტერ-
ნაციონალიზმის შუქი, როგორც მზის სხივი
ადაღანებულ ყანას, ისე დაძნათის ასსავე დედა-
ენას, რომ არც ერთ თავთავს თავისი კუთვნილი
სხივი არ დააკლოს, არც ერთი არ დაქენს, ფეს-
ვი არ გაუხშვს, ყველა მათგანმა იხაროს და იღ-
ღეგრძელოს; როგორ კარგად ეხმიანება ეს ლე-
ქსი ჩვენი კონსტიტუციის პროექტს — მასში
ორ ადგილას — ოცდამეთექვსმეტე და ორმოც-
დამეხუთე მუხლებში საგანგებოდ არის აღნიშ-
ნული დედაენის მნიშვნელობა უოველი ერის
ცხოვრებაში; და ეს იმით, რომ დედაენა —
ყველაზე ძვირფასი საუნაქა უოველი ხალხისა-
თვის... ეს არის იმის ნიშანი, რომ ეს ერთი ენა
და ნამდვილად ცხოვრობს მზის ქვეშ, ხალხი
ხალხია და ნამდვილად აქვს უფლება ატაროს
ეს სახელი, ხოლო დედაენა მისი არსებობის,
მისი სიცოცხლის დასტური და მთავარი ნიშა-
ნია, მისი პასპორტია ისტორიისა და მარადი-
ლობის წინაშე.

ახალი კონსტიტუციის პროექტი გზას უშუ-
ქებს მწერალს, აძლევს უფართოეს ვასაქანს
მის ფანტაზიას და; ცხადია, მწერალი არ უნდა
დაკმაყოფილდეს. იმით, რომ საწერიო სიტყვით
მიესაღმოს განვითარებული სოციალიზმის
ახალ კონსტიტუციას; რაც უფრო ჩქარა გავც-
დებით აქ საწერიო განწყობილებებს და საქმეს
შევუდგებოთ, მით უფრო კარგი იქნება, ისე

როგორც შრომით კოლექტივში, შინდვრად თუ
ქარხანაში პროექტის განხილვა სისხლბრტე-
ულად დაუკავშირდა ცოცხალი საქმეს, კომუ-
ნიზმის აზინების საქმეს, ადამიანის ყოფას,
სულიერ ცხოვრებას, კულტურას, ყველაფერს,
რითაც ადამიანი სულდგმულობს და ცოცხ-
ლობს, ასევე მწერალიც აქტიურად უნდა ჩაე-
ბას საქმეში, ჩაერიოს ცხოვრებაში, შეიჭრას
მის შუაგულში.

ახლანან აღინიშნა საქართველოს პარტიული
ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კო-
მიტეტის 1976 წლის ივლისის დადგინებების
ერთი წლის თავი და საქართველოს მუშათა
კლასის, გლეხობის და ინტელიგენციის წარმა-
ტებების აღნუსხვანთან ერთად, ქართველმა
მწერლებმა სიამაუთ წაიკითხეს სტრიქონები
იმის შესახებ, რომ პარტიამ მაღალი შეფასება
მისცა მწერალთა და ხელოვანთა წვლილს
მშრომელთა იდეურ პოლიტიკურ და ზნეობრი-
ვი აღზრდის საქმეში.

მაგრამ იქვე იყო აღნიშნული, რომ მწერ-
ლობის ეს წარმატებები მხოლოდ დასაწყისია
იმ მუშაობისა, რომელიც კვლავაც უნდა გან-
ვარძოთ კომუნისტების, ყველა მშრომელის
იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ხოლო
იდეოლოგიურ მუშაობაში რესპუბლიკის პარ-
ტიული ორგანიზაციის გზრდილი აქტივობა
შესანიშნავ პირობებს უქმნის ბმ ამოცანებს
წარმატებით გადაწყვეტას, რომელმაც ოცდა-
მეხუთე ურილობამ დასახა ამ დარგში.

ვსუსტვით ახალი წარმატებანი ჩვენს ხალხს,
ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს მწერლობას ამ
სახელელო შრომისა და ბრძოლის ნათელ გზაზე!



ნიგნილან. «პესსოვლეს სიცოსელე»

აბა, ღაძრულან ხეთა ლანდებო!
უკვე შესამედ ყოვის მამალი
და ღმერთმა იცის, სად დავმოაგრდებო,
ნენგან წასული და ბრმად შავალი.

ფეხქვეშ ჩხრიალებს წყვდიადის ხრეში,
გზა არსაიდან არსაით მიდის
და აღარც შენ ხარ ჩემს ირგვლივ, ჩემში —
მცენარესავით ჩუმი და მშვიდი.

ღობის გადაღმა წყვილი ჭადარი —
ერთ-სიმაღლის და ერთნაირი —
ასაფეთქებლად უკვე მზად არის,
დამუხტულია უკვე ჰაერი.

მე მახსოვს, როგორ წუხდნენ ისინი,
როგორ ითმინეს მთელი ზამთარი

ყვილით ებრძვის წყვდიადს მამალი,
რადგან კვლავ სჯერა ამ კეთილ ფრინველს,
რომ გარდაცვლილსაც აქვს მომავალი,
გამხსენებელი თუ რჩება ვინმე.

მეც კვლავ მივდივარ, კვლავ მაღვას თავზე
ვერაგი ღმერთი მძაფრი განცდების.
და ვივლი, ვივლი... სულ ვივლი ასე,
სანამ საკუთარ თავსაც გავცდები.

თავაშვებელი ქარის სიცილი
და ცინგლიანი ყვავის ყრანტალი.

დღეს კი (ღვთიური შუქის მთოვარი)
მზის ჩქერში ფეთქავს წყვილი ჭადარი,
რომ კვლავ განვცვიფრდეთ და
აღვფრთოვანდეთ
მათი სიწმინდით და სისადავით.

ჯერ იყო სიტყვა, რადგან სიტყვა დედაა ღმერთის.
სიტყვა ინახავს გონჯს და ლამაზს, ბოროტს და კეთილს.
სიტყვაში ბუდობს, რაც კი ვიცით ანდა არ ვიცით,
რაც კი აქამდე განგვიცდია ანდა განვიცდით.
სიტყვის ძუძუს წოვს სასოც, რწმენაც, აზრიც, ოცნებაც...
და სიტყვას, მხოლოდ სიტყვას ძალუქს მკვდრის გაცოცხლებაც,
ოღონდ თუ სხვებმაც დაინახეს, დროზე თუ ითქვა...
სჯობს, თქვა და მოკვდე, ვიდრე გულში ჩაიკლა სიტყვა.

დღე ამთავრებდა თავის თავს წყნარად.
მტკვარგალმა თეთრი სახლები თრთოდნენ.
ჩიტები დუმდნენ და თითქოს ქარი
ჩიტების თხოვნით არწევდა ტოტებს.

დღე ამთავრებდა თავის თავს წყნარად.
მზის ცხელი სისხლით იბანდა ხელებს
და მიდენიდა, ვით მწყემსი ფარას,
უეცრად ჩამქრალ ხმებსა და ფერებს.



ეს დღეც მთავრდება. დამთავრდა. მიდის.
და როგორც ჭურჭლის ფსკერზე ნალექი
(შენი ხელივით თბილი და მშვიდი),
ჩემს სულში წვება მზის ანარეკლი.

და ჩემი სული (თბილი და მშვიდი)
ზღაპრულ კოშკით ნათდება უცებ.
დღე კი მთავრდება. დამთავრდა მიდის.
ეს დღეც სისხლივით შეაშრა ფურცელს.

და გაწყალდება ერთ დღეს წამალი,
შეწყდება ფიქრთა იალკიალი,
როს გაიხსნება ჩემს წინ სამარე,
ღრმა და პირქუში, ვით დარიალი.

როს გაიხსნება ჩემს წინ სამარე,
ღრმა და პირქუში, ვით დარიალი.

თავზე დამყვილებს გიჟი მამალი,
ჩაიწრიტება წყაროს ჩხრიალი,

დავრჩები ჩემი ლექსის ამარა,
თავისუფალი და ცარიელი,
როს გაიხსნება ჩემს წინ სამარე,
ღრმა და პირქუში, ვით დარიალი.

„რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი“.

ხალხური

... და მიანც დიდი გზაა იქამდე,
კვლავ შევესწრები ხის აყვავებას,
კვლავ შემაწუსებს, რაც დავიქადნე,
ქმნად სიკეთისა რაც მაკავებდა.

და სანამ მხრებზე მემსხვერევა წვიმა,
გზები ნაბიჯებს სანამ მითვლიან —
მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას,
რაც ჯერ თვითონვე არ დამითმია.

ბედის ფრინველი დაფრთხა, გაფრინდა...
(ჩვენ ერთმანეთში ვიქნებით ერთად)
და უკვე დროა, რომ ყველაფრისთვის
მადლობა ვუთხრათ კაცსაც და ღმერთსაც.

დროა? ეკუთვნით? ეკუთვნით. დროა.
ასრულდა კაცის და ღმერთის ნება!
უიმედობას იმედი მოაქვს,
ცუდია, როცა პირიქით ხდება.

ფერმკრთალ სარკმელში შემოდის ნელა
გამდნარი მთვარის თბილი ნაკადი
და სულდგმულივით იღვიძებს, ღელავს,
რაც თითქოს მკვდარი იყო აქამდის.

ისევ ნებდება სმენაც და თვალიც
ხელახლა შობილ ხმებსა და საგნებს.
და წამომჯადრი საწოლში ქალი
მონუსხულივით შესცქერის სარკმელს.

ყრუდ, საიდუმლოდ ფეთქავს ჰაერი
და გაუკვალავ მზეში ჩაფლული
და დაბზარული ათასნაირად —
საცაა უნდა გატყდეს ზაფხული.

გაყვითლებია აღვას კენწერო.
საცაა უნდა გატყდეს ზაფხული.

(ჩვენ ერთად ყოფნა არ გვიწერია,
მოგონებებში ვართ ჩამარხული).

დაეჭვებული და დაძაბული
დროც მტვრად ქცეულა, გვერდზე ჩავლილი.
ცხელი ჰაერის თრთიან ჭავლები.
საცაა უნდა გატყდეს ზაფხული.



რაც თავი მახსოვს, სულ ასე მოდის,
სულ ია-ვარდი გადასდის პირზე
და მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილ
სივრცეს —
არა ყვაველთა ფშვინებით და შფოთით,

არამედ სიტყვის დუმილით მივსებას,
თითქოს საერთოდ იმიტომ მოდის,
რომ სიტყვის დუმილს საჯიჯგნად მიმცეს,
ხოლო დატაკი ალუბლის ტოტი
ლომის ტორივით დამძიმდეს ისევ.



გადიგრუნუნა ცაზე ელიამ,
ზამთრის უქმური გაიყოლია...
ღმერთო! რამდენი ვინმე მყოლია
დასაფიცარი... და რა ძნელია,
იცხოვრო შენთვის, ქვასავით ჩუმად,
არ შეეგებო ღიმილით სტუმარს
და მტერს არ უთხრა, რომ ის მტერია.

ს ა ლ ა მ ო

გზაბნეული წივწივებს ჩიტი,
თითქოს ერთ კლავიშს აწვალებს თითი,
თითქოს ჩიტისთვის უძვირფასესი
ვიღაც თუ რაღაც მთავრდება, მიდის...

თრთის მაგიდაზე თეთრი ფურცელი,
როგორც ფეხმძიმე ქალის მუცელი,
სიცოცხლესავით სუფთა და სადა,
დაუპყრობელი და დაუცველი.

ისევ ეცვლება საგნებს იერი,
თუმცა უძრავნი და თვინიერნი.
კვლავ პასუხობენ დუმილს დუმილით,
სიცარიელეს — სიცარიელით.

და როგორც რამე გრძნობა პირადი,
ნელ-ნელა ქრება მზის ათინათი.
და ყველაფერი ივსება უცებ,
ბინდით კი არა, მწვანე სინათლით.



სანთელი ტირის თავისთვის, წყნარად...
და მოცახცახე სინათლის ფთილა
ხან აპრილებს წიგნების თაროს,
ხან აბრჭყვივალებს სურათის მინას.
შენ კი დაკარგულს უხმობ მეგობარს,
ისევ მარტო ხარ სანთლის გარშემო

და მხოლოდ სულით გრძნობ არსებობას
იმის, ვინც შენთვის აღარ არსებობს,
ვინც შენთან ერთად დამეებს ტეხდა
და ვის ხსოვნაშიც დღეს იფურფლები...
ხოლო მტირალა ღვთაების ფეხთან
ფრთებშეტრუსული ყრია პეპლები.



ვშორდებით, ყოველ წუთას ვშორდებით
და აკრძალული სევდის ტოტებით
ერთმანეთს ვუმტვრევთ სულის დარაბებს,
თუმცა არ შეჩნა აზრი არაფერს,
არც ერთგულებას და არც მოლოდინს,
რადგან გმირებად დავრჩით ბოლომდის

და ვერც შევატყვეთ, რომ გვექცა მხარი,
რომ სული გვემეთ და არა ლემი
და ის სისუსტე ჩავკალით ჩვენში,
რითაც ძლიერი იყო და არის
აღამიანი...

აბრჭყვივალე

უკვე გამოჩნდნენ ჭალარა მთები...
ბაერში ძველი თოვლის სუნია,
მომგვრელი სევდის და არა შვების,
რადგან მთებს იქით დასასრულია.

რა დიადია ეს ვრცელი წამი,
რა დამთრგუნველად მომხიბვლელია,

აღარც დღისაა და აღარც ღამის,
არც ახალია და არც ძველია.

ეს ის წამია, განწმენდის წამი,
როდესაც ირგვლივ ღმერთის ჩრდილია,
როდესაც ველარ გერევა შხამი,
მაგრამ... ცხოვრების გზა განვლილია.

კვლავ მასხდებიან მკერდზე მერცხლები,
კვლავ მერგო ზეცის ლურჯი ნაჭერი:
სევდის გადია, სიზმრის შემცვლელი;
ფიქრის გამჩენი და გადამჩენი.

მაგრამ კვლავ მმართვეს, რაც კი მემართა
მტრისა და მოყვრის, საქმის და სიტყვის,

რაც თვალს დააკლდა — სულს შეემატა,
სხვა არაფერი შეცვლილა თითქმის.

და კვლავ ბზინავენ წითლად ვარდები,
სიკვიდილ-სიცოცხლის ღრიალებს ბუკი...
და შენც ჩემს გულში კვლავ იბადები,
ვით ხმა — დუმილში და ბნელში — შუქი.

ნ ე მ ს კ მ ა ს

დამახსოვრებს ვინმე ზეპირად,
არ მოედება შენს ფიქრს ბალახი,
თუ სიყვარულმა აგაღებინა
წელში კალამი — ვით იარაღი.

აზრი არა აქვს წუწუნს და ჩივილს:
ფრთას — ვინც გაჩუქა — ის შეგჭრის
მხოლოდ,
მხოლოდ ტკივილი დაგიცხრობს ტკივილს,
ერთი ფესვი აქვს კეთილს და ბოროტს.

მაშ რაღას დარდობ?! ჯერ ღვთის
წყალობით
ხედავ და გესმის და ისევ ისე
გაფორიაქებს ჩიტის გალობა
და მზე ხვითქივით გადავდის პირზე.

არ დაელოდო არასდროს წერტილს
და არა ბედის — მრწამსის დამჯერი,
ელტვოდე... რადგან სიცოცხლეს შენთვის
არც ჯილდო ჰქვია და არც სწასჯელი.

ვით ჯოხი ბრმისა — დაძაბული და მგრძნობიარე —
ანდა ისარი საათისა — წრის ბინადარი —
განშორებიდან შესხვედრამდე მივიწვევ ნელა
და საიმისოდ დროც არ მრჩება, რომ გავარკვიო,
რატომ მივილტვი იმისაკენ, რასაც ვშორდები.



ნონასწორობა

რომანი


ნაწილი პირველი

პ ა რ ა

„მუშაობამ ისე დამტვირთა, ორი წელიწადია, აღარაფერი დამიწერია“, — ეს იყო პირველი აზრი, რომელმაც გაზიულვა პირველი მარტის დილას. ამ აზრს ლოგიკური გაგრძელება არ მოპყლია. სკოლა გამახსენდა — ნავთიანი ნახერხის სუნი, დერეფანი და თეკლეს წითელი კაბა. მე ვუთხარი, რომ მელანი ჰქონდა კაბაზე და უცბადვე გაქარწყლე მისი გაიცემა: „დღეს პირველი მარტია, ვინც მოტყუვდეს, ბატია“. აზრის ეს არალოგიკური გაგრძელება იმით დამთავრდა, რომ ასანთი ავილე, ავანთე და საათს დავხედე: — ოცი წუთი უკლდა შვიდს, ამის გამო ამგვარმა ფიქრებმა გამიელვეს: „ვარჯიშს ვერ მოვასწრებ... მატარებელი შვიდ საათზე გადის... დამაგვიანდება. მერე მანქანით უნდა გავემგზავრო, — მანეთი გადავიხადო; იქიდან კიდევ მანეთი დამპირდება სამსახურამდე...“.

ბავშვს და ციოს ერთმანეთთან ახლოს მიეტანათ სახეები და ეძინათ. ციო მეუბნება, რომ ბავშვები მე მგვანან. ახლა ორივენი მას ჰგავდნენ. არ გავადვიდე, თუმცა სურვილი გამიჩნდა ამ მსგავსებაზე მეტყვა მისთვის... ციოს ნახელავი კვერები მაგიდაზე ეწყო. სამი ვაშლი, ერთი ლიმონი და ხუთი კვერი გავახვიე იმ გავთეში, რომლის მაკეტი ჩემი შედგენილი იყო...

ქუჩაში გამახსენდა, რომ შუქი აზრავაქრე. ამან გამაღიზიანა, მაგრამ ბაცმა ცამ და მოსისხლულმა ცისკიდურმა დამაწყნარა. საათს დავხედე, — ათი წუთით წინ იყო. — გაღიზიანება გაქრა. სირბილით დავეშვი თავდაღმართზე. ჩემს გარდა, რამდენიმე კაცი მობოდა თავქვე. გავასწარი (ამან უფრო დამამშვიდა), გავივაცე და ღრმა სუნთქვა დავიწყე. ექვი შემეპარა, რომ მთელი ღამის განმავლობაში დასვენებული გულის ასეთი უცბადი დატვირთვა არ იყო კარგი და ვარჯიშის ციკლი რამდენჯერმე გავიმეორე... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — ჩასუნთქვა; ერთი, ორი სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — სუნთქვას ვიკავებ; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა — ამოსუნთქვა; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, — პაუზა. გულმა შეაწეა მუშაობა. უცბად მომაგონდა, საით მივეშურებოდი და ხელახლა გავღიზიანდი. როცა ელექტრომატარებელი გამოძვრა გვირაბიდან, გაღიზიანება გამიქრა. თვალები დავხუტე, ღრმად ვსუნთქავ. რომელიღაც გაჩერებაზე ელექტრომატარებელი უცბად დამუხრუჭდა. ვაგონში მსხლომნი შევათვალე. უმეტესად ნაცნობი სახეებია. იმ კაცმა, ბრტყელი, შავი უღვაშები რომ აქვს, ქართული



ბრწყინვალედ იცის (მისი ძმაკაცების აზრით), იშვიათად ლაპარაკობს, ხშირად ცივდება, სურდო თანგავს და ხმა ეხრინწება; გრძელყელიან ჩეჭმებში გამოწყობილი, ყელყინწორა მოხუცი გადამდგარი პოდოლკოვნიკია, დედის გინება და გადაფურთხება უყვარს, მუდამ პოლიტიკაზე საუბრობს, ანეგდოტებს ჰყვება, მეტროშიც კი ეწევა სიგარეტს, ხელოვნური კბილები აქვს და ცალ ხელზე ერთი თითი აკლია... „სამგორში“ ვაგონები იცლება. ფაცხაფუცხით ავრბივართ კიბეზე (ამ დროს, მართალია ვიცი, საით მივდივარ, მაგრამ ხშირად მესმის შინაგანი სიცილი — „სად ვარბიხარ?“). აქოშინებული მეწინავენი გვეძახიან: ნელა იარეთ, მატარებელი არ წასულაო (ანდა ცხვირებს ჩამოუშვებენ, გინებას მოჰყვებიან და სიგარეტს აბოლებენ). ჯერ მატარებელი არ მოსულა, ბილეთს ვყიდულობ და შადრევანს ვუახლოვდები. მატარებელი ნელა შემოდის; მატარებლის დანახვაზე მახსენდება, რომ ვაგონები არ თბება, პაპიროსის სუნით არის აქოთებული, იგინებიან, კარტს თამაშობენ, ახველებენ... ჩემი უფროსი და ფოტოკორესპონდენტი მეროე ვაგონში სხდებიან მუდამ. უფროსი არ ჯდება იმ სკამზე, რომელიც თბება. ფოტოკორესპონდენტს, პირიქით, თბილი უყვარს და ყოველთვის ილიმება, როცა თბილ სკამზე ზის. შორიდანვე მესმის ძახილი — ჩემმა უფროსმა და კორესპონდენტმა ადგილი დაიკავეს ჩემთვის, ვიღაცა ახმახი უკან გამოაბრუნეს, სკამი დაკავებულიაო (და იმაზე უფრო კმაყოფილი დარჩნენ, ვიდრე აქამდე იყვნენ). ფოტოკორესპონდენტსა და უფროსის მოადგილეს შორის ჩავიჭედე. ვინანე, რატომ ამოვედი-მეთქი ამ ვაგონში... იძულებული ვარ, ჩავერიო საუბარში, ტრადიციულ კითხვაზე — რატომ არ გავიპარე წვერი, მიზეზი უნდა მოვიგონო (რომელიც განვლილ დღეს გამახსენებს აუცილებლად), უნდა ჩაეღიმო, აზრი გამოვთქვა. ღვინოს არა ვსვამ. ირად, ღვინოზე საუბრობენ. უფროსს, მოადგილეს და

ფოტოკორესპონდენტს უყვართ ღვინო. მოადგილე მთლად აღფრთოვანებულია საუბრით... უფროსი ახლად მოსულა, მაგრამ გულგახსნილია... ქართული ღვინის ქება გამეხარდა, მაგრამ მალე დამავიწყდა, თავი ჩავლუნე და ჩემი გულის მოძრაობას მივავუხრადე. ჩემი გული ნელა, მიძიმედ ფეთქავს. ვწუხვარ, რომ ქართული ღვინის მოტრფილებებს სუსტი გული აქვთ და ამაზე მხოლოდ მაშინ ფიქრობენ, როცა ჰვალე გაადგებათ. ასეთი ხალხი ხშირად ტრაპაზობს, რომ არ იციან, გული საით აქვთ — მარცხნივ თუ მარჯვნივ (ამიტომაც, მათი აზრით, ისინი ჯანმრთელნი არიან). ეს რომ გავიფიქრე, სქელსქელი ძიაკაცები მომაგონდნენ, რომლებმაც არასოდეს იცოდნენ, საით ჰქონდათ გული და ქუჩაში რომ წაიქცნენ, მარჯვენა ხელი მარცხენა მხარეს იტაცეს. არადა, „ჩხავერი“ ტკბილია თურმე და სასმელად არ მოსწონს უფროსს. მოადგილის აზრით, „ტიბაანი“ ყველასა სჯობს. ფოტოკორესპონდენტი „მანავის მწვანეს“ აქებს და ღორის მწვანე ახსენებს, რომ უფრო გააძლიეროს მის მიერ ქებული ღვინის ხარისხი. უფროსსა და მოადგილეს უყვართ კახური ღვინოები... გუშინ დაწერილი ლექსის აღდგენას ვცდილობ.

ჩვენს ეზოში უპატრონო კატა მოვიდა. ახველებდა. ჩემმა ძმამ შინ შემოიყვანა. დეიდაჩემმა სინანულით თქვა: თქვე უბედურებო, ყველა გეცოდებათ, ნეტავ თქვედ თუ ეცოდებით ვინმესაო. ძმამ გაიღიმა. დეიდას, რომელმაც გაგვზარდა არაფერი ვუპასუხეთ და რძე დაუხსიოთ კატას. ერთი საათის შემდეგ, შემის დაპობას რომ მოვრჩი, კატა მომიახლოვდა. ჩავიკუნტე. შემომხედა. თვალებში ჩავაცქერდი. ამგვარი ფერი არასოდეს მინახავს, სიკვდილისფერი იყო. უცბად შეგბრუნდა, შინ შევედი და ლექსი დავწერე...

უფროსი, მოადგილე და ფოტოკორესპონდენტი კახელებზე ჰყვებიან ანეგდოტებს... გუშინ დაწერილი ლექსის დაბოლოება მაწუხებს — თითქოს რა-



ლაც დავაკელი... უფროსს მოსწყინდა
ლაპარაკი და გაჩუმდა. ყველა დადუმდა.
რადგან სიჩუმე ჩამოვარდა და ეს სიჩუმე
უნდა რაღაცას ამოეცხო, უფროსმა
მოგვიანებით გაიცინა მოადგილის მიერ
მოყოლილ სუსტ ანეგდოტზე, ხელი ჩა-
იქნია, დაორთქლილი სარკმელი გაწმინ-
და და მთელი ვაგონის ყურადღება მიი-
პყრო. გაწმინდილ სარკმელში აღმოსა-
ვლეთი გამოჩნდა. ცას გავხედე, კარგი
დღე თენდებოდა. ცაც იმ კატისფერი,
დიდი თვალთ მიცქერდა. გუშინ დაწე-
რილი ლექსის დაბოლოება აღარ მაწუ-
ხებდა. მივხვდი, რომ თავში არეული
ფიქრები მიტრიალებდა, მაგრამ მალე
ყველაფერი დალაგდებოდა. თავი ჩავ-
ლუნე. უფროსმა არ დამაცადა, შენიშვნა
მომცა — გუშინდელი ვაზეთის ნომერ-
ში სათაური შეცდომით (შეცდომა არა,
მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ...). გა-
გვიშვია. დედანში იყო „ნოვ სელა მა-
კოვა“, ჩვენ გვითარგმნია ასე: „სოფელ
მაკოვოს სიახლენი“. სჯობდა ყოფილი-
ყო: „განახლებული მაკოვა“.

პასუხის ნაცვლად ოდნავ გავიდიმე,
რამაც დაამშვიდა უფროსი. მატარებელი
კუმიში იდგა. მოშიშვლებული გორაკე-
ბი მოჩანდა აღმოსავლეთისაკენ; მზე მო-
მენტარა. — გუშინ მე და ჩემი ბიჭი
ემღეროდით: „მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა, სიცივეს კაცი მო-
უკლავს, აგერ საითა გორავსა“. მე და
ჩემი შვილი დარწმუნებული ვიყავით,
რომ მზე გაიგებდა ჩვენს სიმღერას
(რადგან მზე დიდი, თბილი და კეთა-
ლი) და გამოიამინდებდა... სარკმელს
თვალთ მოვაცილე. უფროსი, მოადგი-
ლე და ფოტოკორესპონდენტი იცინო-
დნენ, თან მე მიყურებდნენ — თურმე
დილასაჰქეთთა მძინავს (ასე უთქვამს
ჩემზე უფროსს) და ეს აცინებდათ. მეც
გამეცინა. ჩემთვის სულ ერთი იყო, რა-
ზე იცინოდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ
ყველას რაღაც ავადმყოფობა აწუხებ-
და (უფროსს — სტენოკარდია, მოადგი-
ლეს — ასთმა, ბუასილი, ფოტოკორეს-
პონდენტს — ათეროსკლეროზი და შა-
კიკი). უფროსი მიხვდა, რომ თავი უნ-

და ჩამექინდრა და მირჩია, მეც იცინო-
ვიყავი და ჩვენი დაწესებულების
კირბოროტო, საორგანიზაციო საკითხე-
ბი შემეტანა შიგ, თორემ ბევრი რამ და-
მავეწყდება და მერე, პროფკავშირის
კრებაზე პირს დავადებ. თავი ჩავლუნე.
გული აჩქარებით მიცემდა. დახუჭული
თვალეების წყვილიაღში ჩემს შვილებს
ვუყურებდი. თვალეებში შავი თოკივით
გაქიმულ სიბნელეში მივდიოდი და წო-
ნასწორობას ინდაურების გასაბრაზებე-
ლი სტვენით ვიცავდი. თითქოს ჩემს
გულში ვიჯექი და იქიდან ვუყურებდი
აორტაში სისხლის მოძრაობას. წითელი
სითხით მევესებოდა მზერა... დაძრული
მატარებელი დაამუხრატქეს. ჩემი თანამ-
გზავრები ისევ იცინოდნენ. მოადგილე
ლაპარაკობდა ჩვენს ყოფილ უფროსზე,
რომელმაც პირადი თხოვნის საფუძვე-
ლზე თავი მიანება სამსახურს (გადალ-
ლის გამო). ახალი უფროსი ილიმებო-
და. ფოტოკორესპონდენტს თვალეები არ
უჩანდა (სიცილით), მოადგილეს კი ლა-
ბაბად ექცა სახე (ხარხარით). მე ვიცო-
დი, რომ განვლილი ამბების მოგონება
უხაროდით და თოვლიან მინდვრებს გა-
ვხედე. სიცივე ვიგრძენი ფეხებზე და
ყოფილი უფროსი მომაგონდა (რომელ-
საც დასცინოდნენ). მისი ვარეგნობა
წარმოვიდგინე (იგი მწერალი იყო) და
ხუმრობის ხასიათზე დავდექი. ყოფილ
უფროსთან რომ დროზე მივსულიყა-
ვით, მე და მძლოლი (გრიშა) დილის რვა
საათზე ვხვდებოდით ერთმანეთს, ცხრის
თხუთმეტ წუთზე უკვე ეზოში ვუცდი-
დით. კორპუსი, სადაც იგი ცხოვრობ-
და, ხელოვანი ხალხისათვის იყო აგებუ-
ლი. გრიშა ანეგდოტებს ჰყვებოდა. სხვა
მძლოლები (ხელოვანი ხალხისათვის
აგებულ კორპუსში ბევრი უფროსი
ცხოვრობდა) დასცინოდნენ გრიშას და
მის მანქანას: „ვაპ! შენი ხაზენი ლო-
დარია. აი!... ეხლა სიმამარში იქნება თბი-
ლათ, აი!... ვაპ! ხაზენი თქვენა გყამთ,
აი!...“ უფროსს (ვოლდემარს) კი ეძი-

ჯამალ ავალიანიძე
წონასწორობა

ნა. ეს ყველა მძლოლა იცოდა და მიკვირდა, — ამ კაცის ყოველი მოქმედება რატომ მამხიარულებდა. ათის ნახევარი რომ შესრულდებოდა, ვოლდემარის ბინის სარკმლიდან გადმომძახებდნენ. ნელ-ნელა ავდიოდი. უფროსის რომელიმე ქალიშვილი (სამში ერთი) გააღებდა კარს და ნახი ჩურჩული მესმოდა: „მამას სძინავს, ახლავ გაველვით, დაბრძანდი“. მე მსიამოვნებდა ფართო ოთახების სიმსუბუქე, მოყვითალო, ზვისფერი, ძვირფასი ხის ავეჯი და მიხაროდა, რომ ვოლდემარი ასე კარგად ცხოვრობდა. ავეჯს ვერ ვაშორებდი თვალს. მერე (რადგან ვოლდემარი აღგომას აგვიანებდა), წარმოვიდგენდი ავეჯის ამოსაზიდად მოყვანილი კაცების შეძახილებს, ხვნეშას, გინებას, ფურთხებას და ვთვლემდი. ამასობაში ვოლდემარს აღვიძებდნენ: „ვოლდემარ, ადექი, ჯონდო (მე) და გრიშა (მძლოლი) შოვიდნენ“. ვოლდემარი პასუხობდა: „შემოვიდნენ“. მე შევდიოდი მის საძინებელ, სამუშაო, წიგნებით სავსე ოთახში (უგრიშოდ). ვოლდემარი იწვა. მისი სახის დანახვაზე ვხვდებოდი: „წუხელ დალია, ქალაქგარეთ („წყაროსთვალზე“, „მარაში“, „ზედაზენზე“, „სალობბეში“ ანდა სხვაგან) იყვნენ, რაღაცა დაკლეს, ლექსები თქვეს, სამშობლო აღლვარქლეს, სული დაიმშვიდეს და ახლა შეუძლოდ არის, სამსახურში ვერ წამოვა“. ვიღიბები (და მისი ფაქიზი გამომეტყველების შემყურეს მახსენდება, მთელი ზამთარი რომ უშეშოდ დავრჩი მისი მეოხებით)... ვოლდემარის ადგილს ვიკავებ მანქანაში. გზადაგზა მე და გრიშა კარგ ხასიათზე ვდგებით. მისი აზრით — მე ვარ ყველაზე ეშმაკი ჩვენს დაწესებულებაში, რადგან „სლაბი ტოჩკა“ ვუბოვნე ვოლდემარს. მერე სიცილით მეკითხება: ცხენ-ირმის რქა თუ აჩუქეო. მეც ვიციანი. — ვოლდემარი ყოველ დათრობაზე მჩუქნიდა სამოთახიან (იზოლირებულ) ბინას, ჩემს კრებულს ასაწყობად აძლევდა სტამბას, შეშით უზრუნველმყოფდა, ოცფორმიანი წიგნის თარგმანზე ხელშეკრულებას მიფო-

რმებდა, მეხმარებოდა, რომ ჩავეწერილიყავი საკუთარ სახლში. ჩემს შეუღლეს სამსახურს ჰპირდებოდა. ჩვენ (მე და ვოლდემარი) ბენდიერები ვიყავით. მე, ჩემის მხრივ (ამდენ პატივისცემას ხომ გადახდა უნდოდა), ვოლდემარი მიმყავდა რაჭაში საქეიფოდ, თრიალეთში — ცხენებით სანადიროდ, გორში — საქეიფოდ, ვჩუქნიდი „ზაუერის“ მარკის თოფს, ცხენ-ირმის რქებს, ვაცნობდი ახალგაზრდა გოგონებს და ჩვენ (მე და ვოლდემარს) გვიხაროდა ეს ცხოვრება (ვოლდემარი დათესილს იმკიდა). ამ დროს ჩვენი დაწესებულების მანქანა მიგვარბენინებდა სახლისაკენ და მე კარგ ხასიათზე მაყენებდა წინა (მარჯვენა) კარი (რომელთანაც ვოლდემარი იჯდა) და უკანა (მარცხენა) კარი, რომლებიც მავთულებით იყო დამაგრებული და ჯანჯლარებდნენ. სივარეტის საყიდლად შევჩერდით, ვოლდემარი მავთულს დაეჯაჯგურა (რომლითაც კარი იყო დამაგრებული), ვერ გამოხსნა და შეივინა. მერე მე ვეწვალე — გრიშა მოგვეშველა და ვოლდემარის მადლობა დაიმსახურა (სალოლ!) ვოლდემარმა სივარეტი იყიდა, თოკით დააბა კარი და დავიძარი. ჩვენ გვიხაროდა, რადგან შინისკენ მივეშურებოდით. — მით უმეტეს (გვიხაროდა... უფრო კი ვოლდემარს), რომ უკან, მანქანის სატვირთო განყოფილებაში ატმითა და ყურძნით სავსე ყუთები ელაგა და ჩემს გვერდით, ფეხებთან, ღვინის ღიდი ბოცა იდგა. ერთგან გრიშამ მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა, სამივე კარმა აიწყვიტა და გოჭი ჰყვიტინით გადახტა. გრიშამ, გაეჭკიდებით, მაგრამ ვოლდემარმა დატუქსა, — ცირკს ნუ მიწყობ შუა ქალაქშიო...


მატარებელი კვლავ დაამუხრუჭეს. ახალმა უფროსმა (ბერდიამ), მოადგილემ და ფოტოკორესპონდენტმა სიცილს თავი დაანებეს და სარკმელში გაიხედეს. ამ დროს ფოტოკორესპონდენტმა შეამჩნია, რომ მზე ამოდიოდა, ნაზად მოავლო ხელი ბერდიას და წასჩურჩულა: „რა წითელი მზეა, ლამაზია, არა?

ახლა სადმე, მწვანეზე, ციკანი, მწვანა-
ლი, კარგი ალადასტური...“

გამახსენდა ჩემი სოფლის სადამო,
თემის ხეობა, კალოუბანი, ჭრიჭინებით
აჭრიალებული ღამე და ჩემი ბიჭის სიმ-
ღერა: „მზეო, ამოდი, ამოდი!“ ჩვენი ვა-
გონი (მეორე ვაგონი) სასადილოსთან
ჩერდებოდა, სადაც მოადგილე ხაშს ჭა-
მდა ყოველ დილით. უფროსს არ მოს-
წონდა ეს სასადილო (რადგან უფროსი
ახალი იყო), ამიტომ მოადგილე ხაშის
საკმეღად წავიდა, — ბერდია, ფოტო-
კორესპონდენტი და მე ლიანდაგებს და-
ვადექით. ვცდილობდი, რელსებზე მევ-
ლო და არ ჩამოვვარდნილიყავი. ჩვენს
გარდა ლიანდაგებს ბევრი სხვაც მოუყ-
ვებოდა. მზე მარცხნიდან ამოდიოდა.
ადამიანები მატარებელს ერიდებოდ-
ნენ, ეშინოდათ, გაფაციცებით იყურე-
ბოდნენ; მარცხნივ კი, სათაყ მზე იყო,
არ იცქირებოდნენ. მე მინდოდა, მარც-
ხნივ, ამომავალი მზისთვის შეეხვდით
ადამიანებს. ამ წუთში მერჩივრა მზის
ცქერაში დამჩახებოდა მატარებელი, მა-
გრამ მისმა საყვირმა მაიძულა, ლიანდა-
გიდან გადავსულიყავი და კისერი უკან
მომედრიცა (კეთილი სურვილი, რომ
ადამიანებს მზისთვის ეცქირათ და ჩემი
სურვილი — მზის ცქერაში დამჩახებო-
და მატარებელი, გაქრა). შლაგბაუმთან,
საერთოდ დამავიწყდა მზე და მანქანე-
ბის გამონაბოლქვ კვანძში არეულმა
მტვერმა სინამდვილე დამიბრუნა... სტა-
მბაში ატეხილმა ხრიალ-გნიასმა მუშაო-
ბა მომანდომა. კაბინეტის კარი შევადე,
მაგრამ იმ მაგიდის დანახვამ, რომელ-
ზედაც ვვარჯიშობ ხოლმე, გამაღიზიან-
ა. გამახსენდა, დღეს რომ ვერ ვვარ-
ჯიშე. სტამბიდან მეტრანაპეი მიხმობს—
მაკეტი მომაწოდეთ. მაკეტი გვიანდება,
რადგან ვილაცამ ვერ მოასწრო სტატიის
დაწერა. ხაშის სუნი ასდის მოადგილეს.
ბერდიამ უსაყვედურა, შენზე გაპიროვ-
ნებული მასალების გამო გაზეთის ნომე-
რი იგვიანებსო. დასაბეჭდ მასალას ჩავუ-
ყვეი სათარგმნელად, რომლის სათაურია
„მარცვლეულის ინდუსტრიის ათვის“. აქ
ლაპარაკია, რომ ლიპეცკის ოლქის ქა-

ლაქ გრიხში შეიქმნა მარცვლეულის
ვეებერთელა ხოფების კონსტრუქცია.
ბერდია ახლად დანიშნული სურვილია
და უხარია სამსახურში მოსვლა — ხე-
ლებს იფშენეტს ხშირად, იღიმება.
დღეს მშენებლები მოვლენ თურმე და
ჩვენი დაწესებულების რემონტი დაიწ-
ყება. ამან მომაგონა, რომ ღუმელი გა-
მოქრა და შეშა შევუკეთე. კვამლი ამო-
ვარდა ღუმელიდან. მოადგილე (არგო)
ნიერის სუნს აფრქვევს ღიმილთან. ერა-
თად. შევაკეტი. — რამდენიმე წე-
ლიწაღია ერთად ვმუშაობთ და რამდენ-
ჯერმე ვცადე, მოთხრობა დამეწერა
ამ კაცზე. არადა, ვიცი, თუ დაწერე,
საოცარი რამ გამოვა, მაგრამ ახლა მი-
სი კვადრატული აღნაგობაა საინტერე-
სო. მოადგილე მომიახლოვდა, მაკეტს
დააკეტრდა, რომელიღაც ინფორმაციას
ადგილი შეუცვალა, ჩაფქრდა, აბუტ-
ბუტდა... უცბად, ახმახი, უღვაშებად-
ქცეული კორესპონდენტი შემოიჭრა,
გრძელი სახე ისე ჰქონდა აღფრთოვანე-
ბული, რომ ნაკვეთს ადგილები შესც-
ლოდა. სასწრაფოდ დასაბეჭდი ოპერა-
ტიული ცნობაა — პურპროდუქტების
ბაზამ ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შე-
ასრულა კვარტალის გეგმა-ვალდებუ-
ლება. აყლაყუდა ჟურნალისტი გახარე-
ბული გავიდა ოთახიდან — მისი ინფორ-
მაცია დაიბეჭდება... ცეცხლი მოეკი-
და შეშას. თბილი ჰაერი ათბობს დას-
ველებულ ჰერს და ცარცის თხელი ფი-
ფქები გვაცვივა. ბერდიას არ მოეწო-
ნა, მოადგილემ რომ ადგილი შეუნაც-
ვლა ინფორმაციას და უკან დააბრუნა.
არგომ ხელები გაშალა, გაიღიმა, ჰერს
შეხედა (საიდანაც თოვლის ფიფქებივით
ცვიოდა თეთრი წერტილები), თუხთუხა
სიცილი დაიწყო და ნასმურევეზე შექმუ-
ლი ნიერის სუნი გადმოაფრქვია, რამაც
მეყვესეულად გამახსენა ავადმყოფობები:
ათეროსკლეროზი, ტუბერკულოზი, კი-
ბო, ბუასილი... არგომ ერთხელ კიდევ
ახსენა ჩვენი დაწესებულების შენობის

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



აფრიული მდგომარეობა, მისი ყოფილი უფროსი (ვოლდემარი), რომელიც ამის გამო შეიძლება თავისუფლად მიეცათ პასუხისგებაში. ამის ნაცვლად, დასაჭერი კაცი საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს. ბერდიამ ხელი ჩაიქნია და მაკეტს ჩააშტერდა. არგოს აზრით კი, ვოლდემარი დასაჭერი იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაწესებულება აფრიულ მდგომარეობაში დატოვა, საწვეროებს არ იხდიდა, ავტომანქანას იყენებდა პირადი სარგებლობისათვის, საქმე არ იცოდა, გულგრილი იყო, სამსახურს აცდენდა; მეორეც — ვოლდემარის მოხსნა შეიძლებოდა არაკოლეგიალობის, თანამშრომლებს შორის შურის გაღვივების გამო. ფოტოკორესპონდენტი ჩაერია საუბარში და არგოს შემდეგი დიალოგი გაახსენა:

— წიგნს რომ გამოსცემთ, ერთ კარგ კოსტიუმს ხომ მიყიდით, ბატონო ვოლდემარ?

— გიყიდი, აუცილებლად გიყიდი. ვოლდემარი იღიმება.

არგოს არ სჯერა და იმედიანად იმეორებს:

— რაკილა სიკეთე ჰქენით, ბოლომდე მიიყვანეთ — მოადგილეობა მადირსეთ...

— გაღირსებ, აუცილებლად გაღირსებ.

ვოლდემარი იღიმება.

არგოც იღიმება...

— ამ ჭიკით, გაზაფხულს, ამღვრეულ მტკვარსა და ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოს!

არგო უკვე მოადგილეა.

ვოლდემარი ილოცება.

— გაუმარჯოს, ნამდვილად გაუმარჯოს! — კვირს უკრავს არგო.

...ფოტოკორესპონდენტმა დაასვენა, რომ ვოლდემარს კარგის მეტი არა გაუკეთებია რა არგოსთვის და არ უნდა ლაპარაკობდეს ასეთ რამეებს იმ კაცზე...

კარს ჩავეტავდით, ლიტერატურაზე ვსაუბრობდით, ვაქებდით, ვაწუხებდით, ერთმანეთს ვპირდაპირ ვხედავდით, თოფს, ჩაწერას, მოთხრობების გამოკვეყნებას, ნადირობას, პურ-მარისს, ბოლოს, ვიცინოდით. ამ დროს კარსმიღმა რამდენიმე კაცი იდგა და გვისმენდა. მათი აზრით, „მე უფროსს ვუკაცლავდი ახალ ამბებს, ვაბეზლებდი მათ და სხვა“. ვოლდემარმა იცოდა, სახლში გათბობა არ მქონდა; ადრე, ვაზის გასაყვანად შეიდასი მანეთის სესხებას შემპირდა (რის გამოც აღვუთქვი, რომ მის წიგნზე ერთფორმიან რეცენზიას დავწერდი). მერე ეს ამბავი ორთავეს დავავიწყდა ზუსტად ორ დღეში. ერთ საღამოს შექვიფიანებული მოვიდა სამსახურში, მთხოვა, კარი ჩამეკეტნა. ის იყო შემოვტრიალდი, რომ მახარა: მუშტარი გიშოვნეო. ეს „მუშტარი“ ერთი დიდი დაწესებულების დირექტორი აღმოჩნდა. ვოლდემარის სიტყვით „საზანი“, მოპოვებულ-მოშვებულ ელემენტია, რომელსაც ორმოცფორმიანი რომანი უღებდა შინ და კორექტურას (რედაქტირებას) საჭიროებს.

— ძვირი დაუჯდება, — ვამბობ.

ვოლდემარი იღიმება (მიყვარს მისი ღიმილი — ადამიანური, კეთილი და წმინდა):

— ტყავს ნუ გააძრობ.

— ძვირი დაუჯდება.

ვოლდემარი იღიმება.

როცა თანხა დავასახელე, ვოლდემარი შეცბა:

— ძვირია.

— ნაკლებად არ ვიკისრებ.

— ძვირია, ბიჭო!

— თქვენ კორექტურას ამბობთ, ვიცი, ხელმეორედ დასაწერი იქნება.

ვოლდემარი მეთანხმება და დასძენს:

— სეირი ის იქნება, მერე პრემია რომ მიიღოს მაგ რომანმა, გავიფიქრებ, შენ ხომ მთლად გადაიბრუნე.

საზანმა მეორე დღესვე დასირეკა. „შვილო, გათხრა, მომეღწია, დასიბარა, ჩემთან მოდიო, რეო დახუტე, თათხში

ვოლდემარის გამოჩენა მუდამ მიხაროდა. ჩამოსვლისთანავე მიხმობდა,



იქნა, რომლის კარებზე „დირექტორი“
ეწერა. ამ ოთახში არ შეიძლებოდა აზ-
როვნება, რადგან ყველა კუნჭული, სა-
იდანაც კი ჰაერსა და მზეს შეეძლო შე-
მოსწევდა, საგულდაგულოდ იყო დაგმა-
ნული. საზანა პირველ რიგში ამიხსნა,
რომ მისი ხელფასი ბევრად არ აღემა-
ტება ჩემსას. ხელფასით ცხოვრობს, ისე
რომ ძვირია... მე მას ავუხსენი, რომ მი-
სი რომანის კორექტურა არც თუ ისე
სასიამოვნოა ჩემთვის და დავემშვიდო-
ბე. საზანმა შეჰყვირა. — მე უნდა
მრცხვეროდეს, საწყენად არ უთქვამს,
მაგრამ ყველაფერი ანგარიშია... საზან-
მა უკრა გამოსწია და ქალაქების სქე-
ლი შეკვრა დაავდო მაგიდაზე. ეს იმას
ნიშნავდა, რომ მოვრიგდით. სათაურს
დავზედე:

— სათაური არ ვარგა.
— აჰ! — ბებრულად შესძახა საზან-
მა.
— უნდა გამოცვალოთ.
— რას ერჩი?
— გაცვეთილია.
— გაცვეთილი?
— ბანალური.
— ჰო, ეგრე თქვი... ბანალური...
იყოს ჭერ... მერე, ენახოთ, გადავხე-
დოთ...
— მე ჩემი აზრი მოგახსენეთ... ავტო-
რი თქვენა ხართ... როგორც გნებავთ...
— კი, შვილო, გადაავლე თვალი, მსუ-
ბუქი ადგილები დაამძიმე, გაამდიდრე,
დაგიფასებ...
ვოლდემარი სივარეტს აბოლებდა.
— რა ჰქენით?
გამეღიმა.
ვოლდემარსაც გაეღიმა:
— ნეტავ, ამნაირი ადამიანის თავის
ქალა ამხანგეინა და შიგნით ჩამახედა—
ვოლდემარმა ხელი გამოიშვირა, მეორე
ხელისგული დაადო ზედ, გაუსვა და და-
აყოლა: — არც ერთი ღარი არ ექნება,
სლიპი ტვინი აქვს ალბათ. „სლიპმა ტვი-
ნმა“ კარგ ხასიათზე დამაყენა, გამეცი-
ნა... სამუშაოს შემდეგ ნელა გავუყვივი
მტკრიან გზას, რომელსაც ბინდისას
ასუფთავებენ მუღამ. ორი მეეზოვე —

ქალი და კაცი (კოლ-ქმარი) განდევნილი
მოდოდა და განსაკუთრებული მონღოლი
მებით ჰგვიდნენ. მატარებელში სარკმე-
ლთან ჩამოვკეცი, საზანის წიგნი გადავ-
ფურცლე — ვილაც კაცი (გზირი) სივარ-
ეტს აბოლებს, ოხრავს, ანგარიშობს;
ითვლის, მიდი-მოდის, ტირის, ბლავის,
იცრემლება, ადგილს ვერ პოულობს. მი-
ვხვდი, რომ ჩემი რომანის დასრულება
სჯობდა ამ წიგნის კორექტურას. ვინა-
ნე. ფულის შოვნის ეს ხერხი შემზიზლ-
და. სინანულზე უფრო დიდი ნაღველი
რომ არის, ისე ვინანე და მინდვრებს გა-
ვხედე. ამ მინდვრების ფერფლისფერმა
სიჩუმემ ერთი კარგი მოთხრობა დამა-
წერინა. მოთხრობა წარმოვიდგინე
მთლიანად და მის სიძლიერეში დავრწ-
მუნდი. ამან დამამშვიდა და მერე ის
წარმოვიდგინე, როგორ შევავიჯებდი
სახლში და ციოს ვეტყოდი, ფულიანი
რომანი ვიშოვნე-მეთქი. ვიცოდი, ციო
გაიღიმებდა, გაიხარებდა ჩემსავით და
მერე ისიც ჩემსავით ინანებდა. ციოს
სახე დამიღვა თვალწინ და ისევ ნაღვე-
ლი შემომაწვა: „პაპაჩემი სათონესთან
იღვა და მისივე ნახელავ მეპერს შეს-
ცქეროდა, მოხუცის მხიარულ, ჰროლა-
ნა თვალბში ის სიხარული დავლანდე,
ადრე რომ შემიმჩნევია. სათონე უკვე
ლობის შიგნით იყო მოქცეული. — გა-
მეხარდა და ნელა მოვცილდი. აივნიდან
ჩამოიციკირებოდა ბაბო. აპრილის დამ-
ლევი იყო, მაგრამ ღუმელი ვიზიზიზებ-
და ჩვენს სახლში და მოხუცებს აბო-
ბდა. ბაბომ მაკოცა და მცირე მოკითხ-
ვის შემდეგ პაპაჩემს მისდგა — სულ
გამოსულელი, ნეტავ, რა შავ ჰქირად
მინდა, რომ ჰღობავო?.. მერე მე მომი-
ბრუნდა: ატაჩანთ გიგო უკვე ლოგი-
ნად ჩავარდა და სულ უმიზნოდ იცი-
ნის, მისმა ცოლმა ფეხი მოიტეხა და
ველარ დადის; — შვილები და შვილი-
შვილები აღარ მოსდიან და არიან გამო-
ყრუებულები... დალაქიანთ ოლა დაბრ-
მავდა, დალაქ-მიშა უკვე ას შვიდი წლი-


ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



საა და გამოქერქეტებული დაფარვა-ტებს, სულ წევს და სძინავს... ამ ბოლო დროს ჰკუა გამოეცალა პაპაშენს, — ნეტავ, რა შავ ქვად უნდა, რომ ჰლო-ბავს? ანდა, ის სათონე რაღად მოაქცია მესერს შიგნით?... ჩვენი მარო კვდება, უბედური — ექიმი იყო და თავის თავს ვერაფერი უშველა. იმიტომაც არაფერი მწამს ექიმებისა. უბედური... შაქარი, ღვიძლი, თირკმელები, წნევა აწუხებდა... ახლა, ეს კიბო გამოუვარდა და გამოუტყვრა მოუსავლეითიდან. უბედური... ბაბო ჰყვებოდა და ტიროდა. ამან საავადმყოფო მომაგონა, მე რომ ვიწე-ქი — დერეფნებშიც კი იდგა საწოლები. ირგვლივ ავადმყოფობით გატანჯული სახეები, სიკვდილის ხსენება, ნატვრა, სიხარული, შმორის სუნი, წამლების კორიანტელი, ნემსებისაგან მიყენებული ტკივილები, ავადმყოფთა წყნარი საუბარი — წარსულის გახსენება. ვინ საკუთარ ქოჩორს იგონებს, ნატვრებს და ძველი ქოჩორით ტრაბახობს (ეჰ! თმა ჰქონდა, ბულულივით ედო თავზე), ვინ საკუთარ მკლავებს იგონებს (მუთაქებივით რომ ეყარა); იმ ბანჯგვლიან ჩია კაცს ისეთი მკერდი ჰქონია წინათ, როგორც ბალიში; აქეთ ბოღვერა კამეჩს ჰგვანებია ვიღაც გაწრიბული კაცი; იქითას შუა კაური სცოდნია ისეთი, თურმე სულ თავდაყირა დაჰყავდა ბიჭები... ერთ წყნარ პალატაში დიდცხვირა, მწითურ კაცს (სკოლის მასწავლებელს) სამი კაცი უგდებს ყურს: რას ჰგავს დღევანდელი ახლაგაზრდობა? — მოკლე კაბები, შედებილი თვალები, გრძელი, გამლილი თმა, განიერი, გაცვეთილი შარვლები — ჯინსები. ასე თუ დიდ ხანს გასტანა, დავიღუპებით. — სამი კაცი კვერს უკრავს...

როცა ამას ვიგონებ, მუხრუჭის ხრჭი-ალი მესმის, რომლის ნატისუსალი იმ ქარხნის სუნს მაგონებს, სადაც სამი წელიწადი დავდიოდი პრაქტიკაზე. ამ მუხრუჭებიდან ამოვარდნილ, დამწვრის სუნს ვგრძნობ ტრამვაიში, კაფეებში, რესტორნებში, კინოში, ოთახებში, დარბაზებში. მუხრუჭის ხრჭიალი შემზარა-

ვია, საშინელი და გულისამრეველი მუხრუჭები ცვდება, ავადმყოფობენ სტენოკარდიით, წნევით, ასთმით, კიბოების ტკივილით, ბუასილით... პალატაში მწოლი დიდცხვირა თურმე დილით აღრე დგებოდა, ისე მიდიოდა სამსახურში (სკოლაში), ლუკმას არ გაღე-ტავდა. შიმშილი, რომელსაც იგი ვერ გრძნობდა (და სინამდვილეში კი შიო-და) შეუძინევლად შხამავდა მის ნერვიულ სისტემას და მისი რისხვა თავზე ატყდებოდა იმ ბავშვს, რომელმაც გაკვეთილი არ იცოდა. მშობლებს დაიბარებდა, ბავშვებთან ატირებდა, შუად-ლისას ხუთ ულუფა სოსისს შეჭამდა. დიდი მუცელი ჰქონდა, იცმევდა ვიწრო შარვალს, თმას ისე იკრეჭდა, ყურები (როგორც მოსწავლეები ამბობდნენ) ლოკატორებს მიუგავდა, იცმევდა დაწვრილ ფეხსაცმელს, აჭრელებულ წინდებს, ოდნავ აცივდებოდა თუ არა, დიდის ვაი-ვაგლახით (ნაცნობობით) იშო-ვნიდა ჩეხურ, დაბამულ საცვლებს (კაკაოსფერს) საღამოობით მამაპაპურად დაღევდა ღვინოს, შინ მივიდოდა, დაწვებოდა, იტრიალებდა, სასმელი ყელში მოაწვებოდა, იშფოთებდა, მეუღლე ტამბს მიუღდა ახლოს, შუბლზე ცივ ტილოს დააფენდა, ბორჯომს შეუთბობდა (შეიძლება ოყნაც გაეკეთებინა კუჭის უმოქმედობის გამო)... ბოლოს გულის შეტევა დაემართა. ამან აიძულა ცოტათი დაფიქრებულიყო და ეზრუნა ჯანმრთელობაზე, რომელიც, მისი აზრით, რკინისებური ჰქონდა. აჩქამად (გულის შეტევის გამო) მას აზროვნების საშუალება მიეცა, რომ საკუთარ გატანჯულ, „მე“-ს ყურადღება მიექციოს. იგი უკვე მერამდენედ მოუთხრობს ავადმყოფებს ძმისშვილზე, რომელიც თურმე ყოველ-დღე ვარჯიშობს (დღეში სამჯერ. გააგი-ჯა კაცი კინალამ!) გაცვეთილი ჯინსით დაიარება, გრძელი თმა აქვს, ხორცს არა ჰამს ის ვირიშვილი, ღვინოს არა სვამს, მსმელებს დასცინის, სუფრასთან ვერ მიიტყუებ, არსად მუშაობს, მოთხრობებსა და ლექსებს ჯღაბნის (მწერალი ჰგონია თავი), ჭინკასა ჰგავს, მუცელი იმან



არ ეტყობა და დაბაბი. მოკვდება, მაშ რა მოუვა? ამას წინათ (საავადმყოფოში მოსვლამდე) ვცადე ჰკუთა დამერიგებინა და იცით რა შემიკადრა? პირადად მე ვერა გავიგე რა, — ასე მითხრა: — შენ იმ ხალხის კატეგორიას ეკუთვნი, რომელთა თვითგმაცოფილება მაქსიმუმს აღწევს, როცა მანქანაში მძღოლის გვერდით სხედანო. გესმით რამე? ვაივით, ხალხნო? ვერა? ვერა? ვერც მე ვაივიგება, რა კაცი უნდა დადგეს?...

პაპაჩემი გვერდით ჩამომიჭდა. არაყი რომ გადაპკრა, ქალაქის ამბები გამომიკითხა. ის იყო დავამთავრე, რომ ბაბოს წყველა მოისმა — ჭიანჭველები დაპრვეოდა ლედვის მურაბას: — ზამთარი სკობნებია ყველა დროს. გათბება და ყველაფერი შეიფრთხილებს — გველი, ხელიკი, შავი მიწა და დოზანა. ესენი რაღა ვასაჩენია, ეს დასამიწებლები ესენი. მაშ, არა სჯობს ზამთარი? გავაფხულო ლევის რისხვია, ყოველივე საცოდაობის დასაწყისი. ახლა პატრონმკვდარი ბაყაყები დაიწყებენ ლოლიას. — რა საყურებლები არიან, ღმერთო, ამდენ საცოდაობას როგორ უძლებ?

მოგონება მაშინ გამიქრა, როცა სახლის კარი შევალე. ციო ღუმელთან იდგა — ლობიოს ხარშავდა. ლადო საბავშვო საწოლში იდგა და წამლის ცარიელ ბოთლს ათამაშებდა. ჩემს დანახვასზე ცხვირი დაიბატარავა, ნაოკებად აქცია და ქვედა ტუჩი გადმობრცა. ციომ აიყვანა და ძუძუ მოაწოვა. მუხის მაგილის გაქნაქული ფეხის დანახვასზე მამაჩემს რომაგონდა, რომელმაც იმის გამოთლასზე ორი დღე იწვალა და მისი ნახვა მომინდა... ვარჯიში დავიწყე. ციო და ლადო დედაჩემთან გავიდნენ. მამაჩემის ნახვის სურვილის გამო აღძრულ ნაღველთან ერთად, ჩემმა უმოქმედობამაც შემაწუნა — ორი წელიწადია, არაფერი დამიწერია... სირსველი ლობიო ვკამე და ეზოში გამოვედი, ნაღველი მამაჩემის ნახვის სურვილიდან იწყებოდა და ჩემს მოთხოვნებს მაგონებდა, რომლებიც დაუბუქდავი ყრია სხვადასხვა ადგილებში... დილით, მატარებელზე დამაგვი-

ანდა. მიზეზმა ცულ ხასიათზე დამაყენა და ამასწინანდელი ქეიფი მომეგონდა. უფრო ის მამბრაზებდა, რომ მამაჩემი თავიდან უნდა დამეწყო — ღვინოს არა ვსვამ რამდენიმე წელაწადია, იმ დღით კი ისე გამოვთვერი, ციომ მითხრა დილით: ამნაირი სასომიხდილი და უმწეო არასოდეს მინახხარო... როცა ტაქსი თბილისს გამოსცდა, აღმოსავლეთისკენ გავიხედე. მზე არ ჩანდა. მძღოლმა მაგნიტოფონი ჩართო. უკან, ჩემს გასწვრივ, ყელყინწორა კაცმა ტკეპნით (შენელებულად, დუნედ, ქართულის არამსგავსად) ჰკითხა შოფერს, ვინ მღერისო? მერე ორივე დაეჭვდა — გლახო იყო თუ ლამაზ გოგია, ვერ გაარკვიეს და ორჭოფობით გაითანგნენ. ყელყინწორას გვერდით მჯდომი კაცი ხენეშით ლაპარაკობს ქორწილზე, სადაც წუხელ თავისი რძლის დეიდა გაარშიყებია. მისი აზრით, ოცდახუთი წლის რძლის დეიდა მისთვის უპრიანია. ყელყინწორამ სიგარეტი გააბოლა და ცუდი დრო არისო, აწმყოს დაუწყო ძაგება. არადა, ბუფეტში მუშაობდა და ერთ ულუფა ლობიოში ორმოცი კაპიკით მეტს მახდევინებდა... მანქანა შეჩანჯღარდა. მძღოლმა გამორთო მაგნიტოფონი. სმენაში ჩარჩენილი დუდუკების კვნესამ ერთი დღე გამახსენა — მაშინაც ასე მივემგზავრებოდი სამუშაოზე და სწორედ ამ გზაზე, როცა დუდუკების ოხვრამ და დოლის ბრაგუნმა კულმინაციას მიაღწია, მანქანას შევასკდით. ჩემს გარდა ყველა დაიხოცა. ამაზე მოთხრობა დავწერე. ახლა, რამდენჯერაც წავიკითხავ იმ მოთხრობას, იმდენჯერ ცუდად ვსდები...

ბერდია კართან შემხვდა. მან არ იცოდა, რომ სამუშაოს მიტოვება გადავწყვიტე. ჩემი კაბინეტის კარი შევალე. თვალი შევავლე ყველა ნივთს და ის ვიგრძენი, რასაც თითოეული მათგანი გრძნობდა უსუნთქველობისა და უმოძრაობის უსასრულობაში. საცოდაობის

ჯამალ დავლიანიძე
წინასწორება



შსგავსი რამ ვიგრძენი. სტამბისკენ გავემართე. სტამბაში ყველამ იცოდა ჩემი გადაწყვეტილება და მოკრძალება: ისრულვებდნენ ჩემს ყოველ მითითებას...

პირველ საათზე ბუფეტისკენ გავეშურე. გამყიდველმა კარგად იცის ხორცს, კვერცხს, კარაქს, ყველს, რძეს, კაკაოს, არ ვეკარები და მაინც მეასედ მეუბნება: ღვიძლი და თირკმლები მეც მტკივია, მაგრამ თავს ვერ ვუვლითო. მსხლის კომპოტს გემრიელად ვჭამდი და მსხლის ბაღებზე ვფიქრობდი. ის იყო, ფული გადავიხადე, რომ კორექტორმა მითხრა: ვოლდემარი ჩამოვიდა, ბუღალტრის ოთახში ჩხუბი მოუვიდა გრიშასთან (მძღოლთან) და ბერდია გეძახისო. გავიქეცი. გრიშა გაებოკათ დერეფანში. ჩემს დანახვაზე გრიშამ ძლიერი გაქნევით გაითავისუფლა თავი. ბუღალტრის ოთახთან მივეწვიე და უკან გამოვებრუნე... ვოლდემარი კედელთან იდგა. სახე დაკაწრული ჰქონდა. გამეხარდა მისი დანახვა, მაგრამ მისმა მდგომარეობამ შემაწუხა. ვოლდემარმა იგრძნო, რომ შემებრალა და სკამს დაავლო ხელი. წინ დაგულდექი. გრიშა მეორე მხრიდან მოადგა კარს. მისი ხმა აშკარად გვესმოდა: „მამაძალი, სამი თვეა ოთხი პაკრიშკა ივიღეთ... მაგან აიღო, მე როსპისი გავაკეთე. სირცხვილი არ არი? ამხელა კაცმა ოთხი პაკრიშკა გაასუხაროს? მე ახალი ხაზენინი ფეხს მადგამს, საიდანაც გინდა მაიტანე ოთხი პაკრიშკაო... გამოვწერო? არა სცხვენინან? ნამუსი აღარ არი?...“ ვოლდემარს შევხედე. — ძვირფას ქურქზე ნავთი გადასხმოდა, ლაქები აჩნდა. ის ამბები მომაგონდა, რასაც თურმე ჩემს მოსელამდე სჩადიოდა... გრიშას ხმა მიწყდა. ვოლდემართან მივედი, სკამი გამოვართვი და დავსვი. ტიროდა, ამისი ღირსი არ ვიყავითო. გრიშასაგან არ მეკუთვნოდაო — სულ თავისუფლად დაჰქროდა ხალტურაზე და ასე გადამიხდაო. ჭრილობა მოვებანე და მერამდენედ ავუხსენი, რომ გრიშა — გრიშაა, თვითონ კი განათლებული კაცია, მოაზროვნე...

— არ გეკადრებათ, ბატონო ვოლდემარ...

— მართლა არ მეკადრება, თორემ მაგ გველის წიწილს თავს გავუჭეჭეყავ... ასე კი არაა საქმე...

— ეგ უვიცი კაცია, ცხოველური ინსტიქტები აწუხებს...

— ჯონდო, შენ მაინც ხარ მოწამე, როგორ ვიტანჯებოდი ამ ჯოჯოხეთში. — სიკეთე არავინ დამიფასა.

— თქვენ სწორად მოიქეციით, აქედან რომ წახვედით, მეც მალე მოვბაძავთ.

— მართლა? — წამოდი, დროზე წამოდი, სანამ გავაფუჭებენ. ნიჭიერი კაცი ხარ... აქ დაიღუპები... ამითან ჯაჯლანი შენი საქმე არაა.

— ჰო, ვოლდემარ... ახლა, დაწყნარდით, გრიშას არ აპყვეთ, შინ წადით.

— ასეც ვიზამ.

— ასე სჯობს, ბატონო ვოლდემარ.

— აბა, ჯონდო, დამირეკე, არ დამივიწყო, შემოიარე... დაგეხმარები...

ვოლდემარი წავიდა... გრიშას ყველა უქებდა ვაჟკაცობას. გრიშა იფერებდა და ბრიყვეული სიამაყით იბღინებოდა...

ბერდია სიცილით მომიახლოვდა.

— ახლა კი ვხედები, რომ ვოლდემარის კაცი ხარ.

— თქვენ ვისი კაცი ბრძანდებით, პატრიცემულო ბერდია?

— შენი უფროსი ვარ...

— ვოლდემარს ბატონს ვეძახდი, თქვენ — პატრიცემულს...

— რატომ იცავ? პირდაპირ მითხარი.

— ის მწერალია...

— ჯერ კაცი უნდა იყო...

— თქვენ არ იცნობთ...

— მაინც, რა ძმაცაცობა გქონდათ შენ და ვოლდემარს, რომ ერთი ცუდი სიტყვა არ დაგცდა. შენს მეტი ყველა ლანძღავს.

— ვმეგობრობდით.

— მთელი საათობით რომ ჩაიკეტებოდით ხოლმე კაბინეტში, რას აკეთებდით?..

— მწერლობაზე ვსაუბრობდით.

— თანამშრომლები სხვა აზრისა არიან თქვენს განცალკევებაზე...



— მაინც?
 — შენ ამბები მიგქონდა თურმე...
 — არ არის მართალი...
 — გეხუმრე... მაგრამ, კაბინეტში რომ მწერლობაზე საუბრობდით და მერცხლები, მაპატიე და, თავზე გასკლინტავდნენ, ამაზე არა ფიქრობდით? დაწესებულების შენობის ასეთ მდგომარეობაში მიყვანა კარგ კაცობაზე ლაპარაკობს?
 — ვოლდემარმა სამკერ დაწერა მოსხენებითი ბარათი...
 — ეგ კარგი, მაგრამ... მერცხლები ბუდე?
 — ვოლდემარი მწერალი იყო და უყვარდა ფრინველები.
 — ვერ წარმომიდგენია, უფროსის კაბინეტში მერცხალს ბუდე ჰქონდეს...
 — დაგვცინით?
 — ვისაც კი ვუთხარი მერცხლის ბუდეზე, ყველას გაეცინა.
 — უნდა გიხაროდეთ... თურმე ყველა თქვენ გიჭერთ მხარს...
 — ისე მელაპარაკებით, თითქოს განცხადება გქონდეთ დაწერილი და აქედან მიდიოდეთ...
 — განა ეგ ძნელი საქმეა?...
 — ჯონდო, იუმორის გრძნობა არა გქონია... ერთი ეს მითხარი, ნუთუ ვოლდემართან ყველა სტყუის?
 — რისი თქმა გსურთ?
 — ქრთამებს იღებდით...
 — არ ვიცი.
 — თანამშრომლებს შეურაცხყოფდით...
 — არ ვიცი.
 — თანამშრომელ ქალებს ეძალადობოდაო...
 — არ ვიცი.
 — შიშველი დარბოდაო...
 — არ ვიცი.
 — გრიშამ რომ დასცხო?
 — ეპატიება.
 — ჩვენ შევეწყობით ერთმანეთს, ჯონდო. — საიდუმლოს შენახვა შეგიძლია... ასეთი კაცი საჭიროა ჩვენს დროში.

— არა მგონია, ჩვენ დიდ ხანს გვერთხილთ ერთმანეთს.
 — რატომ?
 — ვოლდემარსაც ჰქონდა თავისი ნაკლი, მაგრამ ყველაფერს ვპატიობდი, მწერალია და სხვა კაცია...
 — რა, მწერალი არ უნდა მუშაობდეს? ახლა სხვა დროა, — პროფესიონალიზმი აღარ არის მწერლობაში.
 — მაგაზე არ შეგეკამათებით.
 — კარგი და, სხვებმა რა ჰქნან, ვინც მწერალი არ არის?
 — მერცხლის ბუდეებზე იცინონ...
 — ცინიკოსი ხარ, ჯონდო, ერთმანეთს გავუგებთ.
 — მე არ ვარ ცინიკოსი — ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ.
 — ჯონდო, იცი რამხელა მოთმინება მაქვს? შენ გგონია, იმიტომ ჩამოვედი აქ, რისთვისაც ვოლდემარი იყო?
 — რა ბრძანეთ?
 — იქ გამიძინებდა მუშაობა... ხანში შევედივარ... ამდენ ინფორმაციას გაძლება უნდა...
 — აქ უფრო იოლია?
 — ეგრე მეგონა. შევეციდი, მაგრამ ახლა უკან ველარ დავიხევ, შენობას გავარემონტებ, რედაქციას ფეხზე დავაყენებ...
 — მერცხლის ბუდეები?...
 ტელეფონმა დარეკა. ბერდია ყურმილს დასწვდა... წუხელ ციოს ვუთხარი, სამუშაოს თავს ვანებებ-მეთქი, რამაც ოჯახური აურზაური გამოიწვია. ციომ თქვა, მეტი აღარ შემიძლიაო. აღარაფერზე აღარ მელაპარაკებო, ხმას არ იღებო, არაფერი საერთო აღარ გვაქვსო. ბავშვები უშენოდაც დაიზრდებიან, მეც ვიპოვი გზას — ქვეყანა დიდია, მშობლებთან ვიცხოვრებო, როცა ციო შეყოვნდა, დრო ვიხელთე და მისი დაწყებული საუბარი გავაგრძელე: რესტორნებში ივლი, ბავშვებს ხულიგნებს დაზრდი, ძველი ნაცნობები გადაგეკიდებიან, მერე მათაც მობეზრდება,

ჯეიალ დავლიანიძე
 წონასწორობა

...ციელობაში

და როცა ბავშვები ჩემთან ჩამოვლენ საცხოვრებლად, სიცოცხლე გავიმწარდება...

ჩემი განცხადება გავშალე. — ბერდიას ვავეწოდე.

— ჯონდო, ერთადერთი კაცი იყავი, ვისთანაც კაცური საუბარი შეიძლებოდა... მართალი გითხრა, არ მინდა შენი გათავისუფლება.

— ასე გირჩევნიათ...

— შენ რაღაცა გაქვს გუნებაში და არ ამბობ.

— არაფერი.

— მაინც. მიზეზი მინდა გავიგო, რატომ მიდიხარ?

— მიზეზის მეტი რა არის...

— ვოლდემარისნაირი ხომ არ გგონივარ?

— ნამდვილად არა...

— მე სამოცდათორმეტმანეთიანი ხელფასით დავიწყე ცხოვრება... ბევრიც მქონია, ცოტაც, მაგრამ მეტისმეტი არ მომიწოდებია.

— მე არ მითქვამს, რომ თქვენც ვოლდემარივით...

— არ მინდა, ექვი გეპარებოდეს...

— ექვი არც მეპარება.

— ქარაგმების ოსტატი ხარ. შენი მოთხრობები წავიკითხე... მე არ დავიბეჭდავდი...

— ვოლდემარი დაბეჭდავდა.

— ის ყველაფერს იკისრებდა.

— ვოლდემარი არ იყო ბოროტი...

— ალბათ მასთან მოეწყობი სამსახურში.

— ვნახოთ. ჯერ არა მუშაობს.

— ამბობენ, ობიექტებზე მარტო დადიოდა...

— ეგ ჩემი საქმე არ იყო.

— საქმეს შენ რომ აკეთებდი? ეს არაფერი ღირდა?

— ხელფასი და ჰონორარი მეძლეოდა.

— ბავშვები ხომ არა ვართ, დამალობანას რომ ვთამაშობთ... მე ვერ გავათავისუფლებ. ეს საკითხი რაიონულ კომიტეტთან უნდა შევთანხმო.

— რა საჭიროა?

— შენი თანამდებობა რაიკომის ნომენკლატურაა.

— დამტკიცებული მაინც არა გქონია.

— ეგ ვოლდემარის ბრალია.

— გთხოვთ, მალე შეათანხმოთ ჩემი საკითხი რაიკომთან.

— სამუშაო იშოვნე?

— არა.

— არ მჯერა.

— არც მიძებნია.

— რაიკომში დაგიბარებენ და წასვლის მიზეზს შეგეკითხებიან.

— მე ისეთ მიზეზს ვეტყვი, კმაყოფილი დარჩებით...

ბერდია ამ სიტყვებზე დააწყნარა.

— ცოტა ხანს დარჩენილიყავი კიდევ.

— რა საჭიროა?

— მოადგილედ დაგნიშნავდი.

— რად მინდა?


— მე პენსიაში გავიდოდი და შენ დარჩებოდი ჩემს ადგილზე... მანქანა გეყოლებოდა, თანამდებობა გექნებოდა... დამიჯერე.

— პატივცემულო ბერდია, გთხოვთ, ახლავე, ამ წუთში დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა.

ბერდია ოდნავ წახრილი გაემართა რაიკომისკენ. შემებრალა, მომაგონდა ჩვენი საუბარი ვაგონში, კაბინეტში, სასადილოში... მას უყვარდა მეუღლე, შვილი... ჰყავდა თუთიყუში, რომელიც ათ მანეთად იყიდა...

ბერდია ექვს საათზე დაბრუნდა. განცხადება გამომიწოდა. — ხუთი აპრილიდან მე თავისუფალი ვიქნებოდი. დამელოდეთ, მთხოვა. გავიდა, ყველა თანამშრომელი შეკრიბა და გაცილებდა მომიწყეს. ღვინო დავლიე იმ საღამოს. ბერდიას (თამადას) ვუჩქევი გვერდით. — მას ჰაერის ამჟარა უკმარისობა სჭირდა...

ველარ გავიხსენე, რამდენი წლისა ვიყავი მაშინ, მთელი სოფელი გზაზე იყო გაშლილი და სატვირთო ავტომანქანების კოლონას უყურებდნენ, რომელზედაც ახოვანი კაცები ისხდნენ. ეს იყო ერთ-ერთი სურათი, რომელიც მკა-



ქართული
ლიბრეოთეკა

ფიოდ დამამასხოვრდა ბავშვობიდან. — მთიულეები ბარში მიჰყავდათ თრიალეთიდან. პაპაჩემი დღესაც ზშირად იგონებს მთიულ ივანეს, პავლეს, პეტრეს, რომლებიც ყოველ აღდგომას, სანოვაგით დატვირთულები ახლაც ძველებურად აივლიან ხოლმე ჩვენს სოფელზე და მოეფინებიან გოსტიბის, გარგლის, კაბერის, ჩაჩუბეთის სასაფლაოებს. ამ დროს პაპაჩემი ბოგორზე დგას და ცრემლიანი შეჰყურებს მთიული ივანესა და პავლეს შვილიშვილებს. მერე, პე რომ ჩავალ, მომიჯდება გვერდით და თეთრი სიბერის ამბებით ვცხოვრობთ ერთად...

ყველა დავთვერით. მიკვირდა — ყველა ცდილობდა სინანული გამოემქღაუნებინა სამსახურიდან ჩემი წასვლის გამო. ფოტოკორესპონდენტი ფხიზელი იყო და მისი მანქანით წამოვედით. გზა-დაგზა ბერდიამ შეაპარა არგოს, რომ იგი არაა ქურნალისტი. მერე წაიკვლავდნენ და ბერდია დაპირდა, თუ შენი ნებით არ წახვალ, კანონიერად გაგისტუმრებო. მე არ მაინტერესებდა მათი საუბარი და ჩავთვლიმე... ღამის ორ საათზე მივედი შინ. ციომ გაიძლო კარი და სწრაფად ჩაწვა ლოგინში. მცირე ხნით ვიყუჩე. ეზოში გავედი და ვარშიჯი დაეწყე; რატომღაც თავბრუ დამეხვა და რომ არ წახვრილიყავი, წაიქცეოდი. ვარჯიში გავიმეორე. — ამჯერად. გავბრუვდი, თვალები ჩამიბნელდა, შორს წერტილი აკიაფდა და შიგ ვარსკვლავებით მოქედილი ცა აირეკლა. სწრაფად შევედი სახლში. ციოს არ ეძინა, — ლადოს აწოვებდა ძუძუს; შემეცოდა. მერე, ის რესტორანი გაკრთა ჩაბნელებულ სარკმელთან, გაცილება რომ მომიწყვეს. ბავშვმა ვერ მოისვენა. ციო ნერვიულობდა. ვიცოდი მისი საფიქრალი. — სანამ ლადო არ დაიძინებს, არაფერს შემეკითხება. გარეთ გავედი ხელახლა. ვარსკვლავები ისევ ისე ეკიდნენ. ის წერტილიც აკიაფდა, წედანდელი. თავი გადაეწიე უკან. ცისხელა სიმშვიდე სუფევდა ცაში. თვითმფრინავის გრუხუნმა დაარღვია მყიფე სიჩუმე.

თვითმფრინავი გაუჩინარდა, მაგრამ ომზე ფიქრი დამიტოვა... კისერი დამეღალა და კედელს მივეყრდენ. ეზომ და სხა ბნელემ ისე დამაწყწარა, რომ ჩემი ცხოვრების ყოველი წვრილმანის მოგონება მიხაროდა. მე მეტი გზა არა მქონდა, მე უნდა გამხარებოდა ჩემი სიცოცხლე და ყოფა, რადგან მყავდა დედა, მამა, ძმა, მეუღლე, ორი შვილი, ბაბო, პაპა... ამ წუთში მწამდა, რომ მე თვითონ ვუყურებ ცხოვრებას სხვა თვალით.

ცას შევაცქერდი. იგი უწინდელივით სუფთა იყო. სახლიდან ლადოს ტირილი მესმოდა და ჩემი პატარა ბედნიერებით ვცდილობდი ავმალლებულიყავი იმ სივრცემდე, სადაც იკარგება ყოველი მოძრაობა, უსასრულობა და გულუბრყვილო მესზღაპრეთა ყოველი ზღაპარი...

ღედაჩემი თუთასთან იდგა. მიეუახლოვდი. — ვიცოდი მისი სადარდელი, ზაფხული იწურება, მე კი ვაზის გაყვანაზე არა ვფიქრობ. როგორა ხარ-მეთქი, — შევეკითხე. პასუხი არ გამცა, შინ შევიდა, სუფრა გააწყო და წინ ჩამომიჯდა...

მე ვადვინახე დედის დარდი, რომელიც ჩვენს ზვარში ციდან ჩამოვარდნილ ქვასავით მიძიმედ იდო. — ქვის დამრეც, გლუვ ზედაპირზე მანქნეყრილი ღედაჩემის გული ეკიდა და უღონოდ ფეთქავდა...

მე ვდარდობდი ღედაჩემის ავადმყოფობას, განვლილ წლებს, ნაოჭებს, აუსრულებელ ოცნებებს, გამოგუდულ სურვილებს, მე და ჩემი ძმის პატარაობას...

ჩემი დარდი იმდენად დიდი იყო, რომ ვერაფრით ვერ დასრულდა დედის სიკვდილთან. ჩემს დარდში ღედაჩემის გარდაცვალება ისეთივე პატარა იყო, როგორც მისი დაბადება და გულის მანკი...

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

ჩემი დარდი, რომლის საწყისი დედა ჩემი იყო, გასცდა ჩვენი ოჯახის ყოფიერებას და ვიგრძენი უსასრულობაში გაბმული ჩვენი არსებობის უსაზღვროება. არადა, ვიცი, სანამ ამ უსაზღვროებას შევიცნობ, მხდალი ვიქნები ყოველგვარი მოჩვენებითი სიცარიელის წინაშე...

როცა ჰიშვარი გავიხურე, დედაჩემი ისევ თუთის ძირას იდგა და დარდიანად ნიყურებდა. არ სჯეროდა, რომ სამსახურიდან ჩემივე სურვილით გამათავისუფლეს...

ვგონებში სიცხის ბული ქოთქოთებდა. „კიდევ სამჯერ მომიწევს სამუშაოზე წასვლა“, — გავიფიქრე და თავი ავწიე. კუთხეში ბიჭი და გოგო იყვნენ ატუხული, ბიჭს რადიო ეკავა. მამაკაცი უმღერდა ტატიანას — გამელიმა და გავიფიქრე — ნეტავ ბერდიას თუ უყვარს-მეთქი ეს სიმღერა.

ბერდიას მთელი დღე არ შეეუწუხებია. საზანის რომანზე ვმუშაობდი მთელი დღე. — ოცდამეხუთე ფურცელი ფრთხილად დავდე და კალამი ზედ დავაგდე... მე და საზანი ასე ვიყავით მორიგებული — თითო-თითოდ მიმქონდა ყოველი ოცდახუთი ფურცელი, თუ რაიმე არ მოეწონებოდა, უნდა გავეფრთხილებინე...

საზანი ტელევიზოს უყურებდა.

— ჯონდო, მერამდენე ფორმაა?

— მეთექვსმეტე.

— ოთხასი გვერდია?

— ჰო.

— შენ კარგად იცი, გადატვირთული ვარ... გუშინდამ ვიხელთე დრო, ჩავუჯექი რომანს... მე გულახდილი კაცი ვარ... რა გიქნია?

— თქვენ პირობას არღვევთ...

— ჯონდო, აქ ანგარიშთან გვაქვს საქმე. შენვე სულელად ჩამთვლი, ქარს რომ გავატანო ტანჯვით ნაშოვნი ფული...

— პირობა...

— ჯონდო, ჯერ ერთი, სოფელში მცხოვრებ ჰიჭიკოს (მდიდარ, თქროულით სავსე კაცს), როგორ შეიძლება ჰყოლოდა ისეთი შვილი, რომელიც მამას გაფუფქავდა ქვევრში და განძს გაიტაცებდა?...

— თქვენ მართალი არა ხართ, თქვენც კარგად გესმით...

— ჯონდო, აი, თექვსმეტი ფორმა... ჩემი შენიშვნები გაითვალისწინე და ხელმოკრედ გადახედე...

ციო წიგნს კითხულობდა. გინებით ვცადე ჩემი დაგვიანების მიზეზის ახსნა. საზანს ვლანძღავდი... ციო მიხვდა, რომ მე (ჩვენ — მე, ის და ჩვენი ორი შვილი მოგვატყუეს) მომატყუეს.

მაწვნის შექამანდი ვჭამე, ცარიელი თეფში გვერდზე გავაცურე და საზანის თექვსმეტფორმიანი, დაუსრულებელი რომანი გავშალე. ციომ წებო, დანა, საშლელი და მაკრატელი მომიტანა.

თავიდან დავიწყე... თურმე, საზანს არ მოსწონებია შესავალი. ფურცლების საზღვრები აჭრელებული იყო შენიშვნებით. ჩემს მიერ დაწერილი ერთი აბზაცი ასე იკითხებოდა: „...ფეხებიდან სისხლი დაეძრა, სისხლი აუმოძრავდა. იგი პირველად გათბა ადამიანური სითბოთი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე“. ამ აბზაცის გასწვრივ საზანს მიეწერა: „მეტად მშრალი ადგილია“.

უხასიათოდ დავიწყე რომანის გასწორება, მაგრამ თანდათან ჩემმა დაწერილმა ადგილებმა დამაინტერესა, იქ თითქმის საკუთარი ბიოგრაფია იყო გამოცემული. ყველგან, სადაც ერთ-ერთი მთავარი გმირის, კომბინატორის სახელი შემხვდა — საზანად გადავასწორე:

„თბილისის ქუჩებს დილის რძისფერი ბურუსი ლოკავდა. სარწყავი მანქანები დაზოხინებდნენ.“

ჯონდოს ნელა მიჰყავდა მანქანა, ხშირად ამოქნარებდა, რაზედაც მის გვერდით მჯდარ ლერის ეცინებოდა.



— გამაგიჟებ, ჯონდო, ასე მგონია, შენნაირი კაცი ავარიისში უნდა მოჰყვეს და დაიმტვრეს. — თქვა ლერიმ და იმანაც დაამტვინარა.

— ამიტომ მიყვარხარ, ლერი, გენიოსი ხარ. ეგ მეც მიფიქრია, მაგალითად, ხშირად მომსვლია, — ვზივარ სახლში, ჩემს ფოტოსურათს დავეცქერი და ვხედავ სიკვდილს... გენიოსი ხარ, შენ რა ვითხარი!

ლერიმ თავი შეატრიალა:
— შენც გეშინია სიკვდილისა, ვიცა. მაშ, რაღას მეუბნები ხოლმე, დაბადების არავენ გვეკითხება, ნურც სიკვდილს ვკითხულობთო.

— კრეტინები ხართ... სიკვდილი და გარდაცვალება გერევით ერთმანეთში; აი, საზანი, ვისთანაც ჩვენ მივდივართ — მოკვდება, მე კი გარდავიცვლები...

— ასე რომ ფილოსოფოსობ, პური მომშივდება ხოლმე, — აბა მოდი და ამიხსენი — ეს რაღაა?

ჯონდომ სიჩქარეს მოუმატა.

— ჰაა! ძნელია?

ლერიმ სიგარეტს მოუყიდა და განაგბო:

— ორჯერ ვერ გამეცი კითხვაზე პასუხი, ორჯერ — მთელს ჩვენს სიცოცხლეში, აზრზე ხარ?

— ლერი, ეჭვი არასოდეს შეგპარვია, რომ არის რაღაცები, რომელთა შესახებ არ შეგიძლია ილაპარაკო და თუ ილაპარაკებ, მართლაც შეიძლება, რაიმე ცუდი მოგივიდეს?

— ახლა არ მითხრა, ნაძრახი ადგილები, ხატის ტყეები და ალქაჯებო.

— პური გშია? — შეეკითხა ჯონდო.

— მშია.

— იცი რატომ გშია?

— არა.

— რატომ არ იცი?

— ბიჭოს, არ ვიცი.

— მაინც რატომ არ უნდა იცოდე, რატომ გშია?

— რომ მცოდნოდა, არ შეგეკითხებოდი.

— შენში, როგორც ადამიანში, მეც

წომ ადამიანი არ ვიყო, ეჭვი შემეპარებოდა.

— ვერ გავიგე.

— რა ვერ გაიგე?

— სულ უბრალოდ, ვერ გავიგე...

— სულ პიჯაკებზე და გიტარაზე უნდა გელაპარაკო რომ გაიგო?

— გიტარა და პიჯაკი რა შუაშია?

— რატომ უკრავ გიტარას?

— მინდა და იმიტომ.

— მერე, ეგ თუ იცი, პური რატომ გშია, აღარ იცი?

ჯონდოს გაეცინა.

ლერი ჩაფიქრდა.

— ჰაა, ძნელია პასუხი?

ლერის გაეცინა:

— მინდა და იმიტომ ვჭამ?

ლერი ახარხარდა.

ჯონდო არ იცინოდა, ამიტომ ლერის ხარხარი ხანმოკლე აღმოჩნდა და გაკვირვებით შეხედა ჯონდოს:

— არ მინდა და იმიტომ ვჭამ?

ჯონდომ მხრები შეიშმუშნა.

ლერის ბრიყვის გამოხატულება გაღაღადა სახეზე.

— სოფისტი ხარ და ღრძო, კაცს ისეთ რამეს ეტყვი, თავს შეაზიზღებ...

— კარგია, აბა შენ იცი, ეგეთები მომწონს...

ჯონდო იცინოდა.

— მორიელი ხარ. შენ შენვე უნდა მოკლა საკუთარი თავი, შენივე შხამმა უნდა გაწამოს.

ჯონდო ხარხარებდა.

ლერის გაბრაზება შეეტყო:

— ამ „პახმელიაზე“ მაინც დამანებე თავი, რას გადამეკიდები ხოლმე?

— ავოეეე! — ხითხითებდა ჯონდო.

— იმდენს იზამ, მანქანას გაგაჩერებინებ და მოუსვი მარტომ სადაც გინდა!

— იუუუუუ! — ყვიროდა ჯონდო.

— შეიშალა ეს ყეყეჩი... არა ხარ ღირსი, ხელი აგიკრა საჭმელზე და წერტილმძიმე დაუუსვა ჩვენს მოძრაობას?

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

ჯონდომ უცბად მოსხიბა ხარხარი და გაკვირვებულმა მოღრიცა კისერი:

— აბა, კიდევ გაიმეორე.

— დამცინი?

— არა, ყეყეჩო, ბრიყვო, ცემითა ხარ მოსაკლავი, გაიმეორე, თორემ მართლა მიეღუშვებ ამ მანქანას კედელზე და ორ წერტილს დავესვამ ჩვენს მოძრაობას.

ლერი, რომელიც ის იყო ზემის აბი-რებდა (ჯონდო მოვშალე ნერვებზეო), ჩააფიქრა პასუხმა.

ჯონდომ სიცილი დაიწყო.

— რა იყო? — შეეკითხა ლერი.

ჯონდომ ნელა-ნელა მოუმატა სიცილს, ხითხითზე გადავიდა და როცა ხარხარი მორთო, ლერამ ხელი დაარტყა მხარზე:

— რესტორანთან გააჩერე, — ასი გრამი თუ არ დავლიე, გამომაყეყეჩებ. ღრძო ხარ... ფთუი შენი!

— დაკეტილია... თანაც, რად გინდა, ძია საზანთან მივალთ და რაიმე ექსპორტი ან იმპორტი დალიე, არ გეტყვის უარს, გაეხარდება.

ჯონდომ საჭე შემოატრიალა. საბურავებმა დაიღრაჭუნეს და მანქანა აღმართს შეუყვია.

— ჰეკვიანი ბიჭი ხარ, ჯონდო, თუმცა ბოროტი ხარ, ღრძო...

— შენც ჰეკვიანი ხარ, ლერი და კეთილი, უკეთილშობილესი...

ბოღმა ახრჩობდა ლერის. სურდა ჯონდოსთვის როგორმე მოეგო სიტყვა.

— რატომ აღარ მეკითხები, რატომ გითხარი წერტილ-მძიმე, — დაიწყო ლერიმ.

— ეგრეთი ზერელე რალაცებით გინდა მაფიქრებინო, რომ იმსახურებ ჩემს ძმაკაცობას?

— მუსიკაში ხომ ბეყაირათი ხარ...

ლერი ზეიმობდა.

ჯონდოს გაედომა:

— შენი ცოდნის ორმოცდაათი პროცენტი ხომ მაქვს მუსიკაში. შენა? შენ ვაქვს ჩემი ცოდნის ორმოცდაათი პროცენტი? სიმღერის ტექსტებს რომ მე მაწერინებ?

— მაშ, აქაც წინა ხარ?

— ეგრეა.

— ღრძო ხარ.

— ლერი, თქვენ ერთ რამეში ცდებით...

— თქვენობით ნუ მელაპარაკები, ნერვები მეშლება.

— მაგითი გინდა დამაზნინო? ჯერ ერთი, თქვენა-მეთქი, რომ გეუბნებით, ჩემი ძმაკაცები და ის ხალხი მყავხართ მხედველობაში, რომლებსაც გიყვართ და მაინც რალაცაში მეჭიბრებით.

— ჰო, კარგი, განაგრძე, რისი თქმა გინდოდა...

— დამავიწყდა.

— ფსიქოლოგი ხარ, ნერვების მომშლელი ურთულესი და უპირველესი მექანიზმი.

— ბრაზდები?

— ჰო.

— მაშინ რჩევას მოგცემ.

— მომეცი!

— იცი, რა ადვილია?

— არ ვიცი.

— იმაზე ადვილი არაფერია ერთი შეხედვით.

— თქვი, ჰო!

— უნდა გაჩუმდე.

— მუნჯების სტილში?

— არა, იოგების სტილში.

— რა გვინდაო?

— როცა საჭირო არ არის, პირში წყალი უნდა ჩაიყენო.

— ეგ მამაჩემისაგანაც გამიგია.

— მაშინ იოგი ყოფილა.

— ჯონდო, არ გეჩვენება, რომ ხანდახან საცემი ხარ?

— მუღამ მართალს რომ ვამბობ, იმიტომ?

— თუნდაც იმიტომ.

— როგორ გეშინიათ ილაპარაკოთ ნაღდი სიმართლე...

— არა ხარ მართალი, არსებობს ამბები, რომლებიც არ ითქმის.

— ადამიანები... ადამიანურობა, არა?

— შენც ადამიანი არა ხარ, შე ღრძო? ჯონდომ თავი გაიქნია.

— რა, ეპვიც გეპარება?

— მგონია, არაფერი მითქვამს.
 — ეეე?
 — რა იყო, აირიე უკვე?
 — მაშ ვინა ხარ, ღმერთი?
 ჯონდო დღემდა.
 — ადამიანი ხარ?
 — არ ვიცი, რა კრეტინივით აჩემე!
 — მე არ ვიცოდი, რატომ ვჭამდი, ამიტომ ვამატყუნე. ახლა, შენ აღარ იცი ვინა ხარ?...
 ჯონდო იღიმებოდა.
 ლერი არ მოეშვა:
 — ამოიღე ხმა...
 — პურს ადამიანი ჭამს...
 ლერიმ ვერ გაიგო და მაინც იფიქრა, სიტყვა ნომიგოო:
 — კარგი, წინა ხარ... მითხარი, რატომ არ უნდა იცოდე, ვინა ხარ?
 — იმიტომ, რომ შენ მძიმე ხარ.
 — მძიმე?
 — იმ წერტილ-მძიმედან, შენ რომ თქვი — მძიმე ხარ, მე კი წერტილი. ამის თქმა არ გასურდა?
 — ნაღდი ხარ.
 — მე წერტილი ვარ. ქვებიც წერტილები არიან. ბუნებაში წერტილი ნაღდა, მძიმე კი ადამიანებმა მოიგონეს.
 — ეს ვინ არის, მე ამისი?! — ლერიმ ხელი ჩაიჭინა.
 საზანის სახლთან შეჩერდნენ.
 ლერი არ გადმოვიდა მანქანიდან.
 ჯონდომ გაუღო კარი.
 — იქნება ისე მოგშალები, რომ აღარც წამოხვიდე კისლოვოდსკში.
 — პური მშია, წადი რა, თავი განებე!
 — შენ არ დაჰკვირვებხარ, როცა რაღაცა არ იცი და პასუხს ვერ პოულობ, მაშინ გაწუხებს კუჭი.
 ლერი წყნარად გადმოვიდა, იდაყვათ ჩამოეყრდნო მანქანის სახურავს და გაცეცინა:
 — გინდა, რაიმე, ნაღდი ადამიანური ვიკისრო?
 — მაგისი იმედი კი აღარა მაქვს შენგან.
 — ლერიმ მკლავი ჩამოიღო, მანქანას შემოუარა, სიგნალს დაადო ხელი და

ისეთი ხმაური ასტეხა, რომ საზანის სახლის ფანჯრის ფარდაც კი შეიძინა...
 ჯონდოს მუცელზე შემოეჭრა ხელი და ნახევრად მოკუნტული იცინოდა.
 სიგნალი ღმუოდა.
 ლერი ხარხარებდა.
 საზანის მეზობლები დაფეთებულნი იღვიძებდნენ. საზანი ოთახში დარბოდა.
 ჯონდო ჩაბჟირდა.
 ლერიმ სიგნალი რაღაცით ჩაჭედა, გარეთ გამოძვრა და მოტორში ჩაყირავდა.
 საზანი შეშინებული მიუახლოვდა მათ:
 — რა იყოთ, ბიჭებო, გამარჯობათ...
 — შეგაშინეთ, საზან? — შეეკითხა ჯონდო და ისევ ჩაბჟირდა.
 — მე კი... არა, მეზობლები, მეზობლობა... გაგაგოყებს ეს ხალხი.
 — გეშინია, საზან?
 ახლა ლერიმაც ამოჰყო თავი და ჯონდოსავით გაიჭაჰა.
 საზანი დაიბნა.
 — გეშინია, საზანო?
 — აღარ გეშინია, შემეშინდა კი...
 — აღარ გეშინია, საზან?
 ცრემლები სცვიოდით ბიჭებს.
 ტაქსი შეჩერდა ჯონდოს მანქანასთან.
 — ნესტანი გადმოხტა.
 ტაქსის მძღოლი პირდაღებული უცქერდა გაოცებულ საზანს, შეყრილ მეზობლებს, გაოგნებულ ნესტანს, ჩაბჟირებულ ორ ბიჭს და აბღავლებულ მანქანას.
 ტაქსის მძღოლმა ვერ მოითმინა, გადმოვიდა, „ეიგულთან“ მივიდა და მოტორში ჩაყირავდა.
 ლერიმ და ჯონდომ წყნარი, სტაბილური სიცილი დაიწყეს.
 მერე ლერი მიუახლოვდა მოტორში ჩაყირავებულ მძღოლს და ღონივრად ამოჰკრა პანდური.
 ჯონდო ისევ ჩაბჟირდა.

ჯამალ ფავლიანიძე
 წონასწორობა

საზანსაც გაეცინა და ნესტანიც აი-
ყოლია.

მეზობლებიც იცინოდნენ.

ლერი და მძლოლი პირისპირ იდგნენ
და არ იცინოდნენ.

— დიდი ფეხი გაქვს, — ზედმეტია?
— ღვარძლიანი მუქართი გამოსცრა ტა-
ქსის მძლოლმა.

— შე ვირიშვილო, სხვის საქმეში რა-
ტომ ეჩრები? რა გინდა, იქნება კინო-
გადაღებაა? — ამავე ღვარძლიანი კი-
ლოთი უპასუხა ლერიმ.

მძლოლი გაოცდა:

— მერე, ეგრე გეტყვით, ეს ცემა რა-
ღა იყო?

— კი არა გცემეს, წიხლი ამოგარტ-
ყეს.

— სადმე შეგხვდები, იცოდე, არ შე-
გარჩენ... კაცი არ ვიყო...

ლერიმ ხელი შემოჰკრა მძლოლს და
თავისივე მანქანის კარებთან წაჩხა.

ახლა უკვე აღარავინ იცინოდა.

ჯონდომ ააყენა მძლოლი:

— რა გინდოდა, ძმაო, წადი შენს გზა-
ზე... კინოგადაღებაა, არეულია ხალხი...

— მძლოლმა ისე სწრაფად დაძრა მა-
ნქანა, ვეღარავინ მოასწრო ნომერის ჩა-
წერა! — ხარხარით წამოიყვია ლერიმ
და საზანის მეზობლებს გახედა.

საზანის მეზობლებმა, რომლებმაც ჩი-
ნებულად დაინახეს, თუ რატომ მო-
ხვდა მძლოლს, თავები ჩაჰლუნეს და იქა-
ურობას მოსცილდნენ.

— საზანს ვინც აწყენინებს!... — ხმა-
მალლა დაიყვირა და აღარ დაამთავრა
ლერიმ.

ნესტანი ჯონდოსთან მივიდა:

— არა გრცხვენიათ?

— საჭირო იყო, საზანს სჭირდება,—
ასე ადვილად აღარავინ აიგდებს აბუ-
ჩად.

— როგორ დასცინით ყველანა და ყვე-
ლაფერს.

— ჩვენს თავსაც, — ჩაუბოლო ლერიმ.

საზანმა მკლავში ხელი გაუყარა ნეს-
ტანს და თქვა:

— წავიდეთ, ბიჭებო, სახლში. დღეს
შორი გზა გვაქვს წინ.

ლერიმ თვალი ჩაუჭრა ჯონდოს.

საზანის სახლის ბალისპირა სარკმე-
ლები ღია იყო და სუფთაა. ლერი
მუნებოდა ოთახის კედლებს.

— საზო, პური გეშია, — ხმადაბლა
თქვა ჯონდომ.

— ნესტან, შენი ჭირიმე, ყველაფერი
იცი, სად რა არის, აბა შენებურად და-
ტრიალდი.

— შენც მომეხმარე, საზო, — კეკლუ-
ცი ღიმილით გაეპასუხა ნესტანი და
თითები გაატაკაუნა.

— თეკლე არ მოგყავთ? — უჩუბჩუ-
ლა ლერიმ ჯონდოს.

— მოდი აქეთ, — ჯონდომ ხელი მოხ-
ვია ლერის და მოშორებით, დაბალ სკა-
მებზე ჩამოსხდნენ. — იმ გოგოსაც რა-
ღაც ძველი ანგარიშები აქვს ჩემთან და
ამასაც. წინასწარ ვგრძნობ, ამის გამო,
ჩვენს შორის შეიძლება ყაყანის მსგავსი
რადაც ატყდეს...

— ხანჯლის ტრიალი? — ლერიმ ტუ-
ჩები დაბრიცა. — თითქოს გუშინდუ-
ლები ვიყოთ.

— არა, ხანჯლის ტრიალი არა, მაგრამ
ყბების ჩამტვრევის ვარიანტი შეიძლე-
ბა...

ლერის გაეცინა და ნესტანს არცის ჭი-
ქა ჩამოართვა.

— რაღაც საიდუმლოებაზე ბჭობ-
დით? — დაინტერესდა ნესტანი.

— ჰო. შენ გეხებოდა, კიდევ ერთსაც
ეხებოდა და მაინც, ეს თქვენი საქმე არ
არის.

ნესტანმა ჯონდოს გაუწოდა ჭიქა:

— დალიე, იქნება ენა დაგიბლავოს
და დაგიტკბოს, წიწაქა ხარ.

— წიწაქა ვარ. როგორ ჰგავს წიწაქა
და წაწიქა ერთმანეთს. ქრთი სანელებე-
ლია, მადის აღმძვრელი — მეორე...

— საღდაც გამოგია ეგ წაწიქა, — შე-
აწყვეტინა ლერიმ.

— კარგი ბიჭი იყო, ნეტავ სად არის,
მე რომ ვნახე, გორში ვარო, მითხრა,
ახლა აღარაფერი ვიცი.

სახე დაუღარდიანდა ჯონდოს.

— ვინმე რომ მოუკვდეს, ნაღველს
ვერ შეამჩნევთ და ამ წაწიქას გახსენე-

ბამ როგორ დაბოღმა. — ჩაუბრუნო ნესტანმა.

— რატომ, სხვა რაღაცეებზეც ვიბოღმები ხანდახან.

— მაინც?

— აი, თუნდაც თეკლეს მოგონებაზე. გათხოვილათ, — მითხარი, ოჯახში კარგად არიან?

— ოჯახი ორი წელიწადია დაეგრა, — სიცილით თქვა ნესტანმა.

— ადრე რატომ არ მითხარი? ავიკარგად არის, არაფერი უჭირსო...

ნესტანმა პასუხი არ გასცა, ტელეფონთან მივიდა...

ჯონდომ თვალის ჩაუკრა ლერის და „დილის მაღალი“ შეიწიეს.

საზანმა მწვანელი შემოიტანა და როცა დაინახა, ბიჭებმა არაყი დალიეს, ნაწყენი კილოთი თქვა:

— ამხელა გზაზე მივდივართ, თქვენ იმედი მაქვს, ნავალები ხართ, თქვენც თუ გამოიბრუქეთ, კარგი დახლი დაგვიდგება...

— გეშინია, საზო?

ჯონდოს გაეცინა.

— გადავცვივდებით... მე რისა უნდა გეშინოდეს, რაც ვიცოცხლე, ისიც შეყოფა იმ ქვეყნისათვის.

— არა, გეშინია, მაინც გეშინია!

— რისა ეშინია? — იკითხა ლერიმ.

— გადავარდნის!

— თუ სიკვდილის?

— გადავარდნის!

— სიკვდილისა არა?

ჯონდომ ლერის შეხედა:

— შენც ბევრი რამე არ იცი, ვადავარდნა რომ სიკვდილი არ არის, ეს უნდა იცოდეს შენი ხნის კაცმა. აი, საზომ იცის და კარგი კაციც არის.

— დამტკრევის ეშინია?

ჯონდომ თავი დაიქნია:

— ჰო, სიმახინჯის, სიკვდილისწინა სიმახინჯის...

ნესტანმა როგორც იქნა ნომერი აკრიფა და ყველას ანიშნა, გაჩუმდითო...

— თეკლე, წევხარ? რაზე ფიქრობ, თუ არა თქვა, შენ იყო... არა... ერთ ძალიან კარგ ამბიდან გაწუხებ და კარგა

ამბავიც მინდა გითხრა, სიურპრიზი, ნე გავარი... სუმა საიდიოშ... ნაღდად გეუბნები... არა, დამაცა, მე გელაპარაკები — როგორ ხასიათზე ხარ, ქალაქგარეთ გაწუხებს გასეირნება? ჰოო? არა, მაშინ ადრე ღროზე და გადასასვლელ ხიდთან გაჩნდი... მოვიდეთ? ჯერ, რა იცი, რომ მრავლობითში ვსხედვართ, მეორეც — მიეჩვიე? მეტი არაფერი გინდა?

ლერიმ ანიშნა ნესტანს, მისამართი მომეცი, ახლაც მოვიყვანო.

— ერთი ჩვენი ბიჭი უნდა გამოვგზავნო... არა, როგორ არა, იცნობ, ძალიან ძველია... აუჰ, სიურპრიზ! გაგიყდები, წამოვიდეს? აბა, ღროზე ადექი, თორემ, შიგნით შემოვა, ჰკუთ არ დაუშლის... ლოგინთან ჩამოგიჯდება და „ჩემთან ჩაიცვიო“, გეტყვის... ქაქანის დრო აღარ არის, გეყოფა!..

ნესტანმა ყურმილი დადო.

ლერიმ გასაღები გამოართვა ჯონდომს.

— დავეტევით ერთ მანქანაში? — უცბად იკითხა საზანმა.

— სწორედ თეკლე გვაკლია და ზუსტად ვიქნებით!

ჯონდომ ლიმონათი დაისხა, ჰიქა ასწია და სადღეგრძელო შესვა.

საზანს გაეხარდა, როცა დაინახა, ჯონდო არაყს არ სვამდა.

— ერთი, აქეთ მოდი, აქ ჩამოჯექი, — უთხრა ჯონდომ ნესტანს, როდესაც საზანი ვაეიდა.

— რა იყო?

— რაც შე გითხარი, ჰკუთაში დაგიჯდა თუ არა? მისდევ?

— რა ადვილია სხვისი ბედის გადაწყვეტა.

— ბედი... დებილური აზრების დაფანტვა მაინც ვერ შესძელი. — გიყია ეს...

— გინებას თავი დაანებე, ისედაც კარგად მესმის, რისი თქმაც გინდა.

— მისდევ?

— მართალი გითხრა, არ მინდა.

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

— რატომ?
— შენც კარგად იცი.
— ბაყაყია, გომბეშო, თვალბდაკარ-
კლული, ვირთხა, ფეხებმოკლე, მოხუ-
ცი და ასე შემდეგ, არა? სწორი ვარ?

ნესტანი დაეთანხმა.

— მაშ არ გინდა? — განაგრძო ჯონ-
დომ.

— ?!?

— არ მისდევ?

— ?!?

— მაშინ, თეკლე და ლერი რომ მოვ-
ლენ, ამასვე შევეთავაზებ თეკლეს და
შენი ხმა არ გავიგო, შე კრეტინო!

ჯონდო წამოდგა.

ნესტანს თვალეზი დაუვიწროვდა. ბო-
ლმისაგან.

— ბოროტი ხარ ჯონდო, ავი კაცი, ხე-
პრე...

— ავი ძაღლიო...

— ეგ ანდაზა შენ უფრო გეხება!

— რატომ მეხება და რატომ ვარ ბო-
როტი, შე ბატისტინა? ან, სხვებმა რა-
ტომ უნდა მიძახოთ ბოროტი? რა გავი-
ფუჭეთ? თქვენთვის კარგი მინდა და იმი-
ტომ, არა? ვირს ბედს რომ სტენიდნენ,
ისეა თქვენი საქმე. რა გითხარი ცუ-
დი? ის, რომ საზანს ცოლად ვაჭყე, კა-
რგად იცხოვრე და ხალხში გამოდი-მე-
თქი? კარგი, ბატონო, სულიერი გრძნო-
ბების მფლობელი ხარ, არ შეგიძლია გა-
ჭყეე კაცს, რომელიც არ გიყვარს, მაგ-
რამ რაღას ბრახედები, როცა თეკლეს
მინდა გავუკეთო სიკეთე და საზანის
ცოლად ვაქციო!

— შენ რისი მქცეველი ხარ?

— ნუ მაწყვეტინებ! — იქნება იმ
გოგოს მოეწონოს საზანი? რატომ უნდა
მოგეშალოს ნერვები და ბოროტი მიძა-
ხო ამის გამო? არა გრცხვენიათ? ჩემი
სიკეთე რომ ვერავის დავანახვე, ამის
რჯული არ იყოს!..

— ძალიან ბევრს იღებ შენს თავზე.

— რას ვიღებ? შენ კი მართალი ხარ?
თუ სიყვარულისა და სულიერი კანონე-
ბის მიმდევარი ხარ, მაშინ, ის ღამე გახ-
სოვს, კუს ტბაზე? თეკლემ რომ ეგ გაა-
გოს... თეკლესთან მართალი ხარ, შე

ჭუკისტინა? ასანთის ღერის სიგრძე და
სიგანე ტვინი რომ ვიდევს მგაფრეშე, რა ი
უნდა გელაპარაკო!

ნესტანმა არ უპასუხა.

საზანი შემოვიდა, მიხვდა ჯონდო და
ნესტანი რაღაცაზე საუბრობდნენ და ეს
საუბარი მთლად სასიამოვნო არ უნდა
ყოფილიყო მათთვის.

— ჯონდო, დაიწყო საზანმა, — შენ
ხომ სიმართლის მოყვარული კაცი ხარ,
რატომ გგონია, რომ მე, საერთოდ, არ
შემიძლია მივხვდე არაფერს? მოდი და,
მე როცა აქა ვარ, თქვენთან, მაშინაც
ილაპარაკე, რაც სათქმელი გაქვს; მე
არაფერს გიმალავთ, თქვენ კი...

— ვუთხრა? — ჯონდომ გამჭოლი
თვალით შეხვდა ნესტანს.

— არა!

— რატომ?

— არ მინდა!

— მაინც!

— რატომ მაგდებ უხერხულ მდგომა-
რეობაში? რატომ გიყვარს ადამიანის
წამება?

— სიმართლისა როგორ გეშინიათ
ყველას!

ჯონდომ სინანულით შეხვდა ნეს-
ტანს:

— სულ ერთია, უნდა ვუთხრა, მოვა-
ლე ვარ, ვალდებული. ამ კაცს, ჩემთვის
კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია.

— ყველაფერს მოველოდი შენგან,
მლიქვნელობას კი არა.

ნესტანს ცრემლი ჩაუდგა თვალეზ-
ში.

— აჰა, მლიქვნელიცა ვარ? — ჯონ-
დომ სწრაფად შეათვალიერა საზანი,
ნესტანმა წამოდგომა დააპირა.

საზანმა სთხოვა — დაწყნარდიო და
ხმადაბლა თქვა:

— უნდა თქვას, ნესტან...

— თქვი რაც გინდა! — მე თქვენთან
წამომსვლელი არა ვარ! — წამოიყვია
ნესტანმა, წამოხტა და კარი გაიჯახუნა.
საზანი წამოხტა, მაგრამ ჯონდომ ხმა-
მალლა უთხრა:

— საზანი!

— ცოდოა, არც ასე შეიძლება...



— საზან, ორ სიტყვას გეტყვი: შენზე ვეუბნები, ცოლად უნდა გაჰყვე-მეთქი და თავს იდებს... ეს არის მთელი ვაუგებრობა და საიდუმლოება, რომლის გაგებაც გასურდა.

საზანმა დაიმორცხვა.

— გიყვარს? — შეეკითხა ჯონდო. საზანი დუმდა.

— გიყვარს? — გაიმეორა ჯონდომ. საზანი შეიმშუშნა.

— გიყვარს?

საზანი ამბროზა:

— რა არის, შე კაი კაცო, ამხელა კაცს რომ...

— შენც აღარ გესმის ჩემი? ადამიანურად გეკითხები, — გიყვარს თუ არა: მეთქი!... რა ენით, რანაირად ვითხრათ, აღარ ვიცი.

საზანი დუმდა.

— ცოლად მიგყავს?

საზანი ისევ შეიმშუშნა.

— ცოლად მოგდევს?

საზანმა ხმა ამოიღო:

— ერთი შეხედვით კი, მაგრამ...

— სწორედ მაგ „მაგრამზე“ რომ გეჩიჩინებით შენც და მაგასაც.

ჯონდო სარკმელთან მივიდა და მწვანის გადახედა:

— რა სთესია?

საზანი წამოდგა.

— აბა?

— აგე!

— ქინძია.

— ქინძი?

— ჰო.

— რად გინდა?

— ეეე?!

— რა იყო?

— მწვანელი! რა უნდა იყოს?

— რად გინდა?

საზანმა ვერ გაიგო კითხვა.

— რად გინდა?

საზანმა ვერ უპასუხა კითხვაზე.

— ყური მივდე, ყურადღებით იყავი, საზან, გეკითხები: რად გინდა ქინძი?

— მწვანელია, ადამიანები ადრეც თესავდნენ, მეც ავდექი და დავთესე.

— რატომ დათესე?

— კარგი რა, ჯონდო...

ჯონდოს გაეცინა.

— რა გაციენებს?

ჯონდომ ხმა არ გასცა.

— ქინძის დათესვა სასაცილოა?

— არა, ქინძი სასაცილო არ არის, სხვა რამეა სასაცილო. ჯერ ერთი, რომ ნესტანი იქითა ოთანშია და ტირის, მეორეც, რატომ არ უნდა იცოდე ამ ხნის კაცმა, რატომ დათესე ქინძი და, რაც ყველაზე უფრო საკვირველია — რატომ გიკვირს ჩემგან ასეთი კითხვა?

საზანმა ნესტანის ხსენებაზე წარბები მოკმუნხა, წამოდგა და გავიდა.

ჯონდო გაუნძრევლად იჯდა მცირე ხანს. როცა საზანის ბურღლუნი შეესმა და დარწმუნდა, ნესტანი, მართლაც არ წასულაო, წამოდგა. სარკმელთან მივიდა ხელახლა, ხეებს გახედა და საკუთარი ყოფიერების ამოსავალი წერტილის პოვნა მოისურვა. გრძობდა, ფიქრები როგორ მოგორავდნენ ტალღებით და ტვინში გაჰნეულ რიყის ყვითელ ქვებზე იშლებოდნენ: „არა, ეს ყოველივე მაინც არ არის მაღალი წარმოდგენა... ეს ყოველივე მე მინახავს... ტალღა და ქვებზე დამსხვრეული წყალი... ახალი აქ არაფერია... მაშ საიდან მოვდივარ? თუ საჭირო ვარ, მაშინ, რატომ ვერავინ მიგებს? რატომ მეძახიან ბოროტს, ცინიკოსს? რატომ აღარ დაბეჭდეს ჩემი მოთხრობები? ჯერ მოეწონათ, შემაქეს, მერე... დღეს, ხვალ, ზეგ და— აღარც მივსულვარ... ბოლოს, სულ გადაიირივინენ, ლექსებსაც წერსო რომ გაიგეს... პრიმიტიული გაგებაა — თუ კაცი პროზით შემოვიდა ლიტერატურაში, პოეზიას უნდა თავი მიაწებოს... არა, ისინი, პრინციპში, ამას არ ამბობენ და ეს რომ უთხრა, კიდევ გაეღიმებათ ირონიულად, მაგრამ... მაშ, რატომ აღარ ბეჭდავენ? ერთმა მითხრა, ვერ ვავრისკავო! მეორემ, დავიცადოთო, მესამემ... კარგი, იმათ, მოაზროვნეებმა, პოეტებმა, მწერლებმა, ვერ გამიგეს, ესენიც

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

რომ ვერ მიგებენ? ლერიც ვერ მიგებენ ხანდახან და ნერვები ეშლება... შემთხვევით არ გავჩენილვარ, ეს მჭერა, მაგრამ, მაინც რა მაკისრია? ჩემი აზრით, რასაც ვაკეთებ — სიკეთეა; სხვების აზრით — სიბოროტე... ზედმეტობა გამოირიცხულია, არც ისეთი ბრიყვი ვარ, თავი ზედმეტად, აღამიანებმა რომ ვერ გაუგეს, იმ კაცად ჩავთვალო და ტყვია მივიხალო... რაღაცისთვის მეცა ვარ... სულ რომ არაფერი, ამის პოვნამდე, საჭიროა ჩემი ყოფნა...“

ამ ფიქრმა დაამშვიდა ჯონდო, გაელი-მა და ქინძზე დარჩა თვალი: „საზანმა არ იცოდა, რატომ დაეთსა ქინძი და, მისი აზრით, რადგან ეს ვუთხარი — დავცი-ნე... ლერი ვერ მიხვდა, რატომ მოშივ-და პური და ლამის ნერვები აეშალა... ნესტანს შევეკითხე, გაჰყვები თუ არა-მეთქი საზანს ცოლად, — არც არა მი-თხრა, არც ჰო და ამიტომ მე ბოროტად ჩამთვალა...“

საზანი შემოვიდა და ჯონდოს ხმადა-ბლა უთხრა, ლერი დაბრუნდაო.

— ნესტანი მანდ არის? — შეეკითხა ჯონდო.

— ჰო.

— გიხარია?

საზანმა ისე შეხედა, თითქოს ამბობ-და, არ გეყოფა დაციწვანო?

— გიხარია? ახლა უკვე დაფარული გესლით დაუწაცვლა კითხვა ჯონდომ.

— რა იყო, ჯონდო?

— გიხარიათ თუ არა მე თქვენი!... — ჯონდომ ისეთი დაიყვირა, დაფეთებული ნესტანი უკნიდან მოაწყდა ლერის და თეკლეს, რომლებიც თავის მხრივ გაო-გნებული შესტყვიროდნენ ჯონდოს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ლერიმ წადგა ნაბიჯი, საზანს უთხრა, ცოტა ხანს გადი იქითო და ჯონდოს უჩურჩულა:

— აიშალო?

ჯონდო დუმდა.

— თურმე შენც იშლები ნერვებზე.

— დრო იხელთე?

— ახლა კი შემიძლია შენი ნერვები

ხელზე დაგიხვით მათრახივით და სულ უენოდ გაბდავლო.

— ძნელია... ვერ შეძლებს...

— დაგაპირო ფეხი?

— სცადე!

— ძახილის ნიშანით ნუ ამთავრებ სიტყვებს. გაყიდული ხარ.

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდა?

— ხომ გითხარი, მოგშლი-მეთქი.

— პური არა გშია?

ლერის ყველასათვის შეუმჩნეველა სევდა მოეძალა, ცოტა ხანს უყურა ჯონდოს, მარჯვენა ხელი მოავლო მარცხენა მკლავზე, მოუჭირა და სულ სხვა რა-ღაც თქვა:

— თეკლე, ამ ვაჟბატონს იცნობ?

— მაგონდება, — გადაიკისკისა თექ-ლემა.

ჯონდო მიუახლოვდა თეკლეს:

— ისევ ისეთი ხარ, ქაჯო.

— რა შემცვლეს.

ერთმანეთს აკოცეს.

— როგორა ხარ?

— ისე, რა.

— ქმარმა გამოგავლო?

— მე გავაგდე.

— არა ტრაბახობ?

— ჰო.

— გამოგავლო?

— ჰო.

— ითქმის მიზეზი?

— მეტის თხოვნა დავუწყე.

თეკლეს ჩაეცინა:

— ლაყე იყო?

— უმაქნისი იყო.

— სვამდა?

— ჰო.

— რატომ სვამდა?

— უნდოდა.

ჯონდოს გაუპვირა თეკლეს პასუხი და გაეხარდა.

— რატომ გამოგავლო?


— მეტის თხოვნა დავუწყე.

— არ გახსოვს, წინათ მიყვარდი თუ არა?

— მე მიყვარდი, შენ კი... აღარ მახსოვს, მგონია სულ ერთი იყო.

— სულ ერთი?
 — ნუ, სულ ორი...
 — გამაგიჟებ.
 — მაშინაც ასე მეუბნებოდით.
 — არ მახსოვს.
 — დაბერებულხარ, იმიტომ აღარ გახსოვს.
 ჯონდო დამშვიდდა და ხელი მოხვია თეკლეს:
 — გიყვარდა ქმარი?
 — ძალიან გაინტერესებს?
 — ისე...
 — თუ გჭირდება?
 — ესეც გახსოვს?
 — ჰო. ჯიბეებში ჩაიწყობდი ხელებს, მოიხრებოდი და იტყოდ: ისე, სხვანაირად არ გამიგო, მჭირდებაო.
 — მართლა მჭირდებოდა.
 — ახლა, აღარ გჭირდება?
 — აღარ მჭირდება.
 — მიკვირს.
 — აღარ ბეჭდავენ ჩემს მოთხოვნებს, რაღად მინდა.
 — მაშინ სხვა აზრისა იყავი ბეჭდვაზე.
 — ვერ შევძელი...
 — დაწვი ნაწერები?
 — არა.
 — კარგი ლექსები გქონდა, ამიტომაც მიყვარდი.
 — მართლა?
 — ჰო.
 — ნეტავ სხვებსაც მოსწონდით.
 — ველარ გცნობ.
 — მაინც, მნიშვნელობა ჰქონია ბეჭდვას. ერთხელ რომ დაბეჭდეს ჩემი მოთხოვნები, ათი ფორმის ოდენობის რომანი დავწერე თვენახევარში.
 — მერე?
 — არაფერი.
 — რა გითხრეს.
 — ვერაო.
 — მერე?
 — აღარც მივკარებდივარ.
 — წერას შეეშვი?
 — ლექსებსლა ვწერ.
 — რაღად გინდა, — თეკლეს ეშმაკურად გაეღიმა.

— ალბათ, ვინმე, ოდესმე, ერთ კრებულს მაინც გამოსცემს...
 — რისი იმედით ლაპარაკობ? — ზეპირი
 — ჩვენი ლიტერატურის...
 — მაინც იმედი გქონია.
 — ხანდახან ისეთი ხალხია შესული ისტორიაში...
 — ნაღდი პოეტი ხარ.
 — გჯერა?
 — კი.
 — თუ შეგატყე, დამცინი, მიგახრჩობ.
 — ეგ უკვე აღარ მიკვირს.
 საზანი შემოვიდა, ბუხართან აიტუზა და ქალებს სთხოვა სუფრა გაეშალათ, დროზე უნდა გავემგზავროთო.
 როცა ქალები გავიდნენ, ლერი მიუახლოვდა ჯონდოს:
 — რა გაყვირებდა?
 — პური შშიოდა.
 — ნერვებს მიშლი?
 — არა.
 — დაგიჯერო?
 — მეტი გზა გაქვს?
 — ყური მიგდევ, რა ვუყოთ...
 — თეკლე გაუთხებს?
 — ჰო.
 — რაც გინდა, ის გიქნია.
 — მე რა შუაში ვარ, თვითონ რაც უნდა, იმას იზამს... მოდი, დავრჩება, ზედმეტი არ მინდა ვიყო.
 — რაც გინდა, ის გიქნია... გამეხარდებოდა შენი წამოსვლა.
 — არა, რაღაც საქმეებიცა მაქვს, ანსამბლის ამბები უნდა მოვაგვარო. ელექტროორღანზე რომ ბიჭი უკრავდა, ის გამექცა; ახალი კაცი უნდა ვეძებო... ზურა წაიყვანე... თავისი მანქანით წამოვიდა.
 — წადი... არაყს დავლევ მაინც..
 — დალევ?
 — თუ წახვალ, უნდა დავლიო, მამ როგორ გგონია?
 ლერი გაჩუმდა.
 თეკლემ სუფრაზე მიიბატეა ორთავი...
 — ჯაგალ დავლიანიძე
 წონასწორობა



ჯონდო საჭეს უჯდა. ჩვეული ღუმითა და დიდი სისწრაფით მიაქროლუბდა ავტომობილს.

ასფალტი გამდნარიყო და საბურავებს შხივილი ვაჭქონდა.

ყველა სანიავო ღია იყო, მაინც ცხელოდა.

ლერი წინ იჯდა და თვლემდა.

თეკლემ ერთი ბოთლი „მუკუზანი“ დალია და მაშინვე ჩაიძინა.

საზანი გოგოებს შუა იჯდა, ოფლში ცურავდა და ხვნეშოდა.

— დაიძინე, საზო, — წყნარად უთხრა ჯონდომ.

საზანმა ამოიხენწა.

ჯონდომ მანქანა შეაჩერა და გადავიდა.

კარის ჯახუნზე ლერიმაც ასწია თავი და მუნჯურად შეეკითხა ჯონდოს, — რა იყოო.

— უკან გადადი. მაგისიქე კაცი რომ უკან ჩასვით, ცოდოა.

... მანქანა დაიძრა.

ახლა, საზანი თვლემდა წინ, და უკან, გოგოებს შორის ჩაჰყლელი, ოფლში გაწუწული ლერი ოხრავდა.

საზანს ჩათვლიმა.

ლერიმ წამოიწია:

— ჯინსები უნდა ჩაიცვა, სადმე ბუჩქებთან შეაჩერე.

— მოიცადე, პური ვჭამოთ.

— ვამაგიყებ, კიდეც გშია? იოგები დღეში ერთხელაც არა სჭამენ.

— თქვენთვის ვამბობ.

— არაფერი მინდა, ისე დავიხუთე... ჯონდომ მანქანა შეაჩერა და ლერის მოუბრუნდა:

— მოდი, დაჯექი, დავილაღე.

— მაშ მტყუანის?!

— კარგი, პო, მეცოდები, მოდი, დაისვენე.

— არ გეშინია?

— რამდენი დალიე?

— ორი ბოთლი ღვინო, სამი ჭიქა არაყი...

— მლეთამდე იჯექი, მერე გადმოგსვამ...

ლერის უფრო წყნარად მიჰყავდა მანქანა.

თეკლეს არ ეძინა:

— ჯონდო, მე რაღად გინდოდით, სად მიგყევართ?

— კისლოვოდსკოში, დასასვენებლად, თუ არ გინდოდა, არ უნდა წამოსულიყავი.

— გგონია, ვამაბრაზებ?

— ვერ გაბრაზებ და ამიტომ მეშინია...

— არ შეგიყვარდე?

— პო.

— ნუთუ სინამდვილეში ვერაფერს გიგებს, ჯონდო... ცოდო ხარ, ხომ იცი.

— რა ჰქვიანი გოგო ხარ...

— ქალის თაობაზე?

— ლექსებს ისევე წერ?

— პო, სუსტი ლექსებია... სულ ვიდაცის სიყვარულზეა...

— დამწვრებისა?

— პო.

ლერის გაეცინა:

— არ გეშინიათ? ჯონდო, იქნება მე მიყვარს თეკლე და ეჭვიანობა რომ დამაცხრეს, სადმე გადაყვრით.

— მლეთიდან მე დავჯდები საჭესთან, გადასავარდნ ადგილებზე საჭეს ვერ ვღიბრებ.

— ხეს რომ დავაჯახო?

— მორჩი, ვიცი შენი ხასიათი.

— რა იცი?

— სიკვდილის არ გეშინია, დასახიჩრებისა კი სიკვდილივით გეშინია.

— მერე?

— ხეს რომ დავაჯახო, გარანტია არა გაქვს, სწრაფად მოკვდები თუ იწვალე.

— ღრძო ხარ.

— გმადლობთ.

— არაფერს, მაგრამ, მაინც რომ გავრისკო?

— დედან რას უშვრები?


— ღრძო ენა გაქვს.

— დედაშენი ავად არის. ვერსადაც ვერ გადაგყვრი.



თვალემ გაიცინა.
 ლერიმ ახლა მას მიმართა.
 — თეკლე, ხომ ვაქცაღური გოგო ხარ, ენის გულისთვის წამოხვედი?
 — ვერ გავიგე...
 — თქვი, — ჩაერთა ჯონდო, — ძალიან კარგად გაიგე, თანაც სიმართლე თქვი...
 — ჯონდო მიყვარს, — არ გეწყინოს, ლერი.
 — ნაღდი გოგო ხარ, — ერთხმად წამოსცდათ ლერისა და ჯონდოს.
 — როდის გამეხარდება? — დაიძახა თეკლემ.
 — უკვე გაიხარე და ეგ არის. — უპასუხა ლერი.
 — გეწყინა, ლერი?
 — შენგან არა, — თქვა ლერიმ.
 — ჩემგან? — შეეკითხა ჯონდო.
 — არც შენგან.
 — მაშ რა მოხდა?
 — არაფერი.
 — რატომ არაფერი?
 — შენებური დამიწყე?
 — შენგან მიკვირს, ლერი, ასეთი რაღაცეები უნდა გესმოდეს. საზანმა რომ ვერ გაიგოს, არ გამიკვირდება. ისე კი, შენც საზანისნაირად დაიწყებ... მალე ანსამბლს შეავსებ, გასტროლებზე წახვალ, ფულს დააგროვებ, ოქროულს შეიძენ. მერე შენი შვილი მოვა ფულის სასესხებლად, არ ასესხებ, ჩხუბი მოგივათ...
 — მორიელის-სტილში მშლი ნერვებზე?
 — ცდები, მორიელის რანგში, სტილი ცუდი სიტყვაა.
 — კარგი რა, ჯონდო, თუ ძმა ხარ, სხვა რამეზე ილაპარაკე.
 — თეკლე თუ გიყვარდა, ადრე უნდა გეთქვა.
 — არ მიყვარს, მომწონს...
 — რა ორიგინალური სიტყვებია: მიყვარს... მომწონს... მომხიბლავია...
 — ჯონდო, მოკეტე თორემ, ძმაცაღურად დაგარტყამ...
 — არც მამაზე გეტყვი უარს, ძმაცაღ-

ცი ხარ, მიყვარხარ, პატივმა გცემ... გცემ...
 მანქანა მინგრეულ საყდართან, სტეპის ძირში შეჩერდა.
 — სოფელი ახლოა, ხალხი შეიყრება. — თქვა თეკლემ.
 — სირცხვილია, ჯონდო, მეგობრები ხართ, — დაუმატა ნესტანმა.
 — რა ხდება? — იკითხა საზანმა.
 — უნდა იჩხუბონ.
 საზანი მანქანიდან გადმოვიდა და პირისპირ მდგარ ბიჭებთან მივიდა.
 — რა მოგივიდათ?
 — საზო, იქით ვადი, თითო უნდა გავარტყათ...
 — მთელი სოფელი დაგვედება, დაგვიცინებენ, შეიძლება გვცემონ კიდეც...
 ვერავენ დაინახა, ჯონდომ და ლერიმ როგორ ჩაუტრეს თვალი ერთმანეთს და არც ის იცოდა ვინმემ, რომ წლების მანძილზე ისინი კარატეს სკოლით ვარჯიშობდნენ და პარტნიორობას უწევდნენ ერთმანეთს.
 წელზემთ და ფეხზე გაიხადეს, ჯინსების ამარა აიტუხნენ პირისპირ.
 ლერიმ ნაბიჯი გადადგა, დაიძაგრა, ხელის მტევნები დაძაბა, მორკალა, თითები ერთ სიგრძეზე დააყენა, დანის პირად აქცია და ისეთი დაიყვირა, მთებმა მოსცეს ეჭო.
 როცა ჯონდომაც დაიყვირა, ნახევარი სოფელი ორღობებში გაიჭედა და ქვემოთ დაეშვა...
 ჯერ ლერიმ დაითრია ჯონდო, მარჯვენა ხელი ილიაში მოიჭცია, მარცხენა ხელის მტევანთან შეაერთა, კლიტე გააყეთა, მოსხლეტილად წაიკუზა და ყირამალა გადაიყენა მოწინააღმდეგე.
 ჯონდო ქვებზე დაეცა ბეჭებით და ისეთი ხმა გამოსცა, ყველას ერთად აღმოხდა, „ვაიმე!“.
 სანამ ჯონდო ძირს ეგდო და „გონს მოდიოდა“, ლერი კიდეც დაიძაგრა, წაქცეულისკენ გაქანდა, ზემოთ ახტა და მთელი სიმძიმით ზურგით დაასკდა...
 ჯამალ დავლიანიძე
 ჟონასჯორობა



საზანი დასაბმელი შეიქნა:

— მოკლავს ეგ შეჩვენებული, გამი-
შვით!

გოგოები საზანს იჭერდნენ.

სოფელი გაოგნდა. ხან დასისხლიანე-
ბულ ბიჭებს უცქერდნენ, ხან ორ ქალს
შუა მოქცეულ საზანს და ვერ გაეგოთ,
რა ხდებოდა.

რამდენიმე ბიჭმა (ცალ-ცალკე) საქ-
მეში ჩარევაც სცადა, მაგრამ, როცა თა-
ნასოფლელებმა დაარიგეს: „ძალიან კა-
რგი მუშტი-კრივი ეცოდინებათ, ეტყო-
ბათ, ძმაკაცები არიან და არ შემოგვიბ-
რუნდნენო“, გადაიფიქრეს.

ბოლოს, მთელი სოფლის დიდ-პატა-
რა შეიყარა. გზად მომავალი მანქანებიც
შეჩერდნენ. აქა-იქა ისმოდა:

— დააშველეთ, ხალხნი არა ხართ!

— აბა მიდი, შენ დააშველე, იქნება
ისეთი მოგხვდეს...

— ემაგათ მუშტი მტერს მოხვდა, და-
ინახე, ოხო-ხოხო, რა ხმა გაუდის, კაცო,
ოო, ყური უგდეთ...

— ე, გოგოების გულითვიან თუ ჩხუ-
ბობენ...

— ეგრეა, ეგრე, ჰკუა ვერ ისწავლეს
ამ ახალგაზრდებმა...

— მოკლა, კაცოო!...

— დახე-დახე, ყური მოეხა საწყალსა,
ხალხნი არა ხართ?

— ყბა გაეხა, რას შვრებიან?..

— მოგიდუნდა ეგ მარჯვენა!

— მოგტყდა ეგ მარჯვენა!

ქალებმა კაცებს დაუწყეს წყევლა:

— თქვე მიწაში ჩასადებებო, რას და-
ტყობილხართ და ხმა ვერ ამოგილიათ,
თქვენც უნდა თქვათ, კაცები ვართო...

კაცებმა მოიგერიეს:

— რა ძალაა, რა! ეგენი რომ შემოგ-
ვიბრუნდნენ, მთელ სოფელს აიღებენ.
დანიახეთ, მთელი საათია ჩხუბობენ, ერ-
თი არ შეუსვენიათ.

ბოლოს, ერთი ჭადარა, ნაბდისქუდიან-
ნი ბერიკაცი გამოეყო ხალხს, მოზრდი-
ლი სახრე გამოართვა პატარა ბიჭს,
წყნარად მიუახლოვდა მოჩხუბრებს და
შეჩერდა... ის იყო, ჯონდომ შორს მო-
ისროლა ლერი და გაიჯგინა, რომ სახ-

რემ გაიზუზუნა და ბეჭებზე, მთელ სი-
გრძეზე ზოლად დაემჩნა.

ჯონდომ იგრძნო ვილაც სხვამ დააო-
ტყა და უკან-უკან, ბერიკაციისკენ წაშო-
ვიდა ნელ-ნელა.

ბერიკაცი წინიდან მოექცა.

ჯონდომ ხალხი გაარღვია და მანქანი-
სკენ წავიდა.

ბერიკაცი ლერის მიუახლოვდა. იგი
მიწაზე იჯდა და ღიმილით შესცქეროდა
თავზეწამდგარ მოხუცს.

— არა გტკივა, შვილო?

— არა, პაპი...

— ჰაიტ შენი!

და სახრე გადაუჭირა იმასაც.

ლერი კიდევ მცირე ხანს იჯდა, ღმი-
ლი არ შეუშლია, მერე ნელა წამოდგა
და ისიც მანქანისკენ გაემართა.

საზანი და გოგოები სწრაფად ჩაახდ-
ნენ მანქანაში.

ჯონდო საქვს მიუჯდა.

ლერი უკან ჩაიჭკადა.

ჯონდომ ჩუმად წასჩურჩულა ლერის:

— ფინალი არ გააფუჭო, წყნარად
იჯექი, ოდნავი ღიმილი... მერე, ყველა
გააფრთხილა, გაიღიმეთო.

სოფელი იღვა და უცქერდა მანქანა-
ში მჯდომ სამ კაცსა და ორ გოგონას,
რომლებიც გულთბილად უღიმიოდნენ
მათ.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უფ-
რო მეტად ისმოდა მდინარეს ხმაური.
თითქოსდა, რაღაცა, ტიკის მსგავსი იბე-
რებოდა, იზრდებოდა და ვასასკრომად
ემზადებოდა.

სოფლელებს მუშტები ეკუმშებო-
დათ.

ჯონდო მიხვდა, ახლა უკვე შეიძლე-
ბოდა საქმე ცუდად წასულიყო და ჩუ-
მად გააფრთხილა ყველა: „როცა მან-
ქანას სიჩქარეში ჩაეგადებ, ერთად დაე-
კვილოთო“.

მანქანის მოტორმა მოუმატა მუშაო-
ბას.

ხალხი დაიძაბა. ჯერ მანქანის სიგნა-
ლის არაჩვეულებრივმა ბლავილმა შეა-
კრთო ისინი, მერე ადამიანების კვილ-

მა, რომელიც სიგნალის ღრიალს შეუერთდა: „უუუუუუუუუუუუ!!!“

მანქანა სწრაფად გაეარდა და მტვერი დააყენა...

— რას ჰგავხართ, დაიბანეთ, — თქვა ნესტანმა.

ლერი და ჯონდო ისევ ხარხარებდნენ.

თეკლევც იცინოდა.

— ეს მომეწონა... მე გავგვიღებოდი, ვინმეს რომ ასეთი ოინი ექნა.

— ასეთი სეირი ვაჩვენებ და მადლობლებიც უნდა ყოფილიყვნენ, ხარხარით თქვა ლერიმ.

— საზო, მოგეწონა? — ჰკითხა თეკლემ.

— თქვე კაი ხალხო, ცემით დახოცეს ერთმანეთი, რა მომეწონა... მაგათ მაგივრად მე მტკივა გვერდები.

— დაიბანეთ, გასისხლულები ხართ, — ურჩია ნესტანმა.

— ზემოთ... ჯვარს გადავცდეთ, შეიძლება მღევარი გამოუშვან.

საზანი უცბად შემოტრიალდა:

— არც არის საკვირველი..

— საზან, რისთვისა ცხოვრობ, თუ ძმა ხარ, მითხარი, — შეეკითხა ჯონდო.

საზანმა ვერ უპასუხა.

კითხვა, რა თქმა უნდა, ზუსტად იმავე ინტონაციით გამოერდა:

— საზან, რისთვისა ცხოვრობ, თუ ძმა ხარ, გვითხარი...

— რისთვისაც სხვები ცხოვრობენ...

— სხვებს თავი გაანებე. შენ იმათსავით ვერასდროს იცხოვრებ. ჩემი, ლერისა და სხვების ცხოვრებით შენ არ იცხოვრებ თუნდაც იმიტომ, რომ საზო გქვია, ჩვენ კი სხვა სახელები... მაშ ასე, რისთვის ცხოვრობ?

საზანი დუმდა.

— რისთვის ცხოვრობ, საზო? — ჰკითხა ლერიმ.

— არ გეყოფათ? — ნერვიულად თქვა ნესტანმა.

— ნაღდად არა, — უპასუხა ჯონდომ და საზანს მიუბრუნდა:

— არ გეწყინება, ნიმართლე რომ ვთქვა მესამე პირში?

— არა.

— საზანს ბევრი ფული აქვს... ჰქონდა...

ექნება... ამას ნუ მივაქცევთ ყურადღებას, მაგრამ მთავარია, რად უნდა? მას ერთი ხასიათი აქვს, ყიდულობს პიჯაკებს, ჯემპრებს, წინდებს, საცვლებს, პერანგებს, ლოჯინს, ფარდებს, ჰალეტს და სხვა. შვილი არა ჰყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლს არ ირთავს...

და, თუკი ცოლს არ შეირთავს, შვილი არც ეყოლება; ესე იგი, ის მოკვდება უმემკვიდროდ, უპატრონოდ... სხვათა შორის, ანდერძაც არ, ან ვერ დაწერს...

ამას წინათ ვესტუმრე, — ვილაცას ესაუბრებოდა ტელეფონით. მგონია, ნათესავი ბიჭი იყო, რომელსაც ექვსიოდე წლის წინათ ცოლი შეურთავს და საზანისგან უსესხია სამოცი მანეთი...

რა თქმა უნდა, ბიჭმა არ დაუბრუნა. იმიტომ, ვეღარ მიდის მასთან და მხოლოდ ტელეფონით ესაუბრება...

საზანმა კი ასე უთხრა ბიჭს:

— შენ, ექვსი წლის წინათ რაც იყავი, ისევ-ისეთი ხარ, — უმაქნისი, მუშაობა არ გიყვარს, გიჟბოტობ, საქმე არ გიჭირავს ხელში, სხვის ჯიბეს შესცქერი... ასე არ ივარგებს. ერთგან მოგაწყე...

— არ ივარგე, შე კაი კაცო, კიდევ უქმაყოფილო ხარ? საწყობში მოგაწყე...

მერე რა მოხდა, რომ ყუთებს ათრევდი, თუნდაც მტვირთავი იყავი... დირექტორის მოადგილემ ვითხრა, მაგხელა თმით აღარ დაგინახო და მეორედღეს განცხადება დაუწერე... ვის გაუგია ახლა რომ მაგდენ ფულსა მთხოვ, იმაზე არა ფიქრობ, რითი, რა სახსრებით გადაიხდი, კაცს რომ ვალისა, არ ერიდება, საეჭვოა ეს ამბავი...

— რამდენი მანეთი ვთხოვა, საზან? — შეეკითხა ლერი.

— რამდენი ათასი მანეთი-თქო, — მწყრალად თქვა საზანმა.

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?


— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?

— მანაც?



ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

— ექვსი ათასი თუ არა, ოთხზეც მა-
დლობელი დავრჩებით.

— რად მინდაო?

— მანქანის ყიდვა მინდაო.

— მანქანა რად მინდაო? — ჩაერია
ჯონდოც.

— ახლაგზარდა ვარ, როდის რაღას
უნდა მოვესწრო, მერე კი ვიცი, რომ
მექნება ფული, რაღად მინდაო... მანქა-
ნა მომინდომა, მე იმის!...

— შენ რა უთხარი?

ჯონდოს სიბრაზე შეეპარა ხმაში.

— ამხელა კაცი მოვიყარე და მე არა
მაქვს-მეთქი მანქანა...

საზანს გაელიმა.

— რატომ იცინი? — შეეკითხა ჯონ-
დო.

— არაა სასაცილო?

— რატომ იცინი?

— აღარ იცინის უკვე, — ჩაურთო
ლერიმ.

— რატომ იცინოდი?

— გეყოფა, თქვა თეკლემ.

— რატომ იცინოდა?! — დაიყვირა
ჯონდომ და მანქანა დაამუხრუჭა წყა-
როსთან...

ჯონდომ პირველმა ჩამოიბანა მტვე-
რი და მანქანასთან მივიდა.

საზანი თავჩაქინდრული იჯდა.

— გეწყინა, საზან?

— შენ არ გეწყინებოდა?

ჯონდო ხელახლა დაიძაბა, მაგრამ თა-
ვი შეიკავა.

ლერიმ გვერდზე გაიყვანა ჯონდო.

— შეეშვი, მართალი არა ხარ. შენ
გინდა, ადამიანებმა სხვანაირად იაზრო-
ვნონ. როგორც ვიცით, ისე ვცხოვრობთ,
სყავი რა შენთვის...

— ვგიჟდები... კითხვაზე პასუხის გა-
ცემაც აღარ შეგიძლიათ.

— მერე, ვისი ბრალია?

— მოშობლებს შეეშვი. კარგი, იმათ
ასე აღგზარდეს, ახლა ვინ გიშლით ის-
წავლოთ რამე?

— მეტი საქმე არა გაქვს? ახირებუ-
ლი ხარ. ერთი ორი სახრეც გვინდო-
და...

— აუჰ, იმ ბერიკაცს ვენაცვალე. იმ

მოხუცის მეტმა ვერავინ გამოგო, აი კა-
ცი და ადამიანი.

ნესტანი მიუახლოვდა მათ:

— ნერვები სამკურნალო გაქვს, ჯონ-
დო.

— გეყოფა თუ და ხარ... ახლა კი იყო
საცემი ეგ შენი საქმრო, — ვეკითხება:
გეწყინა-მეთქი? ეგ კი — „შენ არ გეწყ-
ყინებოდა? საწყენი იყო, აბა რაო...“
უჰ, ერთი წამომარტყმევინა!

— როგორ გგონია, მე კი არა მშლის
ხოლმე ნერვებზე? ერთი შენ დადექი
და ყური უდგე: „შენ დაგენაცვლე, ჩე-
მო ნესტო, აქ რამ მოგაფარფაშა... ეს
თვლები ბადახშანისაა. დედაჩემი განთ-
ქმული სიმშვენიერე იყო...“ ბრიყვია
საცოდავი... ახლა, მაგას ველარაფერი
გამოასწორებს.

— სალოლ, ნესტო! — მოუწონა ჯონ-
დომ.

— შენ გგონია, ერთმა იცი ყველა-
ფერი? ჯონდო, იცი, რაში სცდები?

ჯონდომ თავი გაუქნია, არ ვიცო.

— შენ ფიქრობ, რომ ყოველივეს გა-
მოექმნება გასამართლებელი. არა, ამის
თქმა არ მინდოდა... შენი აზრით, ყვე-
ლაფერი უნდა ითქვას, რაც ენაზე მოგა-
დგება; რადგან ამას სხვები არ ამბო-
ბენ, ბურთი და მოედანი გრჩება და
აბურთავებ აქეთ-იქით ყველას...

ჯონდო წამიერად ჩააფიქრა ამ სიტყ-
ვებმა და მერე ხმადაბლა თქვა:

— თუ გინდათ, კიდევ შევეკითხები
საზანს, გეწყინა-მეთქი? და ვერ შიშა-
სუბებს... გინდათ?

— მაგით ახალს არაფერს იზამ, —
ჩაურთო ნესტანმა.

— თქვენ ვერ გამოგეთ...

— შენ, რა თქმა უნდა, როგორ შე-
იძლება, ვინმემ გაგივოს... მაღალი აზ-
რებით, მისტიკაო...

— არაფერიც... ეს ყოველივე იცით
რასა ჰგავს? ლერი, შენც იქ იყავი მგო-
ნი... ბორჯომის მატარებლით მივდიო-
დით... თოვდა. ვაგონებში დაცხა. ხალ-
ხი პალტოებში იჯდა. როცა შეწუხდნენ,
ჯერ ერთმანეთს გადაულაპარავეს — რა
არის, ნამუსი აღარა აქვთ, გამოგვეყვე...



სო... შერე სათითაოდ გაემართნენ მემანქანისაკენ და ნერვებზე მოშალეს საწყალი კაცი...

— მაშ რა უნდა ექნათ? — ველარ მოთმინა ნესტანმა.

ჯონდომ ხელისგული გაშალა:

— უპ, რა მადლიანად გთხლიშავდით ყურის ძირში, შენცა და იმ მგაზვრებსაც!

— ეგ ყველაზე ადვილი მოსაფიქრებელია.

— აბა, ის არის ძნელი მოსაფიქრებელი, რომ თუ გცხელა, შე კვლარძალლო, ადგე, პალტო გაიხადო, თუ კიდევ დაგცხა...

— პიჯაკიც გაიხადო, — აჰყვა ლერი.

— თუ კიდევ დაგცხა...

— სარკმელი გაალო...

— ლერი იცინოდა. ჯონდო მუქარით შეჰყურებდა ნესტანს.

მანქანამ დაითაქვევა.

სინუშე ჩამოვარდა.

როცა გაივარდა, ერთგან ორმოში ჩავარდა მანქანა, შეჯანჯლარდა და ყველას უკლებლივ შეაცვლევინა აზრი.

— აუჰ! — თავისთვის თქვა ჯონდომ.

— ეჰე, — აღმოხდა ლერის.

— შენი გამკეთებლის... — ამოილულულა საზანმა.

— რა გზებია, — ჩაიბუზღუნა ნესტანმა.

— ნელა რა, ჯონდო, — ნაზად ამოსქვა თეკლემ.

ამიტომ...

ნესტანმა თავი გადაჰყო მანქანის უკანა, მარცხენა სარკმელში.

თეკლემ თავი გადაჰყო მანქანის უკანა, მარჯვენა სარკმელში.

საზანმა თავი გადაჰყო მანქანის წინა, მარჯვენა სარკმელში.

ჯონდო და ლერი პირდაპირ იცქირებოდნენ.

ისინი, ვინც სარკმლებიდან იმზირებოდნენ, მთებმა მოხიბლა.

ზმირად ისმოდა:

— თოვლი!

— აუჰ, რამსიმაღლე!

— აგერ იმ ჩანჩქერში მაბანავა!

— რა ჰაერია!

— აქ ცხოვრებას რა სჯობს!

— ერთი კარგი ფინური სახლი, აგერ იმ მთის ძირში!

— რა თევზი იქნება!

— ოი!

— ვაი!

— რა კარგია!

და ბოლოს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!“

ეს საზანმა წამოიყვირა.

— მაგითი რისი თქმა გინდა? — შემპარავად ჰკითხა ჯონდომ.

— ლამაზი მხარე გვაქვს, აქ ვინც გაივლის, არ შეიძლება ლექსის დაწერის ხასიათზე არ დადგეს.

— როგორ გიყვართ ბულალტრებს პოეზია, ლიტერატურა, — გაავრძელა ჯონდომ.

— შენი აზრით, რა უნდა მეთქვა? — უცბად ნახევრად ყვირილით ამოიძახა საზანმა და თვალები დაუბრიალა ჯონდოს:

ჯონდო შემობრუნდა:

— ხომ შეიძლებოდა გეთქვა, აქ კარგი საქეიფო ადგილიაო, ცხეარო, მწვადი გეხსენებინა, რალა ლექსი გაგახსენდა?

ლერის ჩაეცინა...

ლარსთან ჯონდომ მანქანა გადაიყვანა გზიდან.

— ლერი მიხვდა, რომ ახლა უკვე იგი უნდა მისჯდომოდა საუკეს და უთქმელად გადმოვიდა მანქანიდან.

— ახლა, რაც გინდა ის გიქნია, — უთხრა ჯონდომ.

— კიდევ გეშინია? გგონია გადაგყრით?

— ხელმოცარული მუსიკოსი ხარ, ვინ იცის?

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



— შენც ხელმოცარული პოეტი ხარ...
 — რაც შემეხება მე — გულზე ხელი დაიდო ჯონდომ, — კუდიანი, ცინიკოსი, ბოლმა, მორიელი, გესლი, ჭინჭარი და სხვა ვარ... ასეთები კი დიდ ხანს ცოცხლობენ...

— ერთი ესენი არ ისხდნენ და რა მორიელობა გიშველიდა, მაგასაც ვნახავდი....

— ესენი ჩემზე მეტად გეცოდება?

— მიკვირს, ველარაფერს ხვდები.

— აჰა, მე გეცოდები?

ლერი ღუმლა.

— ესე იგი, მე გეცოდები და სატანჯველს გინდა მომაშორო?

ლერი წინ იყურებოდა და ალბათ იმ პაწაწა ბავშვზე ფიქრობდა, გზიდან რომ იიტაცა დედამისმა და შიშველა უკანაღზე შემოსცხო.

ჯონდომ ლერღვით დაიწყო:

— ძველი ფილოსოფიაა, ამაზე რამდენჯერ გვილაპარაკია... ვერ გამაკვირვებ.

— როგორც გინდა... ერთხელაც იქნება და გადაგარჩენ სამუდამოდ.

— რას ნიშნავს, რომ პრიმიტიული განათლება გაქვს, ცოდნა კი ნაღდი.

— ვერ გავიგე, — ტუჩი ჩაიკვნიტა ლერიმ.

— ესე იგი, ცუდად ვისწავლია, ისე კი ჭკვიანი ვინმე ხარ.

— განათლება და ცოდნა რამ გაჰყო?

— განათლებაა ის, რაც შეგიძლია შეიძინო დაბადების შემდეგ, ცოდნა — რაც გქონდა დაბადებამდე.

— შენი ფილოსოფიაა?

— არა.

— მაშ?

— ძველი ხალხების ნაღდი ცოდნაა.

— ძველმა ხალხებმა ჩვენზე მეტი იცოდნენ?

— ის იცოდნენ, რაც ჩვენ აღარ გვახსოვს.

— ნუ მლლი, დაიძინე.

— პრიმიტიული აზროვნებისთვის რთულია ასეთი აზრები.

— ეგრე იყოს, ოღონდაც თავი დამანებე, თორემ მართლა გამომატივინებ,

ძველი ხალხების ცოდნას მიმაღებინებ და იმ ცოდნით გაგისტუმრებ მხარადნულ არცოდნაში.

ჯონდოს გაეცინა, ლერის ხელი დაადლო მხარზე, მოუჭირა და თავი ჩაღუნა.

მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა და რბილად ირწეოდა.

დიდმა ველმა, გზის გარდიგარდმო, წინ და უკან, რომ ვაწოლილიყო, სიმყუდროვე ჩამოაგდო და ყველა დაადუნა.

სალამოვდებოდა...

კისლოვოდსკი ლურჯ ბინდში გახვეულიყო.

დასასვენებლად ჩამოსულ ადამიანებს წამოსასხამები, პიჯაკები გადაეციდნათ მკლავებზე და სეირნობდნენ.

იმ სიხარულს დაატარებდნენ ადამიანები, რომელსაც უცხო ადგილის, სანუკვარი ადგილის, ერთხელ რომ კარგი დრო გაატარე — იმ ადგილის ნახვა აღძრავს ხოლმე.

მწვანე „თივული“ სწრაფად მისრიალებდა მოღრეცილ, ვიწრო გზაზე და მოსეირნე წყვილებს აფრთხობდა...

რესტორანთან შეჩერდნენ და გადმოვიდნენ.

ლერი ხელებს შლიდა — თეკლეს უჩვენებდა პარკსა და ახლად გახსნილ საბაგირო გზას, რომლის აშენებაში თურმე ქართველებიც მონაწილეობდნენ.

ჯონდო ჩუმად იყო და ვარდების ბაღს ჩაჰყურებდა, რომლის ზემო მხარეზე ქოხი იდგა.

ჯონდოს ღუმლიმა ლერის მალე შეაწყვეტინა თხრობა.

— შენ შენი ღუმლით ხშირად არღვევ საერთო წონასწორობას, ეს თუ იცი? — შეეკითხა ლერი.

— ვიცი.

— მერე, არ შეგიძლია, ცოტა სხვანაირად მოიქცე?

— მე ისე ვიქცევი, როგორც უნდა ვიქცეოდე სასწორზე დგომისას...

— მეც შეიძლება ბევრი რამ ისე არ მეგონოს, როგორც არის, მაგრამ, რა

ლაცების გამო, ვითარებისდა მიხედვით ვიტყვი.

— შენ შენა ხარ... თუ ძმა ხარ, ნუ გაატალახიანებ იმას, რასაც მე ვიგონებ.

— ვიცი, რასაც იგონებ. ერთად ვიყავით. ის ვარდები და კოჭლი მეზაღე, მეც მახსოვს.

ჯონდომ ნაღვლიანად გაიღიმა:

— ჯერ თოფი კინაღამ გვესროლა... რესტორანში ოხშივარი იდგა.

ანსამბლი ვალსს უკრავდა.

რამდენიმე წყვილი ბრიწიალებდა და უხაროდათ.

ყველაფერი ძველებურად, ჩვეულებრივად, ადრინდელივით წავიდა: სუფრა გაიშალა, ლერიმ ითამადა, საზანმა თვლები დაისისხლიანა... ვოგონებმა სიცლს მოუმატეს, კისკისად აქციეს, იცეკვეს და მეზობელ მაგიდაზე მსხდომთ შეეჯიბრნენ სიგარეტის მოწევაში.

ლერიმ მტრების სადღეგრძელო რომ თქვა, ჯონდო წყნარად წამოდგა, „ახლავე მოვლო“ და წავიდა.

— მტრებს გაუმარჯოს... უიმაჰობა არ ვარგა... ისინი არც ბევრია სასურველი, არც ნაკლები...

მტრის სადღეგრძელო დაილია. მისატანებელი მიატანეს. იცეკვეს. კიდევ დალიეს (დედამამიშვილების). იკისკისეს. იმხიარულეს. იცეკვეს. კიდევ დალიეს (წინაპრების). მეზობელ მაგიდაზე მსხდომთ ღვინო გაუგზავნეს. იმათაც გამოუგზავნეს. იცინეს. სიგარეტი მოსწიეს. კიდევ დალიეს (მეგობრების). მეზობლებმა ღვინო გამოუგზავნეს. იკისკისეს. ანგდოტი თქვეს. იცეკვეს. კიდევ დალიეს (საზანის სადღეგრძელო). მწვადი მოატანინეს. „სიმღერა თბილისზე“ შეუკვეთეს მუსიკოსებს. იცეკვეს... იხარხარეს. კიდევ დალიეს (თეკლეს სადღეგრძელო). მეზობელ მაგიდიდან, „სირუმ-სირუმ“ შეუკვეთეს მუსიკოსებს. იკისკისეს. იცეკვეს. კიდევ დალიეს (ნესტანის სადღეგრძელო)...

რომანის ამ ნაწილის შესახებ საზანს ისეთი შენიშვნა ჰქონდა: „ზედმეტია,

პრიმიტიულია, სულ ამოსაღებია, კავშირი არა აქვს რომანის სერთო ხაზთან.

ის იყო კითხვის გაგრძელება დავაბრე, რომ დედაჩემმა შემოალო კარი... ციოსა და ბავშვს ეძინათ. დედაჩემი ნაღვლიანად შემომაცქერდა. მისმა გამომეტყველებამ (რომელშიც ჩემი გამომეტყველება არეკლილიყო) მაგრძნობინა, რომ დაღლილი სახე მქონდა, გავუციენე...

ეზოში გავედი. ვარსკვლავებს შევაცქერდი — ცაზე ჩვეულებრივად იყო განლაგებული ყველაფერი, მაგრამ საშინელი მოვონებები დამიტრიალდა თავში — (მოძრავე, ცოცხალი) და საზარელმა არეულობამ შემეკრთო, რომელიც ოდესღაც დავინახე გიგანტური ნგრევის ჭუჭრუტანებიდან... შეიძჯერ ჩავისუნთქე ღრმად და უსასრულობიდან ჩამოტყორცნილი იდუმალი მზერის ქრუანტელით შეშინებული შინ შევედი...

ორი აზრი ჩავინიშნე მოთხრობისათვის და წამოვწყვი. ბალიშის კუთხესთან დავინახე პაპაჩემის ხელი, რომელიც ერთხელ პაწაწა მწერის ნაკბენმა დაუსივა...

დილით, გაღვიძებისთანავე, გაზეზირებული ფრაზის („მე, ჯანმრთელი ვარ“) მაგიერ ხელდასიებული პაპაჩემი დავლანდე ისევ. სირბილით დავეშვი თავდაღმართზე... როცა სადმე მაგვიანდება, ჩემს თავს მუდამ დავცინი. — ახლა ეს არ მიგრძენია და გამიკვირდა... ჭუჭყიანმა ვაგონებმა დამანადვლიანეს. ცხვირით სუნთქვა ვცადე, — თამბაქოს მყარალი სუნი უფრო მძაფრად ვიგრძენი და სარკმელთან ახლოს მივიტანე თავი — ერთიბეწო ჭუჭრუტანიდან შემოდწეული ჰაერის ნაკადი შევისუნთქე...

მოხუჭულ თვალებში ქართლი დავნახე... მერე ფიქრი კასპიდან ჩემი სოფლისკენ მიმავალ ავტობუსში შეკოწიწ-

ჯივალ დავლიანიძე
წონასწორობა

და, რომლის უკანა კარიდან მეტეხელ-
ბმა სამი ტომარა ამოიტანეს. ტომარე-
ში გოჭები ისხდნენ — ჭყვიროდნენ,
ფართხალებდნენ. ამტკერებდნენ. ვილა-
ცამ ჰკითხა გოჭების პატრონებს: გოჭე-
ბში რა მიეცითო... სოჭში ეყიდნათ, ათ-
ათ მანეთად. ჩემს გვერდით მჯდომმა
მოხუცმა ქალმა უკმაყოფილოდ გასწრა
ფხვები და, როცა შენიშნა — ქაღალ-
დის პარკუჭინა გახეულიყო, წყევლას
მჩაჰყვა. გოჭების პატრონებმა იგრძნეს
— მათ სწყყელიდა ქალი და ტომარები
გვერდით გაახოხეს. გოჭები ერთმანეთს
მიაწყდნენ და ჭყვირილს მოუმატეს. მო-
ხუც ქალს ფეხსაცმელი დაუსველეს
ლორებმა... გუნება დამიმძიძიდა. გოჭე-
ბის პატრონებმა სოჭს დაუწყეს ძაგება
— თურმე, კასპი და გორი ცხრაჯერ
სჯობნებია სოჭსა — ტუფლი იქ არ ყო-
ფილა და სასადილო. მშვიერებს კინაღამ
ამოსძვრომიათ სული.

მეტეხის სადგურის გადასახვევთან
ავტობუსი შეჩერდა. გოჭების პატრონე-
ბი მძლოს შევედრნენ: „უკანა კარი
არ გააღო, ხალხს გოჭები არ გააჰყლე-
ტინო და მავ ხალხის საფასურს ჩვენ
გადავიხდითო“. ვერ მორიგდნენ... უკანა
კარიდან ჯერ ქალები ამოვიდნენ, მერე
კაცები — გოჭებს შესდგნენ, გაუარ-გა-
მოუარეს, ააჰყვილეს და გამხიარულდ-
ნენ: „დაიბეგვებიან, ბიჯო“, „მიდი შენა.
ლორი და კაცი ერჩევა ერთმანეთშია“,
„ბიჯო, პატრონი არა ჰყამო?“, „ნელა
თქვენა, ორ-ორნი ვუდგევართ ემანდა,
სოჭიდან მოგვყავს, ისე კი არ არი საქ-
მეი“, „თქვენცა, ჩეხური პიანინო მოგ-
ქონებიათ, ანდა ზაგრამანიჩნი ვეში“
„გერმანულ აკარდიონს ე გოჭები მირ-
ჩვენთან, ისე მიდექი, სული არ ამოსძვ-
რეთ მართლა!“.

გოჭების პატრონებმა აღარ გაათავეს
ბუზლუნი: ხალხმა ისე გაიმსისხოვა,
რომ რაღაც ორიოდ კილომეტრი ვეღარ
გაუვლიათ ფეხით. ბუნება და ღმერთი
აღარ აინტერესებთ... კაცო, გაიხედ-
გამაიხედეთ, — იქნება თევზი დაინა-
ხოთ, ანდა ამოწვერილი ბალახით. ამ
უკანასკნელმა სიტყვებმა ხალხის ხორ-

ხორისა და გოჭებისაგან შელანძღული
ჰაერი ვაფანტა და თავი ავწიე, ხალხი
(ისინი ვინც გოჭებს შესდგნენ, ფეხით)
ხუმრობანარევი ბოღმით იღურლებიან:
„კაცმა ფუთიანი გოჭები იყიდო ათ მა-
ნეთად (ასე მუქთად) და შინ ტაქსით არ
მიიყვანო, გაგონილა? ეს ავტობუსის სა-
გოჭეთისთვის კი არ არის, ხალხისთვის-
ნაა...“.

ხალხმა ჩამოაბნელა. სარკმელები, შუ-
შები დაიორთქლა, მიწა აღარ გამოჩნ-
და და ისედაც უმზეო დღე სულ დაბ-
ნელდა...

მეტეხში ხალხი ჩამოიკალა. ჩემს გვე-
რდით მჯდომმა მოხუცმა ქალმა გოგო-
ნას გასძახა, სკამი გათავისუფლდა, მო-
დი დაჯექო. პატარა გოგონას აქ ყოფ-
ნამ ავტობუსის ისე გააკეთილშობილა,
რომ გამეხარდა. გოგონამ იგრძნო ჩემი
მზერა და გულმოკლული, ნატანჯი, და-
გვალული სილამაზის სიკერპით შემო-
მაცქერდა, შემებრალა, ამ ქუჭყიან ავ-
ტობუსში რა უნდა-მეთქი, — გავიფიქ-
რე და ირიბად გავხედე. მალულად მათ-
ვალიერებდა. ჯერ ფეხსაცმელებზე და-
მხედა. ჯინსზე დიდ ხანს შეაჩერა თვა-
ლი, ალბათ მისი სახელწოდების გამო-
ცნობას შეეცადა, მერე გრძელ თმაზე
შემხედა... თვალებში ჩავაცქერდი. —
თვალი გამისწორა და ჩემი შინაგანი სი-
ცივის თხელი შუშა დამიორთქლა თა-
ვისი თბილი ამონასუთქით. მისი შეში-
ნება არ მსურდა, პირველად მე მოვა-
ცილე თვალი და ჭრელ ხილბანდზე
დავაშტერდი...

ახლა უკვე ღრმად ვსუნთქავდი და
ჩემი სოფლის სიახლოვე მიხაროდა. კუ-
ლტმალაზიასთან რომ შევჩერდით, ვიწ-
რო ორლობეს გავხედე, საითაც ცხოვ-
რობდა ის გოგონა, რომელსაც ბავშვო-
ბაში ლექსი ვუძღვენი.

იმ გოგონას ნანა ერქვა და როცა
ჩემს გვერდით მჯდომმა მოხუცმა პატა-
რა გოგოს უთხრა: „ნანა, ავღვეთ ჩა-
ვიღეთო“, არ გამხარებია ეს დამთხვე-
ვა. ეგ იყო — უფრო ნათლად შევიგო-
რენი ბალღობის მზიანი დღეები, სკოლის
შენობაში დაკიდული ლასტებე — აბ-

რეშუმის ქია, თემის რიყე და დუბელა წყალი... მერე ორივე ნანა ჩავიდა ავტობუსიდან...

გარიყულას ბოგირთან ჩამოვედი. ჩვენს სათონესთან შევდექი. პაპა და ბაბო დავლანდე და მათი სიბერე მეტყინა. ცრემლი მომწვა... ეს განცდა პაპისა და ბაბოს სიბერის ბრალი იყო, მათს გარდაცვალებასთან კავშირი არ ჰქონდა და მიხაროდა...

● პაპაჩემს უხაროდა ჩემი დანახვა. ჩემთან საუბარი უყვარს... როცა სოფლისკენ მივმგზავრები, ვისვენებ... პაპაჩემს დამკანარი ხელებიდან აღვიქვამ. მისი ხელებიდან იწყება ყოველი მონაყოლი და ორთავე წარსულით ვცხოვრობთ. ბაბო თვლემს, ღუმელი გიზგიზებს. თრიალეთზე თოვს...

მთიულ ჩასტანთ პეტრეზე ჰყვება პაპაჩემი. პეტრე ძუნწი ყოფილა, — ასი კოდი ხორბალი გადაუმალავს მიწაში და ზედ კირის გორაკი დაუდგია... პურს ბევრს არა ვკამ და ვდარდობ. მგონია, რომ ვინც პურს არა ჰკამს, ის ავადმყოფია. — ყვითელი მინდვრები მესახება და როცა პაპა ამბობს: პეტრეს ხორბალი წაართვეს და თავი ჩამოიხრჩო — პეტრე მებრალება. ეს არის გაუგებრობა (ჩემი შინაგანი წინააღმდეგობა), რომლის გასწვრივ ფიქრის უწვრილესი ძუნწკვი ჰკიდია: პეტრე კეთილი კაცი ყოფილა, რადგან ხორბალს იცავდაო...

სადილის შემდეგ პაპაჩემს თვლემა ერევა. ბაბო ფერხითი უზის და ორი ბებრული სითბოთი გაქლენთილი სიკეთის ნაკადი მოემართება ჩემკენ...

ვწვები და გაზეთს ვკითხულობ. — ერთ ინფორმაციაში იტყობინებია, რომ რომელიღაც ქვეყნის საპაერო ტრასაზე „ბოინგის“ მარკის თვითმფრინავი აფეთქდა: სხვაგან — თავისუფლებას მოითხოვენ და მუშტებით ემუქრებიან მტარვლებს; გაზეთის მეოთხე გვერდზე ექიმის რჩევაა — ალკოჰოლი და ნიკოტინი იმპოტენციის წყაროა, თავს დროზე უშველეთო. ზემოთ, მარცხენა სვეტში, მეცნიერებათა დოქტორი მზის

შემცვლელ მოწყობილობაზე მოუთხრობს მკითხველს და ანუგეშებს, რადგან რამდენიმე მილიონი წლის შემდეგ ცობრიობასა და დედამიწას მზის მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელის, რადგან შესაძლებელია (და ხელსაყრელია) მუდმივი ენერჯის წყაროს შექმნა; გაზეთის შიდა გვერდზე, მარცხნივ, ქვედა სამ სვეტში მუსიკათმცოდნე კამათობს, რომ ქუჩაში მობორილე ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც გიტარა უკავიათ (ხოლო მოქალაქეები სდევნიან მათ, რადგან მათი აზრით, ჰაბუკებს უფლება არა აქვთ ძილი დაუფრთხონ მუშაობით მოქანცულ ადამიანებს) უნდა მოეწყოს სპეციალური კონკურსები. მუსიკათმცოდნე ასე ამთავრებს კამათს: „მერეღარა, რომ ჰაბუკებმა გიტარის დაკვრა არ იციან და ყალბი ხმა აქვთ, ჩვენ მოვალენი ვართ, დავეხმაროთ მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯამში მივიღებთ სულიგანს ან ლოთს“; ის იყო გაზეთის მოკეცვა დავაპირე, რომ ბაბო მომიახლოვდა. მივუხვდი — სწუხდა, ეგონა, რომ მატარებელზე დამაგვიანდა. კიდეც ორი საათი დრო მქონდა, მაგრამ მინც წამოვდექი და ძირისახლში ჩავედი, სადაც ბაბოს ცალკე მიელაგებინა ვაშლი, ჩიჩრი, მურაბები, არაყი...

ნელ-ნელა ვაწყობთ ჩანთაში. — ბაბოს ხელები ჩემსას ეხებოან, დაფათურობენ და ხილის განაწილებას შევლიან. ბაბო მეცოდება და ვცდილობ ყველაფერი მან გაანაწილოს. ბოლოს ვეწვალებით ჩანთის შეკვრას. რომელიც ჯიუტობს: არყის ბოთლი ზედმეტია, სწორედ ის გვიშლის ხელს. ბაბოს უნდა როგორმე ჩასტიოს ბოთლი, დასატოვებლად არ ემეტება. გვერდზე ვდგები და ვუთვალთვალავ მოხუცს. ბოლმით ვივსები — ყელი მეწვის — ბოთლი არ ჩაეტევა. როცა ბაბო უკან გადგა ორთავ ხელში ჩაბლუჯული არყის ბოთლით და სინანულით შემომამკერდა, ეზოში გავედი, სადაც ყოველი ნივთი და მცე-

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



ნარე ისეთივე ახლობელი, ნაცნობი იყო, როგორც ბაბო. — ჩემი ბალობიდან მოყოლებული ურთიერთობა გამოვიტირე ყველაფერთან...

ჩანთა მძიმე იყო, მაგრამ არ მინდოდა მოხუცს შეემჩნია და მანამ ჩრდილს შევეფარე, გამართული მივაბიჯებდი. მერე ჩანთა დავდგი და განათებული ბოძის ქვეშ მდგარ ბაბოს ვაგხედე, რომელიც მარცხენა ხელით ბოძზე იმაგრებდა თავს, კისერგამოწვდილი ერთხელ კიდევ ცდილობდა ჩემს დანახვას და მარჯვენა ხელში მოჭმუქნული ჩვრით ცრემლებს იწმენდა.

ჩემი სოფლიდან მომავალი მატარებელი არა ჰგავს იმ მატარებელს, რომლითაც სამი წელიწადი ვმგზავრობ. საათნახევარში ჩავდივარ იმ ქალაქში, სადაც ვმუშაობ. ამ საათ-ნახევრიდან ერთი საათი ქალაქიდან ვასვლას ვუნდები. თუმცა ეს აღარ მებრახებს, რადგან შევეჩვიე და შევძელი ჩემი თავი ჩამეთავალა ამ საათნახევრიანი მოგზაურობის აუცილებელ ნაწილად...

მეორე გაჩერებაზე არგო ამოდის და მესამე ვაგონში ჯდება. მისი კვადრატული სხეული ოდნავ მაღიზიანებს და სულ მოთხრობების სიუჟეტს ვეძებ. არგოს გაუმართლა დღეს. რაიონის მთავარ აგრონომთან ზის (რაც ეამაყება). აქამდე (მანამ ისინი ცალ-ცალკე იყვნენ) არა დარდობდნენ შკაცრი ზამთრის მიერ მიყენებულ ზარალს. ახლა, მათმა შეხვედრამ გააჩინა ერთობლივი დარდი. — თურმე, წლებანდელი ზამთარი უმკაცრესია („სეინდისი სად არის?“), სულ გაყინა, გაუბედურა და მოსპო ბალ-ვენახი...

მათი საუბარი უძლეური კაცის ოხვრითა და მსუბუქი ლანძღვით მთავრდება. თვალი ავახილე — თოვლიანი ველებების ცივი სილამაზე დავინახე. მიყვარდა გასურდრული სითეთრე და მისი მიზეზი...

არგოს ჩახრინწულმა ხმამ მისი ავადმყოფობები გამახსენა. საცოდაობა, რომელიც თოვლის გუნდაზე დატკობილი ეკლების გროვას ჰგავდა, ზღარბივით იჩხვლიტებოდა და მაიძულებდა არგოს

დარდი (უმკაცრეს ზამთარზე და ბაბო ვენახების გაუბედურებაზე) გამეხიარებინა და მეც ვავლიზიანებულყავი...

ბერდიამ არ შემომხედა. — კიდევ დამაგვიანდა (თუმცა რამდენიმე დღეა დამრჩა და სამსახურს თავს ვანებებ, მაგრამ ბერდია მაინც ნერვიულობს)... როცა კაბინეტი დაცარიელდა, ბერდიამ იმაზე უფრო ოფიციალურად ვიდრე ოფიციალობაა — ამისნა, რომ თუ კიდევ გავიმეორებ (დაგვიანებას), იგი სხვა ღონისძიებას მიიღებს. — ჩემი თავი კინაღამ დამისხლტა ხელიდან...

არგომ თუ მიუტანა ამბავი ჩემს დაგვიანებაზე (წინათ, ვოლდემარის ხელში, არგო ხმას ვერ მცემდა)... ბერდიამ (რადგან მე დამაბეზღეს) გადაწყვიტა შენიშვნა მოეცა და მირჩია (როგორც უფროსს შეუძლია რჩევა): თმა გამეკრეპა, წვერი რეგულარულად გამეპარსა — მოკლედ, თავისთვის მომეგლო... გუშინ კი ციომ დამაყვედრა — გართა ხარ, ერთობი, ხალხში ტრიალებ, მე კი სახლიდან ვერ გამოყვია ცხვირიო. ჩემი პასუხი ისეთი იყო, როგორც ყოველთვის — დილის ექვს საათზე ვდგები, შვიდ საათზე მატარებელი ვადის. საათ-ნახევარი ვმგზავრობ სივარეტის კვამლითა და როყიო ყაყანით გამოყრუებული ვაგონით. მერე სადგურიდან ნახევარი საათი ვუნდები სამსახურამდე მისვლას. სამუშაო მძიმეა, მოქმაცველი — ათასნაირი ინფორმაციით მეწეწება გონება. შენ ადვილი გგონია რედაქციაში მუშაობა. ერთი წუთი დრო არა მაქვს. როგორი სახის ცნობა არ გინდა: ტყავნედლეულის ქარხნის შრომითი გამარჯვება, მებოსტნეთა პატაკი, კარტოფილის ჩითილი, მინერალური სასუქის შეტანა, შარშანდელი წარმატებების მიმოხილვა, რძე და ხორცი, წველადობის ჩამორჩენის მიზეზები, გვატემალაში მომხდარი მიწისძვრა. ველტზე, მოგუტენე ტექნიკის ხმაურის ფაქიზად გადმოტემა, როგორ და რით ვავაპრილობოთ მონიკელებული ჩაიდან, ზეგეგმითი პროდუქციის მიღების ხერხი, მელიორაცი-



ის სიკეთე, კონსტრუქტორების მიერ შექმნილი მამაკაცის მაჯის საათის ახალი მოდელი, გრიბის ეპიდემიის მასობრივობა წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულებზე, სასიკვდილო განაჩენი, ყოფილი მინისტრისა, პოპ-მუსიკა ეკლესიაში...

შუადღით ახალი ფოსტა მოიტანეს. იმ ჟურნალს გადავავლე თვალი, სადაც ჩემი მოთხრობები დაიბეჭდა სამი წლის წინ. ერთი ავტორის გვარს მივაქციე ყურადღება, რომელზეც ჩემმა მეგობარმა მითხრა, კარგი მოთხრობა დაუწერიაო.. ნაქები მოთხრობა თეთრი კორპუსით აეწყოთ, ავტორის გვარი თორმეტიანი კიროვის შრიფტით. ავტორი ერთ-ერთ აბზაცში თავის თავს აღარებდა გმირს და ამ ხერხით საკუთარ აზრს უზიარებდა მკითხველს. — იგი დასცინოდა თავის მეგობარს, რომელსაც მიზანი ჰქონდა ცხოვრებაში, ეს არ მომეწონა და გადავწყვიტე საერთოდ არ წამეკითხა ეს მოთხრობა...

ნისლიანი დღე იყო და ცუდ ხასიათზე ვიყავი. თამაზმა შემოაღო კარი. ამწუთას მე მწამდა, რომ იგი შემთხვევით არ მოსულა და დღევანდელ ნისლიან დღესთან და ჩემს განწყობასთან რაღაცა კავშირი ჰქონდა მის გამოჩენას. თოჯინების თეატრისთვის დაწერილი პიესა წამიკითხა. პიესა მომეწონა, გუნება შემიცვალა და ჩემი ლექსები წავუკითხე...

ბერდიამ შემოვიდა. მისმა გამოჩენამ მომაგონა, რომ წვერი უნდა გამეპარსა... სტამბიდან დარეკეს — მაკეტში გაუგებრობაა და მოდიო. ბერდიამ მიჩია, სასწრაფოდ გამერკვია გაუგებრობა და მალე დაებრუნებულყავი. სტამბის დირექტორმა თავი გაიქნია უკმაყოფილოდ. ორი მეტრანაჟე მომცვივდა. აზერბაიჯანულად ამიხსნეს, რომ ცუდად ვაკეთებ მაკეტს და მათზე ტყდება ჯოხი. აქაურ ალიაქოთს უკვე დიდი ხანია შევეჩვიე და სტამბის მუშების მოსაგერიებელი ერთადერთი ხერხი — გალიმება ვცადე. ამჯერად უკვე ვერ გაი-

გეს ჩემი ღიმილი, დაცინვა ეკონათ და კინალამ პინცეტი მაძგერეს თვალში. ყველა მოგროვდა. — პირველი გვერდისთვის განკუთვნილი მასალა, რომელიც მაკეტს მიხედვით ორ სვეტად უნდა წასულიყო, სარდაფში გაეშალათ ოთხ სვეტად. — პირველი გვერდი საშინელი სანახავი იყო...

ვიცოდი, მაკეტს თვითნებურად ცვლიდა ვიღაცა. ეს ადრეც ხდებოდა. ვოლდემარს მეუბნებოდა, შენ ვერ გოტანენ და ამიტომ აკეთებენ ამასო. იმ თანამშრომლებს (რომლების მეოხებით მაკეტი იცვლებოდა) ვერაფრით. გაეგოთ, როგორ შეიძლებოდა ახლად დანიშნულ უფროსს (ბერდიას) ჰყვარებოდა კაცი (მე) რომელიც ყოფილი უფროსის (ვოლდემარის) ძმაცაი იყო... ბერდია კი მე მოხვოდა პასუხს:

- რატომ შეიცვალა მაკეტი?
- მეტრანაჟემა მასალა კუთვნილ ადგილზე არ ჩასვა.
- რატომ?
- არ ვიცი.
- გაარკვიეთ.

მე ვარკვევდი, — მივდიოდი სტამბაში და ჩემივე ხელით შედგენილი მაკეტი მიმქონდა ბერდიასთან.

- ჯონდო, რა ჰქენით?
- მაკეტი მოგიტანე...
- გაარკვიეთ?
- თქვენ თვითონ დარწმუნდებით...
- გაშალეთ მაკეტი!

ბერდიამ ვერაფერი გაარკვია და სტამბისკენ წავედით. აღმოჩნდა, რომ მესამე გვერდის მაკეტიც დაუმახინჯებიათ — პირველი გვერდის მოწინავე მესამე გვერდში გადაუტანიათ, ხოლო პირველ გვერდში ვენერაზე საპლანეტაშიორისო თანამგზავრის გაფრენის ცნობა ჩაუღვიათ. სტამბის დირექტორმა ხელები გაშალა. ბერდია აცახცახდა და სტამბიდან სწრაფად გავიდა...

— კარი ჩაკეტე, ჯონდო... ეს რა ჯოხხეთში მოხვდები. ამ ხალხთან როგორ

ჯივალ დავლიანიძე
წონასწორობა

მუშაობდით? თუმცა, ესეც ვოლდემარის ბრალია და რაც დღეს ხდება, იმ ძველი რეჟიმის გამოძახილია. მე მოვსპობ იმ რეჟიმის კვალს!..

ბერდიამ კაბინეტის ჭერს ახედა და ღვარძლიანად დააყოლა:

— აგერ, ამ მერცხლის ბუდიდან დავიწყებ!.. ახლა კი განყოფილების გამგეებს დაუძახე, — მომავალი გაზეთი დავგვემოთ. მაკეტს სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი შეადგენს!..

ბერდია კითხვებს იძლეოდა... სივარძელში მოკვალათი და ვცადე გაზეთის დაგეგმვის დროს გაზურბებული კითხვა-პასუხი გადამეჭვია ცხოვრებისეულ უდიდეს სიამოვნებად.

ბერდია წითელ ფანქარს აკაკუნებდა:

— პირველი გვერდისთვის რას შემომთავაზებთ?

— პირველ გვერდზე ფოტო მივცეთ!..

— ვინ არიან?

— ბრიგადირი ახალ გაზეთს უკითხავს მუშებს.

— რომელი მეურნეობაა?

— მეხილეობის!

— ბრიგადირს ძალზე დაბლა უჭირავს გაზეთი... სად არის ჩვენი ფოტოკორესპონდენტი?

— მივლინებაში!

— კიდეც რა შეგიძლიათ შემომთავაზოთ პირველი გვერდისთვის?

— მეცხოველეობის დარგის შემდგომი ამაღლებისათვის მიღებული ღონისძიებები!..

— სწორად ილაპარაკეთ — შემდგომი წინსვლის ღონისძიებები...

— შემდგომი წინსვლის...

— კიდეც?!

— ორი ინფორმაცია!

— ადგილი კიდეც არის?

— არა!

— დავიწყეთ მეორე გვერდი...

— კოლორადოს ხოჭოს შესახებ...

— არ მინდა!

— სასარგებლო მასალაა, — სპეციალისტი გვიჩვენს...

— არ მინდა!

— კოლორადოს ხოჭო ^{ფიქრატული} მასალაა...

— არ მინდა! სხვა რა გაქვთ?

— ინფორმაცია კარტოფილის დარგვაზე!

— კარგია! კიდეც!

— ორი ინფორმაცია ბრიგადის დაჯილდოებაზე!

— კარგია, შემდეგი!

— ექიმის ფოტო!

— არ მინდა!

— მოწინავე ტრაქტორისტის ფოტო!

— კარგია! წარწერით არის?

— ღიას!

— კარგია! მესამე გვერდისთვის რა გვაქვს?

— კოლორადოს ხოჭო და ოფიციალური მასალა სოფლის მეურნეობის ტექნიკის საბოხი მასალით მომარაგებაზე!

— კარგია! გვეყოფა! მეოთხე გვერდზე ჩვენი პასუხისმგებელი მდივანი იზრუნებს.

მე თვალი გავახილე და წყალი მოვსვი. სანამ ყველა არ გავიდა კაბინეტიდან, ბოთლი არ მომიშორებია პირიდან. ამან ბერდია კარგ ხასიათზე დააყენა და დაინტერესდა — რამდენ ჰქონდა წყალსა სვამო. როცა ვუთხარი, უფრო გაეხარდა და ხითხითი დაიწყო...

შესვენებაზე ბუფეტში შევედი. ბევრი ხალხი იყო. ყველა ჩაის სვამდა. ერთ მაგიდაზე მუქი შეფერილობის ბიჭები ისხდნენ და რადიოტრანზისტორს უსმენდნენ. კლარნეტისა და ზურნების ხმა ნემსივით იჩხვლიტებოდა. ერთგან ზურნებმა და კლარნეტმა ხმას დაუწიეს (რამაც ბიჭებს ლაშპირი გაუხსნა და ოქროს კბილების სიმღიდრე გამოუჩინა)... მერე თარი აკენესდა, ხუჭუჭა კეკლუცობით აციმციმდა და ბუფეტში მყოფთ სახეები გაუბადრა. თარმა იმდენ ხანს იდილინა, რომ მისი ხმაური ჩაისფრად შეიმღერა. ლუკმა-ლუკმა ვყლაპავდი პურს და ეს მაცოფებდა. არადა, რაც უფრო ჩქარა მოვრჩებოდი ჰამას, უფრო მალე დავიხსნიდი თავს ჩა-

ისფერი თარის კვნესისაგან... თარის
ოხვრა გარეთ გამოძყვა და რედაქციის
შენობასთან სუნთქვა შემიკრა. სტამბის
დირექტორმა შემატყუო უგუნებობა და
მირჩია, დღეში სამი ტიქა მაგარი ჩაი
დამეღია. ხმა არ გავეცო, კაბინეტში შე-
ვედი, კარი ჩაკეტე და ფეხები შევაწ-
ყე მაგიდაზე. ცოტა ხანს ასე ვიჯექი. მე-
რე, მოხუტულ თვალებში ჩაწოლილი
სიბნელე განათდა, გაქათქათდა და გუ-
ლის ფეთქვა ვიგრძენი. თანდათან მომ-
რავლდა პულსაციის წერტილები და
თვალებში გამეფებულ სიქათქათეში
დავინახე, როგორ ვიქეცი გულად. —
სისხლის ნაკადი შხივილით დაეშვა მარ-
ჯვენა ბეჭის სიღრმეში... რამდენიმე წუ-
თში ფეთქვა დაიწყო მთლიანად... თოვ-
ლისფრად გამომშრალ მიდამოში, მე
რომ ვუყურებდი, დიდი მწვანე ლოღია-
ნების გოლიათები ფეხმორთხმულები
ისხდნენ უსასრულო სიწმინდის მინდვ-
რებზე და დუმლის ჰაერით სუნთქავდ-
ნენ. ბალახებზე გაწოლილ მწვანე სიმ-
სუბუქეზე დაბალხმიანი სტვენა დაცუ-
რავდა. მიდამო ირწეოდა, ყანასავით
ღელავდა. თავლში აგლესილი რძის სუ-
ნი ბორიალებდა. წისქვილის დოღაბის-
თვალება გოლიათები გახევებული ისხ-
დნენ. როცა სიყვითლემ მოიმატა, ქვის
კანები გაიცრიცნენ და გამჟვირვალე
სხეულებად ჩამოდნენ. მათ სხეულში
ჩაქსოვილი ძარღვების ასხმულაში თეთ-
რი სისხლი მოძრაობდა სტვენით. ამ მი-
ნდვრებში სრული სიმშვიდე სუფევდა.
— ყველაფერი იფანტებოდა, არაფერი
იწყებოდა და არც არაფერი მთავრდებ-
ოდა...

კარზე დააკაუნეს და ძლიერი ქრუ-
ანტელის კვნესით შემომეხსნა პულსა-
ცია... ბერდია შემოვიდა. ილანძღებო-
და — ის მსალა, რომლის გამო დილით
აურზაური ატყდა, მაინც არ არის ვაზე-
თში, ვის რა უფლება აქვს, რედაქტო-
რის მიერ დამტკიცებული მაკეტი შეც-
ვალოს? ასე მუშაობა არ ივარგებს, სა-
ბოტაეის სუნიაო!

ბერდიამ მთხოვა ყურადღება მიმეჭ-
ცია გაზეთისათვის, ფოტოგორესპონდე-

ტის მანქანაში ჩაჯდა და შინ წავიდა...
კარი ჩაკეტე, ფეხები ხელახლა შევაწ-
ყე მაგიდაზე, მაგრამ გაწყვეტილი ნათე-
ლხედვა ვეღარ გავამთელე. ბერდიაზე
გავებრახდი და ჯავრი იმითლა ვიყა-
რე, რომ ავდექი და მეც სახლისკენ გა-
ვემგზავრე...

ქალაქის ქუჩების ფეთქვა თეთრი სი-
სხლის მოძრაობას მივამსგავსე და ჩემი
არსებობა გამეხარდა...

ტროლეიბუსის მძღოლი ჩემი ბავშვო-
ბის მეგობარი აღმოჩნდა. რობერტი
აღარ იყო მხიარული. დინჯად მესაუბ-
რებოდა. ერთმანეთი დაგვაგიჟყდა, ერ-
თხელ აღარ ამოხვალო, — მისაყვედუ-
რა. ჩემი მოთხრობები წაუკითხავს.
იღიმება — ჩემზე ნებისყოფიანი ყოფი-
ლხარო. სკოლაში ისიც წერდა ლექსებს.
ჭიდაობაზე ერთად დავდიოდით... დამე-
ნანა ის ბავშვობა, რომელიც მოგონება-
დღა დავგერჩა...

საათს შევხედე, ლექციებამდე ორმო-
ცი წუთიღა დარჩა, — სახლში ვეღარ
მოვასწრებდი წასვლას. სასადილოში
შევედი და ორი ხაჭაპური ვიყიდე. ორ
სახედასიებულ კაცს მივუჯექი მაგიდას-
თან. ორ-ორი ბოთლი ლუდი ედგათ წინ
და ნელ-ნელა წრუბავდნენ. გაუკვირ-
დით, — ამხელა კაცმა ორი ხაჭაპურით
რომ დავაპირე დანაყრება და ავადმო-
ფობაზე წამოიწყეს საუბარი. — შემი-
ცოდეს. დიაგნოზიც დამისვეს — ღვიძ-
ლი... ძნელია ღვიძლის ტკივილი, მერე
თუ დაშლა დაიწყო... ციროზი... ექს!..

ერთმა ადრე გამოცალა ბოთლები და
ადგა. მეორემ დააცადა, სანამ სასადი-
ლოდან გავდიოდა და ჯიბიდან ფრთხი-
ლად (ქურდულად) ამოაცოცა გამხმა-
რი თევზის ნაჭერი... მე ნელა ვჭამდა,
რაც აღიზიანებდა ჩემს მეზობელს. ბო-
ლოს, ვეღარ მოითმინა და მწყურალად
ამიხსნა: „მამ რა უნდა ვქნა? რაო,
სწორად არ მოიქცა? ღორია და

ჯიშალ დავლიანია
წონასწორობა



უსინდისო რახან თევზი არ უწილა-
და ძმაცას? როცა არ იცი, სხვის საქ-
მეში არც უნდა ჩაეროთ კაცი. მაგას ათი
წელიწადია ვიცნობ. შენ რომ იცოდე,
რა ქვეშევრეშა და ხელმოჭერილი, სხვა-
ნაირად დამიწყებდი ლაპარაკს. — ლუდს
ქაფანადა სვამს, ისეთი წუწურაქაა...
რატომ უნდა მეჭმია მისთვის თევზი?
ყველაფერი კარგი და ვის რა უფლება
აქვს დამაძლოს სხვას თევზი ვაჭამო?
არ მინდოდა და არ ვაჭამე, ჩემთვის მი-
ნდოდა და ჩემთვის შევიწინა. ასეთი რა-
მე ჰქვიათ კაცს არ უნდა გაუკვირდეს. ეს
სირცხვილია! ის, რაც ჩემი ნებაა და მე
მესიამოვნება — ჩემია და მე მეკუთვ-
ნის, ამიტომ, დამიხსოვრე, სხვა დროს
აღარ შესცდე, ახალგაზრდა კაცი ხარ,
სხვის საქმეში არ ჩაერო. შენ ჯერ ბევ-
რი რამ არ იცი, იცხოვრე, ნახე... ყველა-
ფერი წინაა. მე (ხელი ჩაიქნია) ერთი
ფეხი იქითა მაქვს, სწორედ ამიტომ უნ-
და დამიჯერო, მე შენ!...”

ლურჯ თვალეში ჩავაკეტირდი, გავუ-
ღრმე, თავი დავუქნიე, ავდექე და ნელა
გავცდი. კარებამდე მომყვა მისი ლანძღ-
ვა. ეტყობა, მეზობელ მაგიდაზე მჯდომ
კაცს უხსნიდა, რომ შეურაცხყოფა მი-
ვაყენე...

ლექციებზე დამაგვიანდა. ახალგაზრდა
ქალი გვასწავლიდა ახალ ქართულ ენას.
ბოლო მერხზე ჩამოვჯექი. ლექტორი
მსაზღვრელ-საზღვრულს გვიხსნიდა,
რაც სილამაზეს უკარგავდა ქალს...

მსაზღვრელ-საზღვრული იყო მამი-
ნაც — სამუშაოდან მშვიერი რომ მოვე-
დი უნივერსიტეტში და ციოს მიერ შუ-
შის ქილაში ჩასხმული ბორში შევკვამე
ბაღში. — ქურდულად ვჭამდი. ზოოპარ-
კისკენ რამდენიმე ლანდი იდგა, სახე-
ლოები დაეკაბიწებინათ და ერთმანეთს
აგინებდნენ... ის იყო ჭამას მოვრჩი და
უქანასკნელი ლუკმა გავდექე, რომ წიხ-
ლი ამომარტყეს. ნაძვს შევასკედი თა-
ვით. მეორედაც მომხვდა ფეხი და შე-
მაგინეს. სანამ წამოვდექი კიდევ ჩამარ-
ტყეს წიხლი...

ნელა ავდექი. ქურდობაზე წასწრებუ-

ლივით დამება ხელ-ფეხი და გაბრაზე-
ბის მაგიერ სირცხვილმა გამაღვინა. ერ-
თმა აყლარწულმა ბიჭმა ნიკაში მომძღო-
ხელი, შემაგინა და ჩემს ჩანთას ამოჰკ-
რა ფეხი. ჩანთაც ნაძვს შეეხეთქა, გაი-
ხსნა, კოვზი და პურის ნაჭერი გადმო-
ცვივდა...

როცა გაგვაშველეს, ის ბიჭი, რომელ-
მაც წიხლი ამოჰკრა ჩანთას, უხსნიდა
მილიციელს, რომ „ისეთი არაფერი მო-
მხდარა“, შემოგლეჯილ პალტოს იმაგ-
რებდა ტანზე და ნახევრად ახეულ ყუ-
რზე იდებდა ხელს წარამარა...

ლექსო გადმოჯდა ჩემთან. — გაუკ-
ვირდა ჩემი ვადაწყვეტილება, აღრუ-
ლად ჩათვალა სამსახურის მიტოვება. —
უნივერსიტეტში სამუშაოს ცნობას სა-
იდან მოიტანო? — შემეკითხა და გაე-
ცინა. ლექტორმა შენიშვნა მისცა ლექ-
სოს...

ლექციის ჩასაწერად გამზადებულ
ფურცელზე დაწერილი უაზრო წინადა-
დებას სამჯერ გავუსვი ხაზი და საზანის
მიერ დაწუნებული (ახლა უკვე ჩემი)
რომანის წერა გავაგრძელე:

„საზანმა ქალებს გადახედა, ხელი ჩაი-
ქნია და ჰიქა დაიკალა.

ჯონდომ მოიცადა, სანამ საზანი ლუ-
კმას ვაღუჭდა, გოგოებს თვალი ჩაუკრა,
ჰიქა ასწია და იმავე ტონითა და პათო-
სით თქვა, როგორც საზანმა:

— მეც იმ ბიჭვითა ვცხოვრობ. —
გრძელ თმას ვატარებ პატარაობიდანვე.
ჯერ „ბითლზები“ საღ იყვნენ. სკოლი-
დან კინალამ გამრიცხეს. რამდენჯერმე
შემკორტნეს თმა, მაბღავლეს, მათი-
რეს... „ბოქსით“ ვაკრეჭილი სლიპი ქე-
ჩოების დანახვაზე, კოსროში წარტყმის
ხასიათზე ვდგები...

უმაღლესი რომ დავამთავრე, ბიძაჩე-
მმა, რომელიც დიდ თანამდებობაზე მუ-
შაობს, (ჯონდომ ცერა თითი მალლა ას-
წია) მირჩია: თმა გამეკრიჭა, შარვალი
დამევიწროვებინა, „ბოქსით“ თუ არა—
„პოლ-ბოქსით“ ვავკორტნილიყავი და
დამპირდა, დაგაწინაურებო. როცა გაი-
გო დაწინაურება არ მსურდა, გაუკვი-



წდა, — განცვიფრდა კაცი. კინაღამ გარდაიცვალა. „რატომო“, — მკითხა და როცა ვუთხარი: მე პოეტი ვარ-მეთქი, სიცილი დაიწყო. დრო დავინაშენე — ზუსტად 1 წუთი და 9 წამი იცინა. რა პოეტი... ვინ პოეტი... მამაჩემის შვილი და პოეტი... საქმე უნდა მენახა თურმე... კაცი გამოვსულიყავი... საღი ჰკუჭით შემეხედა ცხოვრებისათვის... დოყლაპია ვყოფილვარ, ფუქსავატი, უქნარა, ზარმაცი.. პოეტი.. პოეტიო!..

იმ დღით მამაჩემთან წასულა სამსახურში, უთქვამს, შვილი პოეტობს შენი, მიხედვე, მორაჯულე და დანარჩენი მე ვიცი, კაცს დაგაყენებო... აღტყინებული (ჯონდოს გაეცინა ამ სიტყვაზე) მამაჩემი მეცა იმ ღამეს, მაგინა, იმანაც ფუქსავატი, ვიგინდარა, მაიმუნი, ძაღლიშვილი („სუკინ სინ“) მეძახა, პურის ნაჭერი მესროლა, რომელიც ავიციდინე, სითუთად ავიღე და მაგიდაზე დავდე. ეს არ მოეწონა მამაჩემს და წიხლიც ამომცხო. წავიკუხე — მეორე მომხვდა... მეორე, მარცხენა ხელით სილა გავაწანი და, როგორც მამაჩემი იტყოდა, რუმბივით გავაგორე...

სახლიდან გავიქეცი, ტამბოვში ჩავედი და ცოლი შევირთე... ცოლმა ჩამწერა, სამოფრო კურსებზე მომაწყო და ვცხოვრობდით მანამდის, სანამ ტელეგრამით არ შემატყობინეს, მამაშენი კვდებაო. ჩვენს ოჯახში ამგვარი მოტყუების ერთგვარი სისტემა იყო. გადავწყვიტე გამოვსულიყავი...

საღამო იყო. სახლს მივადექი, — პურმარირილი გაშლილი...

შევრიგდით, ვიქეიფეთ და ბოლოს მამაჩემმა მკითხა: ამ აღმა-დაღმა სიარულს როდის მოეშვები, ოჯახს მოეკიდე, საქმე ნახე, ცხოვრების ყალბში ჩადექიო. როცა გაიგო ცოლიც მყავდა და შვილიც — აენტო, პური მესროლა ხელმეორედ, რომელიც ამჯერად ვერ ავიციდინე და თოფით გამომეკიდა...

ისევ გავიქეცი. ტამბოვში ჩავედი. სატვირთო ავტომობილზე დავიწყე მუშაობა. ყოველ კვირას მივლინებაში დავქროდი... სარატოვი, კუიბიშევი, სვერდ-

ლოვსკი, ჩელიაბინსკი, კიროვი, ლენინგრადი... კარგი დრო გავატრე. ჩემს ცოლიც კარგ დროს ატარებდა, როგორც მერე აღმოჩნდა და ოჯახი ამერია... სიმამრმა დედა შემაგინა; მე გავატრე. სიდედრმა მლანძღა და ზესიძე კაცი პანლურეკვრით გამომაგდეს სახლიდან...

მდგმურად დავდექი. მანქანა შემჯავრდა. მუსიკოსი ბიჭები შევკრიბე, ანსამბლი ჩამოვაყალიბე და რესტორანში მუსიკოსად დავიწყე მუშაობა. დროს ვატარებდი... ჩემი ცოლიც დროს ატარებდა... როცა მომხვრდა დროსტარება, ცოლთან მივედი, შევრიგდეთ-მეთქი. არაო, არაო და... დავადე თავი და თბილისში ჩამოვედი; სამუშაოს დავუწყე ძებნა — ვერ ვიშოვნე. ავიკვიტე, მასწავლებლობა მსურს-მეთქი, ჩემი სპეციალობით... ადგილები არ იყო. რიგში ჩავდექი აღმასკომის განათლების განყოფილებაში. მოგწერთო... მანამდის იმით მომწერეს, მე მივეწერე წერილი ძმაცაცს, რომელიც კისლოვოდსკიში, რესტორანში გიტარას უკრავდა... რა ვქნამეთქი. ჩამოდი, ფულის შოვნა შეიძლებაო. ჩავედი. ფულს ვშოულობდი. ოფიციალტ გოგონას მოვწონდი... მერე ავადმყოფობა შემხვდა. გოგონა საღდაც გადაიკარგა, მე თბილისში ჩამოვედი და დისპანსერში დავწექი. ყოველივე ამის გამო ლექსების წერას მოვუხშირე, მაგრამ რადგანაც ისინი არსად მიმქონდა, რედაქციამ კი აბა რა იცოდა, რომ პოეტი ვიყავო, თავი დავანებე... თვალმხასისხლიანებული ბიჭები იწვნენ ჩემთან... ვსვამდით... გავვიგეს და ორი კაცი გამოგვეწერეს დისპანსერიდან...

დავიბოლმე და ტამბოვში ჩავედი; ცოლს მუხლებში ჩავუვარდი, პატიება ვთხოვე, სიყვარული მოვავონე, ნაკვერჩხალი გავადვივე, სიდედრ-სიმამრ-ცოლი ერთმანეთს წავკიდე და ცოლიც გარეთ, ჩემს გვერდით აღმოჩნდა... ტექნიკოსად მოვეწყვე საკლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში. სინამდვილეში მომპ-

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

არაგებელი ვიყავი. მივლინებებმა შემოკლეს... თითქოს დავწყნარდი და ერთ ღღეს, ნაღვინევზე, შევამჩნიე, რომ მიწა გაქანავდა. ფეხმა ფუჭი სვლა გააკეთა და ლამის წავიქეცი. ერთი კვირის შემდეგ საარქონის ჩარჩოზე ორი კატის კნუტი დავინახე. თამაშობდნენ... აცხამეთქი, დავუძახე. ცოლი შემოვარდა, მითხრა — კატები არ არიანო ოთახში და გავიდა.

მერე ექიმებმა დამარიგეს — იმკურნალე, ნოსტალგია არისო... თბილისში წასვლა, ჰავა, მწვანელი, ხილი, ოხრახუში, კომბოსტო მირჩიეს... არა ვქენი. როცა მიწამ ყოველდღე დაიწყო ყანყალი, ცოლს ვთხოვე — თბილისში წავიდეთ-მეთქი. დამარიგა, წადი, მორჩი, იმკურნალე და მერეო...

წამოვედი, ჩამოვედი. ექიმებთან დავიწყე სირბილი. მიწა ისევ ქანაობდა, მაგრამ ამას ახირებული რაღაცეები დაერთო, ღამე რომ დავწვებოდი, ჩემი ხელების მეშინოდა, არ დამახრჩონ-მეთქი. რამდენიმე საავადმყოფო მოვიარე და ბოლოს ფსიქიატრიულიდან გამოვიქეცი. შენობა რომ ჩაკეტილი არ ყოფილიყო კიდევ ჰო... ერთხელ რუსთაველზე, ორ ნომერ ტროლეიბუსში ვიჯექი და ძმაცაცთან მივიდიოდი. ჩემი ხელები-სა მეშინოდა, მუხლებშუა მქონდა მოქცეული და ისე ვიმბარებდი. ჩემს გვერდით გამხდარი ბიჭი იჯდა და წიგნს კითხულობდა. დავაცქერდი და აი რა წავიკითხე: „ჩვენ უნდა მზად ვიყოთ ყოველთვის! შეცდომა იწყება მაშინ, როცა ჩვენ ერთხელ უკვე გავიფიქრეთ, რომ „მე ვერასოდეს ვერაფერს მივადწევ!“ უბედურება იმ წუთშივე დაგვატყდება თავს, როგორც კი ამას გავიფიქრებთ. ამ აზრით ჩვენ კედელს აღმბარ-

თავთ ჩვენში ჩაბუდებული საკუთარი ძალებისა და ჩვენს „მე“-ს, მორღეს-ს არის კედელი, რომლის დანგრევასაც არაცხელი ენერგია სჭირდება. არ შეიძლება, ოდესმე ვიყვეთ პასიურები... აუცილებელია გვჯეროდეს საკუთარი „მე“, რომელიც ჩვენი ცნობიერების გარეშე მართავს სიცოცხლეს. უარყოფითი ინდივიდი ხსნას ეძებს გარედან...“

გამხდარ ბიჭს ჩუმად ავედევნე, და წიგნი წავართვი...

რალა არ ვნახე, ჩემო საზან — მაგრამ მამაჩემისთვის ფული არ მომიპარავს...

ჯონდო იცინოდა.

მერე ჯონდომ ჭიქა დაცალა და ფერწასულ საზანს უთხრა:

— მამაშენი გიყვარს, ვიცი, მწამს... შენმა უნამუსობამ ვერ შეძლო დავერწმუნებინე იმაში, რომ შენ არაკაცი, დაუნდობელი, კაცთმოძულე და მამის მკვლეელი ხარ... შენ გიყვარს მამაშენი... ამას ვერ წავართმევს კაცი, ამას ვერც გადამათქმევინებენ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენ გაძარცვე... თუმცა შემთხვევითობა არ არსებობს... შენ იმიტომ გაუჩინდი მამაშენს, რომ გაგძარცვა...

ნესტანი ტიროდა და საზანი ეზიზღებოდა.

თეკლე შეშინებული იჯდა და ჯონდო უყვარდა.

საზანი გაოგნებული იყო.

ჯონდო ღვინოს ასხამდა და ამბობდა, რომ მას უყვარს ყველა: საზანიც, ნესტანიც, თეკლეც, თავის სიმამრიც, ცოლიც, შვილიც...

როცა საზანი დათვრა, ჯონდოს გადაეხვია და ტირილი დაიწყო. თან მამას ახსენებდა... ბლუჯუნებდა, ცრემლი სდიოდა...“

გაგრძელება იქნება





ვერეხა

ლექსო, ამდენი ტანჯვით ნაშობო,
უკვდავებაზე ბევრიც იდავონ,
გულზე ხელები არ დაიტავო,
ნუ შეეცდები ყველას აჯობო.

მუხლმოდრეკილი გთხოვ, გვედრები —
აურაცხელიც გქონდეს, უღივი —
მკერდზე ბრჭყვიალა სამკაულები
არ დაიკიდო, როგორც მედლები.

და კიდევ, კიდევ მე გვედრი ამას —
ნუ გაიკვირვებ დედობრივ აღერსს
და ნულარც მამის ჯაფრიან თვალებს,
რამეთუ მე ვარ დედაც და მამაც.

არ შეგაძრწუნოს შურმა მეზობლის, ...
გადექი გვერდზე, ნურავის ყვედრი;
უმრავლესობის გაიყავ ხვედრი,
ხმას ნუ აპყვები უმრავლესობის.

ნუ დაიშურებ ღმერთის ნაბოძვარს —
მგზავრს უწილადე პურის ნატეხი.
რაკი მუხლამდე წყალში ჩადექი,
უნდა შეუდგე ხიდს დედაბოძად.

და ბოლოს: ლექსო, ტანჯვით ნაშობო,
გერჩინოს — თუნდაც სვე-ბედი რიქშის,
ვიდრე აღმოჩნდე წყვეულთა რიგში —
ძირგამოცლილი და უსამშობლო.

სიმღერა

ვუძღვნი ჭინას და ირაკლის

მე ამ სიმღერას ხმამაღლა ვმღერი —
მქონდა მამული, მაქვს და მექნება.
მტრის ფეხით აღარ დაიბეკნება
ბიბინა ყანა პურის და ქერის.

შვილებო, გქონდეთ იმის შეგნება,
არ გაუჯავრდეთ მშობელ მთა-გორებს,
მიეხმატკბილეთ და გააგონეთ —
მქონდა მამული, მაქვს და მექნება.

რამდენიც უნდა გჩხვლიტონ ეკლებმა,
შეინარჩუნე სულის სინაზე;

იმღერე, ჭინა, ყველას ჭინაზე —
მქონდა მამული, მაქვს და მექნება.

მქონდა მამული, მაქვს და მექნება —
ომახიანად ჭეჭე, ირაკლი.
ასეთი არის ჩვენი ჯილაგი:
გარდავიცვლებით — მოვალთ ძეგლებად...

ბიბინა ყანა პურის თუ ქერის
მტრის ფეხით აღარ დაიბეკნება.
მქონდა მამული, მაქვს და მექნება —
მე ამ სიმღერას ხმამაღლა ვმღერი.

გაიხი, 1945

ხანდახან დღესაც ვხედავ,
დღესაც იელვებს თვალწინ
როგორ მინელდა ხეთა
თავბრუდამხვევი ვალსი,
როდესაც დაწყდა წვიმის
უკანასკნელი სიმი.

ყველგან —
უკანაც, წინაც —
დაგუბებული წყალი,
ვით გამჭვირვალე მინა,
ანდა აღმასის თვალი,
ილანდება და ბრწყინავს
და მიორკვევს ხალისს.



ჰერი, ბიჭებო, ჰერი, —
სამყარო ისე მღერის,
კატის კნუტივით ფრთხილი
ჩემი გამხდარი ჩრდილი
მიცოცავს

გუბე-გუბე
მზე და მზე,
ღრუბელ-ღრუბელ.
და სულ ერთია ახლა:
თავით კოჭამდე სოფელს
სივრცე მეწვევა მაღლა,
თუ მითრევეს ფსკერი,
სადაც

არგულილია ცა და
თეთრი კრავები ძოვენ...

მზე შემოჭრილა გულშიც;
ამ დღის ფერებით სავესე.
აკამკამებულ ქუჩით
მოვაფრიალებ გაზეთს;
ომი დამთავრდა გუშინ —
ბიძაც ჩამოვა ხვალ-ზეგ.

რად მოწყენილა, ნეტა,
ასე ჩუმი და წყნარი
ჩემი ლამაზი დედა,
ღია ჭიშკართან მდგარი,

სადაც ისწორებს ქამარს
ყავარჯნიანი მამა...

ჭრელი მაისი ბაღში
ისე ძალუმად ჰყვავის,
კი არა ვმღერი —
ვბღაღი
გულამომჯდარი ბავშვი —
წავადებინეთ თავი,
ყოფა ვუტირეთ ფაშიზმს.

...
აპა, გასულა გრძელი
ოცდათორმეტი წელი.
თვალში ჯიუტად მიმზერს
უზარმაზარი სივრცე:
თავით კოჭამდე სველი
მე მოვაბიჯებ ისევ
გზა და გზა,
გუბე-გუბე —
ცა და ცა,
ღრუბელ-ღრუბელ.

... სადაც ორკესტრი უკრავს
და ხეიბარი კაცი
თავდავიწყებით ბუქნავს
ხელში დაცლილი ყანწით.

იყო შეჯიბრი და პაემრობა

იყო შეჯიბრი და პაემრობა,
ლექსების კითხვა და — შური, შური!
ჭერს აწყდებოდა თამამი სული
და მეგობარი მტრობდა მეგობარს.

აღარ მალავდნენ, რაც ჰქონდათ გულში,
და მკერდზე ისე იშენდნენ მჯიღებს,
თითქოს წინ ედგათ ქაჯეთის ციხე,
რომლის აღება მოასწრეს გუშინ.

როდესაც წუთით განათდა ჭალი, —
ეტყობა, ამას არ მოელოდა, —
მესამე რიგში მჯდარმა მელოტმა
მიმოიხედა შემკრთალი სახით.

ვიღაც ბრაზობდა: ო, როგორ ცსოდავს
ის, ტრიბუნასთან მდგარი მგოსანი,
გაბრუებული ტაშის მოსავლით —
ბეგრი მოიმკო, — დათესა ცოტა.

ამ უჩვეულო შეხვედრის ბოლოს
რიგით მერვე თუ მეცხრე პოეტი
ზანტად დგებოდა, როგორც ყოველთვის,
და პირველობას ჩემობდა მხოლოდ:

„— შენს ღვთიურ სახეს სიზმარშიც ვხედავ,
შენი რძით ვკვებავ ჩემს ყოველ სტრიქონს;
შენს სიყვარულში, ვინც უნდა იყოს,
გაგვიბიბრებე სამშობლო-დედავ!“

ხოლო ის დედა, მზეცა და მთვარეც
საკუთარ მხრებით ვისაც უზიდავს
იმზირებოდა იარუსიდან
და იმშრალედა თავსაფრით თვალგებს:

ბოლო რიგიდან — ფიქრად ქცეული —
წინ მოიწვედა უხმოდ და ნელა:
მას ერთნაირად უყვარდა ყველა —
არ ჰყავდა შვილი გამორჩეული.

როცა იგი თოვლზე წერდა,
თქვენ ბუხრებთან ისხედით.
თოვლზე წერდა. თოვლში სევდა
ჰქონდა ნაგულისხმევი.

ხის ტოტებში ჩამალული
არარსებულ შუკებთან
არარსებულ თოვლის ზვინებს
მთვარე ძლივს აშუქებდა.

მართლაც იმ წელს, დეკემბერში,
თოვლმა მოსვლა ინება
და თეთრ ლექსში თეთრი სევდა
დადგა თოვლის ზვინებად.

მაგრამ როცა მზე მოადგა
მგოსნის მყუდრო აგარაკს,
თოვლი გადნა, წყალი დარჩა —
გუბე დადგა ანკარა:

მაშინათვე ქალ-ვაჟებმა
რალაც იღუმალებით
ზვინებისკენ გააპარეს
სევდიანი თვალები.

თითქოს ოდნავ დაბნეული
და შემკრთალი მზერიოთა
უმწვობა ილანდებდა
გამჭვირვალე ფსკერიდან.

ლ ი ა

უთქმელი და უსაშველო
მჭირდა რომლის გამო სევდა.
დაქანცული ფიქრებიდან
უცაბედად ამომზუევდა.
ღია ვარო, — მომაჩერდა
ორი ლურჯი ორმო ცისა...
ორმომ ცისა გამახსენა,
რომ შევსრულიდი ორმოცისა.

და მე უკვე ვეღარ ვარჩევ,
რა ფერები ილანდებდა
გულუბრყვილო თვალებიდან:
სალამო თუ დილა დგება;
ვხედავ მხოლოდ, ღია ისე
უცნაურად იყურება,
თითქოს წიგნი მეორმოცე
გვერდზე ფრთხილად იხურება...

მომეჩვენა: ყველა გზა და
ყველა ქუჩა იქცა ჩიხად.
შეგბარბაცდი ისე, თითქოს
დამეცალოს ათი ჭიქა.
მესმის ღიას ცხელი სუნთქვა —
გვთიშავს ორი ნაბიჯიდა;
— ამ ჩიხიდან თუ ვერ გახველ, —
იღიმება, — რა ბიჭი ხარ.

— რას გააწყობ, — ვუბნები,
ღიაა თუ წადილია, —
მე ჩემს გზაზე გამატარე,
შენ შენი გზით წადი, ღია.
მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს,
და გულს აღარ უხარია:
მარჯვნივ — ღია, მარცხნივ — ღია,
წინ — ღია და უკან — ღია.

— რა ბიჭი ვარ? თუ არ ვჯობნი,
აღარც სხვებზე ნაკლები ვარ.
— მომიტევე, თმაში თოვლის
ფანტელები გაგრევიან.
— ამ ორ ნაბიჯს რომ გადავდგამ,
ერთნაირად გაქრებიან.
— გვიანია! — ხმა მომესმის
თითქოს ტაძრის ნანგრევიდან...

ასე გადის ეს ცხოვრება —
გვთიშავს ორი ნაბიჯიდა:
ფეხს გადავდგამ — გვიანია!
არ გადავდგამ — რა ბიჭი ხარ!
აღარც იქით, აღარც აქეთ,
დგას და ჩუმად იღიმება:
— განუყრელი, როგორც ჩრდილი,
ვინც გეწადა, იგი მეც ვარ.



მოწყურებული მშობლიურ ალერსს,
გაბეზრებული წვევითაც, სმითაც,
ყოველთვის, როცა წმიდათაწმიდას
შეურაცხყოფდნენ, ხუჭავდა თვალებს.

ხუჭავდა თვალებს სიმწრით და შიშით,
სიძწრით და შიშით იკვებტდა ტუჩებს.

ყველა უგნურში ხედავდა დურეს,
სძულდა უგნურთა მოღამა და ჯიში.

ხუჭავდა თვალებს: თითქოს ქალიშვილს
ურჯულოებშია ზრახვით ვერაგით
შემოახიეს ტანზე პერანგი
და დააფარეს პირზე ბალიში.

უსუსურობით და სიუძღურით
დამცირებული — ხუჭავდა თვალებს.

ენატრებოდა სხვა მზე და მთვარე,
უკაცრიელი, მყუდრო კუნძული.

ხუჭავდა თვალებს. უაზრო ხარხარს
აყოლილები — იფხანდნენ კეფას.
გულში დარდები ელაგა ქვებად:
„ქრისტიანებო, სადა ხართ? — არ ხართ!

ყოვლის გამჩენო! ნუ დასჯი კეთილს —
ნუ მიატოვებ უმწიფოდ, ცალად.
და თუ გონიერს წაართმევ ძალას,
უბნურს სიკეთე უბოძე მეტი...“

ერთხელ, როდესაც გაკრეფილ ბინის,
თუ ძველი საყდრის შეაღეს კარი,
გაოცებისგან დააღეს პირი:
ტახტზე ესვენა, — იცნეს პროფილით,
ღია თვალებით ჭერს მიპყრობილი,
ყველას ცოცხალი გეონა — მკვდარი.

დ ე ლ ა

ვაიმე, დედა! თავი რა ქვას და კედელს ვახალო,
ვედრება ცამდე არ აღის.
ალვის ხესავით მაღალი —
ბუჩქივით დაპატარავდი.

ხელდატვირთული ბილიკს მიპყვები.
გზაა დამღლევი.
ყოველ საფლავთან იღრინებიან, მწარედ გიყვებენ
ფიქრები, როგორც ავი ძაღლები.

იქით გიჭირავს ისევ თვალები,
სადაც დანჯღრეულ ალაგეს
კიდევ ცოტაც და — გადაველები ოხვრით, წვალებით,
ჩანთიდან ბოთლებს ამოალაგებ.

„აქაც და იქაც, — იტყვი, — ძნელია მარტოდ დარჩენა.
ნახევარ წელზე მეტია, —
გამისკდეს მიწა, — ოჯახის ერთგულ მარჩენალს
შინისკენ აღარ მოგიხედია.“

აღბათ მიწყურები. შემინდე მიწადასაყრელს.
მძიმე ცოდვასაც არ მოვერიდე:
გამიხმეს ხელი — გაპარავდი მარნის გასაღებს,
ქერჩში დაჭრილი ცალ ფეხზე მყარად ვერ იდექ.



გულზე მომაწვა ამ დილით დარდი, გამახვლა და
ძლივს მოვჩანჩალდი ოხერ-ბებერი.
დამეფსოს თვალი — შენი ჭიქა და ხელადა
კვლავ დამხვდა, ხელუხლებელი.

რა ვუთხრა შეილებს? თუმცა რას ვამბობ... არა
სცალიათ, —
დავბერდი — ალბათ გონებას ვკარგავ, —
ქალაქს არიან. ეტყობა, რაკი ქალაქს არიან —
არიან კარგად.

არ გიხარია? — დაკაცდნენ ადრე.
სიკეთის სჯერათ.
ოღონდ მაშინებს: რაც დაემსგავსნენ ტანაყრილ ჭადრებს,
სულ შეცისაკენ გაურბით მზერა...

ვაიმე, დედა! თავი რა ქვას და კედელს ვახალო,
ვედრება ცამდე არ ადის.
ვეღარ გიყურებ — ალვის ხესავით მაღალი
ბუჩქივით დაპატარავდი.

წუხელ მესიზმრა: უზრუნველი და წყნარი —
ყანაში იწვა მამა გულადმა.
გადაურბინა ოთხივე ნალით
ქამმა — ულაყმა...

მეუბნებოდი: — მკვდარსაც სჭირდება მოვლა.
წინ ზამთარია, — რა გალევს ზამთარს!
გარდაცვლილ მამის ცოცხალი ხსოვნა —
ბუჩქივით ჩანდი საფლავის თავთან.

მერე — ყოველი გაუფერულდა, გაუჩინარდა;
თითქოს კალთებქვეშ დაიმწყვდია და —
მოცვი — ჭადართან, შინდი — ჩინართან
გათანაბრა ღამის წყვდიადმა...






მეგობრობა

ნოდარ ჩხეიძის ხსოვნას

დღევანდელი საბედისწერო შემთხვევის მხილველ ამ ერთ მტკაველ მიწას თითქოს პირი უნდა გაეხსნა და სახე ქვესკნელისკენ მიებრუნებია, მაგრამ როგორც გუშინ და მის წინა დღეებში, ახლაც ყველაფერი უცვლელად იყო; თავის ადგილზე იყო საუკუნეობით ფეხდაუდგამ ტყისპირა პატარა ბრტყელ ბექობზე სახელდახლოდ შეჭედული ფარდალალი დიდი ფიცრულიც, ფიცრულის წინ ტანდაბორჯდლილ ვეება მუხის ძირას გაურანდავი ფიცრებისაგან შეკოწიწებული გრძელი „სასადილო სუფრაც“ (ორივე მხარეს გამწვდომი ფიცრებისავე სკამებით) და მუხიდან ორიოდ ნაბიჯ-

ზე, საველე კერასთან მიწაში ჩასმულ ორკაპზე ახირხლული ჭვარტიანი საღომე თუ საკერძე თუჯია — კარდალებიც; ცოტა იქით, მსხვილ მარგილზე მიჭედებულ ალუმინის მრგვალ პირსაბანთან მორის გადანაჭერზე შემოდგმული ტაშტიც; შიგ ჩამბალი საარეცხიც და დალეული, მზისაგან დამსკდარ-გაშავებული საპონიც; ფიცრულის მარჯვენა კედლებთან ასევე უცვლელად ეყარა ტაოტითა და ზნითთ გაზინზლული მანქანის უვარგისი ნაწილები, დაგლეჯილ-დაკლაკნილი მაჯის სიმსხო ბაგირები და ბენზინითა და სალიარკით სავსე რკინის ორი დიდი კასრი... როცა სამუშაო დღე მშვიდობიანად მიი-



ლოდა, ჯანო შოფერი მისაბმელიან ცა-
რიელ „სტუდენტებს“ (რომლითაც მეტ-
ყვეები მორების გადმოსაზიდად ზემო
ახოში მუდამდღე ცისმარე მიემგზავრე-
ბოდნენ და შებინდებისას იმავე მან-
ქანით „შინ“ ბრუნდებოდნენ) სწორედ
ამ ჯაბახანებთან აყენებდა, მონჯღრე-
ულ კარს ლაწანით მირეჯგავდა და თა-
ვისთვის ჩაილაპარაკებდა: „ესეც
ასე!..“ ყველაზე პატარა „მეტყვე“ —
გუჯა კი (მისი ადგილი მუდამ შოფრის
გვერდით იყო!) მკვირცხლად ჩამოხტე-
ბოდა კაბინის საფეხურზე, ფეხის წვე-
რებზე შეწყობილი წაიგრძელებდა ისე-
დაც აყელყელავებულ კისერს, ღობეზე
შემოფრენილი მამლაყინწასავით დაი-
ყვილებდა: „ყიყლი-ყოო!“ და ახითხით-
დებოდა.

— გუჯა, შემომელახე, იცოდე! —
კოპებს შეიკრავდა სუფრასთან წუთით
ჩამოსვენებული ჯემალი (ჯემალი გუ-
ჯას სიძე იყო და ზაფხულის არდადე-
გებზე ბიჭი აქ ამოყვანა). — რამდენ-
ჯერ გითხარი, მამლის უდროო ყვირილი
უბედურების ნიშანია და მოეშვი მაგ
სისულელეს-მეთქი! — მერე სიცილი
წასკდებოდა: — მასეთ მამლებს, იცი,
რას უშვებიათ? ჩამოაბრძანებენ ქანდა-
რიდან, წაადგებიანებენ თავს და ჰაიდა,
მღულარე ქვაბში; მამ!

— ეგ შენისთანა დაცალტვინებულ
მამლებს, ყვინჩილების ყვირილი კი ყო-
ველთვის უხარიათ ოჯახში! — ჯანო
შოფერი მაშინვე გამოეჭომაგებოდა
გუჯას. — აქაო და ჩემი მოყვარეო,
თქვენც ხომ ამჩნევთ, ძმებო, ამ ბოლო
დროს ბიჭს ხმამაღალი სიტყვა შეაჩ-
ვია... ჰოდა, თავად თუ არ მოვიშლია ეგ
სისულელე, საქმე ამასთან გექნება,
აი! — ახეხვიანებული ჯანო გაღვილი
კომბინეზონს მხრებიდან გადაიძრობდა,
შიშველ მკლავს მორკალავდა და კორ-
ძიანი ჯირკის ანახლეჩივით ამობურ-
ცულ კუნთზე ბელტივით მუშტს და-
ირტყამდა.

— უჰ, შენი ჰირიმიე, ჯანო ბიძია! —
კაბინის საფეხურიდან ისკუპებდა გუ-
ჯა, ჯანოსთან თვალისდახამხამებაში

გაჩნდებოდა და ბაჭისავით ჩამოეკონ-
წიალებოდა მკლავზე. — ჯანო, ბრძანებუ-
ლი დათვს ხომ მოერევი?

— მაგის ოსტატი ე, თედო! — იფ-
ხუკუნდებოდა ანზორი. — შარშან
მთელი თვე ვდარაჯობდით დათვს,
ცოცხლად გვინდოდა დაგვეჭირა; ამ
ველურმა კი წუთში გაგულა საცო-
დავი...

— აქეთ მახრჩობდა და აბა, რა მექ-
ნა... — დაიბუხუნებდა თედო.

— კი არ გახრჩობდა, თავისი გვარის
ეგონე და გეფერებოდა! — ეტყოდა
ჯემალი, დაბუხებულ წელს „ჰო-ჰო-
ჰო“ ქოთქოთით წამოიზიდავდა და
ფიცრულს მიაშურებდა... მთელი დღის
ნაჯათეს ბიჭები ჭიფხვით და ბურტყუ-
ნით იხდიდნენ ოფლისა და ჰენჭებისა-
გან გაყიყვებულ ჩექმებს და ფიცრუ-
ლის ერთ კუთხეში სამუშაო იარაღებ-
თან ყრიდნენ, ხოლო ნაძვისა და ფიჭ-
ვის წებოსაგან გახეშებულ კომბინე-
ზონებს კედელზე მიჭედებულ ლურსმ-
ნებზე ჰკიდებდნენ, მერე პირსახოცებ-
ში შეფუთულ „საგარეო“ ტანსაცმელს
ამოიღლიავენდნენ, ზონრებით გადა-
ნასკველ ფეხსაცმელებს ჯერ ისევ ოფ-
ლმუეშრობ მხარზე გადაიკიდებდნენ
და ტატით დაადგებოდნენ ხევში მდი-
ნარისაკენ მიმავალ ბილიკს.

— აბა, ცოცხლად, ბიჭებო, ცოცხ-
ლად! ხელები კარგად დაიხეხეთ, თო-
რემ ისეთი ელარჯე ჩავზილე, შეიძლე-
ბა თითები ჩაიკვრიხოთ და მეშინია,
გაურეცხავმა თითებმა კუჭი არ ავიშა-
ლოთ! — აქირქილდებოდა მხრჩოლავ
კერასთან მოფუსფუსე მზარეული (ისი-
ნი ყოველდღე რიგრიგობით მზარეუ-
ლობდნენ), საკუთარი ნახელავით თავის
მოსაწონებლად სამფეხზე შემოდგმულ
კარდალას სახუთავს ახდიდა, ხის კოვ-
ზით კერძს დაურევდა და ვიშ, ვიშ, ვი-
შო, ხელისგულზე დაწვეთებულ სითხეს
ენით ლოკავდა... ვინ, ვინ და ჯემალი
ბაქია მზარეულს უპასუხოდ გვერდს

ვიტალი გიქიაშვილი
აბაგი ულანოვი

როგორ ჩაუვლიდა, — შეყოვნდებოდა წამით, სხვების გასაგონად აქსუტუნდებოდა და ერთბაშად „სახემოქუფრული“ თავიდან-ფეხებამდე შეათავალიერებდა მეგობარს.

— ვაჟბატონო, ასე უტიფრად რად შემომცქერი? — მინახებულა მზარეული გაბანჯგულულ ლოყაზე ხელს აიფარებდა, პირამიდასავით წამომხობილ ვაჭრის ჩაჩს ფრთხილად შეისწორებდა და თვალს ვაპარებდა წინსაფრის მაგიერ წელზე შემოკრულ კომბინეზონისაკენ. — უჰ, მომიკვლეს თავი, სიმინდის ფეკილი დამყრია...

— ფიჰ, როგორ იმანჭები კუდაბზიკა პატარძალივით! — ამირიზებოდა ჯემალი და ნაძალადევი კრეჭვით იქედნურად ამოღერდავდა, — კბილები!

— რა ბრძანეი!

— კბილები-მეთქი!

— რა კბილებო, რას ლათაიაობ! — საგონებელში ჩავარდნილი მზარეული უცებ შეცვლიდა საუბრის კილოს.

— რას და მაშინდელივით დღესაც თუ მწუთხე ვახშამს ჩაგვაცეცხლებ, იცოდე, თითზე საკბენ კბილს არ შეგატოვებ!

— შე მამაცხონებულო, აგრე გეთქვა თავიდანვე, — მზარეული კოვზს იქვე, ბოკონზე დადებდა, ხელებს კომბინეზონზე დინჯად შეიწმენდა და ბილიკზე უხმოდ მიმავალ მეგობრებს გასძახებდა: — ჰეი, ხალხო, ნაკალოები ხარებივით რომ წავიღუზავთ თავები და მიფობრიკობთ, ვაიგონეთ, რა მაკადრა ამ ბენტერამ?... ხომ გახსოვთ ამისმა ნათითხნმა წუთვემ ამას წინათ მთელი დამე თეთრად რომ გაგვათენებინა?... დაგავიწყდა?..

— გუშინწინდელი ნათავური ვახშამი კი არა; დილით ჩატკვერილი ხოხბის გემო სადილობამდე აღარავის ახსოვს; ცხოვრება წინ მიდის, ბაბა და შენ უკან იხედები?! თანაც მაშინ ხომ გადავარჩინეთ; ხომ არ დავინხოცეთ, სხვა რაღა გინდა; ჰოდა, გიმეორებ: თითზე საკბენ კბილს არ შეგატოვებ, თუ...

— ცოცხალი თავით ვაშში აქედან,

თორემ!.. — დაფაცურდებოდა ახლობრებული მზარეული, მაგრამ ვიდრე მოშიშინე თუჯიაში ჩაჩრილ ქაჯის სიძახო ჩოგანს მოიხელთებდა, ჯემალი უკვე თავქვე გარბოდა შტაბელებად დაწყობილი მორების საწყობისკენ. — სად წამიხვალ, სად, ქვამარილს დაჩვეული ვაცივით ვახშამად აქ მომიბრძანდები!

— ბიჭო, ასე ნამუსგარეცხილი როგორა ხარ, რომ ისევ მარილს მიხსენებ? — უკანმოუხედავად მოაძახებდა ჯემალი.

— ჰო, ჰო, ქვამარილს დაჩვეული ვაცივით ვახშამად აქ მობაკუნდები! — მარტო დარჩენილი მზარეული სატევა-რით იქნევდა ღომშემხმარ ჩოგანს და ემუქრებოდა; მერე პირს იბრუნებდა და უდარდელი ღიღინით შეუდგებოდა ვახშმის თადარიგს. ..

დაქანცული მეტყვევები ხომ ასე უნიათოდ მიაღაცებდნენ ღორღიან ბილიკზე, მაგრამ საქმარისი იყო ავალი მოეკრათ ლოდებზე დაფშენილი მდინარის რძისფერი თქორისთვის, ვაცრეცილი ნისლივით რომ წაჰფენოდა ხეში ნაადრევად ჩაპარულ ბინდბუნდს, რომ სხეულში რაღაც უცნაური, ფიჭაში შეყუჟული ფუტკრების თბილი ფუთფუთის მაგვარი ჟუჟუნი ეგრძნოთ, რასაც საოცარი სიცხადით განიცდიდა ყოველი მათგანი და მათში ნელ-ნელა ღვივდებოდა მთელი დღის შრომისაგან თავწაბეგვილი სისხლისე და ენერგია. სიჩუმეში ვაკრული ასანთის შიშინივით ჯერ კანტიკუნტად გაისმოდა ნაწყვეტნაწყვეტი ქირქილი, ხოლო როგორც კი შიშველ ფეხს შეახებდნენ აქა-იქ მოსილულ ნაპირს და ფილტვებს ხარბად დაიბერავდნენ ბრიტოსავით მოფარფატე წყლის შეხევებით გაქლენთილი ჰაერით, უცებ გაბალდებოდნენ და ერთბაშად სადილობისწინა განწყობილება უბრუნდებოდათ, — ლოდებზე საჩქაროდ შემოდებდნენ პირსახოცებში გამოკრულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელებს ზონრებით ჩამოკიდებდნენ შეტეხილ ტოტებზე, მერე იბირველებდა რომელიმე — „ჰაჰაი-

ტო, იხუვლებდა და დედიშობილა გი-
დაეშვებოდა აღუღებულ მორევში;
პირველს მეორე მიჰყვებოდა, მეორეს—
მესამე და აჰა, ბინდშემოპარული ხევი
ძლივს იტყვდა მათ ხორხოსს. ბრალი
მისი, ვისაც ამ დროს უგუნებობას შე-
ამჩნევდნენ, — ყინულივით წყლისაგან
კუნთებდაჭირსლული ბიჭები ნაპირზე
ხარირმებოვით ამოდგავუნდებოდნენ
და ყურებჩამოყრილ მეგობარს მორე-
ვისკენ ციმციმ ვაიტაცებდნენ...

ვახშობისას ხაზინადარს ჩაუარაეპბ-
დნენ: ახლა თითოს ა, ამდენიც რომ
გადაგვახუხა, ამ ისედაც ზღაპრულ ვახ-
შამზე თვით ქრისტესაც დარჩებოდა
თვალიო... შესამჩნევად ელამი თე-
დო — ხაზინადარი აგდებულ ქვას თავს
შეუშვებდა: ტყუილა იშლით სადერ-
დელს, შაბათ-კვირამდე წვეთს ვერ
მოვაკლებ; ხომ იცით, წამლად მაქვს
გადანახულიო. წაიგრძელებდნენ კი-
სერს და თითებით აჩვენებდნენ: ე ბი-
ჭო, იმ შენი დათვის სულის სახსენებ-
ლად, მარტო ამდენ-ამდენიო.

— ეეჰ, ხათრიანი კაცის საშველი
არ ყოფილა და არც იქნება! — როგორც
ყოველთვის, თედო ახლაც გაბრაზებულ-
ი კაცის იერს მიიღებდა, მაგრამ ეს
დევით ვაჟკაცი შეუფერებელი სიმ-
კვირცხლით რომ წამოხტებოდა და
ფიცრულზე მიდგმულ პატარა საწყო-
ბისაკენ სიმსუქნემოძალეზული ბავშ-
ვივით წაძნეძნულდებოდა, პატარა გუ-
ჯაც კი სიცილით კედებოდა... თედო
მისული რომ არ გვეგონებოდათ, ილლი-
აში ამოჩრილი ბოთლით სუფრის თავ-
თან იდგა და სახეგაბადრული ბურტყუ-
ნებდა:

— იცოდეთ, თავს გაუფრთხილდით,
ნატყენის დასპირტვა არ დაგჭირდეთ,
თორემ... ყველის ვაჭრუქანასავით რომ
იკრიჭები, ყველაზე მეტად შენ გეხე-
ბა, შენი!

ასეთ წუთებში სიამოვნებისაგან
ყველა ხელებს იფშენებდა, იცინოდა
და მე მეუბნებო, ჩემზე ამბობო? —
აჟაყანდებოდნენ, რადგან ირიბად გაქ-
ცული თედოს თვალები ვის უმზერდა

აზრა თუ მზრჩოლავი ჭრაქის შექმნე,
მზისგულზეც კი ძნელი დასადგენი
იყო... ჰოდა, საარყე ყანწიკი თიფი
ჩამორიგება ორნახადს რომ გადახუხავ-
დნენ და ჰუჰ, ავაშენა ღმერთმაო, დაა-
ყოლებდნენ, მერე მათი სიცილ-ხარხა-
რისაგან ბებერი მუხაც კი შმაშურობ-
და... აბა, რომელს გაუძლებდა გული,
რომ ნაეახშემებს კვიმატნარევი ოხუნ-
ჯობა არ წამოეწყო და „ხო-ხო-ხო, ხა,
ხა-ხაო“, ფერდების ატკივებამდე იცი-
ნოდნენ; ამას სხვა ამბავს მოაყოლებდ-
ნენ, ერთს მეორე ვაკენწლავდა, მეო-
რეს მესამე წაეშველებოდა და აი, ამ
წუთიდან იწყებოდა მათი დასვენების
ჟამი. წამომლილი ზოგი ჯამ-ჭურჭელს
დარეცხავდა, ზოგი ნარჩენებს თხრილ-
ში გადაყრიდა, ზოგიც სადგომის უკან
მალალ გვიმრებს სტვენით მიმოჯეგავ-
და, მერე მინავლებულ ცეცხლს დაა-
გიზგიზებდნენ და მუხის ძირას მო-
ხუხუღავებულნი თავიანთი საყვარელი
გასართობებით იქცევდნენ თავს. ნა-
წილს კარტის თამაში იტაცებდა, ნა-
წილს — დომინოსი. ჯონდის გაზეთების
გადათვლიერება უყვარდა, გუჯას
კითხვის მოსმენა, ამიტომ სუფრაზე
მზრჩოლავ ჭრაქს სანთლებს მიუდგამ-
დნენ, ერთ ამოღლიაგება მაკულატუ-
რას წინ დაიყრიდნენ და ჯონდი აგერ
უკვე მერამდენედ კითხულობდა ქვეყ-
ნის გუშინწინდელ ამბებს; ზოგი ცეცხ-
ლის პირას ბოკონს მიიჩოჩებდა, სიგა-
რეტი თუ აღარ მოეძიებოდათ, გაზეთის
ნახევში ცერის სიმსხო თუთუნს შეახ-
ვევდნენ და ალს მიფიცხებულნი ცეცე-
ბივით რომ უღაჟღაჟდებოდათ მზისა
და ქარისაგან გაუხეშებული სახის კა-
ნი) რას არ ჰყვებოდნენ, ვის არ იგო-
ნებდნენ... თედო — ხაზინადარი, რო-
გორც წესი, ყდავაქერცილ დავთარს
და დანჯღრეულ საანგარიშოს გამოი-
ტანდა, სუფრის კიდესთან მოკალათდე-
ბოდა და სხვები რომ თავს ირთობდ-
ნენ, იგი დღის ნამუშევარს ანგარიშობ-

მიტალი მიქიაშვილი
ამბავი უღრანვი

და, ქიმიურ ფანჯარს ენის წვერით ხშირ-ხშირად ასველებდა და ძველ ციფრებს ახალს უმატებდა, ზოგ რამეს კი დაფორის ბოლო ფურცლებზე საგანგებოდ ინიშნავდა.

— ძმებო, თქვენ ხუმრობთ და ასეთი ტემპით თუ ვიმუშავებთ, შემოდგომაზე მთავრობის ჯილდო მიღებულად ჩათვალეთ! — თავაუწევლად იტყოდა და აბუხუნდებოდა კმაყოფილი.

— ანზორ, — დაცინვით იტყოდა ჯემალი, — თუ ძმა ხარ, შეახსენე ერთი მაგ ოყლასი, აი ის, — „შარშანწინდელიც კი მახსოვს...“

— შენგან ბრიყვული დაპირებაო?!
— და ისევ ახარხარდებოდნენ ბიჭები...


შემთხვევით თუ რომელიმე წამოიღლინებდა, მაშინვე აპყვებოდა მეორე, სხვებს უსიმღეროდ რა ვაძლებინებდათ და მეტყვევების ტკბილი ღუღუნ-ღუღუნით შორს, ძალიან შორს მიწინაობდა ათასწლობით გაუწალდავ, ჩაღუსკუმებულ უღრანებში... ასე იყვნენ, ვიდრე ჩუმად რულწამოპარულნი ხმამაღლა მთქნარებით (გუჯას ამ დროს უკვე ეძინა) ფიცრულში თითო-ორთლად არ შეილაღებოდნენ...

კედელთან მიყრილ უვარგის ხარახურასთან ახლა არც მისაბმელიანი „სტუდაბეკერი“ იდგა და ახლომახლო არც მეტყვევთა ჩამიჩუმე ისმოდა. ფიცრულის წინ ნასხევი ტოტები და ნედლი გვირა ყველგან უწესრიგოდ ეყარა. პატარა საწყობის მოღიავებულ კართან (რომელსაც თედო მუდამ საგულდაგულოდ კეტავდა) ზოლებიანი ლეიზის ნაფლეთები ნადრისაგან დაძიძგნილი ტყავივით ეგდო, ხოლო დაბეკნილი ბამბის ფთილები ნაწვიმარი თოვლის გუნდებივით სად არ მიმოფანტულიყო... ყველაფერი რაღაც იდუმალეობით მოცულ შემზარავ ღუმელს ჩაეყლაპა.

ღღევანდელი საღამო არაფრით განსხვავდებოდა გუშინდელისაგან (ცაც

ჩვეულებრივი ხალსით იბნევედა გულსპირზე მოცეკლივე მარჯანკლავებს), მაგრამ ახლა რატომღაც გამაღმაზიანებლად გატრუნული გამოიყურებოდა.

ვეება მუხის ძირას მბუჟტავ კერასთან მხოლოდ ერთადერთი მეტყვევი იჯდა და იგი, როგორც უსინათლოებს სჩვევიათ, დაქინებით მიმტრებოდა მის პირდაპირ, შორს, ხეცს ვაღმა აზვინულ მრუმეშემდგარ მთების წვეროკინსა და ფერდაკრულ ზეცას შორის იარასავით დარჩენილ რუხ-მოყავისფრო მკრთალ ზოლს, თვალსა და ხელს შუა ჩამქრალი მიმწუხრისაგან ძლივს რომ ბუჟტავდა. მარტომყოფი სხეულით გრძნობდა, როგორ უმოწყალოდ წრიტავდა დღის უკანასკნელ ნათელს ყოველი მხრიდან ამობობდებული ღამის კუბრი, როგორ მოკლდებოდა მიჯნა მასა და უკუნს შორის და თანდათან როგორ იძირებოდა და უჩინარდებოდა რატომღაც შიშის მომგვრელ მრუმეში... როცა უკიდევანო მთებიც გაურკვეველი ფერის ცის კაბადონთან ერთად გაუმჭვირვალე მთლიან შავ მასად იქცა, აფორიაქდა კაცი, მხრები ისე შეარხია, თითქოს ამ შავ გარსში ოდნავ სრული სორო უნდა დაიტოვოსო. მისი ზორბა მხარ-ბეჭე მხოლოდ მაშინ გამოიკვეთებოდა, როცა მთის ცივი ბორიო დროდადრო აბნის ხელოივით გადაიბრებდა თევზის ფარფლებივით ფერფლდაფენილ ნაკვერცხლებზე, თორემ მთაში ერთბაშად ჩამოშვავებულმა ღამემ ისე გულმოდგინედ შეიზარდა კაცის სხეული, რომ მკლავის გაწვდენაზე ღველფთან დაგდებულ ჯიბკს უფრო წააგავდა... მას გვერდით ბოკონი ედგა და ზედ შებოლილი სულგუნის ანახლემი, ვანახვერებული არყიანი ბოთლი და ნაპირებმოცვეთილი საარყე ყანწი ეწყო; ბოკონზე ცაცხვის ფოთლებში ვახვეული აფხაზური იჯიკაც იდო, მაგრამ ამჯერად მისთვის თითი არ დაეკარებინა. იგი ისეთ ფიქრს ჩაეთრია, როცა აღამაინში აშკარად ამქლავებდა რეალურის უკვე შეუძლებელი უგულებე-



ბელყოფა და რაღაცის თუ გილატის ნერვიული მოლოდინი. დროდადრო დამურების უსიამო რიალსა თუ ნიავისაგან აჩოჩოლებული ტყის ჩქამზე თავს დაფეთებულებით წამოსწევდა და ბარისკენ დამავალ, ახლა დამეში გაუჩინარებულ გზის ანატკეჩისაკენ ყურალესილი იყურებოდა...

უკვე რახანია ჩაქრა მიწისა და ზეცის გამკვეთი ის რუხ-მოყავისფრო მკრთალი ზოლი, ის იოტისოდენა იმედის პწკალი, რასაც საოცარი სიჯიუტით ებღაუჭებოდა, მაგრამ გონებაში ჩარჩენილ ნათელი ზოლის ყოფილ ლეკვერთხივით სატრყელს ახლაც გონებში მისციებოდა, რადგან შიშობდა — აზრის უნებლიე გაქცევას არ ჩაეშტო არა მარტო დღისა და ღამის გასაყარი (მისთვის საიმედო) სხივი, არამედ ის, რასაც სამხრობისაქეთა დრო შეალია. მაგრამ რაც უფრო მტკივნეული ძალდატანებით ცდილობდა განცილ-დანახულის ვაანალიზებას, მით უფრო ცხადად გრძნობდა, რომ რაღაც გარეშე ძალის მეშვეობით თანდათან ღიბრი ეფინებოდა ყველაფერს, უფრო დიდხანს ეთიშებოდა მიწას და ქარაშოტისაგან ატაცებული ბაბუაწვერასავით სადღაც დაფარფატებდა, ისიც კი ავიწყდებოდა, რასაც სულ ახლახანს ასე თვალნათლივ ხედავდა, — თუნდაც მთების კენწეროებზე გალარტყულ იმ რუხ-მოყავისფრო მკრთალ ზოლს, ბინდის დადგომისას თვალი რომ წაატანა, ზოგჯერ ველარაფრით ვერ იხსენებდა. უფრო მეტიც: ზურგსუკან მოშავშავე ფიცრულიდან რამდენჯერმე მკაფიოდ გაიგონა ქალის საოცრად ნაცნობი, საყვარელი ხმით წარმოთქმული თავის სახელი: „ჯონდი... ჯონდი...“, მაგრამ ის გარეშე ძალა (რომელიც ახლა მასზე გაცილებით ძლიერი იყო) არწმუნებდა, რომ ყველაფერი მოჩვენებაა; მოჩვენება ისიც, რაც მოხდა და ისიც, რაც უნდა მოხდეს, თორემ აბა, ამ უსიერ ტყეში დამით ქალი საიდან გაჩნდებოდა?! მან ახლა რამდენჯერმე სცადა ფიქრით მაინც გასცლოდა ამ

უღრან მთა-გორებს და მისთვის აუცილებელ ფერებში წარმოედგინა დღევანდელი საბედისწერო შეზღუდვის შესაძლებელი გაგრძელება, მაგრამ ყოველივე — აბსტრაქტული თუ რეალური, დანახული თუ ფანტაზიით ხორცშესხმული, ერთიმეორეში ეხირებოდა და სხვა რომ ვერაფერი ეღონა, ბლის ქერქივით დაფორეჯებულ ტუჩებს კბილებით იღუქავდა. დროდადრო, როცა გონების სასწაულმოქმედი ბორბალი ნათელმხილველებით აუმოქმედდებოდა, გრძნობდა, რომ იგი ახლა ისეთ რამეს უკირკიტებდა, რომელსაც ამქვეყნად პასუხი იქნებ არც გააჩნია, მაგრამ მათი წასვლის შემდეგ საიდანღაც მოვარდნილი კითხვა ეშმასავით ისე ღრმად ჩაუძვრა სულში, რომ მისგან თავის დაღწევა უკვე შეუძლებელი იყო...

სიბნელეში ხელის ფათურით მოიძია ბოკონზე შემოდგმული განახევრებული არყიანი ბოთლი და ხარბად დაეწაფა. ცეცხლივით ორნახადმა ჯერ მდუღარესავით ჩასწვა ყელი, მერე თანდათან განშტოვდა, უკან შემობრუნდა და ისევ მიუბუტა გონება, ისევ ააქანავა უზარმაზარ აბლაბუდაში... მისთვის ახლა შვებაც იყო, რომ შებინდებიდანვე არაყს მიძალეზულს უამი-უამ მხოლოდ მივიწყებული სიზმარივით ბუნდოვნად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენდებოდა აქ, ამ გაბარდნილი მუხის ჩრდილში სახეგამიტკლებული მეგობრების ნერვიული ფაცი-ფუცი; ისიც — კრიქაშეკრულმა ბიჭებმა ორი საკაცე სასწრაფოდ რომ შეკრეს, ზედ დაწყობილ თხილის ტეტებსა და ნედლ გვირაზე ნაბდები წაფინეს და თითოზე თითო დასახიჩრებული მეგობარი დაასვენეს.

— ძებო, თქვენი ჰირიმე, ჩქარა წაიყვანეთ ბიჭი, ჩქარა! — ახალ საკაცეზე გადაყვანისას ჯანო შოფერს წუთით ისევ დაუბრუნდა გრძნობა. — ექიმი... ექიმი... — მისუსტებულმა დაუძღუ-

ვიხალი მიქიაშვილი
ამბავი ულარაშვი

რებული სადი ხელი ნელა წამოზიდა, ბურუსჩამდგარ თვალეზში ალიცილიცე-ბული გაურკვეველი ფერის სითხე ათ-რთოლებული თითებით ლოყებზე ძლივს გადმოიგლისა და ამოიოხრა. — ანზორა ვაჭლიკულო, ამ მკლავის „ში-ში“ ნულარ გექნება... მოგჭამა ჭირი...

— ასე ვიცი მე, ხომ მოგაკაკიე თითი — ხუმრობა სცადა ანზორმა.

ჯანომ გაღიმება დააპირა, მაგრამ სა-ამისოდ ძალა არ ეყო და მხოლოდ სქელ ტუჩზე ჩამოფოჩილი უღვაშის კიდე შეარხა ოდნავ. ფართოდ გახე-ლილი სიცხიანი თვალეზი უღრუბლო, საოცრად კრიალა ზეცისთვის მიეპყრო და ახლა თუმცა ბევრს ვერაფერს ხე-დავდა, არც ფიქრისა და განსჯის ძალა შესწევდა, მაგრამ თვალეზის მოძრა-ობაზე ეტყობოდა, რომ დაძაბული რა-ღაცას იხსენებდა, ბუნდოვანებიდან გა-მოსვლას ცდილობდა... მერე წამში მოხდა ყველაფერი, — ყურები დაებუ-ვა, ხმა აღარ ესმოდა, თვალეზი აემლ-ვრა, მაგრამ ვიდრე კრიალა ცა სახეზე წამოემხობოდა, ვიდრე ტანქვეშ მიწა გამოეცლებოდა, ერთხელაც მოიკრიბა დაწებრილი ძალა, სადი ხელი მოტე-ხილ, რუმბივით გასიებულ ფეხს წა-უშინა და აყვირდა:

— გინდათ, სული შემრჩეს და მერე მთელი ცხოვრება ვიტანჯო... არ მინ-და, არა, არა..

ბიჭები სანამ საკაცესთან მიიბრუნდ-ნენ, ხურვებამოძალეზული ჯანო უკვე ბორგავდა: — „გუჯა, არ დაიბნე, შენი ჭირიმი... არ დამლუპო, ბიჭო... ბეჭით ვაგლიჯე კარი... რას მიყურებ, ჩქარა გადახტი... ჩქარა... უხს“ — მკერდიდან დაძრულმა ყრუ ხრიალმა სული შე-უგუბა, მერე ყელში რაღაც აუბუყბუყ-და და შეკვეთილი სისხლი გატეხილი ჩი-ტის კვერცხივით გადმოედუჟა ნაცრის-ფერ ტუჩზე. ჯონდომ სახეზე ხელეზი აიფარა, მუხასთან მიბარბაცდა და აცა-ხცახებული ხეს მიეყრდნო, მერე ნელ-ნელა უსუსტა მუხლებმა, ზურგით ჩა-ფხოქნა მუხის ხორკლიანი ტანი და ფე-სვზე დაჯდა... ანზორმა (მას ახოდან

ჩამოსვლის შემდეგ ჯერაც ვერ მოეცა-ლა ჩაცმა და ფეხშიშველიე ქვედახეც-ვალის ამარა იყო) ნაჯახე და საკაცეს საბიჯი ორკაპები ძირს დაყარა, პატა-რა საწყობში დამდურღულივით შევარ-და და ზოლებიანი ლეიბი გამოათრია.

— თედო, მომეხმარე! — წამოიძახა, მაგრამ მას აღარ დალოდებია, ლეიბი გაფხრიწა, ნაჯევი ბამბა გამოძიძგნა და საკაცესთან მუხლებზე დამხობილმა გონებადაკარგულ მეგობარს ტუჩი და დაჩეხილი სახე ფრთხილად მოსწმინ-და... გვიან წამოსწია დამძიმებული თა-ვი, ბოროლსავით ნაღვლიანი, შენამუ-ლი თვალეზი სადღაც, სივრცეში გა-უშტერდა და გაქვავდა ასე ჩამუხლუ-ლი.

— დავიჯერო, რომელიმეს ერთი ღერი სიგარეტიც არ მოგეძებნებათ?.. ნახეთ ჯიბეებში, იქნებ თუთუნის ნარ-ჩენი გქონდეთ; მომაწევიეთ, ვიხრ-ჩობი კაცი! — ჯემალს ცალი ჩექმა ჩა-ეცვა, ცალი ილიაში ამოეჩარა და ოფლისა და ცრემლისაგან ამოწითლე-ბული თვალეზით მისჩერებოდა შემო-ჩერებულ ბიჭებს. მისთვის (თბილი ჭრილობასავით) ჯერ ისევ გაუგებარი იყო, რაც მოხდა; იმას კი გრძნობდა, რომ ყოველი წუთი ორი ძვირფასი ადამიანის ყოფნა-არყოფნას წყვეტდა და დაუყოვნებლივ უნდა ეღონათ რა-იმე, მაგრამ როგორ? მანქანა დაღეწი-ლი იყო, ტყეში მიტოვებულ ტრაქ-ტორს მუხლუხები ჰქონდა ჩაშლილი და ნაწილების ამოსატანად ბაზაში წა-სული ტრაქტორისტი მეორე კვირაა არ ჩანდა, შვეულმფრენის ხმა რომ გაე-გონა, ტყეს ცეცხლს წაუყიდებდა და საშველად მოიხმობდა, მთის პირველ სოფლამდე კი, სირბილითაც რომ ევ-ლოთ, დაღამებამდე ვერ ჩააღწევდ-ნენ... მაშ, რა ეღონათ, როგორ მოქცე-ულიყვნენ? — ჯემალი ჯონდისაგან ელოდა ჰკვიანურ გადაწყვეტილებას, მაგრამ მუხასთან ჩალორთხილს თვა-ლი რომ შეავლო (ჯონდი ისევ სახეზე ხელებაფარებული იჯდა), დარწმუნდა, — მოულოდნელობისაგან შუა-შუა და-

ზნართულ მეგობრებს იქით სჭირდებოდათ მიშველება და უეცრად რალაც უცნაური, უცხო, არასაკუთარი ხმით ახარხარდა...

სამხრობა კარგახნის ვადასული იყო, მაგრამ მთის ფიცხი მზე მაინც იღუგებოდა. მუდამ საამოდ მიმომქროლავ მთისათვის ჩვეულ ბორიოს ჯიბრზე პირი მიებრუნებია და მუხის ჩრდილშიც კი მხუთავი სიმხურვალე ბოლავდა. სახენამუეური მეტყვევები ჯემალის ხარხარზე შეშინებულნი გახვედნენ. თედოს ხელიდან გაუვარდა ტუჩთან მიტანილი წყლით სავსე ქილა და შიშველ წვივებზე შემოყრილი შუშის ნამსხვრევები და მტვერში ახელილი ცივი წყალი ძალიან ეამა.

— ჯემო, რა იყო, ბიჭო, ზომ არ შეშინდი! — თედომ მეგობართან მიიბრინა, მხრებზე მკლავები მოხვია და მიეხაფიდა, გულში ჩაიკრა. — ნუ, თუ ძმა ხარ, ნუ იზამ, ჯემო; დამშვიდდი, ძალა მოიკრიბე; ახლა გვმართებს გაკაყება, ძნელი გზა გვაქვს გასავლელი, — მერე თითქოს თავს ესაუბრებო, ხმადაბლა დასძინა: — უნდა ვიჩქაროთ, დაღამებამდე თუ ტყეს ვერ გავცდით, გავვიჭირდებო...

— დმერთი ხარ თუ რალაც, ერთი წუთით დამენახე, რომ მოგადუყო მაგ ცოდვილიან სახეში! — მუშტადმართული ჯემალი ცისკენ იყურებოდა და დორბლმორეული გაიძახოდა: — ბავშვმა რა დაგიშავა! რა დაგიშავა ჯანომ, რა დაგშავებ ჯვენ, შენი დედა ვატირე!

— ჯემო, შენი ჭირიმე, დამშვიდდი, ჩვენი ხათრი თუ არა გექვს, ამათ ეცი პატივი, გესმის! — ემუდარებოდა თედო და გვეშვებულ მეგობარს ანჯღრევდა.

ანზორმა უყურა, უყურა ჯემალს, მერე ერთბაშად გაცეცხლდა და აყვირდა:

— მიდი, ბარემ თავი მიახეთქე კედელს!

— ანზორ, რა გავყირებს! — შეუწყურა თედო და ელაში თვალები ბუღასავით აემღვრა.

— რა მავყირებს?.. მინდა და ვყვირი! თუ მინდა, ვიმღერებ კიდევაც!

— იმღერე, იმღერე...

— ვიმღერებ, ვიმღერებ! ბის ღრქიალით ამოიგმინა და მუშტი მუშტზე უროსავით დაირტყა.

— თუთუნი რომ გვქონდეს... — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯემალმა. — უჰ, კარგი გამახსენდა, ბამბას შევანვევ გაზეთის ნახევში...

წამით კვლავ ნერვიული დუმილი ჩამოწვა. პირსაბანიდან სარეცხჩამბალ ტაშტში წყალი წვეთავდა და ამ გარინდებულ სიჩუმეში ყოველი წვეთის ტყაპანს ისე აღიქვამდა თედო, თითქოს ვიღაც ჩასძახოდა: „ჩქარა... ჩქარაო!“.

— რალას ველოდებით? — ანზორს გადახედა თედომ.

— ჰო, დროს ნუ ვკარგავთ, წავიდეთ.

— ჯონდი, შენ უნდა დარჩე, ქალს ტყეში მარტო ვერ მივატოვებთ, — უთხრა თედომ და ჯონდის მაშინ შეავლო მხარზე ხელი, როცა ის მაინც წაეტანა საკაცეს, რომელზედაც მიტკლის ზეწრებსა და პირსახოცებში გახვეული პატარა გუჯა ჯერ ისევ უგრძნობლად ესვენა. — ჯონდი, არ გესმის?! ქალი გულსუსტადაც რომ არ იყოს, მაინც ვერ გავიყოლებთ! — ხმას აუწია თედომ და ნიჩაბივით ხელი მხარზე მავრად მოუჭირა. — ჩვენ ტყე უნდა ჩავიმოკლოთ სავალი. ახლა ჩვენი სისწრაფე თუ იხსნის მათ... მათ და ჩვენც... — თედომ პირი იბრუნა და მოზვავებული სისუსტე რომ დაეთრგუნა, ბანჯვლიანი მკლავი კბილებში მოიგდო...

მარტო დარჩენილი ჯონდი მზის ჩაწურვამდე საყესავით იდგა ფიცრულის-წინ და უაზროდ დაჰყურებდა ტყეში გაჩეხილ იმ ერთადერთ გზას, ახლა მისი მეგობრები ორი საკაცით

ვიხალი მიქიაზვილი

ამაზი-შლანში

კრიჭაშვიტყულები რომ მიუყვებოდნენ. ისინი რაც უფრო შორდებოდნენ თვალსაწიერს და წერტილდებოდნენ, ჯონდი მით უფრო ცხადად გრძნობდა, რომ თანდათან ეთიშებოდა სამყაროს და მარტოვდებოდა. აფორიაქებული კაცი ამ დროს რაღაცის წამოსაყვირებლად პირს დააბჩენდა, თითქოს მოფიქრებულიც ჰქონდა, რა უნდა ეთქვა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაეხდებოდა, მხოლოდ საბერველივით ამოიქმენდა და ისევ კუმავდა პირს. იგი ახლა იმასაც კი გრძნობდა, რომ მოხდა ისეთი რამ, რასაც ადამიანები ხშირად ბედისწერას უკავშირებენ, აზერელებენ, განგებ აიოლებენ, რადგან ადამიანებმა ესეც თავის გადასარჩენად მოიგონეს — ერთის უბედურებამ მეორე არ იმსხვერპლოსო. ასეთ ყოფაში უნებლივით წაატანა თვალი სადღაც მიმალული მზის უკანსკელი ნათელისაგან რუხ-ვარდისფრად მოლივლივ ცის დასალიერს და უცებ გაახსენდა, რომ იმ საღამოსაც ასეთივე საოცარი ფერებით იყო ცა შედებული. მაშინ ჯონდის მზარეულობის დღე იყო და გუჯასთან ერთად მხიარულად ამზადებდა ვახშამს...

ჯონდომ პირი იბრუნა და საჩხისკენ გაეშურა. რა საჭირო იყო, მაგრამ ნაჯახით გულდროდ დააქიქა მზეზე გაფიქრებული ჯირკები და კერასთან მიზიდა. მერე ცეცხლი დაანთო და ფიცრულთან გადასახედ გორაკს იმ იმედით უფრო მიაშურა, რომ ბარისკენ მიმავალ მგებობებს იქნებ თვალი კიდევ მივაწვდინოთ. უკაცრიელ გზაზე ახლა ქვემოდან დაძრული სქელი ბინდი ჩამდგარიყო და თამამად მოაბიჯებდა. ჯონდი დიდხანს ადევნებდა თვალს ძველი სამატივით დაღმევილი გზა წელგატეხილი ზლოყივით როგორ გამოურბოდა ატორლიალებულ ბინდს, თანდათან როგორ მოკლდებოდა და მის ფეხქვეშ, გორაკის ძირში (რაც მას ქრუანტელს ჰგვირიდა) სრიალით უჩინარდებოდა. აი, სწორედ მაშინ მოესმა ზურგსუკან „ვილაცის“ საოც-

რად ფრთხილი ნაბიჯის ხმა, (მას ასე მოეჩვენა) ნელა, კატისებური სიმშუბუქით რომ ეპარებოდა. ფეხი არ ბგავდა და სამყურა მოლზე ნაბრძნობიანებით მონანავე უსაყვარლესი ქალის ტურფების საამო ფაჩუნს და მითუმეტეს, არც მამაკაცისას და არც ნადირისას — უცხო, არამიწიერი სულდგმულის ნაბიჯის ხმას წაავგავდა.

წამში ჩამოშრა კაცი, ხახაში შეკვეთილი ცხელი ნერწყვი ძლივს გადაულაპა და იგრძნო, რომ განთავისუფლდა ხორცის სიმძიმისაგან და ადგოლზე მხოლოდ აბრიალებული სული დარჩა: კარგახანს იყო ასე ანთებული კვარავით. გვიან, როცა ხორცი და სული კვლავ გაუმთლიანდა, როცა გულმა და გონებმა თავი შეახსენა და რომ ეგონა წამიერმა მოჩვენებამ გადაიქროლაო, ზურგსუკან ატუხული ის „ვილაც“ იმწამსვე აქირქილდა, თან ჯონდისკენ ისე ახლოს დაიხარა, რომ ყინულივით ტუჩები თიქმის ყურზე შეახო და ქირქილითვე წასაჩურჩულა:

„ჯონდი, ო, ჯონდი, რა მოხდა?“

ჯონდი კარგახანს ვერ გაერკვა რამ უფრო შეაერთო, — იმან, რაც წასაჩურჩულეს, თუ მან — „ვინც“ წასაჩურჩულა. მისთვის ახლა ძნელი მისახვედრი იყო, რომ ყოველივე, რაც მოეჩვენა, მხოლოდ და მხოლოდ მისი მდულარე გონების ფაათური იყო: „რა მოხდა!.. რა მოხდა!..“ უეცრად იმ „ვილაცამ“ თამში ხელები ჩაავლო, ნელნელა აქაჩა და ასევე ნელ-ნელა დაუშვა ძირს, მერე ისევ აქაჩა და ისევ ნელა დაუშვა. კეფა რომ არ ახლეჩოდა, თავზე ხელები შემოიჭდო და მთელი ძალის დახარჯვა დასჭირდა, რომ ცდუნება დაეძლია და უკან არ მიეხედა, რადგან კარგად იცოდა — ზურგსუკან აქირქილებულ იმ უხორცო მაცდურს თუ აჰყვებოდა, ხელს დარევდა ყოველ ადამიანში არსებული სისუსტე — მარტობის შიში, შიში არაფრის მიმართ და ერთხელვე თუ გაექცეოდა ადგირი, მოგჭამა ჰირი, მერე თვით მამაზეციერიც უძლური

იქნებოდა ეშმაკზე შემჯდარისათვის ელონა რაიმე; ამიტომ იყო მოგვიანებით მუშტებშეკრული სწრაფად შებრუნდა და თითქოს დანიშნულ დროს დუელზე მოსვლა დაუგვიანესო, ფიცრულის წინ, კოცონის ახლოს რამდენჯერმე ჯიუტად გაიარ-გამოიარა, თანაც ისე დაყანყალეზდა, თითქოს ის ქვეყნის დამქცევი მაცდური უკან დაჰყვებოდა და ზურგში წიხლებს აზღვდა.

სულში შეპარულმა უცნაურმა შიშმა მაინც თავისი გაიტანა; იქნებ ამან უფრო გაახსენა, რომ თედოს „სავანგებო შემთხვევისათვის“ საწყობში არაყი ჰქონდა გადანახული და გაელიმა. სწრაფად შევიდა ფარდულში და ასანთის შუქზე კარგახნის ძებნის შემდეგ მიაგნო არაყიან ბოთლს, საარყე ყანწს, შებოლილი სულგუნის ანახლეჩსაც და ნედლი ცაცხვის ფოთლებში საგულდაგულად შეხვეულ აფხაზურ სურნელოვან აჯიკასაც; მერე ცეცხლის პირას ბოკონები მიაჩოჩა, ერთზე თვითონ დაჯდა, ხოლო მეორეზე დიდი გულმოდგინებით გაშალა „სუფრა“. ზედიზედ გადახუხა ორი ყანწი არაყი, ბოთლიდანაც საკმაოდ მოსვა და როცა ცეცხლივით ორნახადმა საფეთქლები წამოუხურა, მაშინდა გაახსენდა ის, რაც ესწუთია წასჩურჩულეს და კითხვას იგივე კითხვა მიუმატა:

„ჰო, მართლა, რა მოხდა?“

ეს იყო და ეს, მერე არაყს ზომავზე მეტად დაეწაფა და ყველაფერს — დღემდე განუცდელი მარტოობის შიშის პირველ განაკაწრს, დაჯანღულ დარდს, აწეწილი ფიქრების დაუსრულებელ დინებას და საკუთარ თავს თავი ნელ-ნელა წაუბეგავა...

.....

ჯონდის ახლა ნაცარი ჰქონდა გამოქეპილი და წვეპლით რალაცეებს „ხატავდა“, თან აფხაზურ „ვარადას“ ღიღინებდა, სევდიანად, დუღუნ-ბუზღუნით. აუწყობელ, უგერგილო ღიღინ-ბუზღუნს ცივად მაშინ შეწყვეტდა და წვეპლიანი ხელი ჰაერში გაეყინებოდა, როცა საიდანღაც მოფარფატებულ

რაიმე ხმაურს ყურს მოკრავდა. ეს უმნიშვნელო ჩქამიც მიუშვითღებოდა, მყისვე ჩამოწვებოდა ტყისათვის ჩვეული მკვდარი სიჩქმე (თუშკა ქოტები ახლაც გამალებით უხმობდნენ ერთიმეორეს), ჯონდი ისევ მოიყუდებდა არაყიან ბოთლს, ისევ გამოქეპავდა ნაცარს და „ვარადა, გუღისა ხაწას“ ღიღინ-ბუზღუნით ისევ იწყებდა ნაცარზე რალაცეების ხატვას. მერე და მერე „სანიმუშო“ ჩქამზე ყურს აღარ ილესავდა, გაღიზიანებული ღიღინს უმაღლებდა და უკვე რალაც შემზარავი შიშით ელოდა დაგვიანებული ამბის მომტანს.

მშვიერ-დაქანცულს ამდენმა არაყმა საკირესავით გაუხურა თავი, მირეგგმორეგვა, ერთიანად დარია ხელი და მიბუტული გონების ის კუნჭული, აქამდე ცოტას მაინც რომ აფხიზლებდა, უზარმაზარ სიცარიელედ გადაექცა; ფამიკამ თუ ფიქრით მოიხილავდა ლამპიონებით გაჩირადდნებულ საპორტო ქალაქს, სადაც ჯანოსა და პატარა გუჯას ყოფნა-არყოფნა უნდა გადაწყვეტილიყო, ახლა ესეც მიუწვდომელი გახდა. ბნელი აეფარა მბუეტავი კერის მიღმა საგნებს, სხეულებს, ასობით ნაცნობ სახეებს... დამძიმებული თავი სძლევდა, უბეები ებლიტებოდა, მაგრამ ცდილობდა ძილისთვის თავი წაერთმია. ძილღვიძილში მყრფმა მოჰკრა თვალი: მუხიდან ჩამოვარდნილი წკირი ღვეღფზე ჰიყყელასავით ჯერ დაიწმარა, ასისინდა, მერე ერთბაშად ალი მოედო და ვიდრე მთლიანად დაიხრუკებოდა, ცოცხალი არსებასავით ისევ ასხმარტალდა, ზურგიდან ფერფლი ჩამოიბერტყა და ღვეღფიდან კუტკალიასავით ისკუპა; წკირმა სიბნელეში ნაპერწკლის ჰიპტი გაიყოლა. ეს წერტილისოდენა ნათელი მთვლეპარე ჯონდის თვალწინ ხან იზრდებოდა, ხან ისევ წერტილდებოდა და გონება არილოჰრილოვებული კაცი ან „აღმო-

მიხალი მიჩიავილი

ავაპი ულრანში

ჩენით" მანამ იზთობდა თავს, სანამ კარგახანს გაუჩინარებული მაცდური კვლავ არ მოეახლა თავისი შურდალი ქირქილითა და სიცივით.

ჯონდი წამით გამოფხიზლდა და ბარბაციტ წამოდგა. დაბუქებული ფეხები ძლივს მიათრია ფიცრულამდე და რიკლეთ დარჩენილი კარი ისეთი სიფრთხილით შეაღო, თითქოს საკუთარ თავს უნდა გაეპაროს; მაგრამ დაეანგულმა ანჯამებმა „ლრიკ-ლრიკო“ ერთი ამბავი ასტეხეს. ჯონდი ფეთიანივით შევარდა შიგ, მხარჩამოფერდებულ კარი სწრაფად მიხურა და ზედ ხმელი ნაპობივით მიეყუდა.

„მგონი ვგიყდები, — გულში მწარედ ჩაიცინა და წვერგაჯენჯილ სახეზე ხელები აიფარა. — ჰმ, ჩვენი საცოდავი რეზონია ჰქუაზე რომ შეირყა, ყოველ დილა-სალამოს წელზე ჯაჭვს შემოირტყამდა, შიგ ხელკეტებს გაიჩრიდა და ბეთლის კენწერთზე მოდებული, ხელის ქნევით გაჰყვიროდა: „ჰვი, ერეკლე ბატონო, იმ ფლანგს მიმიხედე, მტერმა ციხის კარი არ შემოანგრიოს!.. გიო, გიორგი, არ გესმის, კაცო! ის ოხრები აქეთ ცხენებს მოაგეღვებენ და დახვდი შენებურად; მე აქედან შევეუტევი; აბა, მომყევით, ბიჭებო, მომყევით!..“ ადამიანისთვის ამაზე საშინელი რა უნდა იყოს!.. — სახეზე აფარებულ, გაპარტყულ თითებშუა მხერა გააპარა. ფიცრულის კუთხეში დაკოსებულ სანთლის მკრთალ შუქზე გარკვევით დანახა, რომ გვიმრადაფენილ ფიცარნაზე კისრამდე ნაბადში გახვეული ქალი იწვა (რომელიც ჯონდის გამოჩენაზე არც განძრეულა) და ფართოდ გახელილი თვალებით მისციებოდა გაჰვარტლულ ყავრის სახურავს, ჯონდომ თვალი გააყოლა ცოლის მხერას: კანგაუცლელ, დამსკდარ ლარტყებს შორის ჰამაყივით ჩამოკონწილავებულ აბლაბუდაში გაკოჭილი მწერი სასოწარკვეთით წიოდა; მორიელისტოლა ობობა სათვალთვალოდან ნახევრად გამოსულიყო და განწირულ სამსხვერპლოს თვალს ადევნებდა, ცმუკავდა, ნერვიულად

ცანცანებდა. ზანგამოშვებით მწერს საოცარი სიფიცით მიუხტებოდა, მთელი ძალით დაუშენდა კაუჭა ფეხებს, დაარტყიანებდა საბრალოს და სათვალთვალოსაკენ კმაცოფილი ვარბოდა. ჯონდომ თვალები დახუჭა, იგი ახლა ვერაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. არ გაუგონია დამფრთხალი კოლტის ფხუკუნი, ზედ ფიცრულის კედელთნ რომ ვაშლიგინდა, არ გაუგონია არც მშვიერი ტურების ხავილი და არც ჰოტების სლიბი გადაკვივილ-გადმოკვივილი... თვალი რომ გაახილა, იგივე სურათი განმეორდა: ბრძოლის ეინით აცანცახებული ობობა სწრაფად მიუხტა სამსხვერპლოს, ისევ დაუშინა დამარტყიანებელი კაუჭა ფეხები, ისევ სასოწარკვეთამდე ააწიოკა გაკოჭილი მწერი და ნაომარმა ისევ სათვალთვალოსაკენ მოკურცხლა.

ჯონდომ შენიშნა — ობობა ქსელში დაფალმანდებულ მწერს როგორც კი ფეხებს დაჰკრავდა, სახეჩატეტვილ ქალს გუგები უვიწროვდებოდა და ტუჩის კიდე ნერვიულად უხტოდა.

„არსებობისათვის ბრძოლაში სხვა გზა იქნებ მართლაც არ არსებობს?.. შეკრთა ჯონდი. — იქნებ ერთის უბედურებას მართლაც მოაქვს მეორისათვის ბედნიერება?“ — იგი ბარბაციტ მოშორდა კარს, კუთხეში დაყრილ სამუშაო იარაღებში წალდი ამოარჩია და აბლაბუდა, ობობა, აწივლებული მწერი და გაჰვარტლული ყავარი ერთიმეორეში გინებით აზილ-დაზილა. კარგახანს იდგა წალდით ხელში ხელებჩამოყრილი და ერთსა და იმავეს ზიზლით იმეორებდა: „არსებობისათვის, ნუთუ, სხვა გზა არ არსებობს?..“ „ო, რა საშინელებაა ერთის უბედურებით მეორე ბედნიერობდეს!“ — მერე წალდი იქვე დააგდო და ცოლის ფერხით ფიცარნაის კიდეზე ჩამოჯდა. მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილ ხელებში თავჩარგულმა გულით ინატრა, სულ ცოტახანს, თუნდაც ერთი საათით გამთიმე დღევანდელ სინამდვილეს და საკუთარ თავსო, მაგრამ იგი

ახლა (როგორც არასდროს) შემზარავი სიცხადით გრძნობდა, რომ მომხდარი სინამდვილისაგან თავის დაღწევა მის პირად საქმეს აღარ წარმოადგენდა; ის უზილავი ძალა, რომელიც კარგახანია მის ჯანსაღ სულს დაუფლებოდა, მისგან დამოუკიდებლად მართავდა კაცის გონებას.

— ჯონდი, მცივა, ბიჭო... რაიმე წამომახურე...

არასოდეს არავის ხმა და საერთოდ, არავინ და არაფერი ისეთი ძვირფასი არ ყოფილა ჯონდისთვის, როგორც ამ წუთში ძლივს გასაგონად ამოლულულულებული ცოლის სიტყვები. უცებ ყველაფერი თავ-თავის კუნჭულში დაღვავდა და კაცს სიცოცხლე დაუბრუნდა. ამ მისუსტებულმა ხმამ სადღაც გულის-სიდრამეში ყინული გაულხო და უცნაური, მაცოცხლებელი სითბო ბანგივით ჩაუღვარა სხეულში. ის ხვალ სიცოცხლეს არ დაიშურებდა, ოღონდ ახლა, ასე უეცრად მოვარდნილი ბედნიერებით ცოტახანს მაინც ებედნიერა... ვაიგონეთ? ჯონდის რაღაც სთხოვეს, თურმე ჯერ კიდევ საჭირო კაცი იყო, ვიღაცას მისი ხელი სჭირდებოდა, და გახარებული წამოხტა.

— გცივა?! — ახლავე, ახლავე!.. გინდა ცეცხლს დავანთებ? ჰუჰ, რა სისულელეს ვამბობ, კვამლი ხომ შეგაწუხებს, თვალებს აგიცრემლებს! — ჯონდი ფიცარნავის ხან ერთ კიდესთან მიბარბაცდა, ხან მეორესთან, რაც ხელში მოყვა — ზოლიანი ზესაფრები, ტყაბუჭები, ნაბდები და ხმელი გვირაც კი ცოლს ტანზე დააყარა. — კიდევ გცივა?.. თუ გინდა, ცეცხლს დავანთებ, მაგრამ... — ჯონდი ფიცარნავზე მუხლებით შედგა და ცოლს ლოყაზე დაკოყრილი ხელი ჩამოუსვა. — ეს რა დაგმართნია, გოგო, მთლად გაყინულხარ! — არყისაგან გამომშრალი ცხელი ტუჩებით ქალს გრილი სახე დაუკოცა. — კიდევ გცივა?.. მითხარი თუ გცივა, მითხარი! — ჯონდიმ ქალის ტანზე დახვავებული გროვა ასწია, გაზინზლული კომბინეზონითა და ტალახ-

შემზარი ჩექმებით მიუწვა ცოლს და გულში ისეთი ველური სიხარბით ჩაიყრა, თითქოს ეშინოდა, ეს უერთფეროთი ძვირფასი არსება ხელიდან არ გამოსტაცონო. — ჩემო სიყვარულო, ჩემი სულის ნაწილო, როგორ მომენატრე!.. დალი, მისმენ?.. — ჯონდიმ სათქმელი უცებ კბილებით გაკვნიტა და გაჩუმდა. დალის მოეჩვენა, რომ კაცი აღარ სუნთქავდა და ბანჯგვლიან, კევრივით მკერდზე ცივი, პატარა ხელი შეაცურა და გული მოუძებნა, აჩქარებული გული.

— ჯონდი, გახსოვს ის საღამო, მზე რომ თავს იხრჩობდა? — კარგახნის დუმილის შემდეგ ხმადაბლა ჰკითხა დალიმ.

— ჩვენი ტატო რომ აყვირდა მოაგარაკეებით საესე პარკში: „ხალხო, არიქა, მზე იხრჩობა და ვუშველოთო?!“ — მშრალად ჩაიცინა ჯონდიმ. — შენ არ დაკვირვებხარ და ტატო რომ გაიძახოდა: „ჩქარა, ბიჭებო, ჩქარაო“ და ნაპირზე ვეება პილოტური აპოყრილი ნავებისაყენ გავრბოდით, ხალხი აჩოჩქოლდა. ბევრი აგვედევნა კიდევაც... დემერთმანი! — ჰმ, ტატო, ტატო!.. სკოლაში ბოძებული „ატამანობისგან“ ვერ განთავისუფლდა ბიჭი. მაშინაც მეთაურობდა: „დუტუ, შენი ხალხით აქედან გასცურეთ, ჩვენ პირდაპირ ავილებთ გეხს, ჯონდი თანვის“ ნესტანით შუა ხახს დაიკავებს და იქნებ როგორმე მივეუსწოთ ცოცხალ მზესო!“... აბა, თუ მეტყვი, ჩვენმა გოგო-ბიჭებმა ნაშინ რატომ წამოიწყეს ის ოინბაზობა? მე კი იმწუთსვე მივხვდი, მაგრამ კატისა და თავში ძეხვის ჩარტყმისა არ იყოს — „დემერთმა ასეთი მეხი ნუ მომიშალოსო“, ჯარიდან იმ დღის ჩამოსულს მეც ეს მინდოდა და პირში წყალს ჩავიგუბე... სპექტაკლის ყველაზე სანატერესო გმირი მაინც ნავების დარაჯის, ბაბუა თეოფილეს გამოჩენა იყო, — ჰაიტ, თქვე ცხვირმოუხოცელო ბაცნებო, აქე-

ზიტალი მიქიაზვილი
ამავანი შლარნში

დან დაიკარგეთ, ამ სიბერეში ცოდვა არ ჩამადენინოთო! — საბიჯგი ჯოხით დაგვერია; გახსოვს?.. არასოდეს დამავიწყდება, როგორ შეერთა ბერიკაცი, ყველასაგან ერთი და იგივე რომ გაიგონა: მზე იხრჩობა, ბაბუა თეოფილე, მზე იხრჩობაო. დამბლადაცეპულივით ჩამოეკიდა ჯოხიანი ხელი და აჩიფიფდა: ვინ იხრჩობა, შეილებო, სად იხრჩობაო... — ჯონდომ ისევ მშრალად ჩაიცინა. — იმ საღამოს ნავში პირველად რომ გაყოცე გაწუწულ ლოყაზე, შეიცხადე: უი, ჩემი სიყვდილი, ნაბირიდან, ალბათ, ქვეყანა გვიყურებს და მომეჭკრა თავი, ხელი გამიშვი შე გიყო, გიყო! ნავიდან კილამ გადამაგდე, გახსოვს?.. ის ხომ გახსოვს, მაშინ შენინე ნათქვამი სიტყვები რომ მოგაგონე: თუ გიყვარს — ვაგიყვამდე უნდა გიყვარდეს, თუ მღერი — ფილტვების დახლეჩამდე უნდა იმღერო, თუ ტირი — გულის დაცლამდე უნდა იტირო და ბედნიერება სწორედ ამაშიაო!.. დალი, მისმენ?.. ქალაქიდან შენ კი არ გამოგექეცი, ერთფეროვნებამ, ათასგვარმა წვრილმანმა ფაციფუცმა, არაფრის მაქნისმა ყაყანმა და რუზრუზმა კილამ დამახრჩო და გამოვიქეცი, რომ ამ ბედნიერ ბუნებაში უფრო საჭირო საქმე მეკეთებინა და დღემდე ბედნიერიც ვიყავი... ოო, შენ რა იცი, გუჯა ვინ იყო ჩემთვის, — ახალი სიცოცხლე, ახალი ცხოვრება, ახალი ანგელოზი... ნუთუ, ეს არის ჩვენი გზა?..

— ჯონდი, მკონი მანქანის ხმაა. არ გესმის? — წასჩურჩულა დალიმ.

— მანქანის ხმა?!. ჯანდაბამდის გზა ჰქონია მანქანებს, ხეებს, ტყეებს, ყველაფერს, ყველაფერს! — ასისინდა ჯონდი. — არ მინდა, არაფერი არ მინდა მესმოდეს და ვიცოდე!.. კიდევ გცივა?.. დავანთებ ცეცხლს... — ჯონდი ერთბაშად დაეწაფა ქალს და იგრძნო ცოლის ტბალი, სურნელოვანი სხეული როგორ გათბა, დაძაბუნდა და ახლა ის განცდილი შიშითა და სიცივით კი არა, ბუნებრივი, ქალური ვნებით ცახცახებდა ქმრის ძლიერ მკერდს

მთლიანად მინდობილი. ხეშემი წვერით მთლად დაუქაწრა გატყვენილი ატამივით გლუვი სახე. ჯონდი რადიკალურ ბურტყუნებდა, ვიღაცებს საყვედურობდა და თანდათან იძირებოდა და ინთქებოდა საოცრად მსუბუქ, ფირუზისფრად მოლივლივე სამყაროში... ნატვრა აუსრულდა — გონებიდან გაუსხლტა (თუმცა წუთით!) ის, ვისი უსპეტაქისი სულ აქედან შორს, ზღვისპირა ქალაქის ერთ-ერთ გაჩახჩახებულ საოპერაციო მაგიდაზე, სადაცაა დასთმობდა უმანკო სხეულს... ახლა ჯონდის მხოლოდ ერთი რამ ამოქმედებდა: ახლავე, აი ამ უტკბილეს წუთში მოესწრო ყოველივე ამქვეყნიურის ამონექტვრა, თორემ ვინ იცის, „შემთხვევითობაა“ თუ „აუცილებლობა“ ხვალ იქნებ ასევე ბრმად წარიტაცოს მისი ძლიერი, მოწყურებული ახალგაზრდა სიცოცხლე?.. მასში საოცრად არაბუნებრივმა ეგოიზმმა იფეთქა: „იყოს ერთი დღე, ერთი საათი, წუთი, წამიც კი, ოღონდ იყოს ისეთი, როგორც მინდა!..“ ვნებისა და გონების, მარადისობასთან სიცოცხლის ხანმოკლეობის მტკივნეული განცდისა და მონატრებული სიყვარულის ამგვარი უეცარი გამოლიანება იგივეა, ადამიანმა თავის თავში შემთხვევით პოზიტრონი აღმოაჩინოს და უნებლიე შეხებით თავი აიფეთქოს. ჩვეულებრივი ადამიანები ასეთ გასამთლიანებელ გრძნობათა დინებას სიკვდილამდე ტბილი კვერით ნამცეც-ნამცეც იზოგავენ; ჯონდი კი ისეთი თავდავიწყებით გადაეშვა ამ წამლეკავ მორევში, თითქოს საიდანაც მომავალ უსასრულობასთან გაბრძოლების მისი უკანასკნელი დამე იყო... მერე ნელ-ნელა არილოპრილოვდა ყოველივე, წარიშალა ზღუდე მიწიერსა და არამიწიერს შორის, გაქრა დრო, ყველაფერი გაერთიანდა და შებარბაცებული ფიცრული გადამქროლავი ღრუბელივით სადღაც გაქანდა...

შეშინებულ ჯონდის ცივად გამოვლვიდა. სიზმარში მყოფს ცოლისათვის

გადამწრო ნაბდები, ზეწრები, გვირაც და თავზე დაეხომირებია. ფრთხილად გამოძერა ზვინიდან და გახვითქული შუბლი კომბინეზონის სახელოთი შეიმშრალა. დიდხანს რომ არ ეძინა იმითაც მიხვდა, რომ აქ შემოსვლისას სანთელი შუა თითისოდენა იყო, ახლა გოჯიც არ იქნებოდა დაკლებული.

მთის ცივი ბორბო მონოტონურად არწევდა მხარჩამოფერდებულ კარს და დაქანგული ანჯამები გამაღიზიანებლად ფხოჭინდნენ ღამის სიმყუდროვეს, ხოლო როცა ანჯამები მიჩუმდებოდნენ, სადგომში ჩამოწოლილ სიჩუმეს კედლის გასწვრივ ფიცარზე დაყრილ კონსერვების ქილებთან, ფქვილიან ტომრებთან, ხახვისა და კარტოფილის გროვასთან მოთარეშე თავგების კმაყოფილი ციქციქ-წრუწუნნი არღვევდა.

„ნეტავ, რომელი საათია?“ — გაიფიქრა ჯონდომ და ფიცარნაგზე წამოჯდა. რატომღაც ნაღვლიანად გადახედა ცოლს. დაღის სიწითლედაკრული ატამივით გაღუებოდა წამოხურებული ღაწვები და იღუმალი ღიმილით სახედაშვენებულს მშვიდად ეძინა... ჯონდი ასე ხარბად არასოდეს დაკვირვებია ცოლის ლამაზ სახეს და ამ წუთამდე არც კი შეუნიშნავს გაბუტული ბავშვივით წამოხურცულ ტუჩის კიდებებთან ოდნავ შესამჩნევე შავი ბუსუსი; მაღალ კისერზე აბრეშუმის ძაფივით მაზი, ცისფერი ძარღვიც, მთელი სიცხადით რომ ამხელდა ქალის სავსე სიცოცხლეს, მხოლოდ ახლა შენიშნა.

ჯონდომ კომბინეზონის ჯიბიდან ერთი გახვევა მტკრიანი თუთუნის ხელის გულზე გადმოფერთხა (ჯემალს ახლა მისთვის თვალცი რომ მოეკრა, მეგობარს სამუდამოდ ამოირეცხავდა გულიდან, — მან ხომ მტკრიანი თუთუნის სთხოვა მაშინ ბოქებს?) და გაზეთის ნახევში შეახვია. სადგომში მიმოიხედა. ყველაფერი ერთიმეორეში არეულიყო. ვედროები გადაპირქვევებული ეყარა, თავგზააბნეული სიჩქარის დროს რომელიდაცას თავი გაეკრა ლარტყანზე გამო-

ნასკველ ღვლეჭზე ასხმული შებოლო სულგუნისათვის, გამხმარი ღვლეჭი გაწყვეტილიყო და ყველი ძირს ეყარა; ღვლეჭს ერთიდა შერჩენოდა და იხსტმელანქოლიურად ქანაობდა. ერთერთს „საგარეო“ ტანსაცმლის ჩაცმა განუზრახავს, მაგრამ ეტყობა უმაღვე გადაუფიქრებია და საკუთარ თავზე გაბრაზებულს იქვე, შიდა კერასთან დაუყრია... ერთადერთი იარაღი, რომელსაც მეტყუევთა ხელი არ შეხებოდა, კედელზე მიჩნეულ ადგილზე ცერად ჩამოკიდებული ორლულა თოფი და სავსე პატრონტაში იყო...

ჯონდომ თვალი მიაშტერა ანთებულ სანთელს.

დაკოკოლავებულიყო ნეკისოდენა სანთელი. შაშვის ენასავით აწვეტილ აღს ფიცრულში მოფოშფოშე ნიაგი არხევდა და ალი რომელ მხარეზეც უფრო დიდხანს გადაწვებოდა, სანთლის მოღვენთილი კიდე იქ ირღვეოდა და გამდნარი ცვილი ხარის ცრემლებივით ცვიოდა დაბორჯლილ ტანზე.

„მართლაც რა საცოდავად იცრემლებდა... როგორ ღნება, იღვევა...“ — მან პაპიროსის წანაკვერცხლებული თავი თითებით ნელა იმიტომ ჩასრისა, რომ სადღაც, გულის სიდრმეში მწარე ტკივილი ფიზიკური ტკივილით დაეთრგუნა. — ყველა ვგრძნობდით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო; სადღეისოსავით ვიყავით, პატარა რამეზედაც სიხარულით ცას ვწვდებოდით. ჭენჭებში ჩაფლული მანქანის ამოთრევა რა სასიხარულოა — გვიხაროდა, გავინტლებოდით — ვიცინოდით, დავიბანდით — ვიცინოდით... გუჯა ხითხითებდა და იმიტომ... კი, კი, ყველა ვგრძნობდით ამ დღის გარღვევალობას და შიშით ველოდით... მაშინ, ალბათ, ამის გამოც უფრო ავეყვირდი გუჯას... ჰმ, ფიცრულისკენ ჩანჩურა ჯარისკაცივით რომ წაფლახუნდა, კოჭებში მუგუზალი მივაყოლე: „ჰაიტ, შე წვინტილიანო, ახია

ჰიტალი მიჩიუზვილი
ამბავი უღრანში

შენზე რაც მოგივა-მეთქი! — ჯონ- დიმ სწრაფად მოუყიდა პაპიროსს.

...ბიჭებმა იმ დღეს მართლაც ბევრი იშრომეს, ახლად გაჩეხილი ახოდან სულ სანთლებივით მორები დააცურეს და შუროდან „სტუდაბეკერთ“ ფიც- რულთან ჩამოზიდეს. ადრე დაწვნიენ დალილები; ივანშემეს თუ არა, ფი- ცარნაგზე მიეფინენ; არ უთამაშიათ არც კარტი, არც დომინო. თედო — ხაზინადარს შეხსენება არ დასჭირვე- ბია, სიმავრისათვის მეგობრებს თითო ჩამორიგება არაყი გადაახუხა... ჯონდის თავი უსნეკავდა, შესიებული მაჯები სტეხდა და მხრებს ძლივს ამოძრავებ- და. დაცდილი ჰქონდა, — დაქან- ცულს სხეულის განელებამდე რული არ ეკარებოდა და შუალამემდე მარტო იჯდა ცეცხლთან.

იმ დამესაც კერასთან მარტო დარჩე- ნილი ათასნაირ ფიქრებში ყურყურმა- ლებდა. სოფლებში ახლა მამლის მე- ორე ყვილი მაინც იქნებოდა, ის კი იჯდა და ფიქრობდა თავის ბედზე და საერთოდ, ადამიანის ცხოვრებაზე... ამ დროს იყო ფიცრულის კარი ჰრიალით ნელა გაიღო და გუჯა გამოფლახუნდა. ბიჭს, რომელიღაც მეტყვევის ჩექმებში ჩაეყო ტიტლიკანა ფეხები და მაღალი ყელები ბარძაყებს უფარავდა. მან ფლახაფლუნით აუარა გვერდი კედელ- თან დაყრილ ხარახურას და რკინის კასრებზე კაპოტით მიბჯენილ „სტუდა- ბეკერს“ ამოეფარა.

— სირცხვილო, გუჯა, დაგინახე, და- გინახე! — ხმადაბლა, მხიარულად გას- ძახა ჯონდომ; ბიჭის გამოჩენა ისე გა- ეხარდა, რომ დადლილობა, სახსრების ყუილი და შემოჭარული ფიქრებიც ერთბაშად გადაავიწყდა.

მანქანის იქითა მხარეს-გუჯას გული- ანი ხითხითა-გაისმა.

გუჯა სადგომში აღარ შებრუნე- ბულა. სახეჩატეტვილმა ბიჭმა კერას- თან ბოკონი მიაჩოჩა და ჯონდის პირ- დაპირ ჩამოჯდა. ღამეში, ცეცხლის შუქ- ზე ბიჭის თეთრი, ქათქათა სახის კანი იმდენ სხივს, სიყვარულსა და უმანკო-

ებას აფრქვევდა, იფიქრებდით, — მაღ- ლიანი დიდოსტატის ფუნჯით ვასნი- ვოსნებული პატარა ანგლოზი ტურს- კიდან გადმოსულა და ცეცხლთან ზი- სო. პაჭუა ცხვირის სიფრიფანა ნესტო- ები ხითხითის დროს ისე ებერებოდა, როგორც ნაქუნტრუშებ ნუკრს, გალა- დებული წამით რომ შეჩერდება და დი- დრონი, საოცრად მეტყველი და შოლა- პარაყე თვალეებით ამცნობს ქვეყანას: „მიყვარს, ყველაზე მეტად სინცოცხლე მიყვარს! შერე თქვენ, შერე ყოველივე ის, რაც თქვენ გიყვარს!“..

— ამდენხანს რატომ არ გძინავს? — ჰკითხა ჯონდომ და ცეცხლიდან გამო- დებული წკირით სიგარეტს მოუყიდა.

— გამომეღვიძა და აღარ დამეძინა... შენ?

— მე რას მიყურებ, იქნებ ღამეული ბუნების ჩურჩული მიყვარს და ვუს- მენ? — გაეცინა ჯონდის.

— იიპ, შენ თუ გიყვარს, მე რა, შენ- ზე ნაკლები ვარ? — გადატყევილ შუბ- ლზე ჩამოჩეხილ კულულებზე ხელი აიკრა და მიჯრით ჩამწკრივებული ქათ- ქათა კბილები გამოაჩინა.

— წადი, ხალათი მაინც ჩაიცვი, არ გაცივდე, — უთხრა ჯონდომ და ცეცხლს ფარხი შეუკეთა.

— ჯონდი ბიძია, ამ შაბათ-კვირას- ხომ წამოხვალ ჩვენთან? — გუჯამ ჩექ- მის ყელეებში ხელები ჩაყო და ჯონდის ამოხედა. — დედაჩემი ყოველ ჩას- ვლაზე მეკითხება — ვინ არის ეგ შენი ჯონდი, დღედაღამე ენაზე რომ ვაკე- რია; ჩამეიყვანე, გავგაცანი, რა კა- ციათ... წამოხვალ?

— წამოვალ, აბა არ წამოვალ? — თვალეებში შემოციცინებულ ბიჭს გა- უღღმა ჯონდომ. — მოდი რა ვქნათ, იცია? პირველი სექტემბრისთვის გა- დავდოთ, აჲ... მაშინ ყველა წამოვალთ, ერთ უშველებელ თაიგულს შევკანით და სკოლაში ჩვენი ბებრუხანა „სტუდა- ბეკერთ“ მივაცილებთ!

— ჰოი, ბიჭო, რა ამბავი ატყუდება!.. ფანჯრებს მოაწყდება ყველა!

— ჰო, მართლა, ჯერ ჩანთა ხომ არ გიყვლიდა?

— მაქვს, ძველი.

— დედაშენს უთხარი, ან მე შევეუთვლი ჩემოს პირით, არ იყიდოს; მოსკოვიდან ისეთ ჩანთას ჩამოგიტან, დიდმაც და პატარამაც თვალი ვერ მოწყვიტოს.

ახითხითდა გუჯა, ხელები უფრო ღრმად ჩაყო ჩექმებში და ალზე მიფიცებულ შიშველ მუხლისთავეებს ლოყით მიეხუტა. ჯონდი მიხვდა, რომ ბიჭი ამ წუთში მასთან აღარ იყო და ფერად-ფერადი ფიქრებით საღდაც გაფრენილ პატარა მეგობარს თავისი ფიქრიც ააღდენა.

„მთლად პატარა, ნეკისოდენა რამ კმარა დიდი სიხარულისათვის, — ფიქრობდა ჯონდი და თვალს არ ამორებდა ბიჭის ბედნიერ სახეს. — ო, რა ცუდია, რომ ჯერ ვერ მივმხვდარვართ, თორემ ღმერთმანი, სულ ცოტა, მისხლისოდენაც კი კმარა დიდი სიხარულისათვის... არადა, რა არის ამ ცოდვილ დედამიწაზე გაჩენილი ადამიანის სიცოცხლე მარადისობასთან? ერთი წუთი, არც კი... ღმერთო, ყველამ რომ იცოდეს. ამ ერთი წუთის ფასი, ახლა ყველას რომ ჩაახედა ამ ბუთხუჯა ბიჭის ბეტივით გულში, ალბათ, იწამებდნენ მარადისობისაგან ბოძებულ იმ ერთი წუთის უპირველეს მნიშვნელობას და ჩვენი პლანეტა სამყაროს ყველაზე ბედნიერი, ყველაზე დიდი მანათობელი იქნებოდა!“..

— აბა, ჯანოს მანქანით წავალთ?


— ჰო; ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, ჯანო არც არის წაყვანის ღირსი, მაგრამ ასეთ ღროს, ხომ იცი...

— ვინ არ არის ღირსი, ჯანო?! — გაოცებულმა ბიჭმა თავი ასწია.

— ჯანო, ჯანო.

— იი, ვაჟკაცი, — მკვირიცხლად მიუღო გუჯამ და ცერი აწკლიბა.

— ვაჟკაცობა არ აკლია, მაგრამ ებრჯულობადი, ბედისწერას ეთამაშება; ხევებში მისაბმელიანი მანქანით სითამამე საღ გავთნილა! — ჯონდომ ტა-

ტომდაც ტოლივით დაუწყო გუჯას ლაპარაკი. — ქვისკენ მიქნია პირი, მაგრამ მანქანა მეგობარით ყოველთვის ვერ გიერთგულებს... 

— ჯანოსთანა ვაჟკაცი ჩემს ღღეში არ შემხვედრია! — სხაპასხუპით განაგრძო გუჯამ. — ამას წინათ პირველი შემთხვევა იყო, რომ შიში შევატყეშენ მაშინ ქალაქიდან ამოსულ მეტყევესთან იყავი ზემო ახლში. მოკლე გზით, იცი, საიდან დავეშვით? კარავთან რომ ნაპობების შტაბელებია. კაბინაში მე და ანზორ ბიძია ვისხედით. ჯანომ მუხრუჭებიც დაქანა, პირველ სიჩქარეში ხომ ჰქონდა და ჰქონდა გადართული, მარა მიწა იყო მოსველებული და გაგიგონია? არაფერმა უშველა... ხო-ხო-ხო, რა იყო! ბოგირთან ჩაკაფულ ტყემდე წუთში ჩამოვსლიკინდით. აპაპ, სულ არ შემშინებია, როცა გეშინია, თურმე, უარესია. ბიძა ჩემს ჯარში ამხანაგი ჰყოლია, შეტევაზე რომ გადავდიოდითო, მითხრა, თავწახრილი გარბოდა, ტყვია თავში არ მომხვდესო. საწყალს მაინცდამაინც თავში მოხვედრია... ჯანოს, იცი, მაშინ რატომ შეშინებია? შენ იყავი კაბინაში და ერთი სიკვდილი გავათავე, არაფერი მოგწეოდაო.

— მერე რატომ იტყვიეს აუტკივარ თავს! — ხმას აუმაღლა ჯონდომ.

— ცხოვრებას გაბედული ადამიანები უყვარსო, ამასწინათ მითხრა და მართალია! — ახითხითდა გუჯა.

— თავქარიანები ხართ შენც და შენი ჯანოც!.. ცხოვრებას, იცით, როგორი ადამიანები უყვარს? ბრძენნი, თუ ასაკს შეეფერება, ამაყნი და არა ყოყლოჩინები, მოყვასისადმი დავდადებულნი და არა ალტრუისტები (ეს სიტყვა ისე წარმოთქვა, — არც უფიქრია, გუჯამ მისი მნიშვნელობა იცოდა თუ არა), დაკვირებული მოჩქარე და არა ფაფხურა... ვინც სიცოცხლეს აბუჩად ეკიდება, რომელიც ერთხელ გვიძ-

ვიტალი მიქიაშვილი

აზნაზი უღარაწი

ლევა, ის თავქარიანი. ამ ღირსებათაგან შენს ჯანოს არც ერთი გაჩნია, არც მეორე და სხვაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია; იმიტომ რომ გულუკეთილი, თავქარიანი ვაჟაკია; არც შენ ხარ უკეთესი... ჰო, ჰო, ნუ იკრიჭები...

— შენი ძმა რომ ვიყო, ჯონდი ბიძია, ახლა, ამ წუთში, რას მიზამდი?

— რას გიზამდი და... — გაეცინა ჯონდის, — ჩამოვაკებამდე მანქანაში კიდევ რომ გნახო, გვარიანად მიგტყუებავ!.. მაგასაც არ გაქმარებ.

ახითხითებული გუჯა მკვირცხლად წამოხტა, წარბებამდე ჩამოკონწილებულ თმაზე, როგორც ყოველთვის, თითები აიკრა, ალისფრად აღვივებულ საფეთქელთან გაშლილი ხელი მიიღო და „ერთი-ორი“, „ერთი-ორის“ ძახილით და ბარძაყებამდე ამოყეილი სხვისი ჩექმების ფართხუნით ფიცრულისკენ წაფლახუნდა. ჯონდიმ ბიქს კოჭებში მუგუზალი მიაყოლა: ჰაიტ, შე იმნაირო, ახია რაც მოგივაო.

ჯონდი მოგვიანებით შეილალა ფიცრულში. დალილ მეტყვევებს ღრმად ეძინათ. ანზორს წელამდე ნაბადწახურულ ჯემალისთვის მკლავი გადაედო და ორივე ტკბილად ფშვინავდა. თედოს ბანჯგვლიანი ხელები თავქვეშ ამოეწყო და კაცი ვერ მიხვდებოდა: ეძინა თუ წამით თვალღწახუჭული რაღაცაზე ფიქრობდა. ულვაშივით დაფოჩილ სქელ წარბებს ღროღადრო ისე აწვიპავდა, გვეგონებოდა, საღაცაა ხმის ამოსაღებად სქელ ტუჩებს აამოძრავებსო. ჯანო, ალბათ, ძილშიც თავის ტყულებს ეთამაშებოდა, რადგან ხანგამოშვებით ისე გაებადრებოდა წვერგაჭენჯილი სახე, როგორც სჩვევიათ ხოლმე შამებს, როცა ატკრიაცებულ პატარებს ჰაერში აისვრიან და ჰოპაო, ქვემოდან ბედნიერ ღიმილს გააყოლებენ...

მხოლოდ გუჯას არ ეძინა.

სხვების საპირისპიროდ სასთუმალი შეებრუნებია, დაგვერგვილი ნაბადი იდაყვებქვეშ ამოედო, ტიტლიჯანა ფეხები მოეკავა, ხმელი ბალახის ღერს კბილებით კვნეტდა და კუთხეში მი-

ქედებულ ოთხკუთხა ფირფიცარზე დაკოსებული სანთლის ალის ფარფარს რაღაც ამოუცნობი, ფარული სევდით ალივლივებული თვალებით მიშტერებოდა. ფარღალალა სადგომში თავისუფლად დაფოშფოშებდა ჭიაცულებისა და ნემომპალას ნედლი სუნით გაყიქვებული ნიავი, მაგრამ ცვილის სასიამოვნო სურნელი შიგ მინც იგრძნობოდა.

— ბიჭო, კიდევ არ გძინავს? — ჯონდიმ ახლაც (ვითომ ჰკუის სასწავლებლად) საკმოდ „მეკახედ“ ჰკითხა, თუმცა ხმადაბლა, რომ დალილი მეგობრებისთვის ძილი არ დაერღვია.

— არ მეძინება, — ისე მიუგო ბიჭმა, რომ ანთებული სანთლისთვის თვალი არ მოუცილებია.

— შენს ასაკში ბავშვებს, სულ ცოტა, ათი საათი მინც უნდა ეძინოს...

— ვიცი.

— თუ იცი, დაიძინე!

— ჯონდი ბიძია, — ნათქვამს წაუყრუა გუჯამ, — დაკვირვებისარ, სანთელი როგორ იწვის?

— არა! — ფიცარნაგის კიდეზე ჩამოქდარი ჯონდი ჭიფხვით იხილდა ცეცხლთან წვივებზე შემომხმარ ჩექმებს, — არ დავინტერესებულვარ... რატომ მეკითხები?

— რახანია ვუყურებ და შემებრა-ლა.

— ვინ შეგებრალა? — გაეცინა ჯონდის, ჩექმა ძირს დააგდო და პატარა მეგობარს თმაზე ხელი გაკრა-გამოკრა, — ნუ ლაზღანდარაობ, დაიძინე.

— შეხედე, შეხედე, როგორ იწვის, როგორ იცრემლება და იღვევა... რაღაცნაირად ტირის, უხმოდ, გულდარუჭულად... ადამიანივითაა — ანთია, იწვის, დნება, ქრება... — გუჯამ უცებ თვალი მოარიდა სანთელს და გულადმა გადაბრუნდა და ისევ ხმელი ბალახის ღერს დაუწყო კვნეტა. — თფუ, ვინც სიკვდილი მოიგონა!.. ზემო ახოს პირველ მოსახვევთან რომ გადაიჩეხა, ის შოფერი სანთელივით ჩაქრა! ჯემალი ამბობდა, წინაღობით მთლად



გამოცვლილი იყო, ენად გაიკრიფაო... შენ იცნობდი? არა? იცი, როგორი ვაჟ-კაცი ყოფილა? ჯანო და თედო ხომ დევებივით არიან, მარა ორივეს ერთად ერეოდაო, მორის საძირე თავს, თურმე, მარტო სწევდა... — გუჯა ისეთი სინანულით ლაპარაკობდა, რომ სანთლის ჩასაქრობად მიმავალი ჯონდი შუა გზაზე გახვედა; ამ წუთში ისეთი რამ გაიფიქრა, რამაც კაცი თავიდან — ფრჩხილებამდე შეძრა და მუხლებაკანკალებული უკან დაბრუნდა.

— ჯონდი ბიძია, ასეთ დროს, ნეტავ, მართლა არსებობს წინაგრძნობა? — ნუ ლიკოკებ, დაიძინე-მეთქი, რამდენჯერ გითხრა! — ჯონდის უეცრად ხველა აუტყდა და ფიცარნაგზე სნებიანივით მიეგდო...

იმ ღამეს დილაამდე ენთო ფიცრულში სანთელი.

დილაამდე რული არ წაჰკარებია ჯონდის; გუნებაწამხდარი იწვა გვიმრად-ფენილ ფიცარნაგზე და ფიქრობდა ამ უცნაურ ბიჭზე, მის ნაადრევ სევდაზე...

ჯონდის ალიონზე ჩასთვლიმა და მანშინაც, როგორც ახლა, ვიდაცის ღრი-ალმა, ვიდაცის ყინულოვით ხელის შეხებამ და სიზმრად სიცხადესავით შეძრწუნებულს გამოეღვიძა, გონებაში ეჭვი ჩაუძვრა: ის, რაც სიზმრად იხილა, ცუდად ენიშნა, და მთელი დღე მორების დაცურება-დატვირთვა-გად-მოტვირთვის თუ სადილობა-ვახშმო-ბის დროს ბიჭის ბოჩოლასავით სავსე თვალებს თვალს არიდებდა...

„მართლაც რა საოცრად იცრემლება, როგორი გამალებით დნება... ილუვა“... — ჯონდიმ ახლახანს თითები თაფნასრესილ პაპიროსს ჰაიპარად მოუკიდა.

ჭიუტად იკაწრებოდა გვერდებჩამოფერდებული კარის მონოტონური ღრჭიალი.

ჯონდი ფიცარნაგიდან მსუბუქად გადმოცოცდა. მიწის იატაკს ფეხი ისეთი სიფრთხილით შეახო, თითქოს შიშობდა, ტალახიანი ჩექმებით უნებ-ლიეთ რაიმე არ გავსრისოო. მაინც

დაფრთხენ ხორაგთან მოკრძალებულ-თავები და სამალავებისაკენ წაიხილა ფუცხით მოკურცხლეს.

ჯონდიმ ძირს დაყრილი „ვიდაცის საგარეო“ ტანსაცმელი ლურსმანზე ჩამოაკიდა, სალესი ქვებივით მიმოყრილ სულგუნს გადაალაჯა და ჩუმად აპირებდა ფიცრულიდან გასვლას, მაგრამ კართან ამოპირქვავებული ვედრო მაინც გაებლანდა ფეხებში და შემკრთალმა თვალი ცოლისკენ გააპარა. მას არასოდეს არ განუცდია ისეთი გულისწყვეტა, როგორც ამ წუთში... შეფორა-კებულ ბაგეზე დიმილდამცხრალ ქალს უღარდელად ეძინა.

„ძილში მაინც თუ არ ჩაგყვა დღევან-დელი საბედისწერო დღე და არ გაწუხებს, არ გთუთქავს, არ გატირებს, ბედნიერი ხარ; იძინე, იძინე... როგორც ჩანს, დასაბამიდან ასე ყოფილა, — სხვისი მწუხარება იოლი მოსაქარვე-ბელია! — გაღიზიანებულმა პირი იბრუნა და სადგომს სწრაფად განერიდა.

მშვიდად ფშვინავდა გრილი, ღამე-ული მთის ბუნება — ისევ მდუმარედ იღვა ტანდაბორჯდლილი მუხა. სიმყუ-დროვეში ყამიყამ ვაისმოდა მეღამური ფრინველების სლიბი, გამყვიანი ვა-კივილ-გადმოკივილი და მშვიერი ტუ-რების როყიო ხავილი. ჯონდი ვიდრე თვალს შეაჩვევდა კუბრებით მრუმეს, ხარბად ისრუტავდა გამტკიცულ ჰაერს და უხაროდა, რომ ქურიდან გამოღე-ბულ რკინასავით ნელდებოდა, გულზე ეშვებოდა. უცებ ყური მოჰკრა: რომელიღაც ხეზე შებუღებულნი ჩიტუნე-ბი ერთიმეორეს რაღაცაზე გაუნაწყენ-დნენ და დიდხანს იყვიყვიეს, • იქოთ-ქოთეს... ეწყინა ჯონდის, ერთ-ერთმა ადგური რომ შეიცვალა და გაბუტული ქლურტულით მეორე ტოტზე გადაფ-რთხიალდა.

„...თავს თვითონ უკებ ხაფანგს და მერე თვითონვე გაურბი მას, — უნებ-ლიედ ცოლის პირველი საყვედური გა-

პიტალი მიძიავილი
აზგავი უღრანვი

ახსენდა და ხასიათდაწმენდილმა გაუპარსავი ნიკაპი მჭილით მოისრისა. — შენ ამქვეყნად არაამქვეყნიურს ეძიებ; მუდამ იყო და იქნება შავი და თეთრი; ცხოვრება ამის გარეშე არც ივარგებდა.... ბიჭო, იქნებ მე გიშლი ხელს?.. ვაითუ, ზედმეტი ვარ შენთვის და, ვინ იცის, გულს აღნები კაცი; მიიხარო, რა გაწუხებს, აბედივით მართო რატომ იწვი, საღ გარბიხარ?.. — იმ ღამეს ჯონდის ცოლი ამ განაწყენებული ჩიტივით პირველად დაწვა ცალკე.

„ჰმ, როგორ მიიხრა მაშინ? — გელემა ჯონდის, — ადამიანისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, როცა თანკითხვის ეამს საკუთარ თავთან თავს ვერ იმართლებს და გამოსავალს განდგომამში ეძიებსო...“ მართალია, განდგომა წმინდაწყლის ეგოიზმია... ნეტავ, რომელი სათია? — ჯონდომ ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას ახედა და თითებამდე მიმწვარი ბაპიროსი ჩასრისა. — სოფლამდე ჩასვლა გაუჭირდებოდათ, თორემ მერე მთელი სოფელი ფეხზე დადებოდა; ძიძარიებისა და კვარაცხელიების საგვარეულო ქალაქამდე ცხენებითაც გაჰყვებოდნენ... მთავარია, სოფელში თუ ჩააღწიეს დროზე, სოფელში მაშინ ისეთი უსაშველო არაფერი იყო, თედოს თეძო ჰქონდა ამოვარდნილი, მაგრამ „ეუპ, ღმერთო მოგვკალი, ეს რა დაგმართნიათო, მთავარ გზამდე სულ უბელო ცხენებით მიგვაცილეს“... — თავწანახარებული ჯირკები ჯერ ისევ თბილ ნაცარზე დააწყო, საღამოს მომარაგებული შეშაც წაუშატა, მერე რკინის კასრიდან ჭილაში ბენზინი ჩამოასხა და ცეცხლი დააგვიგინა... ოო, ამ რამდენიმე საათში როგორ შეეჭამა კაცი დარდს, როგორ გამოცვლილიყო — თვალები ჩასცვენოდა, ფერმიხდილი დაწვისთავები შეჭკნობოდა და მაღალ შუბლზე ნაწკებლარევივით დამჩნეოდა ნაოქები; თითქოს მხრებშიც მოხრილიყო კიდეც. საღდაც, სულ ახლოს ჭოტმა ისეთი ხმელი ხმით წამოთივივლა, რომ ჯონ-

დის მოულოდნელობისაგან კინალამ საფეთქლები დაეხლიჩა.

— თფუპ, შენი!.. — დროულ მიაკურთხა და გონება გამოფხიზლებულ კაცს ის ერთი საღამოც გაახსენდა...


...გუჯას ჩვევად ჰქონდა: ნავაჭრმეცხს, როცა მეტყვევები ოხუნჯობდნენ და თავთავიანთი გასართობით თავს იყოლიებდნენ, ბიჭი კერასთან ჩაცუცქლებოდა, წკებლით ნაცარს გამოქეჭავდა, ნაკვერცხლებისა და ნახშირისაგან გაწმენდა და გადასწორებულ ნაცარზე საოცარი გულმოდგინებით და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ხატავდა ბუხრიან სახლს, ფრთავაშლით ჩიტებს, ეზოში აუცილებლად ხელ-ფეხ გაპარწყულ ბავშვებს და ბურთებს, დიდ-პატარა ბურთებს. ნაოსტატარი თუ არ მოეწონებოდა, ნაცარს სწრაფად გადაასწორებდა და ხელმეორედ იწყებდა ბუხრიანი სახლის, ჩიტების, ხელ-ფეხ გაპარწყული ბალებებისა და დიდ-პატარა ბურთების ხატვას. არავინ იცოდა ბიჭი ამ დროს რაზე ოცნებობდა, ასეთი გულმოდგინებით ვისთვის. „აშენებდა“ აფრთხილებული ჩიტუნებითა და აყიენებული ბალებით. გაღაღებულ ბუხრიან სახლს...

იმ საღამოს გუჯას სახლის ხატვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ხევს გაღმა ჭოტის გამქოლავმა წამოკვივლებამ შეაკრთო ბიჭი.

— თფუი, შენი ჯილაგი ამოწყდეს! — წყევლანაცადი დედაბერივით წამოიძახა და დაუმთავრებელი ნახატი ნერვიულად მიმოჩხანა, — აქედან ღმერთმა ისე ნუ წამიყვანოს, ერთს მაინც არ გაგაფრთხობინოთ სულღო!

— რას ერწი საცოდავს, ისედაც უბედური ჰყავს მამაზეციერს, — სიცილით უთხრა ცეცხლის მეორე მხარეს ბოკონზე მჯდარმა ჯონდომ.

— დაიკარგოს, მაგის!.. ბოროტ კაცს მაგონებს. და კირივით მძულს, — გუჯამ წკებლა შუაზე გადატეხა და ცეცხლში შეაგდო. — არ გაგეცინოს და იცი, რატომ უფრო მძულს? ჩვენს სოფელში ერთი კაცია, ზურგსუკან



ყველა „ფოცხვერას“ ეძახის. პირში თქმას აბა ვინ გაუბედავს! ჭოტების ჩხავილზე მაშინვე იმ ოხრის ბზიკნაკ-ბენივით გასიებული სახე წარმომიდგება... ჯემო, — მუხის ქვეშ გრძელ სასადილო სუფრასთან მომუსაიფე სიძეს გასძახა, — ჯონდი ბიძიას ჩვენი „ფოცხვერა“ უნდა გავაცნო; რა ჩვენია, მარა მანც, — და ისევ ჯონდის მითუბრუნდა, — არ მეკითხები, რატომ?... ბოროტია და იმიტომ! ერთი მტკაველი მიწისთვის ძმაზე ნაჯახით მიიწია, აქაოდა, ჩემს საპარკეში შემოკრილხარო. ძმა კი ისეთი კაცია, უბატონოდ ბუხს არ ააფრენს... დედას გეფიცები, ჯონდი ბიძია, ზუსტად სახნისის ერთი პირი გაეტანა კვალს იქით... შემთხვევით აბა რა, ძირმომპალი სამანე სახნისის მიეკარგა და ხომ გეუბნები, ზუსტად ერთი მტკაველი იყო კვალს გადაცილებული... იცოცხლე, მე იმ ოხერ „ფოცხვერას“ დღეს ვაყრიდე! ჩვენს საყდარს ერთგან ხავსმოდებული ყორე აქვს შემორჩენილი, ისიც კალთა-კალთაა ჩამორღვეული; ე, იმ ყორესთან რამდენჯერ გამისამართლებია, ვინ მოთვლის, — გუჯამ თეთრი სიმინდის მარცვლებივით ლამაზი კბილები გამოაჩინა და ჩვეული მიაბიტობით ახითხითდა, — ფიქრით აბა, მართლა კი არა... ერთხელ, ვითომ, პირდაპირ სახლში მივუხტი; გაღუღუნებულ ბუხართან იჯდა და ღვინოს მიირთმევდა. ადგ, შე უწმინდურო, სული უნდა ამოგხადო-მეთქი, ვუყვირე და ქამარში გაჩრილ რევოლვერზე ხელი გავიკარი. საწყალი, ღველფში შეგდებული მეშვივით დაიღვანჭა, დაპატარავდა, აცლუქუნდა: გუჯა, ბიჭო, მიწა გამისკდეს, თუ დღესამასიქით ჩემმა ენამ უხაფლო სიტყვა წამოროშოსო; მარა ვინ უსმენს: ადგ, ადგ, შენისათანებთან ბევრი ლაყბობის დრო არა მაქვს-მეთქი და „ბახ, ბახ“, ზედ კერასთან იმასვექენი!.. ფუჰ, კირივით რომ მძტლს, იმიტომ თუ მაგონდება ასე ხშირად... მე რომ მკითხონ, ისე-

თებს ცალკე მივეუჩენდი ადგილს და ლეკონ და ლეკონ ერთიმეორეს დაეხმებოდა — ბიჭებო, გაიგონეთ თუა წინადადება შემოიტანა გუჯამ? — ჯონდიმ სიცილით გასძახა მაგიდასთან ჩამომსხდარ მეგობრებს.

— რაო, რა მინდაო? — თედო გამოეპასუხა.

— იმნაირებს, ვილაც ფოცხვერაზე ამბობს, ცალკე უნდა მივეუჩინოთ ადგილიო!

— რა, მართალი არა ვარ?

— ბიჭო, მერე ხომ უფრო გაბოროტდებიან და თავი თუ აიშვეს, მოგკამა პირი, დაუგესლავს არავის დატოვებენ!

— მიწაზე კი არ უნდა გავაჩეროთ, სადმე, სხვაგან, — გუჯამ კეფა ისე მოიქექა, თითქოს ფიქრობდა, მართლაც და სად შეიძლება „მათი“ ვადასახლებაო. — ჯონდი ბიძია, შენ რა, არ გავგივონია ჭოტის ჩხავილი უბედურების მომასწავებელიაო?

— რაც ნათქვამია და რასაც ამბობენ, ყველაფერი კი არ არის სარწმუნო; ბედიც და უბედობაც თვით ადამიანის ხელშია...

— იიჰ, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი რომ იტყვის ასეაო, არ უნდა დაიჯერო?

ჯონდიმ ცეცხლს შეშა შეუქეთა და წყირით სიგარეტს მოუკიდა.

— ტყუილს ვამბობ?

— არ ვიცი, — გაეცინა ჯონდის.

— შენ სულ „არ ვიცი“ გაკერია ენაზე, — გუჯამ ფარჩხს ტოტი შეატეხა და ნაცარზე ისევ დაიწყო ხატვა. — ამას წინათ ჩემს მისულელეზე პატიება რომ ვთხოვე, არ ვიცი, რას ამბობო, მაშინაც ასე მითხარი, ვახსოვს? — მერე, როგორც დიდი საიდუმლოების გამხელისას, უცებ ხმას დაუწია, — ჯონდი ბიძია, ჩვენს შორის დარჩეს, ქე მაქვს კვიმატი ენა, მარა ზოგს რომ ჰგონია, დამცინისო და მიბღვერს, ტყუილია. დედას გეფიცები, ამ დროს ვინ-

ვიტალი მიქიაშვილი
 ანთავი უღრანუი

მეს დაცინვა სულ არა მაქვს გუნებაში, უბრალოდ, მეხუმრება და ვხუმრობ, აბა ენაზე ბოქლომი კი არ მადევს, — თქვა და ჩაიხიბინათ. — ასეთი ხუმრობისათვის ერთხელ იმ ოხერმა „ფოცხვერამ“ ხალხში ისეთი სილა გამაწნა, ახლაც მეწვის... მერე ქე ვიკვნიტ ენას, მარა რაღა დროსი...

მოგიზგიზე ცეცხლთან დაყუდებულმა მომლიძარმა ჯონდომ ახლაც ისე აიქნია ხელი, თითქოს მაშინდელივით მოხიბინათ გუჯას აჩეჩილ თმაზე თითები უნდა წაქრა-წამოქრასო. იგი კარგახანს იყო ასეთ „დაწმენდილ“ გუნებაზე, კარგახანს „ირთობდა“ თავს. მერე ისევ მოსრიალდა ხეც ვაღმა აყვილებული ჭოტების ცივი ხმა, ისევ შეაყრეოლა კაცს და თავკომბალებით ახვართალებულ გუბურასავით ისევ აღმღვრა გუნება.

ჯონდომ პირი იბრუნა და ფიცრულს მიაშურა. რიკლედ დარჩენილ კარში სხვისი კატასავით შეიწვართა, რათა დაქანგული ანჯამების ღრუილს მძინარე ცოლი არ დაეფრთხო. გაოცდა, რომ დალის ამ ხნის განმავლობაში გვერდიც არ მოუნაცვლებია, მხოლოდ ხელის უნებლიე მოძრაობით ნაბადი გადაედრო...

ჯონდომ კედლიდან თოფი და სავსე პატრონტაში ჩამოხსნა და მხარამოფერდებულ კარებში ამჯერადაც ოჯახში შემოპარული სხვის კატასავით გაიწურა, თავისუფლად ამოისუნთქა. გაახსენდა, რომ წასვლამდე საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი და დაფაცურდა — საჩეხიდან გასხეპილი სარები მოათრია და ფიცრულს კარი დაძაბული სიფრთხილით გულმოდგინედ დაჯორგა. მერე, თითქოს გადაუდებელ საქმეზე აგვიანდებო, ჰაიპარად შემოირტყა პატრონტაში, თოფი დატენა და ხევისკენ მიმავალ ბილიკზე ისე დაეშვა, ერთხელაც არ მოუხედაია მოგიზგიზე ცეცხლით განათებულ მღუმარე ფიცრულსკენ, შიგ ახლაც მშვიდად რომ ეძინა მის საყვარელ აღამიანს.

ვარსკვლავებით მოოქვილი ცა მიწი-

დან ხელის ერთ გაწვედნაზე იყო, მაგრამ მისი მკრთალი ცილი ტყვეობაში იხილავდა ვერ ატანდა და ტყვეში ისეთი მრუმე იდგა, კაცს საკუთარი სხეულის დაკარგვის შეეშინდებოდა... ჯონდომ როგორც კი ჩაიფერდა და ფხნეკზე მოდებულ იელის ბუჩქნარში შეშლივინდა, ფრთხილი ნადირივით უცებ შეჩერდა და რალაცას მიაყურა, მერე ისევ სირბილით დაეშვა, მაგრამ მალე ისევ გაჩერდა და სუნთქვაშეკრული გაირინდა.

— გუჯა, შენა ხარ? — წამოისისინა და გალურსულ სიჩუმეში გასრიალებული საკუთარი ხმის ფაჩუნმა შეაძავდა.

„ჰუჰ, მომეჩვენა“, — გამშრალი ტუჩი ენით დაილბო და წასვლა დააპირა, მაგრამ ბიჭის ხიბხითი ცხვირწინ აფრენილი მწყერივით რომ აფრთხილდა, ჯონდომ ეშმას თავი ველარ წაართვა.

— შე ვაპლიკულო, გეყოფა ლაზლანდარობა, თორემ!.. — წამოიძახა და ბუჩქი თოფით ფრთხილად გადასწია. — პატარა კი აღარა ხარ, აწი ჰქუა მოგეთხოვება. შენოდენა რომ ვიყავი, უკვე ხარ-ურემს ვეკიდე... ჰო, ჰო, ნუ იკრიკები! — ჯონდის ისე გაეხარდა გუჯას „გამოჩენა“, რომ ლაპარაკის საღერღელი აეშალა, მგრამ უეცრად მაჯაზე ბიჭის ძალიან თბილი, პატარა ხელის შეხება იგრძნო და გაჩუმდა... (ესეც გუჯას მორიგი გამოგონება იყო: დღე-ღამის გასაყარზე, ვაშმობის წინ, ტანის დასაბანად მდინარისკენ ტაატით მიმავალ დაღღულ მეტყვევებს უგუნებობას რომ შეამჩნევდა, გაბაწრულ უხმო მწკრივში შეკუნტრუშდებოდა და ერთ ამბავს ატეხდა — ვის ზურგზე მოველებოდა და „ჰეი, ვერანა, ასე რამ დაგაონჩაო“, აჰყლოპინდებოდა, ვის ხელში ხელს ჩაჰკიდებდა და „ჰერი, ბიჭო, ჰერიო“, თავქვე კისრისტეხით მიერეგებოდა...).

— ნელა, შე გადარეულო, ნელა! — ახლა თქარათქურით მიმავალი ჯონდი მისძახოლა მის წინ, ბუჩქნარში ნის-

ლივით გაქცეულ გუჯას ნაცრისფერ აჩრდილს და ნერვიულად ხარხარებდა. — ნელა-მეთქი, ბიჭო, ღორღს შიშველი ქუსლი არ დაჰკრა და ფეხი არ იტკინო! — ჯონდი წამით მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა ნამით დათქორილი იელის ბუჩქი ცივ ტოტს შეაფერთავდა სიციხიან სახეზე... მერე ისევ გადაიღობრებოდა გარემო, უკუდგებოდა უკუნი, ისევ ეთიმებოდა „ხორციელ ჯონდის“ და ხარხარით მისდევდა, მისდევდა აკრიახებულ გუჯას აჩრდილს... მეგობრებმა თვალისდახამხამებაში ჩაირბინეს მდინარემდე. ჯონდი სულაც არ აპირებდა ბანაობას, მაგრამ ბიჭი შუა მორევში რომ დაინახა, თოფი ძირს დააგდო, სწრაფად გაიხადა და მდინარეში ხელეგამოილი ვადაეშვა. ყინულოვით წყალმა სული ზედ კიპკიპასთან შეუგუბა და „ჰაჰა-იტო“ რომ არ ეხუვლა, გაიგუღებოდა კაცი.

დიდხანს იტლამუნა მორევში, დიდხანს ეთამაშა პატარა ბიჭს და გულიც კი გაუწყალა.

აქოშინებული აგეროდის ამოდგაფუნდა ნაპირზე, მოკვეცილივით პირქვე დაეგდო და ამ წუთამდე დაგუბებულმა მამაკაცის ზღუქუნმა მხრები აუთახთანა.

— შე ღდინძალღო, გთხოვდი, გემუდარებოდი, გიყვიროდი, მორებით დატვირთულ მანქანაში ჩამოვაკებამდე ნუ ჩაჯდები, ნუ, ნუ-მეთქი! ახლა რა გქნათ, რით გიშველოთ... დედაშენს რა ვუთხრათ, ბიჭო, რა, რა!“ — ხარვიით აზმუვლდა, აბღავლდა, გალოკილ სილას მუშტები ტორებივით დაუშინა. — „...მაგრამ ღმერთი არ გასწირავსო“, მართალი არ ყოფილა, ჩემო გუჯა, არა... იქნებ მართლა გიგრძნობდა გული და ჩვენ ერთხელაც ვერაფერი შეგინიშნეთ?.. იქნებ ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაც ბეწვის ხილია და ბრმა განაჩენამდე უღარდელად შევყურებთ ერთმანეთს?..

„ჯონდი, ო, ჯონდი“...

ჯონდის აღარ გაჰკვირვებია იმ ძველი-ნაცნობის ქრუანტილისმომგვრელი

ჩურჩული და შეჰიბრხლულ მხარზე არც „მისი ხელის“ შეხება; რომელიმე მათგანმა მიანიც შეეხმინა და იმიტომ უფრო გაბრაზდა, რომ ყელში ამომჯღარ სლუკუნს ვერაფერი მოუხერხა.

„რაო, ჩემო ჯონდი, კოტმა გვიან ხომ არ შეგახსენა თავი?.. ჰოო, რა ხართ ეს მიწის შვილები... გადაბრუნდება ურემი, გამოჩნდება გზა და მერე ირტყამთ თავში ხელს!“ — აქირქილდა მაცდური.

— უჰ, კიდევ კარგი, შემახსენე, — ჯონდი სიცივემ აიტანა და სიტყვებს თავს ძლივს უყრიდა. — გუჯა სულ ოცნებობდა, ღმერთმა აქედან ისე ნუ წამიყვანოს, ერთი მიანიც არ წაავკიალო სკოლაში და ეს აყვია ფრინველი გოგო-ბიჭებს არ ვანახოო. ახლა მე წავუყვან... ჰო, წავუყვან! — ჯონდომ გაქირვებით ჩაიცვა დანოტიოვებული კომბინეზონი, შიშველი ფეხები ძალით ჩატენა ჩექმებში, თოფი ამოიღლია და აღმა მიჰყვა მდინარის კლდოვან ნაპირს. კარგად იცოდა, რომ ღამის ფრინველი სათოფედ არ გაიკარებდა, მაგრამ ამაზე არც ფიქრობდა; ჭოტი საბაბი იყო, კაცს ერთხელაც ეცადა გაჰქცეოდა საკუთარ თავს და გუნდებად აღდგენებულ უსახო, უხორცო ოჩოკოჩების ქირქილსა და ტამ-ფანდურს... მისთვის ახლა მთავარი იყო (როგორც პირველი მოჩვენების დროს), არ აწყლოდა ცდუნებას, არ შეპასუხებოდა „მათ“ და ნაბიჯი, არ შეენელებია...

შიშმა თუ შინაგანმა დაძაბულობამ ჯახგელასავით მწლაკე ნერწყვი გაუხშირა, არაყგამონელებული თავი უსწეკავდა, წყურვილი ახრჩობდა და გულიც ერეოდა. სიხარულით ცას ეწვია, ფეხქვეშ ბოგირი რომ იგრძნო და დელის ქოჩქოჩი გაიგონა... სასაგამშრალი კაცი მოწყურებული პირუტყვივით ჩაღვა დელეში და დიდხანს ხვრიბა ყინულოვით წყალი. მერე უეცრად წამოხტა, გვერდზე ისკუბა, გაპარტყული

ჰიტალი იმიაზოვილი

ამგავი უღრანო

ხელები ბუწნარისაგან დაკაწრულ სახეზე აიფარა და ნერვიული სიცილით წამოიძახა:

— ჰაიტ, შე გადარეული! წყალი მინც შემარგე!... გუჯა, გეყოფა ლაზლანდარობა, თორემ ბაბუაჩემსა აქვს ცხონება, დაგიქერ და გუბეში ბჟიტით გაყურყუმალე; ბიჭო, ნახევარმა ჰიქა წყალშერეულმა შამპანურმა როგორ დაგათრო, ა!.. არ იშლი, ხომ?.. სად წამიხვალ, სად! — და ჯონდი ისევ დაედევნა „ახითხიბებულ“ გუჯას აზრდის...

...იმ კვირა დილას ბიჭები ჩვეულებრივად ადრე ადგნენ.

გუჯა ნაბადზე იწვა; ქვედა საცვლის ტოტი აქჩაჩვოდა და მიტუნული პატარა დუნდული მოუჩანდა ჯონდომ უხმოდ გაიცინა და სხვებთან ერთად ფეხაკრებით გავიდა ფიცრულიდან.

— ბიჭებო, მანქანის ხმა ხომ გამოადვიძებს?.. რა ვქნათ? — იკითხა. საგონებელში ჩავარდნილმა ჯანომ.

— ტყის პირამდე ხელით წავაგოროთ, — ანზორი მკვირცხლად იკრავდა კომბინეზონის შუა-შუა დატეხილ დილებს. — ჰე, საქვს მიუჯექი, რას გაშტერებულხარ.

— მოაწეკით, რაღას უყურებთ! — კაბინიდან გამოსძახა ჯანომ.

ბიჭებმა უხმო სიხარულით ნელა წააგორეს მანქანა.

— ყველაფერი წამოვიღეთ? — იკითხა თედომ და მაშინვე შეიკურთხა. — ხთფუ, სანთლები დამჩნა!.. გავიქევი, წუთში მოვიტან.

ახლახანს გამოღვიძებული ტყის ფრთოსანი მობინადრენი, მეტყვევების გულიანმა სიცილ-ხარხარმა დააფრთხო...

დღეს გუჯას დაბადების დღე იყო და ბიჭები „პატარა მეტყვევს“ სიურპრიზს უმზადებდნენ. ყველაფერს ისეთი საიდუმლოებით აკეთებდნენ, რომ გუჯამ ამის შესახებ არაფერი იცოდა...

გუშინ დილით ჯანო და ანზორი ქალაქში საგანგებო დავალებით გააგზავნეს, რომ სურსათთან ერთად ამოეტანათ ის, რაც ბავშვის დაბადების დღეს დაამშვენებდა.

— ლიმონათი არ დაგავიწყდეთ, თანაც სპეცჩამოსხმა... უყვარს, — და აბარა მათ ჯონდომ და ჯიბიდან ფული ამოიღო, — ამით კი, ქვას გაარღვევთ და საუკეთესო ჯინსებს უყიდით... ჰო, ქაშარი არ დაგავიწყდეთ, აი ქე რომ მოხატული აბზინდი აქვს, და ყოველ მიზეზ გარეშე ქართული ზღაპრების ახალი გამოცემა; აღმასკომის წინ რომ წიგნების მაღაზიაა, იქ იქნება, სხვაგან ვერ იშოვით...

— ნაღდი ტყავის ბურთი გამოიყოფეთ, — ახლა თედომ გაიკრა ჯიბეზე ხელი და ელაში თვალებით ორივეს შეხედა, — და კიდევ სახატავი რვეულები და ფერადი ფანქრები...

ჯანოს „სტუდაბეკერი“ უკვე დაღმართზე მიბობღავდა, რომ ჯონდის რაღაც გაახსენდა და მანქანას ყვირილით აედევნა.

— მოიცათ, მოიცათ, მთავარი გავიწყდება! — და იმავე ფურცელზე მიაწერა: „ერთი ტორტი და სანთლები“.

და აი, ყველაფერი მზად ჰქონდათ. ითათბირეს, დღეობის სუფრა სად და როგორ გაეწყობთ, რომ გუჯას ვაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონოდა. ბოგირთან, მოჩუხჩუხე დელის ახლოს აირჩიეს ადგილი.

— ბიჭებო, საჩუქრებს სათითაოდ ჩავაბათ ბაწარი, ტორტებში შევმალეთ და ყოველ ახალ სადღეგრძელოზე წელნელა ჩამოუშვათ... რას იტყვიან? — თქვა ანზორმა, — იცით, რა ვქნათ? — ბურთი და კედები ეგერ, იმ ურთხელის ტორტზე ჩამოვიკიდოთ, რომ გუჯამ მანქანიდანვე დაინახოს.

— ცოტა ავჩქარდეთ, ბიჭებო, გუჯა უკვე გამოღვიძებული იქნება და არ შეეშინოს; თვალის ასახვევად მორები უნდა წავიძღვანოთ, — აჩქარდა თედო.

— ანზორა აქ დავტოვოთ, საქმელი თავგებმა არ დასუნთქონ...

მორების საწყობში ბიჭები ხორხორით შეგრილდნენ, ზოგი გადატვირთვას შეუდგა, ზოგმა ფიცრულს მიაშურა. გუჯა ფიცრულის წინ იდგა, პატარა მუშტი აღემართა და აღმართში ამომავალ მეტყველებს ემუქრებოდა:

— მომატყუეთ, ხომ!.. აქი დღეს ვისვენებთო? — კარგით, კარგით, ერთხელ მეც გაგებარებით და...

— გუჯა, სინდისს გეფიცები, — დაწინაურებულმა ჯონდომ მიაძახა, — უცებ ისეთი საოცარი დილა შემოგვეჩეჩა ხელში, ისეთი, ისეთი, რომ ერთი რეისი ძალათ ჩამოგვატანია; შენ თვითონ გახედე, გახედე, მთებს კეფაზე ცეცხლი უკიდია!

— ხო-ხო-ხო, მისწრება იქნებოდა ახლა ერთი ორასი გრამი ჭაჭა! — ხელების ფშვინებით თქვა ჯემალმა.

— კაცი შენს ადგილზე თხის რქეს უფრო ინატრებდა, — დამრიგებლურად უთხრა გუჯამ. — ყელი მტკივო რომ ამბობ, დაგიღობოდა.

— ფიჰ, ომის დროს საუზმედაც თხის რქე გვჭონდა, სადილადაც და ვახშმად ხომ იყო და იყო; რომ გამახსენდება, გული მერევა... ისე, თავისას ნუ დავუჯარავთ და თხამ მშინ დიდი სამსახური გაგვიწია, რქეც მაწიერი ჰქონდა და ხორცსაც არა უშავდა, ნამეტანი მკვლე კი იყო, მარა...

— ამის დედა ვატირე, წამლად რომ გინდოდეს, წვეთი წყალი არ არის! — აბუზღუნებულმა თედომ ცარიელი ვედროები გარეთ გამოყარა. — ახლა იდგე უნდა კაცი, ეს გამომშრალი ვედროები ვისი რიგისაა, თავზე წამოაძხო და კეტი ურტყა.

— ზოთბარკის ბეჭემოთივით რომ მიადგები და ხაავ, აბა რა გგონია, — გაიკრიჭა ჯემალი.

— რაღაც იმნაირად იმანუები, მგონი შენი მოსატანია წყალი, — თედო წელზევით გამოიშვლებულ ბანჯგვლიან მკერდ-მუცელს პირსახოცით იმშბლებდა და ხარხარით ქმინავდა.

— ანა, შენს თავს გეფიცები, დღეს ანზორა ცხვირას რიგია. ანზორ! — ჯემალმა თითქოს არ იცის ანზორის სად დარჩა და რისთვისო, ისე დაძვინჯა: — ანზორ, ანზორა დაფეხვილო!.. ვაა, სად გაქრა კაცი?

ახლა, ვითომ, სხვებმაც გაიოცეს ანზორის „გაუჩინარებლობა“, მიმოჩხრიკეს ფიცრულის შემოგარენი, ივახვახეს და ვინაიდან მის ასავალ-დასავალს კვალი ვერ უპოვეს, აჩოჩქოლდნენ: ალბათ, ტყეში მიგვრჩა და მარტო-კაცი დათვებმა არ დაგვიტოროსო, პაიპარად ვადაიბანეს ხელ-პირი, „საგარეო“ ტანსაცმელი გადაიცივეს და მორბობთან დატოვებულ მანქანას მიაშურეს. გუჯა კაბინაში დასვეს, თვითონ ღია ძარაზე ჩამოსხდნენ და „აბა, ჯანო, გარეკეო“, მიაძახეს.

მანქანა ნელა, დაძაბული ბუბუნით შეუდგა ბოგირისკენ მიმავალ შედმართს. მხიარული მეტყველები გუჯას თვალის ასახვევად ყამოყამ ხმამალა გაიძახოდნენ: „ანზორია, უუუ!“... გაინაბებოდნენ ნამნაკურ ტოტებში აფართქალებული ჩიტუნები, კაკუნს შეწყვეტდა კოდალა... მხოლოდ დაყუნტული გორბოი მთები არდხროხდებოდნენ და ახლა ისინი ეძახოდნენ „გაუჩინარებულ“ მეგობარს: „ანზორია, უუუუ!“.

— თედო, მიდი ერთი სასხლეტს თითი გამოსდე, იქნებ დათვს თათებიდან გაგადგდებინოთ ეგ ოხერი! — თავშეკავებული ფხუკუნით იტყოდა რომელიმე და იმწამსვე „დგუფო“, იჭუნებდა თოფი და ისევ გაიძახოდნენ: „ანზორია, უუ!“.

ბოგირიდან ასიოდე მეტრით იქნებოდნენ დაშორებულნი, რომ გუჯამ უეცრად თვალი მოჰკრა გზისპირა ურთხელის ტოტზე ჩამოკიდებულ საჩუქრებს და აწრიალდა შემცბარი ბიჭი.

— უიმე, ჯანო ბიძია, შეხედე, შეხედე! — განცვიფრებულმა საჭარე მინას კინალამ ცხვირი მიაჭეჭყა. — შეხედეთ,

მიხალი მიჩიავილი
აბაში შლარანი

შენდეთ, ხენ ბურთი და კედები გა მოუსხამს, ჰეჰე! — კარის სარკმელში წელზევით გამოძვრა და აქვლოპინდა.

— აუჰ, ამას რას ხედავს ჩვენი თვალები, ტყეში ჯადოსნური ხე ყოფილაო, — ჯანოს სასწრაფოდ გააჩერებინეს მანქანა და სირბილით მიმავალ გუჯას ერთი ამბით მიჰყვნენ.

— ბურთი, ბურთი! ნამდვილი ტყავის ბურთი და კედები, ჰე-ჰე-ეე! — გაიძახოდა ბიჭი და ტოტზე ჩამოკონწიალებულ საჩუქარს ქვეშ ფეხებში ხელებჩავლებული მტრედევით ფრთხილად, ხელებს მაღლა იშვერდა, რომ ჯადოსნური ხის „საოცნებო ნაყოფს“ როგორმე თითებით მაინც შეხებოდა... როცა უზომოდ გახარებული გუჯა კაბინაში დაჯდა და ბურთზე ლამაზი ასოებით წარწერა ამოიკითხა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ დღეს მისი დაბადების დღე იყო და ამ წუთში მთელს დღენიაზე ყველაზე ბედნიერმა ბავშვმა გულით ინატრა: ნეტავ დედაჩემი იყოს ახლა აქ და მიყურებდესო...

ბურთზე ეწერა: „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით“ — და ქვემოთ აჩაბაჩად ხელს აწერდნენ ბიჭები.

„ნეტავ, აქ იყოს ახლა დედაჩემი“, — ისევ ინატრა გუჯამ და ბედნიერებისაგან ალიცილიცებული საფირონისფერი თვალები სახეგაბადრულ ჯანოს მიაპყრო.

მეტყევეებმა (ასეა საჭიროო) „მადისათვის“ თითო ყანწი არაყი თათარი-ახნად გადახუხეს და ხარხარ-ხორხოცში გუჯას შამპანურის ბოთლები და-იხსნევინეს, საცობის ყოველ ამოვარდნაზე „ბუჰო“ ერთხმად იხუვლებდნენ და კვდებოდა ბიჭი სიცილით.

თედომ ტორტის შუაგულში ცერის სიმსხო თაფლის სანთელი დაარქო და თავი არ აუწევა, ისე დაიბუხუნა:

— დღეს ყველანი გუჯას კბილა ვართ და სუფრას თამადა არ ეყოლება.

— ეუჰ, დამღუპე კაცი და ეგაა! — ანზორმა გაშლილი ხელი შუბლზე შემოირტყა და ჯემალს გადახედა: სათ-

ქმელი ხომ დაგასწარი, აწი რამდენიც გენებოს იკაენეთო და ახარხარებულ მეგობარს გათლილი კიტხის წაქვრის პირში ჩასჩარა.

— ჩემო გუჯა, — პირველი საღლეგრძელო თედომ თქვა, — იცი რას გისურვებ? ნასწავლი კაცი გამოსულიყავი და შენი კაბინეტის კართან საათობით გვეყურყუტოს.

— რას ამბობ, თედო ბიძია, თქვენ ჩემი კაბინეტის კართან რად უნდა იყურყუტოთ? — ახითხითდა ბიჭი.

— მე ასე მინდა და...

— ვაი, რომ ლოგია არ მივარგა, თორემ ისეთ რამეს გეტყოდო...

— ცოდნა არა გაქვს და იმიტომ, — ჯემალმა სიტყვა გააწყვეტინა ანზორს.

— ხალხო, ეს კაცი თუ არ მომამორეთ, ძველი ხვანჯარევით საშველს არ მომცემს და რად მინდა ამისთანა პურჩიპა, — გაეცინა. — რას ვამბობდი? ჰო, ლოგია არ მივარგა-მეთქი; ნასწავლობითაც არ მიგჯება თავი, როგორც ზოგიერთს, — ჯემალს თვალი ჩაუკრა, — მაგრამ აი, რას გეტყვი, ჩემო გუჯა: ა, ამ უენო ისწლოვან ხეებს ბირდაბირით, ნაჯახით და რკინის სოლებით რომ მივადგებით, ვჭრით და მერე მიწაზე მივახოხიალებთ, გგონია არ სტკივათ?

— მაგაზე აქვს ვაჟის ნათქვამი: „უი-არადო რომა ვარ, იმიტომა მჭრი ხე-საო“?


— ჯონდი ბიძია, „შვლის ნუკრის ნა-ამბობიც“ ხომ მისი დაწეწილია? — ჰკითხა გუჯამ.

— კი, მისია...

— ჰოლა, მეც მაგის თქმას ვაპირებდი, — უიარაღოს, უთქმელს, წაქცეულს; არასოდეს ფეხი არ დააღა, ანზორმა ჯამი ჯანოს გადაულოცა.

— მე ძალიან მინდა, გუჯა, რომ შენ და ჩემი ბიჭები მეგობრები იყოთ, — თქვა ჯანომ და სასმელი არაყევით გადახუხა...

— ამ ზღაპრების წიგნში, — ჯონდომ



წიგნი გაშალა; — ხალხის სიბრძნეა, ჩადებული; აი, თუნდაც ამ ზღაპარში, თითქოს, უბრალო ამბავია: მეფემ სიკვდილის წინ ვაჟიშვილები მოიხმო და დაეალებით უცხო ქვეყნებში გაგზავნა, — ვინც შემისრულებს, ჩემი სამეფოც მას დარჩებაო. წავიდნენ ძმები; იარეს, იარეს და ერთგან სამ სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზაჯვარედინს წაადგნენ, თითოსთან თითო ქვა ყოფილა წარწერით: „ვინც აქეთ წავიდეს, მშვიდობით დაბრუნდეს“, „ვინც აქეთ წავიდეს, ძნელად დაბრუნდეს“, „ვინც აქეთ წავიდეს, ვეღარ დაბრუნდესო“. უფროსმა ძმებმა ეს უკანასკნელი უმცროს ძმას არგუენეს და მას თუმცა ბევრი ჰირ-ვარამი გადახდა, შინ მაინც გამარჯვებული, პირნათელი დაბრუნდა... იცოდე, ჩემო გუჯა, უბედურია ის, ვისაც იოლი ცხოვრება ბედნიერება ჰგონია. ქართველებს იმიტომ გვიყვარს ასე ძალიან ჩვენი მიწა, რომ მისთვის სხვებზე მეტი სისხლი და ოფლი დაგვინთხევია... — ჯონდომ ბიჭებს გადახედა და გაეცინა. — ნამეტანი შორს შევტოპე, არა? — წიგნი დაკეცა, გუჯას გადასცა და სათქმელი მოკლედ მოჰკრა, — აბა შენ იცი, ოქრო ბიჭო, იმ უმცროსი ძმასავით, როგორ გაახარებ დედაშენს...

ჯემალი პატარა ცოლისძმას გადაეხვია, გადაკოცნა და — ძლიან, ძალიან მიხარია, რომ მართლაც ბიჭი ხარ, კაცური კაციო, — უთხრა.

— იქნებ ღვინის ღნარვა უფრო გიხარია?

— ეგეც მიხარია, ჩემო ანზორ, — გადაიხარხარა ჯემალმა. — მიხარია იმიტომ, რომ ადამიანი ვარ და ყველაფერი ადამიანური ამქვეყნად ძალიან მახარებს...

ხიბითებდა თვალებგაბრწყინებული გუჯა; იჯდა სუფრის თავში მისთვის საგანგებოდ გაწყობილ მაღალ „სავარძელში“, რძია-რძიასავით თეთრი ხელები სანიდაყვევებზე დაეყრდნო, ბეჭები ოდნავ აეწურა, ახალ ჯინსებსა და ვედებში გამოწყობულ ფეხებს

უღარდელად აქანავებდა და ხიბითებდა.

ბიჭებმა ცარიელი ჯამები მიწაზე დაყარეს და აბა, იუბილარს ცა, ცა დავანახოთო, იტაცეს ნაფოტა ბიჭი და ჰაერში ააბურთავეს. ლიმონათშეზავებული ცოტოდენი შამპანურით, უზღვავე სიხარულით თუ ასროლა-ვარდნით გაბრუებული მოხიბითე გუჯა ტიტინებდა:

— ზუსტად, ზუსტად ასეთი სიზმარი ვნახე ამ დღით!

— რაო, რა ვნახეო? — მხოლოდ მაშინ ჰკითხა ჯანომ, როცა ახორზოცებულმა ბიჭებმა გუჯა ისევ თავის „სავარძელში“ ჩასვეს.

— სიზმარო.

— არ გადამრიო, თუ ძმა ხარ! — შეიცხადა ანზორმა. — რა დროს შენი სიზმარია.

— იიპ, მესიზმრა და რა ჩემი ბრალია, — გუჯამ დაორთქლილ შუბლზე ჩამოყრილ თმაზე ხელი აიკრა. — დედას გეფიცებით, ზუსტად, ზუსტად ასე დამესიზმრა: ვითომ ტრიალ მინდორში ვიყავი; ყაყაოები იყო იმდენი, იმდენი, იტყოდით, დედამიწაზე ნაკვერცხლები დაუყრიათო. პეპლებს აღარ იკითხავთ?! ცაც და მიწა მთლად პეპლებით იყო გადაპენტილი... საიდანაც თქვენი ძახილი მომესმა დარას ვხედავ; თავზე შავი ყაყაოების გვირგვინები წაგეკრათ და ერთი ამბით მორბოდით... უცებ ხელი დამავლეთ და, როგორც ახლა, ზუსტად ასე ამბურთავეთ; ერთხელაც რომ ამისრაღეთ, ნელ-ნელა ზეცაში არ ავფრინდი?!.. დედს გეფიცებით, ავფრინდი!.. მივფრინავ, მივფრინავ და ქვემოთ რომ გადმოვვიხედე, თქვენ უკვე აღარ ჩანდით, ყაყაოების ზღვაში მარტო ჩემკენ გამოშვებული თქვენი ხელები მოჩანდა... დედა, რა ლამაზი ყოფილა ზემოდან დედამიწა; ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, როგორ გითხრათ, — დახატულს ჰგავდა! —

შიტალი მიქიაშვილი
ამბავი უღრანში



გუჯა რაღაც საოცარი სიცხადით, გან-
ცდით, აღმაფრენი გატაცებით, ხელე-
ბის გრაციოზული მოძრაობით და მი-
მიკის ელვისებური მონაცვლებით ჰყვე-
ბოდა სიზმარს. ზოგჯერ ისეთი სისწ-
რაფით წამოხტებოდა „სავარძლიდან“
იტყობით, აჰა, ახლა კი მართლა აფ-
რინდება ცაშიო. — მერე უეცრად
მოგწყდით და ძირს ისეთი შხელით
დავეშვით, რომ შიშით სული შემეგუბა
და... გამომეღვიძა.

— მაშ, ძირს დაეშვი, ა? — სიცი-
ლით ჰკითხა ჯანომ.

— ჰო, ძირს დავეშვი... აი, ისე, დაჭ-
რილი ჩიტისვით... არა, არა! — ახით-
ხითდა. — მაგრე კი არა, აი, გერ-
მანელების თვითმფრინავს ცეცხლი
რომ გაუჩნდება და „გვექ“, ძირს ჰყუ-
ლით მოდის!

— ღმერთმა გაგზარდოს და იზრდე-
ბი, ჩემო გუჯა, იზრდები! — მხიარუ-
ლი ბუხუნით სიზმარს წერტილი და-
უსვა თედომ და ელამი თვალებით ან-
ზორს ძლივს გააგებინა: მიდი, ბიჭო,
საჩუქარი ჩამოუშვიო...

შეზარხოშებული ჯონდი ხელ-პი-
რის ვასაგრილებლად ბოგირთან ჩავი-
და. საღერღელაშლილი მეტყვევები
ხორხოცობდნენ, მხიარულ ანეგლო-
ტებს ხმამაღლა ჰყვებოდნენ და მღე-
როდნენ. ღელესთან ჩამომჭდარი ჯონ-
დიც მღეროდა, მღეროდა ხმადაბლა,
თავისთვის. მაგრამ ახლა მას არც სა-
კუთარი ხმა ესმოდა და არც მეგობრე-
ბის შეხმატებილებული სიმღერა. რა
არ იღონა, — გონებიდან ამოეგდო ის
შემზარავი ფიქრი, გუჯას ნაამბობმა
სიზმარმა საავდრო ღრუბელივით რომ
დაახვია გულზე, მაგრამ ვერაფერი გა-
აწყო.

„რა გქნა, ვერ გამიგია ამ თითისტო-
ლა ბავშვში საიდანაა ამდენი განცდა,
ამდენი სიხარული, ამდენი ნაადრევი
ჩუმი დარდი, სიყვარული... ღმერთო,
ნუ მიწყენ და მეჩვენება, თითქოს რა-
ღაც ძალა აჩქარებს, საღღაც მიაქ-
როლებს...“ — ჯონდომ ისე მაგრად იკ-
ბინა ნეკა თითზე, რომ სიმწრისაგან გუ-

ბეში სტუცა ნიჩაბივით ხელი და იმ-
წამსვე გუჯას ფრთხილა ხითხით და
ცივი, ყინულივით ცივი წყალი კეთილ-
როულად შეეფრქვა ცხელ სახეზე.

— ჰუჰ! — ცივმა წყალმა ჯონდის
სული შეუგუბა, სველი ხელები სახე-
ზე აიფარა და წამოხტა. — ჰაიტ, შე
გადარეულო, ღვინომ გიწია, ხომ? —
ახარხარდა, წყალგარეულმა ნახევარმა
ქიქა შამპანურმა ასე როგორ დაგრია
ხელი, რომ... გეყოფა, გეყოფა-მეთქი,
თორემ ბაბუაჩემსა აქვს ცხონება, და-
გიჭერ და შიგ ბეიტვივით გაყურყუმე-
ლავებ!

ახითხითებული გუჯა ახალი კედე-
ბით იდგა მოჩუხჩუხე კამკამა წყალ-
ში, სახელოები იდაყვებამდე წამოეკარ-
წახებინა და მთელი მონდომებით წუ-
წავდა შეზარხოშებულ ჯონდის.

— მაშ, არ იშლი, ხომ? — ჯონდი
ღინჯად დაიძრა გუჯასკენ.

ბიჭმა ახლა უფრო სწრაფად ააჭყუმ-
ბალა პატარა ხელები და უფრო გა-
ტაცებით აკრიახდა. გაწუწული ჯონ-
დი როცა მას ხელის ერთ გაწვდენაზე
მიუახლოვდა, ბიჭი ძუძუნაწოვი ნუკ-
რივით მკვირცხლად ამოჰყაბუნდა ღე-
ლიდან და ისეთი სისწრაფით მოწყდა
ადგილს, კაცი იფიქრებდა, — სულ
ცოტაც, კამარას შეკრავს და გაფრენი-
ლი ბავშვი ასწლოვან ვეება ხეებს თავ-
ზე გადაუქროლებსო. ოდნავ წინ წახ-
რილი გუჯა ღროდაღრო სხივდაკრუ-
ლი სარკესავით მოაბრუნებდა გახვი-
თქულ სახეს და გარბოდა, გარბოდა
წლობით ნაყარი ფოთლებითა და წიწ-
ვით აფუებულ, სურნელოვან, ცოდ-
ვილ მიწაზე.

— საღ წამიხვალ, საღ! — მისძახო-
და ბიჭის სიხარულით უზომოდ გახარე-
ბული ჯონდი. — სულერთია, მაინც
დაგიჭერ და ბეიტვივით გაყურყუმე-
ვები!...

ჯონდომ ახლაც კარგახანს სღია გუ-
ჯას აჩრდილს და ღმერთმა უწყის, გა-
სავათებული კაცი როდემდე იბორ-
გებდა ყარყუა ღამეში, რომ შემთხვე-
ვით არ შესჩივბოდა ხრამის პირას ტყუ-

ბად ნაზარდ უზარმაზარ ხეზე იყუდებულ „სტუდაბეკერს“.

...ო, რა საზარელი შესახედავი ყოფილა შეშინებული ვაჟაკი...

...ჯონდომ გაბარვა დააპირა, მაგრამ ეს ოხერი მანქანა ხეზე თავდაღმა დაკიდებული ვერძივით ისე იყო აპლაკული, იფიქრებდით — ერთი უნებლიე ნაბიჯიც კი მიწას შეძრავს და ჯართი ხრამში გადაიჩეხებაო. გაქვავებული კაცი დიდხანს იდგა და რალაცის მოლოდინში მონუსხული მიშტერებოდა დაღვარკნილ ცივ რკინას. უეცრად (როგორც ჯემალი იქ, ფიცრულის წინ) ისეთი ისტერიული, შემაზარხენი ხმით ახეხვიდა, თითქოს ფეხდაფეხ აღევნებული საკუთარი ბედისწერა მხრებში ჩაფრენია და უმოწყალოდ ანჯღრევსო.

...დიდი მწუხარების ეამს ბერიკაცებივით მდუმარე ხეების კენწეროებზე დასკუებულ ვარსკვლავებს აბა, რა უნდა ელონათ და გაოცებულნი უქვერტდნენ ტყეში ვაყასავით შემოვარდნილ ადამიანს.

ჯონდის მუხლები აუცახცახდა და მისუსტებული იქვე, ნამორთან ჩაჯდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა უნებლიეთ გასროლილი თოფის ხმაზე ოჩოკოჩები გაქრნენ და წუთით ირგვლივ საამო დუმილი ჩამოწვა.

— ჰე-ჰეე, გიტირეთ თუ არა დედა! — წამოიხიხინა და თვალები დახუჭა, რომ დაღეწილი მანქანა არ დაენახა... მერე და მერე, როცა მოხროვებული ოჩოკოჩები კვლავ წამოესეოდნენ, იგი აუჩქარებლად ტენიდა თოფს და ისროდა, ისევ ტენიდა და ნამორთან ჩალორთხილი უკვე გულგრილად ელოდა „მათ“ შემოტევას. მალე მიხვდა: ათასიც რომ ედავიდარაბა, „მათთან“ ვერაფერს გააწყობდა, მაგრამ შიშით, აზარტით თუ უბრალოდ, ხელჩაქნეული კაცის უდარდელობით ასე ტენიდა და აქუხებდა თოფს უკანასკნელ ვაზნამდე.

...ჰმ, რა უცნაურია ბედის ტრიალი; ზოგს გაცვეთილი აღვირვით ისე მი-

ივიწყებს, კაცს გაჩენის დღეს აწყველინებს“, — ჯონდომ აღარაფერს მიაგონებდა სი ცხელი თოფი კომბალივით მოვლოდა.

„სოფლამდე ჩასვლა გაუჭირდებოდათ, თორემ მერე მთელი სოფელი სკასავით გამოეფინებოდა... ღმერთო მომაგონე, როდის შეიპარა გუჯა მანქანაში, როდის... ჰოო, გუშინ რა მარჯვედ გვეხმარებოდა ხეების გაკაფვაში. იმდენი რა უნდა ეშრომა, მაგრამ მაინც გაიოფლა; მანქანა რომ დავტვირთეთ და მიწაზე წამოწვა, ძალით წამოვავდე, შემეშინდა, გახურებულმა ფილტვებმა ნესტი არ აიყოლოს-მეთქი... ჰმ, გაბუტული გამერიდა და ნაკაფ ტოტებზე გადაჯდა გაფხორილი ბელურასავით. ნუ იბღვირები, თორემ ავღგები და შენს შეყვარებულს დღესვე მივწერ ასეთი და ასეთი გულწირაამეთქი; გვერდით მივეუჯექი, ვუჯლიქვე კიდევაც, მაგრამ აბაჰ, ხმა არ გამოცა, თავი მიიბრუნა და ფეხსაცმლის ქუსლით მიწას ჩიჩქნა დაუწყო.

— ისე, ჩვენ შორის დარჩეს და მორებთან ბულრავი ჯერ შენი საქმე არ არის, — მივეხაფიდე, — წელი რომ გაგელახოს, რას შვები მერე?

— ჯონდი ბიძია, — გამოაცა ბიჭის გამოცვლილმა ხმა. — სანამ ჯემალი ჩაგვესიძებოდა, დედაჩემი სულ სახლის სახურავისა და კარ-ფანჯარების გამოცვლაზე ოცნებობდა, დალა, დამიძლიაო... მამას წამოეწყო, მარა აღარ დასცლია; მისი მოტანილი სამასალე მორი დღესაც ეზოში გდია. ვინ არ გვთხოვა, მარა დედაჩემი ვერ ელევა, მისი ხელმონაკილია, იყოს მის სახელზეო... შენ გგონია, დედაჩემისთანა ცოტაა?.. რომ გამახსენდება, აი ამ მორების მასალით უამრავი დედა ახალ კარ-ფანჯარას გაიკეთებს, დედას გეფიცები, ჯონდი ბიძია, ისე მიხარია, ისე, ისე, გეგონება, ჩემი იყოს და უფასოდ ვარიგებდე!..

მანქანის დაძვრამდე სულ ჩვენს თვალწინ ტრიალებდა და როდის შე-

პიტალი მიქიაშვილი
აბაპი უღრანო

იპარა მანქანაში, როდის... — ჯონ-
დომ კიდევ ერთხელ და ახლა უფრო
დაწვრილებით გაიხსენა გუშინ, სამხ-
რობისწინა იმ საბედისწერო რეისის
დროს ვინ სად იღვა, ვინ რას აკეთებ-
და...

— ხალხო, — მორებით დატვირთუ-
ლი მანქანიდან დათვივით ჩამოხტა თე-
ლო, ხავსითა და ფიჭვის წებოთი გა-
ზინზლული კომბინეზონი გაიფერთხა
და უროდნარტყამივით ბრტყელი სა-
ხე სახელოთი მოიწმინდა, — იცით,
რა გავიფიქრე? სხვა აბა, რა პატივი
უნდა ვცეთ და მოდი, ეს რეისი ჩვენს
სტუმარს. — დალის მიუფძღვნათ, რომ
გუშინდელივით დღესაც ადამიანური
ვანშიში დავახვედროს!

— ვაშა, ... ვაშა! — ჯემალმა ჩექმა
ძირს დაავლო და ტაში შეჰოპკრა. —
კიდევ ვაშა!.. ამ გამხმარ თავში ერთხე-
ლაც რომ გამოფაჩუნდებოდეს ასეთი
ბრძნული აზრი, ჩემს ბედს ძაღლის ყე-
ფა რას დააკლებდა!

— ამან რომ ყოველ ჩემს ნათქვამს
ნაცარი არ შეაყაროს, სიმწრისაგან გა-
სკდება! — მართლა ეწყინა თედოს,
ელაში თვალები ისე მოწყურა, ნემსი
გაისნიტებოდა და მანქანაზე მოფუს-
ფუსე ჭანოს ვაღიზიანებულმა ასძახა:
ასანთი ჩამომიგდე!

— ნუ ფხუჯიანობ ფეხმძიმე ქალი-
ვით, — ჯემალს სიცილი წასკდა, განაწ-
ყენებულ მეგობარს ფეხშიშველი მიე-
ახლა, ანთებული ასანთის ღერი გაუწო-
და და მოსაწევი დამიტოვეო, ყველას
გასაგონად უთხრა.

— ეეჰ, — ამოიხრა ანზორმა და
თუთუნშეხვეულ გაზეთის კიდეს ენის
წვერი გაუსვა. — უადგილობას დაუ-
დგეს თვალი, თორემ სტუმრის პატი-
ვისცემა შე მკითხეთ... ვავშლიდი ავი
თვალისაგან მოსარიდებელ სუფრას,
სუფრის ერთ თავში დავაბრძანებდი
ჯონდის მუღლით, მეორე თავში ტან-
ჯულ თამადად მე დავჯდებოდი, თქვენ
და ყველა შეტყვევს იქეთ-აქეთ დაგს-
ხამდით და მოგეცათ შევება, მოგილ-
ხენდით...

— თამადად სხვა ხომ არ დავნიშ-
ნოთ, უფრო თავისუფლად მოილხენ-
ა?! — ჩაუბრუნა ჯემალმა.

— უჩემოდ ვერ ინადიმებთ, თორემ...

— დაუთმე, ჯემო, დაუთმე; ხომ ხე-
დავ, სხვაგვარად ქეიფზე დარჩენას არ
აპირებს. — მანქანიდან ჩამოსძახა ჯე-
ნომ. — სულ ერთია, მეორე ჭიქაზე
გადამწვარი ნათურასავით მოუწევს გა-
მოცვლა! — და ახარხარდა.

— შენ მანდ, საქმეს მიხედე, ბაზრის
ძალღვივთ ნუ იყეფები, თორემ ახლავე
დავაჯარიმებ! — თამადის რიხით შეუ-
ძახა ანზორმა.

— გიყ ქორწილში შეაგდეს, ჩემს
სახლს იეს სჯობიაო, დააჯარიმებ და მა-
გასაც ეგ უნდა, — გაეცინა ჯემალს.

— რა ყაყანია, თამადას მოვეუსმი-
ნოთ! — დაიბუხუნა გამხიარულებულმა
თედომ.

— თედო, ჩემს მოადგილედ გნიშნავ!

— ა, ენდე ახლა ასეთ ხელმძღვა-
ნელს; ბიჭო, კადრებს დაკვირვებით
უნდა შერჩევა, ეგ შენი „მოადგილე“
ძილშიაც კუჭზე ფიქრობს და კარგს
რას გამოიკეთებს?..

— ჩვენ მათ კატეგორიებს არ ვე-
კუთვნივით, ცხოვრებას გაპარტყული თი-
თებიდან არ ვუყურებთ; ჰო, ასეა!.. საქ-
მეს დაფუბრუნდეთ, ძმებო, პოდა, არ
დაგავიწყდეთ, რომ ეს ამოდენა სუფრა
ჯონდის და დალის საპატივცემლოდაა
გაშლილი, — ანზორმა, აქაოდა თამადას
ასე შეშვენიროს, ვალელილი კომბინეზო-
ნი შეიკრა, თმა შეისწორა და ნაკაფზე,
გუჯას გვერდით ჩაქომჯდარ ჯონდის
გაუღიმა, ხუმრობა ხომ არ გწყინსო და
განაგრძო: — პირველსავე სადღეგრძე-
ლოს ასე დავიწყებდი: ბატონებო და
ქალბატონებო, ძვირფასო სტუმრებო,
ამხანაგებო და თქვენ, ჩემო მეგობრე-
ბო, ამ ცხოვრებაში ყველაზე ბედნიე-
რია ის წყვილი, ვისაც სიკვდილამდე
პირველი უმწიკვლო სიყვარული ემეკე-
ლებს; გადადგამ ნაბიჯს და შემოგვი-
ნებს, კიდევ გადადგამ და სიხარულს
შემოგაგებებს, ცოტასაც გაივლი და —
ჰეი, ძმობილო, ყურები ნუ ჩამოგიყრია,

ეს ცხოვრება ხან ასეა და ხან ისე, თავი ასწი, თავიო; გზად ჩამორჩები და მაინც წინ დაგიდგება — აბა, თქვენთან ვარ, ნუ გეშინიათო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ისეთ სიყვარულს გაუმარჯოს, ავერ ჩვენს დალის ხელში ჯოხი რომ დააკავებინა და ცხრა მთას იქით გადაკარგული ჯონდი მოაძებნინამეთქი დავაბოლოვებდი... ასეა, ასე და შენ, ჯონდი, მანდ სხვანაირად ნუ ჰიხვინებ...

— ხო-ხო-ხო! — აბუნუნდა თედო. — ამ საარაკო სადღევრძელოს თუ ახლავე არ მივაყოლეთ „ჰარირა“, პურ-მარჩილს ფასი დაეკარგება! ჯანო, კაბინის თავი დოლის მაგივრად, დასცხე!... გუჯა, წრეში!

ახითხითებული გუჯა მაშინვე წამოხტა და წამოშლილი მეტყვევების შუაგულში ვერცხლისწყალივით შეცურდა.

— განი, განი! — ხელებგაშლილმა ბიჭმა ცეკვით წრე შემოხაზა, ჯემალის წინ ფეხისწვერებზე შეწვიბული დაერქო და მკერდზე ხელებდაწყობილმა თმახუტუტა თავი რაინდივით დახარა. „გაინაზა“ ჯემალი, სახე გვერდზე მიიბრუნა და აღწერილი გოგონასავით მანქვა-გრეხით წაგოგმანდა პატარა ცოლის ძმის წინ.

მორებზე გადაძვარი ჯანო დატეკცილი კაბინის თავს ნიჩბებივით უბრაუნებდა ხელებს და შეზარხოშებული მაყარივით გაიძახოდა: „აბა ტაში, ტაში, ტაში!“ — თან თედოს აქეზებდა: „მიდი, ბიჭო, მიდი, გუჯას შეენაცვლე, ხომ ხედავ, ჯემალა თვალებს გიპაქუნებს, გეძახის; ჰე, მიდი!“ წრეში შეძუნძულდა თედო და ერთი-ორჯერ ისეთი უჩვეულო სიმკვირცხლით დაეშვა მუხლებზე, მიწა იძრა...

— ჰარირა... — კისერზე ძარღვები ასკლებოდა ანზორს...

— თამადა, ამ გახურებულ გულზე წყურვილით ნუ გაგვიხმე ყელი! — ცეკვის დამთავრებისთანავე ჩამოსძახა ხსარხარებულმა ჯანომ.

— აბა, შეავსეთ ჰიქები! — ბრძანა

თამადამ. — ახლა ამ პატარა ჰიქით და...

— ყანწი?!.. ყოჩაღ, ჯემალ, საჭურველეთუხუცესად გინშავ და აბა, ყანწი, ყანწი! — იყვირა ანზორმა და აბურღულ უღვაშზე ისე გადაისვა საჩვენებელი თითი, თითქოს სასმისის დაცლისას ღვინით შენამულ ჯაგარს იმშრალესო.

ჯემალმა ნაჯახს წამოავლო ხელი, ნაკაფიდან მკლავის სიმსხო ტოტი გამოათრია, თვალისდახამამებაში ჩასხიპა, მტკაველით ადლი გადაზომა, დანიშნული ადგილი ერთი დაკვრით წაათლა და როგორც ნამდვილ ნადიმს ეკადრება „ყანწი“ მოხდენილად გადაუგდო თამადას:

— ინებეთ, თამადა ბატონო!

ახლა აქეთ დატრიალდნენ ბიჭები: ანზორს მორის უშველებელი გადანაჭერით მიეახლნენ (ტოლუმბაშს პატარა საწყაოთი მირთმეული სასმელი როგორ ვაკადროთო) და ადლიანი „ყანწი“ ამ ვეება „ჰურჰელში“ ნაყენი სასმელით „გაუვსეს“.

— ძმებო, — ხელდამშვენებულმა თამადამ ჰურჰემივით აღმართა ხელი და სამიოდე დღის გაუპარსავი სახე ღიმილით დაიმშენა. — ადამიანის ერთი მუტა გული ყველაფერს რომ ვერ იტყვეს, კაცმა ამიტომ მოიგონა მეორე ნახევარი, როგორც გულის განმტვირთველი ერთადერთი ძვირფასი არსება...

— და ჯიბისაც! — ჩამოსძახა ჯანომ.

— მერიქიფევ, ჯარიმა იმ ვაჟბატონს!

— რამდენით, ბატონო?

— სამი... სამი ჰიქით!

— ჰო, ასეი ყოველ ვიგინდარას ასე წაღმა-უქულმა, რა გენადვლებ; მე შენ გეტყვი და, ზურგი გაქვს გადაყვლეფილი მის მოყვანაში, — აქირქილდა ჯემალი.

— ზოგს ვაზი თვალითაც არ უნახავს, მაგრამ სმით, იცოცხლე, გემოზე სვამდეს... რას ვამბობდი?... ჰო, კაცმა მეუღლე დაისვა გულის განმტვირთველად-მეთქი...

პიტალი მიქიაზვილი
აბაზი უღრანვი

— და ჯობისაც, ნუ გავიწყდება! — ისევ შეაწყვეტინა ჯანომ.

— ბიჭო, მაგ საქმეში ჩვენი გაპირება გვადგას, შენსას ნულარ გვადარდებ, — თქვა კაბინის საფეხურზე ჩამომკდარმა თედომ.

— მაშინ, სწორედ ასეთი „შავი დღისათვის“ შემოუნახავს ადამიანს, — სიცილით განაგრძო თამადამ, — მეგობარი, დიდი სიხარულის, დარდისა და ჭირის ერთგული მოზიარე... — ანზორი რატომღაც უცებ გაჩუმდა და გაოფლილ სახეზე ქახქახებაში უშუაზე შეცოცებული ჭირხლივით შეეპარა მოულოდნელი ნაღველი. სათითაოდ შეათვალიერა მეგობრები; თითქოს მათში „გადამალული“ საიდუმლოების ამოკითხვას ლამობსო, დაჟინებით მიშტერებოდა ხან ერთს, ხან მეორეს და ხარბად სანსლავედა თამბაქოს მუქის სიმსხო ბოლქვებს.

დაკვირვებული იყო ჯონდი, — მათ უეცრად დარევედა ხოლმე ხელს ჩასაფრებული სევდა, აიყოლიებდნენ მღუშმარე ბიჭები ერთმანეთს, ჩაყურყურმალდებოდნენ ოცნების კილობანში და თვით მამაზეციერმაც არ უწყოდა ამ დროს ვინ რაზე ფიქრობდა, ოცნებობდა, ვინ სად დანავარდობდა... მერე ასევე უეცრად „მოიციქოდნენ“, აუბრაილდებოდნენ სიხარული და ტყვეს მოდებული ხანძარივით „ცეცხლწაუციდებელი“ არავინ რჩებოდა.

„ადამიანები ყველაზე გვიან მივდივართ ყველაზე მარტივ კემპარიტებამდე, — გაიფიქრა ჯონდომ და ამ წუთში ყველაზე ბედნიერ, ყველაზე უღარღელ, ყველაზე მხიარულ გუჯას გახედა. — ო, ჩემო ბიჭუნა, რა კარგია, რა დიდებულება, რომ ჯერ არ დაგვიკარგავს სევდიზი, სიხარულის, გაოცების, ტკივილის, სიყვარულის, განცდის უნარი! ესენი რომ არა, იცი, ჩვენი ცხოვრება რას დაემსგავსებოდა? ხავსმოდებულ კიბეზე დაგორებულ ნართის დიდპატარა გვრიჭებს, რომლებსაც არც სტივით, არც სცივით და არც ის უკ-

ვირთ, სადღაც რომ მიგორავენ!“ — ჯონდი ახლა ყველა ნათელმზღვრულზე უკეთ ხედავდა და გრძობდა მისი გობრების სადღაც გადახვეწილ გულებს და უნდოდა სათითაოდ გადახვეოდა ყველას, გადახვეოდა სწორედ ისეთებს, როგორებიც ამ წუთში იყვნენ: ჩაფიქრებულნი, ოფლისაგან სახელაქერცილინი, ნაძვისა და ფიჭვის წებოსაგან კომბინეზონებგაზინტლულნი და კეთილნი, აკვნის ბალღებივით საოცრად კეთილნი...

ანზორმა ყანწად წოდებული მკლავის სიმსხო ტოტის გადანაჰკერი სევდანარევი ღიმილით გვერდზე მოისროლა და თავისთვის ჩაიდუღუნა:

— ეეჰ, ჯანდაბას; მოყირკებას ყოვეთვის სჯობია მონატრება.

— ხომ გითხარით მეორე ჭიქაზე გადამწვარი ნათურასავით გამოცვლა დაგვიკირდება-მეთქი! — ჯანომ ნაძალადევი ოხუნჯობით სცადა უსიამო ღუმლის განმუხტვა, მაგრამ არც ერთმა მხარი რომ არ აუბა, გაბრაზდა და უმიზეზოდ აჯაჯღანდა.


— ამოდით რომელიმე და ჯაჭვი გადამაქაჩვიინეთ, სადაცაა გადაისამხრებს! თედო, შენ გეუბნები, არ გესმის?!

— თფუ, შენი მომგონი!... ყელი დამიშაშხანა ამ შობელქაღლმა, — ანზორმა პაპიროსი მიწაზე დაახეთქა და ჩექმის წვერით ჩასრისა. — ჯანო, წინა მხარეც კაუჭებით შეგვკრათ, თორემ მოსახვევში რომ მისაბმელმა საქაჩი გაწყვიტოს („ფუი, ეშმაკს!“ — გაიფიქრა), დაშლილი მორები ძარას ფოლაქივით დაფშვნის.

— მოკლეზე ჩავალ, მოსახვევის გავლით მარტო ბოგირამდე დამკირდება ერთი საათი; მოკლეზე წამში ჩავხრივინდები.

— ა, მოკითხე ახლა ამისთანას ჭკუა.. ბიჭო, თავი რუსთაველზე ხომ არ გგონია; ტყეა აქ, ტყე!

— ანზორა გაკლიკულო, ამ ტყეში შენზე იდრე ორი დღით მინც ვარ ამოსული.



— შერე ამას ვერ ხედავ? — ანზორმა რესორს ფეხი ჰკრა. — მიწამდე დასული.

— ვეშაპი ისეთს არაფერს ჩაყლაპავს, რომ ვერ მოინელოს.

— ელაპარაკე რეგვენსო, ურახუნე კედელსო, — ჩაიქირქილა ანზორმა.

— ეუჰ, ეს რა აკადრა, ბიჭო, ა! — ჯემალმა ცეცხლზე წავთი დაასხა.

— ჯემალი, გამიგე, ერთი მაგ „არამკითხეს“ ასეთი ანდაზა თუ გაუგონია: „ენამ რა მიყო და თავში კაკუნით“, — ჯანომ თქმისთანავე ნაჯახი მორზე დაასო, თავზე წაქრული სველი ცხვირსახოცი მოიშვლიდა და მანქანიდან ვერძივით ისეკუბა.

გუჯა მიხვდა, რომ ეს ახალი „თამაში“ პირველზე ნაკლებ საინტერესო არ იქნებოდა და მაშინვე აკლოპინდა: „ჰიდაობას რა უნდა“...

— გუჯა, ჯიმა, ამ გამარჯვებასაც შენ გიძღვნი, ვაიგონე? — ჯანო შესარკინებლად მოუმზადებელ ანზორს წელში შეუვარდა და საყენიანი ვაჟკაცი მიწას მოწყვიტა. ანზორმა მომხვედურის ნიჟარს ხელები დაუხვედრა და ამით სცადა თავის დაღწევა, მაგრამ დაავიანა, თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ მიწაზე ზღართან მოადინა.

— ჰუტ, შე თოხლო! — მეგობრის გასაღიზიანებლად ჯანომ ხელები ისეთი დაცივებით დაიბერტყა, თითქოს ეს წუთია ფქვილიანი ტომარა ეკავო.

— უფალო, გავედრებთ სულს შენი ერთგული მონისას... — წაიგლობა ჯემალმა და მიწაზე გაშხლართულ მეგობარს დიდი სერიოზულობით რამდენჯერმე პირჯვარი გადასახა. — გებრალეობდეს შენგან სულშთაბერილი კაცი მიწისა და ციხა და ქვესკნელისა და...

— ეგ ვირია, წმინდაწყლის ვირი და მისგან წიხლი რა საწყენია, მარა შენ რომ დაგიღია პირი და დავდავებ... — ანზორს სიცილი წასკდა და სათქმელიც აღარ გაუგრძელებია.

გუჯამ მეტყვევითა მხიარული ძიძვილაობისას დრო იხელთა და კაბინაში შე-

იბარა. იცოდა, მისი აქ ყოფნა თუ გამოვლავდებოდა, „კინწისკვრი“ გამოაზრუნა და ნებდენენ (ჯანოს გარდა) დასამსოლოდინში — ვაი თუ დამინახეს და ახლა „გამოპანდურებას“ მიპირებენო; სარკმლიდან რამდენჯერმე მალულად გაიყურა... მაგრამ ახლა, ამ ყოფნა-არყოფნის ბეწვზე დასკუპებული პატარა ბიჭი არავის ახსოვდა — არც ჯონდის, ისე ნაყავ ტოტებზე რომ იჯდა და მეგობრების თინბაზობაზე უღარდელად იცინოდა... არავის, არავის არ გახსენებია ამ წუთში გუჯა; მხოლოდ ყოვლისმხილველმა დედის გულმა იგრძნო თავსდასატეხი უბედურება (რომელსაც აგერ უკვე, რამდენიმე დამე რული არ წაჰკარებია) და მაშინ, როცა გუჯა მანქანის კაბინაში ბოცვერივით შეიპარა და მუქში აფხუყუნებულმა სამხერში თვალი გააპარა, დედამისმა წყლით საესე თუნგი ბეჭიდან ჩამოიღო, პალატის წინ, გათლილი ქვის საფეხურზე დადგა, თავადაც ჩამოჯდა, შავი კაბის კალთით ნადრევად დაღარული შუბლი შეიმშრალა და უფროს ქალიშვილს ჰკითხა: „ნენა, აწი საცაა სკოლაში სწავლა დეიწყება, ხომ?“ ორ კვირაში, უთხრა შევილმა; „იქნებ ვინმეს პირით ჯემალს ხმა მიაწვდინო, ჩამეიყვანე ეგ შეჩვენებული ბიჭი-თქვა; ხომ იცი, მომზადება უნდა“... ო, როგორი წელწყვეტით წამოდგა საბრალო ქალი და ბოსტინისკენ მიმავალ საკუთარ აჩრდილს კუნეულით მიჰყვა...

— ნანა, ჩქიმი შელი! — ჯანომ „შეიცხადა“, ზღაზვნით წამოდგარ ანზორისთან ლაქიასავით მივიდა და გაზინზულულ კომბინეზონზე შერჩენილ წიწვსა და ხმელ ფოთლებს ხელი წადმა-უკუდმა გაკრა-გამოკრა. — კი, ბატონო, ახია ჩემზე; აჰა, საგულდაგულოდ დაწკრილებული ფრაკი როგორ დაგიოხუნენ; თუ მიბრძანებ, ყურს ჩამევიოთლი და შენი ყურმოჭრილი მონა ვიქნები!

— ეგ კარგი აზრია! — ანზორიც არ

**მეხალი მძივანვილი
ამავამი უღრანდ**

დაიბნა, ჯანოს „ლაქტული“ შეიფერა და კმაყოფილმა უღვაწეზე ცერი გადაისეა. — ფრაკი, როგორც შენმა წუკოიანმა ბაგემ ამოშაქრა, დიახაც საკმაოდ მაქვს ჩვენი სადგომ-სასახლის გაჭვარტლულ კედელზე მიკიდებული, მარა შენ ამით რა?... საღამოს გამიქათქათებ და დღლით გაკრახმალებულს მომართმევ, დიას!

— ეგეც შენ! — ჩაიბუხუნა თედომ. — წედან ჯემალს რომ ეუნებოდი, დაუთმე თამადობა, დაუთმეო, ხომ ხედავ, ახლა თავადობასაც იჩემებს.

— შენისთანებს, შე ოყლალო და ამისთანებსაც, — ჯანოზე მიუთითა, — ჩვენი გვარი ბატების მწყემსადაც არ იკადრებს.

— გამოდის, რომ იმნარების ჯილაგი ჯერ კიდევ ღიოფობს მუშგლეხთა სახელმწიფოში; ასეა არა, ძმებო! — ჯანომ ოფიცრის ფართო ქამარი სწრაფად შემოიხსნა, ჰაერში გააშხილა და ოთხახმით გაქენებულ ანზორს დაედევნა. — ახლა თვით მამაზეციერიც ველარ გიშველის! — იგი მალე მობრუნდა. — აბა. ჰე, წავედი, — და კაბინაში მსუბუქად ახტა. — ბიჭებო, სოკოს მოკრეფა არ დაგავიწყდეთ, ხომ გახსოვთ, დალიმ რა გვითხრა, — სოკოს თუ მომიტანთ, ისეთ შეჭამანდს გაგიკეთებთ, ხელეზზე თითები არ შეგრჩებათო, — თქვა და უცებ იმიტომ წასკდა სიცილი, რომ კაბინის კუთხეში მიყუყული გუჯა დაინახა. ბიჭს წამობურცულ ტუჩზე თითი მიედო და ფართოდ გახელილი თვალებით ემუღარებოდა: არ გამცე, ჯანო ბიძია, თორემ ამოდენა გზაზე მარტოს მოგიწევს ჯაყაყაიო...

ნელა, პრიალ-წიწკინით დაიძრა მორებით დატვირთული „სტუდაბეკერი“, მანქანა ისეთი გმინვა-ღმუილით მიითრევდა დამძიმებულ სხეულს, თითქოს გრძნობს ჩასაფრებული უბედურების გარდუვალობას და ფეხს ითრევს, მაგრამ რა ქნას. მილიონი წლების განმავლობაში მუდამ ფათერაკიანი გზებით

მავალი ადამიანი ახლაც უსასრულოდ სკენ მიერეკება საკუთარ ფეხსეულს.

— ჰეი, ანზორა თოხლო, თქვე ტყეში მიმალული მანქანიდან შოისმა ჯანოს მხიარული ხმა და გაბმული სტვენა: — ასე უსაშველოდ რომ მოგფლავებია მუხლები, იმის ბრალი ხომ არ არის, ქე რომ იმ შაბათ-კვირას ზღვაზე მოაგარაკებთან წასუნსულდა, ა? ხა-ხა-ხა!

— ჯანო, ამოსვლას ნუ დაიგვიანებ, სამხრობამდე იქნებ ერთი გზობაც მოვასწროთ, — თედომ ხმა დააწია მეგობარს და მერე უფრო თავისთვის ჩაილაპარკა, — ერთი გზობაც რომ გავაკეთოთ, უკვე რეკორდია.

ტყის სიღრმეში მიმავალი მანქანის დაძაგრული ბუბუნი თანდათნ სუსტდებოდა. აქ ახლა ნაირნაირი ფრინველების ჰიკტიკ-ფრთქიალი ისმოდა... ბიჭებისათვის ეს ხანმოკლე შესვენება ის წუთები იყო, როცა ყველა მხოლოდ საკუთარ საოცნებოზე ფიქრობდა, ავიწყდებოდათ ახლახანს მძიმე მუშაობით დაბევილი სხეულის ყრუ ყრული და ფიქრობდნენ. ამ დროს არავინ ლაპარაკობდა. იწვენენ ვარჯებში საჩიჩელასავით ჩამოჩრილ მზის სხივებით არილოჭრილოვებულ გრილ მიწაზე და ოცნებით მიუყვებოდნენ თამბაქოს ფიორა კვამლს, მათ ზემოთ პატარ-პატარა ნისლებად რომ დაცურავდა წიწვნარისაგან გაფერილ ჰაერში. ისინი ზოგჯერ იმდენად შორს გადაიხვეწებოდნენ ხოლმე, რომ უკან „დაბრუნებულთ“ უკვირდათ: „სად ვიყავით, იქ რა გვინდოდაო“...

ბიჭები ახალი გახიზნული იყვნენ თავიანთ საუფლოებში, რომ უეცრად დადუმებულმა ბუნებამ, ხმაგაქმენდილი ფრინველების ღმუილმა ყველა ერთბაშად გამოაფხიზლა. მოულოდნელი შიშის მწარე განაკაწრმა რეზინის ძაფის ნაწიკბურტბევით გული აუწვა ბიჭებს. მაშინვე წამოხტა ჯონდი და „ჩუმადო“, თავს თუ შეუღრინა, თორემ კრიტი არავის დაუძრავს და არც ადგილიდან

დაძრულა რომელიმე... ოო, რა უსაშვე-
ლოდ გრძელი და მძუგავი იყო ეს ერ-
თი წამი. სადმე ერთი თავქარიანი ჩიტი
მანაც გამოჩენილიყო, რომ უადგილო
ჭყივ-ჭყივით გაელხო ეს გაყინული წა-
მი.

— ჩუმად, ჩუმად! — ისევ დაიღრია-
ლა ჯონდომ, როცა გამოფხიზლებული
ბიჭები წამოცვიდნენ.

არც ერთს არ უნდოდა დაეჯერებინა
ჯერ თვალთ უხილავი კიდე ერთი ბო-
როტება, თორემ რომ მოხდა ის, რასაც
შინაგანად გრძნობდნენ და გარკვევით
ესმოდათ, უკვე ცხადი იყო. შიშით, ვა-
რაუდით, საზარელი სანახაობის წარმო-
დგენით ისე დაუფროჯდათ სახეები,
თითქოს ვიღაც ოხერმა საღებავიანი
ფუნჯი უტიფრად შეაფერთხათ.

„მანაც მოკლე გზით წასულა“, — გა-
უელვა ანზორს და ცხენივით შეაძაგ-
ძაგა.

— გუჯა, — ხმადაბლა დაიძახა ჯემა-
ლმა და პასუხის მოლოდინში ყვრიმა-
ლები კინდამ დაებზარა. — ბიჭებო,
გუჯა სად არის? — რატომღაც უცნაუ-
რად გაიქრიჭა და უაზროდ მიმოიხედა.

— დავიღუპეთ, ძმებო! — იბღავლა
თედომ და დამდულრულივით იქით წა-
ძუნძულდა, საიდანაც ლიწინ-ლიწინის
შორეული ხმა ყრუდ ისმოდა.

პირველსავე გადასახედთან საზარელ
სურათს წაადგნენ თავს: მანქანა მორღ-
ვეული ლოდით მიიკვლევდა ხრამისკენ
გზას და თითქოს განგებო, გამოჩენილ
ზოლს მიუყვებოდა. მისაბმელს ძარას-
თან ჩამკეტი რკინის ღერძი მოეგლიჯა.
მორებიანად შემობრუნებულყო და
დაღმართზე ქვემეხივით არხენად მი-
გორავდა. მანქანა ხანგამოშვებით ნა-
მორს წაყრავდა გვერდს, პაერში შე-
ტორტმანდებოდა და ისეთი გრუხუნით
ეხეთქებოდა ძირს, რომ აზმუვლებული
მეტყვევები თვალმებზე ხელებს იფარე-
ბდნენ.

მალე ყველაფერი ერთბაშად მიჩუმ-
და: რკინის ღრუბლიც, ლაწანიც,
გრუხუნ-გრიალიც და სირბილით მიმა-

ვალთა თქარათქურიც; მხოლოდ ქოში-
ნი, ადამიანების არაადამიანური ქოში-
ნი და რიტმდარღვეული გულმბის ბა-
გა-ბევი ისმოდა გაუგებრობისაგან გა-
ოგნებულ ტყეში. ღია ცის ქვეშ დიდ-
ხანს უპატრონოდ მიტოვებული ქანდა-
კებებივით იდგნენ ბიჭები ვეება ხეებს
შორის და რალაც გაურკვეველი ძრწო-
ლით მიშტერებოდნენ ხრამის კიდე-
სთან ტყუპად ნაზარდ ხეზე თავდაყირა
აპლაკულ უფორმო მანქანას.

ფიქრობდნენ რამეზე?... — არაფერ-
ზე, რადგან მათთვის ჯერ კიდევ გაცნა-
ურებული არ იყო ის, რაც მოხდა... რო-
ცა მტერის სქელი ბული აბრეშუმის სა-
ბურველივით ნელ-ნელა დაეშვა დაბლა
და გაშორდა განგების ამ უაზრო ნამუ-
სრევს, ბიჭები კისრისტეხით დაეშენენ
ფერდზე და მანქანასთან წამში გაჩნდ-
ნენ.

— გუჯა, ჯანო, აქა ვართ, ძმებო, ნუ
გეშინიათ!

— ცოცხლები არიან, ცოცხლები,
ცოცხლები!..

— ჩქარა, ბიჭებო, ჩქარა! — ერთი-
მეორეს აჩქარებდნენ მეგობრები. —
ჩქარა, ჩქარა!

— გუჯა, გუჯა, ჯემალი ვარ, ბიჭო,
ხომ არ შეგეშინდა!

ანზორმა მსხვილი ტოტები მოარბე-
ნინა, სწრაფად გაიხადა კომბინეზონი
და სხვებსაც გაახდევინა.

— ჩქარა, ჩქარა, იქნებ საკაცეები
მოვაფორჩიხოთ!..

— ცოტა სუფთა მაისური ვისაც
გაქვთ, ჩქარა მომეცით, გუჯას თავი გა-
დავუხვიოთ, ბავშვი სისხლისგან არ და-
იცალოს!.. ჩქარა, ჩქარა!..

მეტყვევები ფრთხილი სიჩქარით და-
ადგნენ სადგომისაკენ მიმავალ ოღრო-
ჩოღრო გზას.

ბორგავდა ჯანო, ზმუოდა, ხიხინებ-
და; დროდადრო საღ ხელს ნაჯანდაკრუ-
ლი ტოტივით აიქნევდა და მისუსტებუ-
ლი ხმადაბლა ლაპარაკობდა:

პიტალი მიქიაზვილი

აბაზი უღრანო

„გუჯა, შენი ჰირიმე, ბიჭო, არ დაიბნე... არ დამღუპო... გადახტი... იდაყვით გააღე კარი... გადახტი-მეთქი, ჩქარა... უუხს!“

გუჯას მხოლოდ ერთხელ დაუბრუნდა ცნობიერება; ბიჭმა ისეთი გაციებით გაახილა შემუშებულ უბეებში მოლივლივე ისრისფერი თვალები, თითქოს წყვილიაღში გზადაბნეულმა ეს წუთია მისთვის უცხო სამყაროს თავი დააღწია და შეშინებულს სანეტარო ქვეყანაში დაბრუნება გაუკვირდაო.

— ჯემო, — მოგვიანებით ამომარცვლა მან.

სწრაფად უხმეს უკან ზღუქუნით მომავალ ჯემალს. გუჯამ მის დანახვაზე ოდნავ გახსნა შეფიცხებული ტუჩები. საკაცის სახელურებზე ხელებჩაფრენილმა ჯონდიმ სხეულით იგრძნო, რა ზეადამიანური ძალის მოკრება დასჭირდა ბიჭს, რომ აი ასე, თუნდა ასე მაინც გაღიმებოდა.

— ჯემო... ხომ იცი, დედაჩემი... ნუ გაუმხელ... უთხარი, სადღაც გამეპარა და... ველარ მივაგენი-თქო...—ოო, როგორ უჭირდათ ბიჭს ლაპარაკი: ყოველი სიტყვის ამოთქმა ტანჯვა იყო მისთვის. სულის მოსაბრუნებლად წამი-წამ ისვენებდა და ცხელ-ნერწყვს ჯახირით ყლაპავდა. — ეტყვი?... შენთვისაც უკეთესია... სადღაც გაიპარა და ველარ მივაგენი-თქო... მელოდოს...


ჯონდი ხედავდა გუჯა რა სიჯიუტით ებრძოდა თავს, როგორ იკრებდა პატარა სხეულში აქა-იქ შემორჩენილ ძალას, რომ გონების დაბინდებამდე გაფითრებულ ტუჩებზე გამოყოფილი ძლივს შესამჩნევი მბუჟტავი ღმილი არ ჩაქრობოდა. ო, ღმერთო, რამდენი კითხვა, რამდენი საყვედური, რამდენი გაუმხელელი სათქმელი და გასამხელი სიყვარული ირეოდა მის დიდრონ თვალებში... პატარა ბიჭი როცა ველარ სძლევა მოძალდებულ სისუსტეს, როცა ბურუსი გაცრეცილი აბრეშუმისით სიფრიფანა ნისლს ნელ-ნელა წააფარებდა გაცივებულ, ფართოდ გახელილ თვალე-

ბზე, შეშინებული უმაღლე ვარჯებში კონა-კონა ჩამოწეწილ მზეს მიმსჯერებდა და მუდარით წამოიღულულულებდა: „ჯემო... ჯონდი ბიძია... ანზორ... სად გარბიხართ!“.. და გზადაბნეული ბიჭი ისეთი სისწრაფით შეცურდებოდა უცხო სამყაროში, რომ ენის წვერზე დასკუპებულ სიტყვის ამოთქმასაც კი ველარ ასწრებდა... გუჯამ ახლაც მუდარით წამოიძახა: სად გარბიხართ... რატომ გარბიხართო და გულდაწყვეტილს თვალიდან კურცხალი ვერცხისწყალივით გადმოუფორდა. ცრემლმა ყვრიმალთან გამოყოფილი სისხლი აივორა, თეთრ, ქათქათა ლოყას ფერადი ზოლი დაამჩნია და გამკვირვალე ყურის ბიბილოზე ჯახველის მარცვალისგან ჩამოეკიდა...“

●
ნამორთან ჩალორთხილი ჯონდი წელწყვეტით წამოდგა. ღონემიხილს საკუთარი ხორცი ისე ემძიმა, თითქოს მთელი სამყარო მხრებზე აწევსო. გულის რუჯვა ყელს უშაშრავდა და ბერიკაცივით იბურჭუებოდა. ფეხებდაბუჟებული ძლივს მიბარბაცდა დაღუწილ მანქანასთან და ცივ რკინას კარგახანს ეჯაჯგურა, მაგრამ ძვრა ვერ უყო და ნელ-ნელა გახელდა. ტყუპად ნახარდ ხეზე აცოცდა, ერთს ზურგით მიეყრდნო, მეორეს ტოტზე ხელები ჩაჰკიდა და ფეხებით მიაწვა ამოყუდებულ მანქანას.

— შენ რომ არა, დღეს ყველა ბედნიერი ვიქნებოდით — მეც, გუჯაც, ჯანოც, თედოც, ანზორიც, ჯემალიც, დალიც... ყველა, ყველა ბედნიერი ვიქნებოდით! — ღრინავდა, იგინებოდა... მანქანამ თითქოს იგრძნო გავწეშებული კაცის ძაღო, აღრჭიალდა, აწიწკინდა; მერე ზანტად აითრია ტანი, აჩქარდა, სიბნელეში გაიშხულია და ლოწინით გადაეშვა ხრამში. — ჰე-ჰე!.. გეგონა, ხელს არ გახლებდი?... აბა, რატომ წაგვიმწარე სიცოცხლე, რატომ გაგვწირე, რატომ!..

ხიდან ჩამოცოცდა. ერთხანს შურნაძიები კაცივით კმაყოფილი იდგა და უკ-



საქართველო
საბჭოთაო

ვე ნათელდაკრულ ცაზე გაფიქრებულ
ვარსკვლავებს შეჰყურებდა.

— რაო, ჩვენი ბედის ციურო მნათობებო, — დაცინვით ჩაიჭირებდა. — სირცხვილისაგან თვალებს ვეღარ მისწორებთ? კაცი ხარბი არ უნდა იყოს... მარადისობასთან რაღაც ერთი წუთის სიცოცხლე მოწყალეობასავით გიბოძებოდა და ისიც სანახევროდ?! — ჯონდომ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გრძნობა-გაძარცული ყიალყიალით გაუდგა გზას... საკბილოს მოლოდინში ხესთან აბუქვულმა ტურამ ადამიანის დანახვზე უცნაურად დაიხავლა და შეშინებული ტყის სიღრმეში გაუჩინარდა...

მოსახვევის ჩავაკებასთან ტყე დამთავრდა და ჯონდი, თითქოს უცნობ კუნძულზე აღმოჩნდაო, გაკვირვებული მიშტერებოდა გაცრეცილ მრუმეში მდუმარე ფიცრულს და მორებით სავსე პატარა მოედანს... მუხის ძირას ისევ ხრჩოლავდა სავლე კერა და ფიორა კვამლი ერთგული ძაღლის ბომბორა კუდივით ელაქუცებოდა ზეციდან დაშვებულ რუხ ნათელს.

...„კი, მაგრამ ის ვინდაა, ფიცრულთან ასე არხეინად რომ დასეირნობს?.. კარი რომ არ დამეჯორგა, დალი გარეთ გამოსვლას მინც ვერ გაბედავდა... იქნებ ბიჭები ამოვიდნენ?“ — ეს უკანასკნელი ისეთი სისწრაფით გაიფიქრა, რომ აფორიაქებული კაცი ძლივს მისწვდა საკუთარი გონების ანაკვესს და ამ წუთში ყველაზე ნათლად გაცხადებულმა მიწიერმა შიშმა შეაძაგძაგა. იგი მთელი დამე თუ სულწასული ელოდა დაგვიანებული (დაგვიანებულ?...) ამბის მომტანს, ახლა ყველა ღმერთს ეხვეწებოდა, — „ის“, ფიცრულის წინ ბოლოს რომ სცემდა, მოჩვენება ყოფილიყო... ჯონდომ უცებ პირი იბრუნა და ისევ ტყეში შერგო თავი. გადადგამდარამდენიმე ნაბიჯს, შეჩერდებოდა და ამღვრეულ მზერას ფიცრულისკენ გააპარებდა... ცოტაც რომ გაიარა, ისევ შეჩერდა და ფიცრულის წინ „ის არხეინად მოსეირნე“ დიდხანს ეძება, მაგ-

რამ თვალი ვერსად მოჰკრა და შეძრწუნებული სწრაფად შემობრუნდა.

— ეჰე-ე-იი! — იღრიალა. — „ეჰე-ე-იი... ჰეიი“... — ყრულ შეხმიანდენ რიყრაყის მოლოდინში გასუსული ხეგვები.

— ეჰე-ჰე-იი! ვინ ხართ ისეთი, რომ გამაგებინოთ, რა ხდება ქვეყნად, რა — ჯონდომ წამში ჩაირბინა დაღმართი და მორების საწყობში გაქაფული შევარდა. — იქნებ მართლა გგონიათ, არ ვიცოდე, რა ხდება და რაც მოხდა! ვიცი, ვიცი! — ახარხარდა. — თქვენ რომ არა, ამ დილით ბედნიერი ვიქნებოდიოთ ყველა, ყველა! — პატარა შეღმართი ფეხის ერთი დაკვირვით აირბინა, აქოშინებული ეცა ბენზინით სავსე რკინის კასრს, გინებით მოხსნა სახუფავი და მორების საწყობისკენ დაავორა; მერე სწრაფად მიიჭრა მხრჩოლავ კერასთან, თავწანაკვერცხლბულ ჯირკებს ხელი დაავლო და დაღმართზე ყრუ ბრინხინ-ბრინხინით დაგორებული კასრისკენ მოისროლა. გადმოღვრილი ბენზინი აღმოდებული გველივით აედევნა კასრს, ხოლო როცა კასრი მორების პირველსავე შტაბელს მიეხეთქა და აფეთქებული სითხე ზღაპრული შადრევანივით აიტყორცნა ჰაერში, არაბუნებრივად გახარებული შურისმაძიებელი კაცი უფრო ნერვიული, უფრო არამიწიერი ხმით ახარხარდა. ჯონდის არ გაუგონია ფიცრულში გამოკეტილი ცოლის სასოწარკვეთილი ყვირილი, მას არც გაუგონია და დაუნახავს, როგორ გამოარღვია ფიცრულის ფარდალა კედელი დალიმ და აღმოდებულ მორებთან მროკავ ქმრისკენ როგორ გამოობოდა ფეხშიშველი, თმაგაწეწილი; მას მხოლოდ მაშინ ვახსენდა დალის არსებობა, როცა აწივლებული ქალი ქმარს ათახთახებულ მხრეში ჩააფრინდა, შეაჩვდრია.

— ჯონდი, შენი ჰირიმიე, ჯონდი!
— ოჰ, შენც აქა ხარ? ხა-ხა-ხა! —
შეშლილი თვალეებით ერთდროულად

პიტაილი მიქიაზვილი
აბაზი უღრანში

წვერელავდა ცოლის ჩატეტიკოლ სახეს, შეფიცებულ სქელ ტუჩებს და მაღალ კისერს. „ღმერთო მომაგონე, სად, სად ჰქონდა აბრეშუმის ძაფივით დაჭიმული ის ნაზი ძარღვი, წუხელ მისმა ფართხალმა კინადამ რომ შემშალა?“ — გაუელვა და ისევ ახარხარდა.

— ჯონდი, ბიჭო, ჯონდი, ჯონდი! — შიშისაგან ათრთოლებული დალი ჩასახოდა, ანჯღრევდა ქმარს. მიხვდა, რომ ამ წუთში ვერაფერს ჩააგონებდა და ფიცრულისკენ გაიქცა, ნაბდით ხელში თვალისდახამხამებაში დაბრუნდა და ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. — ვაი, რა მეშველება, მე უბედურს, რა ვქნა, რომელ ცეცხლში გადავარდე, — ქოთქოთებდა დალი და თან ნაბადს უბათქუნებდა ცეცხლს. — შენი ჭირიმე, ჯონდი, დამეხმარე, ცეცხლი დაბუგავს ამდენ ნაწვალებს...

— დაბუგოს, დაბუგოს! მე თუ აღარ ვიქნები, შენ თუ აღარ იქნები, ისინი თუ აღარ იქნებიან, ესენი რაღა საჭიროა, ხახა-ხა!

— ხემ რა დააშავა, რას ემართლები...

— აბა, მე დავაშავე?

— შენ... შენ და ყველამ! — დაუფიქრებლად იწივლა დალიმ და უცებ ქმრის ამღვრეულ თვალებს რომ შეხედა, შეშინებულმა სქელი ტუჩი კბილებით ჩაიწიწკა.

ჯონდი, თითქოს მთელი ცხოვრება სწორედ ასეთ პასუხს ელოდათ, გაშრა, გაქვავდა და მშრალი ხარხარი თუ ბიხინი ყელში გაეხირა; მერე ისევ ახარხარდა და ისევ გაქვავდა... გონებაამღვრეული კაცი მიშტერებოდა ცეცხლთან შებრძოლებულ საოცრად უსუსურ არსებას და ვერაფრით ვერ გაეგო — ქალი ასეთი თავგანწირვით რატომ ცდილობდა ხანძრის ჩაქრობას, რატომ იგდებდა საფრთხეში ვიღაცისაგან მომადლებულ წუთიერ სიცოცხლეს...

— ჯონდი, შენი ჭირიმე, დამეხმარე, ბიჭო, დაიწვება ამდენი ნაწვალები, — ემუდარებოდა, ეფერებოდა დალი და გახვითქული, სახეზე თმაჩამობუწუული

უკვე ძლივს იქნევდა კიდევში აღმოდებულ, დამძიმებულ ნაბადს. მაგრამ ჯონდის მისი ხმა არ ესმოდა, მხოლოდ ხედავდა... მერე ერთბაშად გამოფხინვლდა, ცოლს მაცდურვით მიმპარავი, მსუბუქი ნაბიჯებით მიუახლოვდა, გაკერებულმა უშველებელი ხელები იღლიებში ამოსდო და თოჯინასავით ნელასწია.

— მითხარი, კიდევ მითხარი, რაც თქვი!

— ჯონდი, არ დამღუპო, ძირს არ დამავლო! — სასოწარკვეთით იწივლა დალიმ და ქმარს ძარღვებდაძაგრულ კისერზე მოეხვია.

— მითხარი, მითხარი-მეთქი! — ჯონდიმ კი არ იყვირა, იმ შეშინებული ტყიურვით წამოიხავლა და ხელები ისე მაგრად მოუჭირა, რომ ქალმა აუტანელი ტკივილსაგან შეჰკივლა.

— ჯონდი, შენი ჭირიმე, ბიჭო, მე თუ არ გებრალეები, შენი შვილი შეიბრალე, ნუ მოკლავ... ფეხმძიმედ ვარ, წუხელ ფენტხში ფეხი მკრა, გესმის? — ძლივს ამოღერდა ქალმა და მისუსტებულს თავი ქმრის განიერ, ძლიერ ბეჭზე ჩამოუვარდა.

ჯონდის თვალები კიდევ უფრო აემღვრა, დაებერა და ისე შებარბაცდა, თითქოს ისევ საკუთარმა ბედისწერამ შეანჯღრიაო. მერე მზეზე მიფიცებულ ლოლუასავით ნელ-ნელა გაღვვა გაყინული კაცი. ცოლს თავი მხარით ძალიან ფრთხილად აუწია და ერთბაშად თავდავიწყებით დაუწყო ლოშნა. გამურულ, ცრემლითა და ოფლით გაწუწულ სახეს ქემარლის დაჩვეულა ხარვით ულოკავდა, პირველყოფილი კაცის გაუმადლარი, ველური წყურვილით ჰკოცნიდა... მერე საოცარი სისათუთით დაუშვა მიწაზე, გულში ჩაიხუტა, ათრთოლებული ტუჩებით შეტრუსულ, გაწეწილ თმაზე დაეკონა და მკერდიდან დაძრულმა რაღაც უცნაურმა, გაურკვეველმა გრძნობამ უძილარ თვალებში ერთხელაც აულიცილიცა მამაკაცის ძუნწი

ცრემლები. იგი აშკარა ტირილს ვერ
ბედავდა (სცხვენოდა ცოლის თანდას-
წრებით ტირილი), მხოლოდ კბილების
მტვრევით ზმუოდა, გამჩენისაგან გან-
ძად ბოძებულ კისერზე ჩამოცმული ის
თანდაყოლილი ყულფი მაგრად უჭერ-
და და პირუტყვივით ზმუოდა, მას ახლა
აღარაფრის თავი არ ჰქონდა — არც
ლაპარაკის, არც მოფერების, არც ფიქ-
რის; დაცლილი, გამოფიტული იდგა და
ზმუოდა...

გვიან, თითქოს უძვირფასეს არსებას-
თან მისი შეხვედრის უკანასკნელმა წუ-
თმა განშორების ზარი დაჰკრაო, ჯონ-
დიმ ხელი უშვა დალის, ზურგი აქცია
ჩამქრალ ხანძარს, დამდილულ ფიც-
რულს, მდუმარე მუხას, ბერიკაცივით
მთვლემარე კერას და დამძიმებული ფე-
ხების თრევით აუჩქარებლად დაადგა
ბარისკენ მიმავალ იმ ერთადერთ გზას,
გუშინ ნასამხრებს მისმა მეგობრებმა

გუჯა და ჯანო სავაყეებით რომ წაიყვა-
ნეს.

— ჯონდი, სად მიდიხარ, ბუჭო, ^{ბუჭო} ^{ბუჭო} ^{ბუჭო}
ხმა დააწია აქვითინებულმა დაღმრთულმა
ფეხშიშველი მიჰყვა ქმარს.

— მივდივარ... გუჯას დედასთან მივ-
დივარ, — თავისთვის უფრო ლაპარა-
კობდა თავჩაქინდრული ჯონდი, — მი-
ვალ, ყველაფერს დაწვრილებით ვუამ-
ბობ. გუჯას დედა დიდ სიმართლეს მე-
ტყვის...

მომძლავრებული რიყრაყი გამალე-
ბით მიერეკობდა გაფცქენილ ღამეს,
თუმცა მიწაზე ჯერ ისევ დამეული მდუ-
მარება სუფევდა; მხოლოდ ჟამიყამ გა-
ისმოდა ნააშიყალი მეღამური ფრინვე-
ლების სლიპი ყივილი, ტყეში გაჩეხილ
ოდროჩოდრო გზაზე მიმავალი ჯონდის
მძიმე ნაბიჯების ფლახაფლუხი და უკან
ლასლასით მომავალი დალის გულამო-
მჯდარი სლუყუნნი...



შიგნაც ქალაქი დაუშვინდება

ჭინვანში წყალი დაგუბდება,
 არაგვი აღმე მიბრუნდება,
 მზის სხივში წყალი ადუღდება,
 გვირავით სხვა გზას გაუდგება.
 წინ ცეცხლის შუქი გაუძღვება,
 კაშხალი მთამდე აეგება.
 ვეფხვი კლანჭებით დაეშვება.
 სინათლე მიწას მოედება,
 შუქი მზეს გვერდზე მიუდგება.
 ღამე დღესავით განათდება,
 მიწაში ქალაქი აღმოჩნდება,
 გმირთა საფლავები გამოჩნდება,
 ციხე-ბურჯები გადარჩება.
 ბევრი-ბევრისგან აშენდება, —
 ჭინვან ქალაქი დამშვენდება!

ქალაქელ ქალას

წამო წაგიყვან ფშავის ხევს,
 ადგილს გაჩვენებ მთიანსა,
 ირმების ბილიკით გავლევ,
 ყოილს დაგიკრფე ცვრიანსა.

ჩასაქოლს თავს თუ გავიხდი,
 გულში დავიკრავ ტყვიასა,
 შენ ვაჭიკაი დამარქვი,
 მე დაგიძახებ მზიასა.

ხევ-ხევ სვენებით აგავლევ
 ბრძამიან ბუერიანსა,
 მე არას გავნებ, ნუ ჰშიშობ,
 სიტყვას თუ გეტყვი დიასა.

მე ჭრელ მოსახვევს გიყიდი,
 შენ — ჩოხას მასრებიანსა,
 ქალაქს რო ჩახვალ, იქ სთქოდი, —
 კაცს შეგხვდი დავლათიანსა!

ნ ა თ ღ ე ზ ა

თენდება უკვე, ყივის მამალი
 და სადღაც ტრფობით მოუწყინარნი —
 სწყევლიან მამალს.
 სადღაც წუთს ითვლის მენახირე
 გათენებამდე.
 უკანასკნელად ღამე ძილში გაიზმორება
 და მიიცვლება.
 მე ბალახებზე ხელის კიდებით,
 ციცაბო კლდის თავს,
 უვალ ბილიკზე მივალ ბრმასავით.

პ ი რ ო ბ ა

საქართველოს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სცოცხლობდე თავის მამულში,
სიცოცხლე არ გწყინდებოდეს,
მტრები სიცოცხლეს გიწვავდნენ,
შენ ცეცხლზე არ იწვებოდე.

ერთი პატარა ნათქვამით
ქვეყნის ამბავსა ჰყვებოდე,
შენ არვინ არ გჭირდებოდეს,
ქვეყანას შენ სჭირდებოდე.

უხილავს სჭვრეტდე, ჰხედავდე,
მთელი ქვეყანა გხედავდეს,
შენ ხილვას იგვიანებდნენ,
ძრახვას ვერავინ ბედავდეს.

თვით დროც კი ვერ გეწოდეს,
მიჰქროდე ფტლით მხედარი.
შენ გრძნობდე სამყაროს ტკივილს,
მოგგავდეს ელვა მჭეხარი.

გუშაგად ედგე სამშობლოს
ჭირის და ლხინის მხედავი,
მზის ჩასვლის არ გეშინოდეს
იყო სახელის მხევეჭავი.

გმარხავდნენ, არა ჰკვდებოდე
მზესავით ამოსდიოდე,
ომის დროს დალაჩრებულებს
წინდაწინ შენ მოჰკიოდე.

შენ იმარჯვებდე ბრძოლაში,
დე სხვებს ეგონოს თავისა,
მტერს დაბრმავება ეგონოს
შენი მონიშვნა თვალისა.



ც ე ნ ს ლ ი

არ განელდება გულიდან ახლა
და ვისმენ ცეცხლის
ტკაცუნს და წივილს...
და მომდევს შენი ჩამქრალი სახე
და მომდევს შენი უმწუთო ჩრდილი.
განფენილია მთებზე ფერფლივით
მწუსრი მწუსხარე
და სატილო...
კენწერობებზე დადის ზეფიერი

და მოაბიჯებს ჩემსკენ ფრიალო.
მღერი თავისთვის
ხაფსზე,
ფოთლებზე,
გზაზე... მეც ემატ წადილმა დამწვა.
ირწევა ალი
და ველოდები
შემოთენებას, იმედის მარცვალს.

გაუგზავნილი წერილებიდან

და აჰა, ვდგევარ კლდეთა ბრწყალებზე,
მივიწყებულო ჩემო სამკალო,
და ახლოვდება
დეკემბრის ჩრდილი,
ჩრდილი, რომელიც უნდა გავკვალო.
ბეჟუტავს სიზმარი
გარშემო მხოლოდ,
ჩემს ჭერქვეშ ძინავს მოსისხლე ზამთარს
და კედლებს მიღმა
გამკრთალი ბროლის
მდინარე უბნობს შუაფხოს ცასთან.

ნუთუ ის თრთვილი
ვერ მოგაგონე,
ნუთუ, ღრუბლო, ვერ გადაგირჩი...
ტყეებზე იწვის
ცისკრის ამბორი
და საწიერზე ზანტი ნაბიჯით
მიზოზინებენ გადამავალნი.
ლანდნი.
აქა ვარ, ჩემო სამკალო,
ჩემივე ნუგეშით,
ჩემივე ვალაღით
ღრუბლების მგზავრი და უჟამკარო.

მეზობლებისათვის სათქმელი

სიჩუმე ჯადოქარივით მომდგარა კარის
უკან
და ხელში შუქი კერიის —
აუყვანია უფალს.
გამოვიხედავ:
უკუნი. ქაჯი გულისთქმას ცარავს.
ესლა,
იცოდეთ ნეტავი,
რომ ერთი სიტყვაც კმარა...

როცა მამრუნებს ცხადისკენ
ჟამი უნებურ ჟრჟოლის
და სიზმრებს მოაქვს ოთახში
ძილწართმეული თოვლი.
ომი იანვრის ღამესთან —
შურის, ბოროტის ძღვევა...
გაუცინარი წამი და —
არავინ, — ისევ მე ვარ.



განგების ნათელს ამოჰყვევი,
გადასერე აბლაბუდები,
გადაიარე უხილაგმა ლურჯი ქვიშანი,
გამოიხედე დასეტყვილი ბალახებიდან.

და აქ — შენსავე საყდრის
ცეცხლთან ჩამუხლულები —
ლაპარაკობენ აწინდელი კედლის

გადაღმა.

კვლავ შენთან ვლიან
შენი ყმანი,
ყმათად მლოცველო,
და ნელა-ნელა იფოთლება
სურვილის ტვერი.

სად, რომელ ყლორტს მოხოცავ ცრემლს,
რომელ ფოთოლს
გაიმეტებ წუსილისათვის,
რომელს არგუნებ ფრთის სილადეს —
ყმათად მლოცველო!..

ცნობადის ხეო..

შენს სუნთქვას
ღვიძავს ჩემს სასთუმალზე,
რომ მომახედოს შენსკენ უმაღვე.

მე რა ვქნა.
ამა დღევებს დარჩენილთ
სად მოვეუძებნო ხსნა და საშველი.

ჩემი ჭრილობის
და მზის მკურნალო —
ჩემთვის მოღლილო და იღუმალო.

შიგ გულში
იბრძვის მადლი თუ ცოდვა...
მზეო —
ვიართო, ვიართო ცოტაც.



ტ კ ი ვ ი ლ ი

1. არქივბო

ის დღე იყო და ის, მის მერე ძილი არ მიკარებია, მის მერე თავის საყვარელ ბუხართანაც კი ვეღარ დაეტიო...

რა მოხდა?!

სხვისთვის არაფერი, მაგრამ არქივბოსთვის მეორე დაბადება იყო, როცა სესიკას გოგომ ამბავი მოუტანა, გიგოლანთ გოგოს მოსწონხარო. თავიდან გაუჟვირდა კიდევ, რა მოსაწონი მე ვარო, რა დაინახა ჩემში ასეთით, მაგრამ სარკეში რომ თავის თავს შეხედა, მოეწონა ხარივით უშველელბელი თვალები, გრძელი ცხვირი და გრუზა თმა. კაი ბიჭი ვყოფილვარო, ათჯერ მაინც გაივლო გულში.

იმ დღეს, როცა მზე სამხრობაზე იყო მიტანებული, სამმა მეზობელმა ამოიარა არქივბოს კარზე. არქივბო აივანზე გამობჯექილიყო და ცაზე იწითწოდ მიმობნეულ ღრუბელს სასხვათაშორისოდ ითვლიდა.

— არქივბო, წამოდი, ბიჭო, ტყეში წამოდი, გიგოლასა და სესიკას ძროხები დაუბღღვნია დათვებს, თუ აბლავე არ დაეხოცეთ, მთელ ნახირს აიკლებენ. წამოდი, წამო, მართალია, ვერაფერიშვითი მონადირე ხარ, მაგრამ სარკეში ყვირილს მაინც ატეხავ, თოფს მაინც გაისვრი, დანარჩენი ჩვენზე იყოს. — გამოსძახა ერთმა არქივბოს.

ამის თქმა იყო და შარაზე გიგოლანთ გოგოც გამოჩნდა. არქივბო შეცბა კიდევ, გულმა რაღაცნაირად რეჩხი

უყო, მერე შევარდა ოთახში, კედლიდან მამამისის დატოვებული თოფი ჩამოიღო, პაპამისის ნაქონი სამღარიანი ხანჯალიც ჩამოხსნა და გარეთ გავარდა.

გოგოლანთ გოგო არქივბოს სახლს გაუსწორდა.

არქივბომ თოფი მხარზე მოიგდო, ხანჯალი ქამარზე ჩამოიკიდა და შარაზე გადავიდა.

გოგო მიესალმა ბიჭს და გზა გააგრძელა.

არქივბომ თვალი გააყოლა.

— თქვე გლახის ჭირებო, რა მიგარბენინებთ, თქვე მართლა დათვებო, უჩემოდ ფიქრობთ ნადირობას? ვაი, თქვენს პატრონს უბედურს! — გიგოლანთ გოგოს გასაგონად ხმამალლა დაადევნა ეს სიტყვები არქივბომ აღმართში ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ბიჭებს.

გოგომ თვალი იბრუნა.

არქივბო უკვე აღმართზე მიალაჭებდა. ბიჭებმა ჯერ აღმართი აიარეს, განში გავიდნენ, მერე კი დაღმართს დაჰყვნენ.

არქივბოს ახლა უკვე კეტივით გაედო ბეჭზე თოფი, თუთუნს აბოლებდა, გიგოლანთ გოგოზე ფიქრობდა და გრძელი ნაბიჯით ქამარზე ჩამოკიდებულ ხანჯალს მიატანტალებდა.

არქივბოს მის დღეში არ უნადირია, ჩიტი რა არის, ისიც კი არ მოუკლავს. არც ხანჯალზე გიჟდებოდა მაინცდამა-



ინც. სადღეგრძელოში, როცა წინაპრებს მოიგონებდა ხოლმე, მაშინ თუ ჩამოიღებდა კედლიდან, ქარქაშიდან სინათლის დასანახად ამოსწევდა, აკოცებდა ბასრ იარაღს და ისევ უბრუნებდა ადგილსამყოფელს. ეს იყო და ეს. არც სხვა რამეზე ამოსდიოდა მზე, შრომაც არ უყვარდა, უდროოდ გარდაცვლილმა მშობლებმა რაც დაუტოვეს დედისერთა ბიჭს, იმითაც კმაყოფილი იყო. გიგოლანთ გოგო რომ არ გამოჩენილიყო ამქვეყნად, უფრო მშვიდადაც იქნებოდა, მაგრამ გამოჩნდა და აგერ, სანადიროდ წასვლაც კი გააბედვინა.

ბევრი რამე შეძლებიაო ქალს, ბოლო დღეებში სულ ამაზე ფიქრობდა არქიპო...

მზე დასალოერისკენ მიიწევდა, ღრუბლები კი პირიქით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ქარავენებად დაყოფილნი, სიზარმაცემიძალეობული აქლემებივით მიიზღაზნებოდნენ ცის კიდურზე.

ბიჭებმა საგულდაგულოდ შეარჩიეს ადგილები. არქიპო დაბლა, ჭიუხში ჩაგზავნეს და თოფის სროლა და ძაღლების წაქეზება დაავალეს.

არქიპო თანდათან ღრმად შედიოდა ტყით დაბურულ ჭიუხში. სიგრილე და წლობით ჩამონაყარი დანოტიოებული ფოთლები თავისთავად რაღაცნაირ სიჩუმეს თითქოს აორკეცებდა, რაც არქიპოს ქვეშეცნეულ შიშსა და გვარიან ოფლს გვრიდა.

„— არა, მეც კარგი ვინმე ვარ, სად მოვეხეტებოდი, კაცო, სადა! გიგოლანთ გოგოც კარგია, ნადირობაც კარგია, მაგრამ, ახლა, ამ დაბურულსა და დასაქცევ ადგილზე, თავზე რომ წამოგადგეს გავეშებული დათვი, რა გინდა, რო ქნა მერე?! ყველაფერს მოუყვდა პატრონი, სიცოცხლეს არაფერი სჯობს! იჯექი შენთვის სახლში, აცხვე ჭადი, მიატანე ყველი და იძინე მშვიდად. თუმცა... ამ გიგოლანთ გოგომაც გააჭირა საქმე, რაღა მე მოვეწონე და მე ჩაუფვარდი თვალში, კაცი გაწყდა ქვეყანაზე?! უპ, ამ იღბალს რა ვუთხრა!“ — ფიქრობდა არ-

ქიპო და ფრთხილად, წვირსაც კი არ ტეხდა, ისე შედიოდა სიღრმეში. ძაღლებმა რაღაცას მიაყურებდნენ, უფრო საგულდაგულოდ დაუწყეს ყნოსვადანოტიოებულისა და დამპალ ფოთლებს, მერე გაიქცნენ, დაბლა ჩააყენენ სერს და ყეფა ატეხეს.

არქიპოს შიშის ქრუანტელი ცელმოსმული ბალახივით დააცვივდა თავითფეხამდე.

ძაღლების ყეფა ახლოვდებოდა... არქიპო მთლად აიტანა კანკალმა, მაგრამ ვიღაცამ თუ რაღაცამ თოფი მაინც ჩამოაღებინა მხრიდან და მოლოდინში ხედ აქცია.

დათვი ძაღლებს იგერიებდა, დორბლებს ჰყრიდა, ჯუღლუნებდა და თან მაღლა-მაღლა მიდიოდა.

არქიპომ ერთი ფიქრით ისიც კი გავლო გულში, ხეზე ავალ, ტოტზე ჩამოვჯდები, ქამრით მივებმები, დათვსა და ნახირს პატრონიც მოუყვდაო, მაგრამ ისე აეყარათ რცხილებსა და ნეკერჩხლ-წიფლებს ტანი, წვერომდე ხელის მოსაკიდი ფოთოლიც კი არ გაჩნდათ.

დათვმა სერი ამირბინა, მერე ბილიკზე მარჯვნივ გადაუხვია, დელის პირა ბეჭობზე შესტა და არქიპოს პირისპირ აღმოჩნდა.

არქიპომ თოფი დათვისკენ გაიშვირა, დათვმა ტორები შემართა, მონადირემ თვალეზი დახუჭა. აჯანკალებული საჩვენებელი თითი განგებამ მომუჭა. თოფმა იგრიალა, გაღმა-გამოღმა ხეებში დათვის ღრიალისა და თოფის სროლის ექომ დაირბინა.

სიცოცხლე რის სიცოცხლეა, თუ ცოტა მაინც არ ებრძოლა სიკვდილსა და მკვლელს, დათვი არქიპოსკენ წამოვიდა ტორტმანით.

არქიპომ, როცა თვალი გააჩნია, დაინახა ფოთლებში წამიერად შენივთებული დენთის ბოლი, ძაღლები და მისკენ თათებგამოწვდილი ვეებერთელა წაბლისფერი დათვი.

მავა ჩორღელი
ბაივილი

არქიპოს თოფი გაუფარდა წელიდან. სიცოცხლის გადასარჩენად ხანჯალს წაეპოტინა, მაგრამ სამღარიანი ისე ჩაჭედო დილიყო ქარქაშში, მისი სამზეოზე ამოდება ამირანსაც კი გაუჭირდებოდა.

— არქიპო, არქიპო, ბიჭო, რა მოგივიდა, შე კაცო, ავერ ვართ, ნუ გეშინია! — თოფის ხმაზე მოცვენითა ბიჭებმა ერთხმად შეუძახეს მეზობელს.

არქიპოს ხანჯალი ამოეღო ქარქაშიდან, ტარი მისკენ წამოსული დათვისკენ ექნა, წვერით თავის მუცელზე მიეზგინა და გულწასული წიფლის ხეს მიუყუდებოდა.

— არქიპო, ბიჭო, არქიპო! — შეპყვიროდნენ აქეთ-იქიდან ბიჭები გულწასულ მონადირეს და ლოყებზე სილებს უტკაცუნებდნენ.

არქიპომ მოიხედა. გაშტერებული თვლებით ერთხანს უყურა იქაურობას, მერე კი, როცა ორიოდ მეტრზე პირქვე დამხობილი დათვი და სამივე მეზობელი გვერდით დაინახა, ცრემლები ჩამოუგორდა დაწვებზე.

ბიჭები, არქიპო ცოცხალი რომ შეიგულეს, სიცილით ისე ჩაბვირდნენ, ლამის იქით შეექნა არქიპოს მოსაბრუნებელი.

არქიპომაც იცინა და იცინა, ღმერთმა უწყის, სიმწრით თუ სიხარულით...

სოფელში არქიპოს ხელით დათვის მოკვლას არაფრად თვლიდნენ და არც არაფერს ამბობდნენ, მაგრამ საკუთარ მუცელთან წვერით მიბჯენილ ხანჯლის გახსენებაზე სიცილით იჭაჭებოდნენ.

პიტლერი, რომ ტყავში ვერ დაეტია და საზღვრები გადმოლახა, ეღვის სისწრაფით მოედო ეს ცნობა ქვეყანას. აწრიალდა ქალაქი და სოფელი, მთა და ხევი. დაჯარდნენ პირტიტველები, უღვაშვიანები, ხნიერები, ქალი და ბავშვი...

ომში გაწვევის ცნობა რომ მიიღო არქიპომ, იმ დამეს რული არ მიკარებია, არც ორი თვის შერთულ გოგოლანთ გოგოს ეძინა.

ქალი ტიროდა, წყველიდა ომის მონაგონს, ბოროტსა და წყეულს...

არქიპო ჯიშსა და ჯილავს უგინებდა საავაკოდ გამოგონილ სიზუსტე ტყვიას...

მესამე დღეს უნდა გამოცხადებულიყო კომისარიატში. დარჩენილი ერთი დღე ოჯახში ფუსფუსს მონადრომა. საღამოთი კი კანტიკუნტად შემორჩენილ ბიჭებს დაუძახა და სუფრა გაშალა.

ცოტა რომ შეთვრნენ ბიჭები, დომენტომ ენა ვერ დაატია პირში და ნადირობის ამბავი მოაგონა არქიპოს.

იცინოდნენ და იცინოდნენ მესუფრენი...

— მე რომ შენ ვიყო, წავიდებ მაგ ხანჯალს და პიტლერს ტარით კი არა, წვერით მივაბჯენ! — უთხრა ერთმა.

არქიპო თავს იმართლებდა, ბიჭებმა მომიგონეს, შეშურდათ ჩემიო.

გიგოლანთ გოგო ბუხარში მუგუზულებს მიშტერებოდა და ჩუმად ქვითინებდა...

ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე ჩამოვიდა არქიპო. ომიდან ქირხის ჩექმები, შინელი, სამი ნატყვიარი და ნაწილის მადლობა ჩამოიტანა. ომში კი, ვინ მოთვლის, რამდენი მოკლული ფაშისტი, მარცხენა თვალი და მარჯვენა თვალის ნახევრად დაკარგული მხედველობა დატოვა.

გიგოლანთ გოგოს, გამოკეტილი რომ იყო ოთხი წელი არქიპოს ჭერქვეშ, მინც მიეცა იმედი, სიხარულით კარგა ხანს არ ეტეოდა გული საგულეში.

ერთი წლის მერე დამთავრდა ომი, ამოსუთნთქა ხალხმა. იქი-აქად დაბრუნდნენ უკვე დავაჟაკებული ბიჭები.

მოსვენა ქვეყანამ, მაგრამ ვერ მოისვენა არქიპომ, ვერ მოისვენა, რადგან მარჯვენა თვალშიც დაეშრიტა სინათლე.

მხედველობა წავიდა და ქალარა მოვიდა, მთლად გათეთრდა ხეიბარი კაცი.

ქალი წყევლიდა ომის მომგონს...
კაცი დღენიადგ ავინებდა საავკაცოდ
გამოგონილ თოფსა და ტყვიას...

ბევრი ექიმობისა და წამლობის მე-
რე, არქიპოსთვის ისევ იმ ლამაზ, ცქრი-
ალა გიგოლანთ გოგოს, შვილი ჩაესა-
ხა.

იმ დღიდან არქიპოს ცხრა თვე ცხრა
წლად ექცა და იმ ცხრა წლის შემდეგ
ბებია ქალმა მოლოდინით მიღეულ ზე-
იბარს სიხარულით ამცნო — ბიჭი შეგე-
ძინაო!

ბუხართან მიმჯდარი არქიპო ფეხზე
წამოვარდა, ატეხა ღრიალი, სიცილი,
ხარხარი. მერე მეგზურს, ჯოხს წამოაგ-
ლო ხელი და კაკაკუკით კედლისკენ წა-
ვიდა, მაგრამ იმდენად იყო გახარებუ-
ლი, ჯოხი გზას ვეღარ უკვალავდა, ხან
ჯორკოს, ხანაც კედელს მიეხალა და
რამდენჯერმე დაეცა. უფრო გახელდა,

აბღავლდა, ჩაშრეტილ თვალებს გო-
ნების თვალით უყურა, მერე კი ომის
მომგონს ავინა და ავინა...

მეზობლის ქალმა თოფი ჩაშრისნა კე-
დლიდან, სავანედან ვაზნები ამოალა-
გა, არქიპო აივანზე გაიყვანა და უთხ-
რა:

— იქით გაისროლე, ნუ გეშინია, არა-
ფერს არ მოხვდება!

არქიპომ თოფი დატენა, გაისროლა
და ქვეყანას კიდევ ერთი სიცოცხლის
დაბადება ამცნო. უტბად დენთის სუნ-
მა ყნოსვა გაუხელა, ჩაშრეტილი თვა-
ლებით ერთხელ კიდევ დაინახა ომის
ორომტრიალი — ცალფეხიანები, ცალ-
ხელიანები, უფეხონი, უხელონი, უთვა-
ლონი, ნახეყარკაცი, დაძვალეზული...
მივიდა სვეტთან, თოფს ლულაში ჩაავ-
ლო ხელი და ზედ შეაღწა...

არქიპოს თვალებიდან ცრემლმა ჩა-
მოჟონა...

ტიროდა არქიპო...

2. წამალი

დომენტი და იასონა ღუმელთან მი-
მჯდარან, საუბრობენ და თან წითელ
ღვინოს შეექცევიან

— რა იყო მაშინ ჩვენი სოფელი, კა-
ცო, რო გამახსენდება ხოლმე, ეს დრო-
ული კაცი, კანში ვეღარ ვეტყვი.

— აჰა, კაცო, რა იყო, აჰა!

— ურემი რომ გადაბრუნდება, გზა
მაშინ გამოჩნდებაო, კი იცი შენ ეს ან-
დაზა, ჩემო დომენტი, ცოტა ადრე უნდა
დაფიქრებულიყო ვილაც, თორემ ახლა
გვიან არის, კი, გვიან!

— სხვა თუ არა, მე ქე დავფიქრდი,
ჩემო იასონა, მარა, რაც ბევრი ვიფიქ-
რე, მით უფრო მალე მივედი ქალაქის
ღია კართან. შენ რომ იცი, იმ ქალაქის
ღია კართან, ღია რომაა და შესვლა იო-
ლად შეგიძლია კაცს და გამოსვლა ვე-
ღარა. ვეღარ ეტყვი იმ ფართო კარებში
უკან დასაბრუნებლადაც რომ მუდამ
ღიაა და ხელსაც არავინ გიშლის. კი,

სიმართლე თუ გინდა, ესაა, რასაკვირ-
ველია!

იასონა კარგა ხანს ჩაფიქრდა. ჩიბუ-
ხი გააწყო, გააბოლა და მერე ღვინო
მოსვა.

გარეთ ძალდი აწკავწკავდა. მერე მო-
უმატა ხმას, ისე დავდავებდა, გული და-
ეწვებოდა კაცს.

— რა ჭირს, დომენტი, მაგ ძალღს? —
იკითხა იასონამ.

— რაცხა, ავად არის, ეგ სამგლე. —
თქვა გვიან დომენტიმ, როცა ძალღა
ცოტათი მიჩუმდა.

— არ გამოიკვირდა, კაცო, ამ ბოლო
ღროს სანადიროდ რომ აღარ დამინახი-
ხარ? ისე, რა ჭირს მაინც, არ იტყვი? —
უფრო დაინტერესდა იასონა.

— რა ვიცი, კაცო, რომელი ექიმი მე
ვარ. აღებინებს, კუჭზე არ აკავდება სა-

მათა ჩორღელი
ბაივილი

ჰმელი. აი, ენე, აწკმუვლდება ხანდაჩან და ვიწვები მაგის ცოდვით.

— ხანდახან?

— კი.

— კუჭის ან თორმეტგოჯას კიბო ექნება, ნაღდია და ცოტა მოერიდე.

— რა ვიცი, კაცო, აბა.

— ნამდვილად კიბო აქვს. მოიცილე თავიდან, თოფი არ გაქვს თუ რა. — იასონამ კედელზე ჩამოკიდებულ „ტულკას“ შეავლო თვალი.

— თოფს რაღა ვესვრი, შე ღმერთმაღლო, რაც მაგას ჩემთვის პატივი უცია, ბრმა უნდა ვიყო, რომ ვერ დავინახო.

— კი, სწორი ხარ, მარა, კიბო ხომ იცი...

— არ მითხრა ახლა, გრიპივით გადამდებიაო, ქე ვიცი, რაც არის. ისე ყველაფერი გამიგონია, მაგრამ ძაღლის კიბო კი არა, არ უთქვამს, ძმაო, არავის და მომკალი, თუ გინდა ახლა!

— ხომ შეიძლება, შენი ძაღლიდან დაიწყოს ძაღლის კიბო? აბა, რაღა შენს ძაღლს აღებინებს? ჩემმა ქვაც რომ შეჰკამოს.. — ცოტა შეჩერდა იასონა, — წვეს ადენს, ძმაო, წვეს.

ახლა დომენტი ჩაფიქრდა. გვიან-გვიან გააწყო ჩიბუხი, ღრმად გააბოლა, მერე ღუმელს შეუმატა შეშა და იასონას შეხედა.

იასონაც ღრმად შეჭრილიყო ფიქრებში.

გარეთ ზამთრისპირული ქარი ფოთლებზემთრინილ ხეებს ეხლართებოდა ტოტებში. უმთვარო ღამე კრამიტის სახურავივით მძიმედ აწვა სოფელს. აქაიქ სასხვათაშორისოდ, ცალკეად ყეფდნენ ძაღლები.

სუსტმა, მაგრამ ცივმა ქარმა შეაწუხა თუ კუჭ-ნაწლავმა, ვერ გეტყვით, დომენტის ძაღლმა შემზარავი წკმუტუნის და ყმუილი წამოიწყო ისევ.

დომენტიმ ძაღლი სახლში შეიყვანა.

— თვალდათვალ რომ შეხედო, არაფერი ეტყობა, მარა, ისე ქე არის ავად. — ისევ დაიჩივლა დომენტიმ თავისი გულისწუხილი.

— კოლიტი ექნება! — მეორე დღე ნოზი დასვა იასონამ.

— შენ ზუმრობ, იასონა, და ეს ძაღლი, მგონი, იმ სამ შვილს შიორეგნა ამ წუთში, ქალაქში რომ არიან გაქცეულნი. კი იცი შენ, პაპაშენი რომ ამბობდა ხოლმე, რა მკვდარი და რა შინ მოუსვლელიო...

იასონას გაეცინა. მერე ჰქია აიღო და ძაღლი დაულოცა დომენტის.

დომენტიმაც დალოცა ძაღლი.

ძაღლი ღუმელის გვერდით იდგა და მთელი სხეული უცახცახებდა.

— მაგ ძაღლს მართლა პატრონი უნდა, ჩემო დომენტი. — თქვა იასონამ და წასასვლელად მოემზადა.

ორიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული, იასონა რომ გავიდა და, დომენტით; დაიძახა ვიღაცამ.

დომენტიმ სინათლე აანთო და გასძახა, რომელი ხარო.

— მე ვარ, დომენტი ბიძია, ვეტექიმი, კალისტინეს ბიჭი, სოზარი. — ჩამოთვალა სტუმარმა.

— რაღა შორიდან იძახი, მოდი, შე კაცო, რაღა, დაძახება გჭირდება ჩემს სახლში?

— რაღა გეკადრება, დომენტი ბიძია, მარა, ზრდილობის გულსათვის...

— მოდი, კაცო, მოდი.

— ძაღლი თუა დაბმული?

— ძაღლი დაბმულიც არის და მეტი!

— რაღა, მოკვდა?

— არა, რაღა მოკვდა მარა, ისე, კუჭ-ნაწლავის კიბო აქვს. ხანგამოშვებით აღებინებს, კაცო. შენ აჯაშენა ღმერთმა, რა კაი დროს გამომეცხადე, სულ არ გამახსენდა, შენ რომ ვეტექიმი იყავი.

სტუმარი სახლში შევიდა. ხელჩანთა იქვე, კართან მიდო, ლაზადა ვაიძრო, ქუდი მოიხადა და ღრმად ამოისუნთქა.

ძაღლი ღუმელის გვერდით ჩაცუცქებულყო და ისევ ისე ცახცახებდა.

— აბა, კაცო, ძაღლი მყავს ავად, ამას შევჩერებვიარ დღე და ღამე და ვე-

რაფერს გაგხდი. ისე, სად იყავი ასე მოგვიანებით?

— გალმა, სოფლის ფერმაში ვიყავი, ღორებს ავუცერი. გაურკვეველი ავადმყოფობაა, შენი ძაღლის არ იყოს, აღებინებთ.

— კაი, კაცო, არ გადამრიო კაცი, ახალი ამბავია?

— კი.

— ისონამ მოხარა, თუ აღებინებს, კუჭის კიბო ექნებაო და დავიჯერო ვითომ?

— რა გითხრა, დომენტი ბიძია, კიბო არც ისე იოლი გამოსაცნობია.

— კი მარა, თუ აღებინებს, მაშინ... ისონამ თქვა...

— ისონამ შეიძლება ბევრი რამე თქვას, მარა, ყველაფერს კი ვერ დაუჯერებ კაცი მაგას. შეიძლება იხუმრა კიდევ.

— ხომ არ გასინჯავდი? — ვეღარ მოითმინა დომენტომ.

— რატომაც არა, გავსინჯავ. წამალსაც დაეუნიშნავ და ნელნელობით, როგორც მე დაგიწერ, ისე მიაღებინებ. ამადამ და წასვლის წინ თითო ნემსს გავუკეთებ და მე მგონია, გადარჩება.

ძალღს თვალები ჩაცვენიოდა, კრიჭა შეკვროდა და ისე ერთთავად აეტანა კანკალს.

სოზარამ იქით ატრიალა, აქით ატრიალა ძაღლი, პულსი გაუსინჯა, მერე და მერე იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა:

— შენ გააკავე, არ გვიკბინოს, მე ნემსს გავუკეთებ და ორ დღეში ფეხზე იქნება. ისე, თუა კაი ძაღლი?!

— ამის მამჩივანი ჯერ კაცი არ მოსულა. მონადირე ხომ ნუ იტყვი, გაქცეულს იჭერდა, ე შეჩვევებულა.

— ბიჭოს, კაი რამე ყოფილა, აბა, ამისთვის კი ღირს კაცმა ტვინი რო გაანძროს!

— აბა, რა ბედზე მოხვედი, შენ ავაშენა ღმერთმა!

— ესეც ასე. — თქვა სოზარამ, როცა ვეებერთელა ნემსი თეძოდან გამოაძრო ძაღლს.

— შენ ავაშენა ღმერთმა!

— ამ წამლებს, როგორც დაგიწერე, ისე მიაღებინებ. ჩაის კოვზით, თუმცა არა, პატარა იქნება — სუფრის კოვზით. ამ შავი ფერის წამალს დღეში სამჯერ, წყალში გახსნილს. ამ მეორეს, დღეში ხუთჯერ, გასაგებია?

— ჭამის წინ თუ, ჭამის შემდეგ? — იკითხა გახარებულმა დომენტომ.

— ჭამის წინ, დომენტი ბიძია, თვარა თუ ამოაღებინა, მერე რაღა ფასი აქვს!

— შენ ავაშენა ღმერთმა!

სოზარამ საპნით მაგრად დაიბანა ხელები და ღუმელთან ახლოს მიდგმულ მაგიდას მიუჯდა.

— შენი სტუმრობისა იყოს, ბიძია. — თქვა დომენტომ.

— შენ გაგიმარჯოს, დომენტი ბიძია, და შენს იმედს, ამ კაი ძაღლს გაუმარჯოს, მალე ფეხზე გვენახოს!

— ჭამე რამე, ბიძია, არ მომერიდო. ისეთი გაკეთებული კი ვერაა, ჩემი ეკვირინე რომ აკეთებდა, მარა, რას იზამ, ასე დაუწესებია ღმერთს და რა გინდა რო ქნა! — თხოვდა სტუმარს მასპინძელი.

— დომენტი ბიძია, წადი შენც ქალაქში და იცხოვრე შეილებთან.

— არა, ბიძია, არ თქვა მაგი მეორედ, ჯერ ისე არ დავევარდნილვარ, რომ აქაობა დავტოვო! — თქვა დომენტომ და კედლისკენ გაიხედა, სადაც მეუღლის სურათი ეკიდა.

სოზარას უცბად სახე მოუნადვლიანდა, წარბები შეეკრა და შუბლზე ნაოქები გაუჩნდა.

„რა დაამავა ამ კაცმა, მარტოობა რომ მიუხჯია სოფლის სამართალს და ძაღლის იმედზე დაუყენებია?“ — შეწუხდა სოზარა.

სოზარამ მერე ოთახს მოავლო თვალი. იქით, საწოლის თავზე, კარგა გვარნიანად გადიდებული სურათი ეკიდა — ეკვირინეს სურათი იყო ჩარჩოში ჩასმული. გრძივ კედელზე კი დათვის დიდი

ვაჟა ჩორღელი
ბავივილი

ტყავი იყო გაკრული და ზედ თოფი, ხანჯალი და სავაზნე ეკიდა.

— სოზარა, დააკვირდი ძაღლს, მეჩვენება, თუ რაა, აღარ კანკალებს, მგონი! — თვალეები დაუფართოვდა დომენტის.

— ჰო, ეგრეა, არ კანკალებს, უბრალოდ, წყნარად სძინავს. — მშვიდად თქვა სოზარამ.

დომენტი სიხარულისაგან სულ დაიბნა.

გამთენიისას ლოგინში ველარ დაეტია დომენტი, ადგა, სინათლე აანთო და ძაღლს დახედა. ძაღლს წინ დადებული ერთი თეფში სალაფავი და შიგ ჩაფშენილი წამალი შეეჭამა და ისევ მშვიდად ეძინა.

დომენტიმ ღუმელს შეუქეთა შეშა.

კარგად გათენებული არც იყო, რომ სოზარა ვეტექიმი ადგა. კიდეც გასინჯა ძაღლი, მერე ნემსი გაუქეთა მეორე თეფში, ორიოდ ჭიქა არაყი თვითონაც გადაყლაპა, კიდეც და კიდეც შეახსენა მოხუცს რა დოზებით უნდა მიეწოდებინა წამალი, მადლობა გადაუხადა კარგი მსპინძლობისათვის და წავიდა.

— მეოთხე დღეზე იასონამ ისევ მიაკითხა მეზობელს.

— მეზობელო, რავე ხარ, რომ არ გამოჩენილხარ ამ დღეებში, რაიმე ხომ არ გტკივა?! — მე არა, მარა, ხომ იცი, ძაღლი მყავდა ავად.

— ჰო, მართლა, რა ქნა, მოკვდა?

— შენი ენა ქვას!

— არა, მართლა, ისევ ებრძვის კიბოს?

— შენ ზუმრობ და კვირის თავზე ნადიროდ გავალ!

— რა უქენი ასეთი?

— სოზარა ვეტექიმი მოვიდა იმ დღეს, შენ რომ წახვედი, დამე უნდოდა გაეთია, ნემსები გაუქეთა, წამლები მომცა და...

— არ გადამრიო, კიბოს არჩენს მაგი ბიჭი?! — გაიკვირვა იასონამ.

— ა, ფაქტი კია აგერ და! — აიწურა ბეჭები დომენტიმ.

— კაი ბიჭი ყოლია კალისტინეს. გაიგებს ახლა ამას ქვეყანა და გათავდა! კიბოს მორჩენა არც ისე იოლია!

— კიბო არც იყო, ეგება!

— ზუთი კაცი მაინც ვიცი, ლებინება ჰქონდა და დიაგნოზი ის რაღაც ენა როა, იმითი ეწერა, კიბოო.

— მერე?

— მერედა, გამოუძახა მამაზეციერი მა.

— არ მითხრა, კაცო!

— ხედავ, კაცო, რა თაობა იზრდება? ნიჭი არც სოფელში იკარგება და არც ქალაქში!

— კი მარა, ვეტექიმებმა...

— დიაგნოზი უნდა, ალბათ, პირველ რიგში სწორი და მერე ხელსაც გააჩნია, როგორ შეაზავებ წამლებს, თვარა, კალისტინეს ბიჭი ციდან მოვლენილი კი არ არის. — დომენტის არ დაამთავრებინა სათქმელი იასონამ.

— მე ქე მომევილია და...

— ღმერთმა ქნას...

.....

ძაღლმა არ მიატოვა კაცი...

3. თ თ შ ა

თომამ მარნის კარი რომ გააღო და ეზოში გავიდა, ნავაზი ძაღლივით მიეტანა ზამთრისპირული ქარი.

— ეე, აურია ამინდმა, მოთოვს და ეგ არის. — თავისთვის ჩაილაპარაკა თომამ და იქაურობას აღმაცერად შეხედა.

მერე ერთ ხანს თვალი მთებს მიაშტერა. კლდიანეთი მუხლმაცარად იდგაცასა და მიწას შორის, რომელსაც ამ უღვთო ამინდში რაღაცნაირად მაინც შეენოდა კბოდეებზე საყურეებივით ჩამოქნძილი ღრუბელი. დაბლა საღაც ტყე შესეოდა ფერდობს, გამხმარი ფო-

თლებს სიყვითლე ერთიანად მოდებოდა მიდამოს.

ახლა ზურგის მხრიდან დაუბერა ქარმა და თომას სხეულში სიცივემ დაუბრინა.

ისევ მარნისკენ მიიბრუნა თვალი.

„თავლიად ცოდვია, გაფუჭდება“. — გაფიქრა და მარანში შებრუნდა.

ქვევრს, რომელიც ბეჭებამდე იყო წითელი ღვინით მოყრილი, უბრალოდ ჰქონდა გადაფარებული ტილოს ნაჭერით.

თომამ ქვევრის წინ დაიჩოქა, ლიტონიანი ხრიკი ქვევრში დააყურყულა და წითელი ღვინო სინათლეზე ამოიტანა.

თომას ცოლი უნდა შეერთო წელს და ამ ღვინით უნდა დაელოცათ მისი ბედნიერება.

წლის ბოლომდე კიდევ მოასწრებდა კაცი გოგოს მოძებნას, მაგრამ მოძებნილი რომ წაართვეს და ქორწილშიც დაბატოყეს, გულზე შემოეჭდო. ღვინოც მიტომ დალია ქვევრის წინ მარტომ. თუმცა, არც ამან უშველა, ან და რა უნდა ეშველა...

— „ზურიაიმ როგორ მაჯობაო“ — ეს ფიქრი უწყამლავდა გულსა და გონებას.

ზურიაიმ ენა ატარტალა, იმდენი ატარტალა, რომ უცხო ჩიტივით მოფრენილ ბიბლიოთეკარს თავგზა აუბნია, ყველა დაავიწყა და ცოლადაც შეერთო. ქორწილსაც დღეს იხდიდა.

თომამ ხრიკი ერთხელ კიდევ შეაესო, მერე ქვევრს ისევ უღიმღამოდ წააფარა ტილოს ნაჭერი და იქვე ჩამოჯდა. კარგა ხანს იყო ისე.

გარეთ ქარი აწვალეზდა იქაქად შეჩინილ ფოთლებს... მერე მარნის კარებიც მოსინჯა, დააჯაგურა, ღრიჭოდ დარჩენილ კარიდან მარანში შეიჭრა და საგულდაგულოდ მიწამიყრილ ქვევრებს ყრუანტელივით გადაუარა.

„რით უნდა გადაუხადოს კაცმა ზურიას? რა უნდა ექნა? უხ, შენი!“ — ფიქრობდა თომამ.

თომამ ეზოში დედას მოჰკრა თვალი. დედას მოწყენილი სახე ჰქონდა და ისე

მიდიოდა კიბისკენ. თომამ მიხვდა, რომ დედამ იცოდა შვილის სიყვარულის ამბავი.

ახლა უფრო შემოაწვა გულს ბოღმა, ახლა უფრო მოუნდა როგორმე გადაეხადა, შური ეძია.

სამხრობა თვალის მიხედ-მოხედვაში გადავიდა. ქარმა იმქლავრა. ღრუბელიც უფრო გასქელდა. ცამ დღეა მთების თავზე.

„უნდა ჩაეუმწარო ზურიას ეს საღამო, ხომ იცოდა კარგად, ის გოგო მიყვარდა და სულაც არ მომერიდა, ენის ტარტარით მაჯობა. ჩაგიმწარებ!“ — ღვინო მიეძალა თომას და ამის მეტს სხვას არაფერს აღარ ფიქრობდა.

შელამებისას ქარმა კიდევ უფრო უმატა შარა-შარა ხეტიალს. ორღობებში დაწლივინობდა, იღრინებოდა. ტელეგრაფის ბოძებზე გაჭიმულ მავთულებზე შეხებისას კი რიგიანად უსტევენდა.

დადამდა. სოფელში აყიფდა ნათურები.

ნაგაზები ღობეებს მიაწყდნენ, როცა მახარობელმა სროლით ამცნო სოფელს, მოდიანო.

„მოდიან, უნდა ჩაგიმწარო!“ — თქვა თომამ, მერე ეზოს მოავლო თვალი, ხომ არავინ მიყურებსო და სიბნელეში გაუჩინარდა.

მირბოდა თომამ უკუნ ღამეში, ქარზე უფრო სწრაფად მირბოდა.

„ესეც ასე, ცოტას დავიცდი. შევიდნენ, დასხდნენ და მერე მე ვიცი!“ — გაიფიქრა, როცა გამიზნულ ადგილს მიადგინა.

ზურიას ოთახში თევფი გატეხეს.

თომამ მოემზადა.

„ერთი, ორი, სამი“, — გულში გაითვალა თომამ და... უცბად ხელა გაუშეშდა. არა, ეს არ იქნება კაცობა! არა, ეს ბიჭობა არ იქნება! რა შუაშია მზია! — თქვა თავისთვის, მერე ჯიბის ფანარი აანთო და სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

მათა ჩორღელი
ბაივილი

ქარი ღრენა-ღრენით მიჰყვებოდა თომას.

ჭიშკარი ფრთხილად შეიღო, მარნიას კარიც და ქვევართან ჩაიხოქა. ხრიკამ დაიყურყურლა და მიჩუმდა.

— ვესროდი! არ დავზოგავდი, ნამდვილად ვესროდი მავთულქამანდს მალაღლი ძაბვის საღენებს, მოკლე ჩართვას

მოვანდენდი და გაღმა-გამოღმა სოფლებს სინათლეს ჩაუქრობდი. ჩაჯიმწარებდი ქორწილს ზურია, გექვერდნათ-მერე უკუნ ღამეში, მაგრამ მშინას, ხათრით, მშინას რილით... უპ, შე ღმერთადლო ზურია!.. თქვა თომამ და ხრიკი ისევ დაიყურყურლა ბეჭებამდე მოყრილ ქვევრში....

4. მთაში აყვირებული ირმები

მთელი ღუნია რომ შემოიაროთ, სოფელ ჩორღს რაჰის გარდა ვერსად იზოვით. ვერც რაჰას იზოვით უჩორღოდ. ცულის ტარზე ჩახუტებიან ერთმანეთს სოფელი და კუთხე.

ამ ერთ გოჯა სოფელში, თბილისიდან ჩასულ კაცს გადაკარგულად რომ მოეჩვენება, იმდენი სიყვარული, მაჰანკლობა, თხოვა-ვათხოვება და იონბაზოხუნჯობა დატრიალებულა, ეს რომ ქალღვრე გადაიტანო, ყამთამღწერის სიცოცხლეც არ ეყოფა.

აი, ამ სოფელში გაიზარდა არჩილ გოგრიჭიანი და თურმე, ჭაბუკობაში, მასაც აწვალებდა მოგუდული, გაუმხელებელი სიყვარული კარგა ხანს.

ნაღდგომებს „ახალი კვირის“ ქეიფზე დაპატიჟეს არჩილი სოფელ ქვეღში. ქვედიც კარგი რამეა თავისი ჩვევებით, ქეიფი ისე არ ჩაივლის, საცოლევების თვალთვალი, ცეკვა-თამაში და ხანდახან გვარიანი ცემა-ტყეპაც არ მოჰყვს.

არჩილმა მამაბაბურად ჩაიცვა, გამოიწკობა „აზიაცკებში“ და ვასწია, ანდა როგორ არ წავიდოდა, ქალის შერთვას აპირებდა კაცი...

ღვინომ ძვალ-რბილში რომ დაუარა, არჩილმა „ირემო, მთასა მყვირალო“ წამოიწყო. ამ ღროს, თურმე, ქორბუდა, მეზობელ სახლში ისმენდა ხარირმის ძახილს.

ბედმა სწორედაც იმ ოჯახში მოახვედრა არჩილი. მეზობელმა გადაიპატიჟა მეზობლის სტუმრები. არჩილმა, შე-

დგა თუ არა კიბეზე ფეხი, ჯერ ერასტი და იასონა მელაძეები დალანდა, მერე კი იმ გოგოს მოჰკრა თვალი, ვისაც საცოლედ ურიგებდნენ.

— სოფელს მოძულებულივით რავა ერთად დადიხართ ბიძაშვილები. — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— არა, ბიჭო, შენ მოგბაძვთ და იქნისავით ვავგორდებით! — გაკენწლა იასონამ.

— არცერთ დედას თქვენი სთანა შვილები! — უბასუხოდ არ დატოვა არჩილმა იასონა.

— აბა, სტუმრებს ვთხოვ, სუფრას შემოუსხდნენ! — მალალი, ხუჭუჭთმებიანი, ღვინით ლოყებწამოჭარხლებული ახალგაზრდა დაბუხუნებდა სუფრასთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ღიდი სმა გაჩაღდა.

არჩილმა ისევ დაიქუხა „ირემო, მთასა მყვირალო“. აქეთ-იქიდან დაგუგუხნა ბანმაც.

— გაჯობა, მაგას მისცემენ ქალს, შენ კი დარჩები ენაგდამოგდებული, — ჩაულაპარაკა ერასტიმ იასონას.

— მე არა, შენ გაჯობა. შენ მოგვიწევს ფლარტუნით სოფელში წასვლა. — გაღმა შეედგა იასონა.

არჩილმა ახლა „ქვედრულა მოდიდებული“ წამოიწყო...

— ცუდი ფეხი აქვს მავათ ჯიშს. — სინანულით თქვა იასონამ.

— ლუარსაბა მელაძეს რომ ჰკითხო,



ასე გეტყვის: რა ცუდი, რის ცუდი, სანაო და საგარეო ქალამანი ხარის ტყავში არ გამოუღდის თითო კაცსო, თუმცა შენ კი ავიხდა მისი ფეხი. — პასუხი არ დააყოვნა ერასტიმ.

— რა ამიხდა!

— იმ დღეს, ქვედში რომ მიდიოდი, ერთი დღით აღრე, იმაზე... ქალი რომ გინდოდა, რა! — ერასტიმ იმ გოგოზე ესროლა სიტყვა იასონას.

იასონას ეს სიტყვები გულში მოხვდა და ერთი მაგრად ამოახუნდა.

— თვარა, ბიჭო, შენ კი არ გინდოდა, აი!

— კაი, თუ კაცი ხარ, ბიძაშვილს შეგეცილებოდი? ანდა, მაგას შევიერთავდი?

— რა, მე შენზე ნაკლები ვარ?

— ეგება ცოტათი!

— დღეს არჩილა ხომ არ დავხვედრია გზაში, აქეთ რომ მოდიოდი?

— შენ ვინ შეგხვდა, ჯობია, გაიხსენო...

— სუს! მოდის ეგ შეჩვენებული!

— ხმა არ ამოიღო, ბიჭო, თორემ მაგას ისეთი მეღური ყნოსვა აქვს, თუ დაგვლანდა, ხომ ხედავ, ქამარზე რამოდენა დანა ჰკილია, მაგ თავს, ალბათ, მე გამატანს სახლში მამაშენთან.

— შენს თავს გაუფრთხილდი, თორემ მეც მაქვს იარაღი.

— ხიხ, ხოო! ნელა ნიშა, ნელა-მეთქი! — ჩამოახრიგინა არჩილმა ჩოჩილა ღრეში.

— კარგი ფეხი გქონია, ჩემო ერასტი, შენ შეხვდი იმ ოჯახში პირველი და... ის გოგო მაგას გაატანეს, შეხედე, თან ახლავს მაგ ოხერს! — ტუჩები გაისველა იასონამ და თხილის ბუჩქებში უფრო ღრმად შეიმალა.

— იასონა!.. — თქვა ერასტიმ და წარბი ასწია.

— ერასტი!.. — თქვა იასონამ და ორივე წარბი აზიდა.

— ხიი-მეთქი, შენ გამოგხრა ნადირმა.

— გაუწყრა მეურმე ხარს და გაჯაგრებულმა სახრე ნაცერალთ უთავაზა.

ხარი შეჩერდა და თავი გააქნ-გამოაქნა.

— ერასტი ბიჭო, თუ ავი სული არა ხარ და თუ ძველი ამბავი არ გიჭამდა გულს, საიდან მოგავიწყდა მაგის ჩაფიქრება? — ჩუბჩულოთ უთხრა იასონამ ბიძაშვილს.

— ძველი ამბავი არა, ძხვის ტოლმა, ისე, გავაბრაზებ-მეთქი, ვთქვი და ყველა რომ წავიდ-წამოვიდა და ბინდი შეეპარა ხეე-ხუეს, მივზიდე თივა, მოვასუფთავე იქაურობა, ნახევრამდე დაედგი, მერე მივწვდი სარს წვერომდე და თავი წავუქიძე. რაღაც სასწაულად დამხვდა მინდვრის ნაპირში ეულად ამოსული რცხილა...

— გაგიქდება ნამდვილად, როცა ნახავს, რომ თივისძირი ფესვებიან ხეზეა დადგმული.

— ჯერ დაიწყოს!

— ჩვენ გამოვჩნდეთ?

— რომ ვერ მოთხრის და დაშლას დაუწყებს, სანამ ბოლომდე დავა, გავიაროთ და მივესალმოთ. შენ თან წყალი დააღვინე თვალს! — ირონიულად გაუღიმა ერასტიმ.

— წყლის დაღვევა ვის დაჭირდება, ნახავ მერე, თუ გაიგო მაგ თივის ამბავი! — ვალში არ დარჩა იასონა.

თივა, რომელიც არჩილს უნდა წაედო, საზიარო სათიბში იყო გათიბულა. წილში ერასტიც იყო და ბევრიც იმუშავა. კენჭი რომ ყარეს, მაინცა და მაინც ერასტის შეხვდა მისი დადგმული თივა, მაგრამ, ვითომ და შემეშალაო, არჩილის თივა წაიღო და თავისი მას დაუტოვა.

— ყველაზე მეტი თივა ამ სარზეა შეყრილი. — ღიმილით უთხრა ცოლს არჩილმა.

ქალს არაფერი უთქვამს.

— ერასტი მეღვითი ბრიყვია, ცოტა უხერხულ ადგილზე კია, მაგრამ რა უნდა ამის წაღებას!

ვაჟა ჩორდელი
ტაძივილი



— თივა იქით უნდა ვაგეზიდათ. —
თქვა ქალმა.

— ისე გვეჩქარებოდა, ვინ რომელს
და სად დგამდა, ღმერთმა იცის, ავდარს
აპირებდა.

— გესმის? ერასტი ბრყვივაო!

— ვნახოთ, ვინ იქნება ბრყვი. —
გული მოუვიდა ერასტის.

— ჰოპა! — შესძახა არჩილმა, რო-
ცა ილით მოქნეული ჭაპანი წვერზე მო-
სლო თივას.

— გიტირებ ყოფის დღეს, არჩილა!
— გულზე მჯილი დაირტყა ერასტემ.

— შენ თოკი გადამიწიე, მე დაბლი-
დან ავწევ. — უთხრა არჩილმა ცოლს.
აჯაჯგურა და აჯაჯგურა...

— გადასწი, ქალო, გადასწი, ეს პა-
ტრონამოსაგდები!

— არ ითხრება, შე კაცო, და...

— მიდი, ქალო, რავე არ ითხრება,
ქვესკენელში კი არ არის დაბმული!

— ხარები დაგვება. — მორიდებით
უთხრა ცოლმა.

არჩილმა ხარები დაუბა თივას და სა-
ხრე გადაუქნია.

— ფუ, შენი მომგონი ამოწყდა, —
ამოაფურთხა არჩილმა, როცა სარი შუა-
ზე გადატყდა და ნახევარი თივა ხარებს
ზურგზე გადაეყარა, — ამას მთელი
დღე მოუწუნდები, ოხ, შენი...

იასონა და ერასტი სიცილით ჩაბჭი-
რდნენ.

— ამას ჰქვია ხონური! — თქვა ერა-
სტემ, როცა მოსულიერდა.

— ხონური კი არა, ჩორდული. —
შეუსწორა იასონამ და ცრემლი შეიმშ-
რალა უბეზე.

— რაც გინდა ის დაუძახე, მაგას ქე
ვუტირე ყოფა! — დაიტრაბახა ერას-
ტემ.

— თუ გაიგო, ჩორდი უნდა დატო-
ვო!

— ერთ-ორ დღეს ვერ გაიგებს, მერე
ღამეგათეული ჩხუბის არ მეშინია! —
თქვა ერასტემ და ისევ ჩაბჭირდა.

— დედას მაგათ ვუტირებს, ნახვინთ
დავჩეხავ ყველას! — აყვირდა არჩილი,
როცა თივის ბოლო გროვა აილო და ფე-
სგებიანი სარი ნახა.

— დალანძღე სათემოდ! — მოუწო-
და ცოლმა.

— ლანძღვა-გინება კი არა, იქით გა-
ვისტუმრებ, იქით, მარილზე გავაგზავ-
ნი, მაგათი დედა ვატირე! — თითქმის
ღრიალებდა არჩილი და თან გადატე-
ხილ სარს ძირში ჭრიდა.

ერასტი და იასონა გაილაღნენ თხი-
ლის ბუჩქიდან.

●
დილაბნელზე, როცა ღამე მამლებს
გამოყვივებული ჰქონდათ, სოფელი
ბიჭებს ომში აცილებდა.

ერასტემ არჩილი გაინაპირა და უთხ-
რა:

— ბიჭო, თივა ვინ დამიდგა ზემდ-
გურ ხეზეო, ყველაფერს იბრღვნიდი,
თავს მოგჭრიო, მარილზე გავაგზავნიო,
ხომ მივდივართ ახლა ერთად, ჰოდა, თა-
ვმოსაჭრელმა და შენ ერთად მოგჭრათ
მტერს თავი!

— კი ვფიქრობდი, შენ იქნებოდი,
მაგრამ კვერი არავეინ დამიერა.

— კვერი კი არა, დოლ-გარმონიც ვერ
გიშველიდა, კაცი არ მომხმარებია, მა-
რტოდ გავაყეთე. ისე, იმ გოგოს გული-
სთვის, რაც იმ დღეს გაწამე, სისხლი
თუ არა, ოფლი მაინც ავიღე.

— ისე, ღრმად კი იყო ის მომგონა-
დლი რცხილა, ამირანს დააბამდა კაცი.
— გაეცინა არჩილს.

— გესმის, დედაშენი როგორ წყევ-
ლის ომის მომგონს: წამო, წამო, სისხ-
ლი ავიღოთ, ძველმა ამბავმა მოგჭამა
ჭირი! — უთხრა ერასტემ.

— თივა დაუდგი, ბიჭო, ცოცხალ
რცხილაზე, თივა! — სიცილით ამბობ-
და არჩილი.

მთაში ყვიროდნენ ორმედი...
ბიჭები ომში მიდიოდნენ...



სიკლიქან: „ხალხურად ნათქვამი“

კაი ზვის სიძღვრა

ნისლეებს ვფიცულობ შენს მკერდზე
 სილალით გადამდინარსა,
 ცხადში მინთიხარ სანთლადა
 ფიქრშიც თანა მდევე მძინარსა.
 ზოგჯერ რო გულმშვიდად დაეწვე —
 გამამაღვიძებ მტირალსა,
 ფიქრი და დარდი სცოდნია
 გულ-ღვიძელში ჩანაკირალსა.

კაცობა მცირეთ ხვედრია,
 ფეხი დაუცდა მრავალსა,
 ყველას კაცობა ვინ მისცა
 წუთისოფელში მავალსა.

პაიტაჟია

დრო მოვა მოულოდნელად,
 მოვა და აღარ დაიცდის,
 წვრილია ბედის ბაწარი
 სად გაგიწყდება, რა იცი.

აღსარება

ორთავე, მია და ამანა,
 ქვეყანა მავიარეთა,
 არას დაესდევდით აღმასა,
 ჩაღმანიც ჩავიარეთა,
 ხანდ-ხან თავგაღმაც ვიარეთ,
 თავშედმაც შავიარეთა,
 არც როს არ გვივლავ უკულმა,
 სრუ-მუდამ წაღმ ვიარეთა,
 ცოდვა თუ გვქონდა ნაქნარი,
 არ ფფარეთ, ვაღიარეთა,
 გზანი ცსოვრების ბოლომდე
 სრუ ა ვერ გავიარეთა...

ნალიღინება



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგს დროის მტვერი დაფარავს,
ზოგს კიდევ ქვა და ფიქალი,
ჩვენ წავალთ, აქ კი დარჩება
ნაგრძნობი და ნაფიქრალი.

მე როცა წავალ

მე როცა წავალ, ქვეყანას
რა დააკლდება ამითა,
სხვა მოვა და ის დაიდგამს,
ფილას, საესეს შხამითა,
მოჩვენებაა აქ ყოფნა,
ცის გაელვება წამითა.

კლდე უძე სალი გულადა
გმირი ვაჟკაცის დედასა.
სხვათა გაუძლისს გაიძლებს,
ჯავრს გაჰკენეტს გაუკვენეტარსა,
უცრემლოდ აეტირება
მაკლული შვილის ცხედარსა,
ნეტავი ვგეთ დედობას,
ვგრეთ შვილობას ნეტარსა.

სიცოცხლე უქრობ სანთლადა
მეფეს ან მონას ვინ მისცა,
ვინც მალლა იჯდა, მომკვდარა,
ვინც დაბლა იჯდა — იგიცა.
არ აბედენებს სიკვდილი
მეფესა, არცა რიგითსა,
ტრიალებს ბედის ბორბალი,
გაუჩერებლად მიდისა,
ჩატეხა ვის გაუგონავ —
ქვეყნად სიცოცხლის ხიდისა.



აკვისტოს მოახლოება სოფელში

მწვანე ბრიალებს მთიდან ბარამდის,
თეთრი — მოუძღვის ჩქერალს,
ყანაში მღერის თავდავიწყებით
ბოჩიას გოგო ქერა.
გადაუსერავთ შარები ურმებს,
სადღაც ჭრიალებს კარი,
ჯოგო მჭედელის წუსელი თურმე
გაგიჟებულა ხარი.
ჩვენი ფახურა ძალდი კი, შორი
ჩრდილის რომ ხურავს ქუდი,
ბოროტი მწერით გიყურებთ, თორემ
გულში არ უღვევს ცუდი...
გასდევნებია ჩიტი ჩიტს ცაზე,
ტბიდან „ჩქიმ ცოდა“ ისმის,
ლოზუნგი მოჩანს კანტორის თავზე:
„მიზანი — კომუნისმი!“
წიწილები კი ყუთიდან ხტიან,
ნეტავ სადაა ლილი?
ოჰ, გამოცდები! დილაადრიან
მივემგზავრები თბილისს!

მოჭარბებული ლურჯი
ცას აბიზინებს ახლა,
ზურგზე ტომარა შვენის
და რბის წისქვილში გლახა,
გვერდზე მდინარე მოსდევს,
რამაც არ იცის დაღლა,
გლახა წაიქცა უცებ,
ღმერთი იცინის: ხა-ხა...

მოიღიმება ვარდის თვე
თეთრი ღრუბლების ჩეროდან,
ეზოებს თავზე ველემა

ირათ ხის კენწეროთა,
ხომ გახსოვს სარაჯიშვილი? —
აქ მისი სული მდებოდა.



ღელვით იღება ბჭის კარები ალიონისა
და თან შემოდის თიბათვიდან ცელთა სისინი,
წიკულშლადან კაყაჩოთა მდებო იცინის,
მიაჩინდრიკებს თავდაღმართზე ლურჯას ონისე...



ეს ლექსი სამშობლოსათვის ბრძოლაში ვალ-
მოხდილმა ექიმმა შალვა გურაშვილმა გამოგვი-
გზავნა, გვთხოვა — მისი ხმაც მისწვდენოდა
აჭიმუშკაის ქვათა სამტეხლოებს.

რედაქცია ასრულებს ამ თხოვნას.

ქარაზი, კიათა სასაფლაოზე

ქვათა ღალადო,
დანთხეულო სისხლო მდუღარევე,
მამულის შვილნო,
არ შეგშეენით ყოფნა მდუმარედ.

ხმალთა ფეთებავ,
წინაპართა ძვალთა ხმაურო,
დარჩა მამული
უკაცოდ და უსიყვარულოდ.

მიწის ჯურღმულში
რა რიგ ღვივის წამების კვალი,
რა ღირსეულად მოგიხდიათ
მამულის ვალი!..

დეგემირთა სულნო,
ყურთ ჩამესმის
ბრძოლის ძახილი.
ჰეი, ქართველნო, —
კვლავ ელვარებს
თქვენი მახვილი!

1945





პენალი გურაპაინი

ოთხი ბელორუსული ლექსი

პელს მალსა ვფირავ...

მე ჩემი ბედის ვარ მადლობელი,
რომ ეს მხარეა ჩემი მშობელი,
სადაც კერა მაქვს მტკიცედ ნაშენი,
სადაც ბილიკზე ცვივა ვაშლები,
სადაც დნებრია და ნაროჩია,
სადაც ბულბულთან გალობს შოშია,
სადაც მწვანეა ტყეებიც, ტბებიც
და ქვითქვითებენ ყანებში მწყერები.

მე ჩემი ბედის ვარ მადლობელი,
რომ ქვეყნად ბევრი მყავს ახლობელი.
მივლია ბევრი, მიხილავს ბევრი:
ამურისპირას ნაძვების ტევრი,
პამირის მთები, ბალტიკის ქარი,
კიევის ტკბილი საღამოები
თუ აი-პეტრი, ამაყად მდგარი
ყირიმის ცისქვეშ, განმარტოებით...

მე ჩემი ბედის ვარ მადლობელი
და უფრო მიყვარს მხარე მშობელი,
რომ სხვათა მიწა არ შემაჯავრა,
შური და თვლენა არ შემაყვარა,
რომ არ დაუხშო მეგობრებს კარი
და მარად მათი ერთგული არი,
რომ სამყაროდან არ გამოშთიშა
და არ სწამს სხვა გზა, გარდა ძმობისა!

დამეჯახა გულზე სითბო გაზაფხულის
და ტყის მათრობელა ძალა არნახული.

ყველა საზრუნავი განზე დარჩა, მგონი,
განზე დარჩა ზამთრის ყველა სადარდელი,
ბაგეებთან ვიგრძენ არყისხეთა რტონი,
დაღლილ ფეხქვეშ — მოლი, ნორჩი, სანატრელი.

წკრიალი რომ გვატკბობს, ეს ტოროლას ხმაა, —
სიხარული მიწის მეცხრე ცამდე ააქვს!

შენც ასწიე თავი ამ სიმღერის ხმაზე
და მზის შესახვედრად კვლავ გაშალე ხელი,
შეისუნთქე ძალუმ, მკერდში მოათავსე,
ეს მომწარო ქარი, ტყის შრიალი მწველი...

რაც არ უნდა მითხრა, გქვია ბედნიერი,
ვიდრე გაზაფხული გაბრუებს და მღერი!

ჩვენ სიმღერისთვის შორს მივიჩქარით,
შინ კი რატომღაც ნაკლებად ვეძებთ,
სიმღერა თითქოს მხოლოდ იქ არის —
უცხო მხარეში და უცნობ გზებზე.

იქ კი, ჩვენ სადაც აგვიდგამს ენა,
გვიგრძენია სითბო და სიხალისე,
სადაც დედებმა გვასწავლეს ფრენა, —
ხარობს ცირცელი, ხარობს არყისხე...

რა გულუბრყვილოდ გვგონია ჯერაც,
რომ დაგვჭირდება ოდესმე, მერე,
ეს მშობლიური მიწა და კერა,
ნამდვილ 'სიმღერას' რომ აძლევს ფერებს.

მოგზაურების გვხიბლავს წოდება,
უცხო გზებს ვტკეპნით, რისთვის, ვინ იცის,
ჩვენ კი სიმღერა შინ გველოდება,
დედის უტკბილეს, წმინდა ლიმილში!

რომ დაიძინებს ეს მიწა მშვიდად
 და ვარსკვლავებიც თვალთ დახუჭავენ,
 მაშინ მგონია, რომ ქვეყანაზე
 არ სძინავთ მხოლოდ ღამის გუშაგებს,
 მაგრამ არც მაშინ სთვლემს ინვალიდი.
 ო, ინვალიდებს სწავათ ჭრილობები,
 მოურჩენელი, რადროინდელი!
 მწარედ, გულგრილად, მონოტონურად
 გააქვთ ჭრიალი მათ ძველ პრეტეზებს.
 პაპიროსები ელაგვენ ბნელში
 და ცისკენ მიდის, მიცურავს, მიჰქრის
 ჯარისკაცური ფიქრებისაგან
 გათეთრებული, ჭალარა ბოლი.
 რამდენი წელი არ ჰქრება იგი!
 ჩვენ ინვალიდებს ქუჩებზეც ვხედავთ.
 ცივ ხეივნებში რომ გაივლიან,
 თითქოს კვლავ ბორგავს ქარი ომისა, —
 ერთად ჭრიალებს ათასი ჭალა.
 დადიან ისევ მოხრილი მხრებით,
 თითქოს გამოჰყავთ დაჭრილი ძმები
 მძიმე, მხედრული მოგონებიდან,
 იმ სისხლიანი, შორი წლებიდან.
 მათ უძილობა გადასცეს ქუჩებს,
 ქუჩებს მეოცე საუკუნისა,
 და მათს თვალეზში იწვის, არ ჰქრება
 ან მზე წითელი და მოჩახჩახე,
 ან ცეცხლი ბრძოლის, კვლავ რომ გრძელდება.
 დედამიწაზე კი სიმშვიდეა,
 თვით ვარსკვლავებიც ხუჭავენ თვალებს,
 და ყველა ჩვენგანს ჰგონია, ქვეყნად
 ღამის გუშაგებს არ სძინავთ მხოლოდ.

თარგმნა ხუტა ბერულავამ.



ბელა შალვაშვილმა სპარსულიდან თარგმნა სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის ფირდოუსის (X საუკუნე) „შამ-ნამეს“ ორი ვრცელი ეპიზოდი „მანუჩარი“ და „ამბავი ბეჟანისა და მანიუესი“. გთავაზობთ „ბეჟანისა და მანიუეს“ შესავალ ნაწილს.

ამბავი ბეჟანისა და მანიუესი

განუბანიათ ღამე კუბრში, ღამე — აქატი,
არც ქეივანი და ბაპრამი არ ჩანს აქამდის.

არც თირი ნათობს... ბინდი აკრავს ვარსკვლავთა მხარეს,
ნისლებით გარემოსილია მთვარეც და არეც.

ღრუბელთა შორის ეკარგება მთვარეს სავალი,
დადუმებულა, მოსწოლია ფიქრი მრავალი.

ლაქვარდი სამად გაუყვია მნათობის გვირგვინს,
სპილენძისა და ჟანგისფერით ავსილა ბინდი.

განფენილია ველზე ღამე, როგორც ლაშქარი,
თითქოს რაც ქვეყნად ყვავიათ, ყველა აქ არი.

თითქოს აპრიმანს ჩაუგდია ხელში ქვეყანა,
თითქოს ქვეყანა შხამიან გველს გადაეყარა.

დაუფლებია მაღალ ზეცას ფოლადის ფერი,
მწვერვალებს ვიღაც ეფერება კუპრიან ხელით.

დაპბერავს ქარი... და გგონია ფართო ველებზე
შავზე უშავეს მტვერს აფრქვევსო ზანგის ხელები.

მწუხრში დანთქმულა ნაკადული, ბადი და ველი,
და ზღვის ტალღები, ხან ნარნარი, ხან კიდევ ხელი.

დუმილი ესე მოესურვა საწუთროს თითქოს
ღა ფიქრობ — მზეც კი ველარასდროს მოაფენს სითბოს.

ზეცას იმგვარად მოუხურავს ღამე და ჩადრი, —
თითქოს ძილს ვერო მიუფება და ქვეყნად დადის.

მწუხარე ხმები ხეტიალობს მძლავრად და უხმოდ,
დარაჯის ნებით ზარიც უკვე არავის უხმობს.

არცა ფრინველთა ჟღერტული და ნადირთ ხმებია —
საწუთროს ახლა გაყურება უნებებია.

გული მწუხარებს ასე ბნელი, მდუმარე ღამით, —
წამება არის ამა ღამის ყოველი წამი.

მაინც ვინ უნდა გამიფანტოს დარდები, ვინა, —
იქნებ ლამაზმა, რომელიც ზის სასახლეს შინა?

მოგუხმე, ვთხოვე ჩირაღდანი და გული თრთოდა, —
რა შემოვიდა, ბაღს მოედო სურნელი რტოთა,

ამგვარ ღამეში ჩირაღდანი რად გინდა? — მკითხა —
არ დაგაძინებს სანთლის შუქი ბნელშიო, დიდხანს.

ვუთხარი: კერაო, ძილი სულაც არ მინდა ახლა, —
მინდა ბრდღვიალა სანთელი და სურვილით დაღლა.

დამიჯექ გვერდით, მომაწოდე ღვინის ფიალა,
აკენესე ჩანგი და დამათვრე შენი ტრფილით.

წავიდა იგი ალვისტანა, გალია ბაღი,
დაბრუნდა დიდი სანთლითა და მზიანი სახით.

ნარინჯით, კომშით, ბროწეულით აივსო ღამე,
გულს უხაროდა ღვინით სავსე მეფური ჯამი.

მითხრა ლამაზმა — შორს ზმანება მწარე და ავი,
აპყვეი გულს და დარდისაგან აიშვი თავი.

უსიამოვნო მოიმორე ფიქრი და სევდა, —
გონების თვალით ნუ შეხედავ რასაცა ხედავ.

ასე ყოფილა — ვერრას შესცვლი დარდით და წყენით,
ვით გაასწორებს ვრცელ ქვეყანას ორიოდ ბრძენი!

ხან ღვინო მასვა, ხანაც კიდევ აკენესა ჩანგი,
თითქოს ბარუთის ჯადოქრობის მომგვარა ბანგი.

აუხდა, გულს რაც სასურველი გააჩნდა რამე, —
მზიან შუადღედ გადამექცა შავბნელი ღამე.

ფიალით ხელში მეჯდა იგი ტრფიალი გვერდით, —
ვთხოვე მოეთხრო გარდასული ამბავი ერთი.

ვუთხარ: მიაბზე, განაცვიფრე მიწა და ზეცა,
ცრემლი გვედოდეს, საყვარელო, შენცა და მეცა.

მოგიტხრობ ამბავს, მითხრა ქალმან, ალვისა რტომან,
და უფრო მეტად წამეკიდა ცეცხლი და ლტოლვა.

მოგიტხრობ — შენ კი მიმდერე და ისმინე ჩემი, —
ამა ამბავით განიხარებს ყოველი ბრძენი.

საესეა იგი მიჯნურობით, ტრფობით, დალატით, —
ტრფიალისადმი სწრაფვა არის დაუღალავი.

ვუთხარ: გაშალე წიგნი შენი, ამბავი გრძელი
თან წამიკითხე, თან მანათე თვალეში მწველი.

ავიც და კარგიც გამაგონე, სიტყვამზიანო, —
ამ საქმეთათვის გაჩენილა ადამიანი...

დარდისგან დახსნა ბევრს უცდია, — გზა დასავალი
ვერ უპოვიათ... და წასულა ასე მრავალი.

ახლა კი ვიწყებ ამბის თხრობას, თუ ნებას დამრთავ,
იგი ამშვენებს ულამაზეს ფეჰლევის დავთარს.

მომისმინე და შეაფასე ამბავი ესე, —
გემოს — მადლი შემოსწირე მშვენიერ ლექსებს.

თარგმნა ბელა ზალვაშვილმა



როინ მებრძველი

„რანი ვიყავით, რანი პართ“...

ილია ზაზაშვიდი და ისტორია


„რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავად. ისტორია თავის გულის ფიცარზე იქლევს მართო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაქდევითა, როგორც სარკე, გვარჩენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“.

ილია ზაზაშვიდი.

ისტორია თავისი არსით არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოებების წარსულს მთელი მისი კონკრეტულობითა და მრავალსახეობით, რისი შემეცნებაც საჭიროა კაცობრიობის აწმყოს გაგებისა და მომავლის პერსპექტივის განსაზღვრისათვის. ისტორია ადამიანთა საზოგადოების განვითარებას განიხილავს როგორც ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი მისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრივობით. თავის მხრივ წარსული ადამიანთა გვერდითაა, ადამიანებშია. მატერიალური კულტურის ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, ლეგენდა-თქმულებები, ხალხური ჩვევები, ტრადიციები, ენა წარსულის ღრმა ანახევის ატარებს. ადამიანი დაბადებიდანვე უყავიერდება სამშობლო-ქვეყნის ისტორიულ ბედს, ურთიერთობა უხდება საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ ისტორიის გავლენას განიცდის. ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ თვითონ ხდება ისტორიის შემოქმედი. მის თვალსაწიერში ექცევა ქვეყნის ისტორიული განვითარების საკითხი, ჩნდება საკუთარი დამოკიდებულება წარსულის შემკვიდრებასთან, პროგრესული ტრადიციები ირჩევს რეაქციულისაგან. თავისთავად

ისტორიას აქვს წარსული, აწმყო და მომავალი. იგი, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, ყველა ადამიანის ბედს ეხება მეტნაკლებად და ამდენად სწრაფვა მისი შემეცნებისადმი განუსაზღვრელია.

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იზიარებდნენ ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების, განსაკუთრებით პუბლიცისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის ყურადღებას. მსოფლიოს სხვადასხვა დროის ლიტერატურა იცნობს არაერთ ქმნილებას, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ლიტერატურულიც. ყველა ეპოქის ჰუმანიტარულ მწერალს ნათლად ესმოდა ისტორიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ალექსანდრე პუშკინმა ხამალა განაცხადა, რომ «Уважение к мнущему — вот черта, отличающая образованность от дикости...» პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოვესკი, ტოლტჩევი, ლესკოვი, ნეკრასოვი, ტოლსტოი, ბლოკი... წარმოუდგენელია ამ დიდ მწერალთა შემოქმედება ისტორიის ვარჯიშ. ისტორია, ერთის მხრივ იყო ის ცხოველი სული, რომელიც კეთილად ანაყოფიერებდა მათ შემოქმე-



დბან და აყალიბებდა მსოფლმხედველობას; მეორე მხრივ, თვით დიდი მწერლები გვევლინებიან ჰუმანიტარული ისტორიკოსებად. რომლებმაც ხელოვნების ენაზე აამტყვევლეს აღმართა ისტორიის ცალკეული ფერტლები. ბუნებრივია, ისტორიის პრობლემებისადმი გულგრილნი არც ქართული ლიტერატურის კლასიკოსები დარჩენილან. სწრაფვა საქართველოს წარსულის შესწავლისადმი, ამასთან ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ფერებში გადმოცემა ყოველთვის იყო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა.

გვინდა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ორი ასპექტი: ა) ისტორიული შეხედულებები და ბ) ისტორიული შემოქმედება. დაყოფა სრულიად პირობითია, რადგან დიდი მწერლის შემოქმედებაში ეს ორი მხარე ერთმანეთს ავსებს, მაგრამ თუკი ჩვენ ამ საკითხს მაინც ვაცალკევებთ მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ერთგვარი მიჯნა დავდეთ ილიას პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას, საზოგადოებრივსა და სამწერლო მოღვაწეობას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ჩვენთვის საინტერესო სფეროს თავის დროზე შეეხო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც 1937 წელს მწერლის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ენიციკლსაჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (შემდგომში ცალკე წიგნად გამოიცა)! ცალკე უნდა დავასახელოთ პავლე ინგოროვას, გიორგი ჯიბლაძისა და პროკოფი რატაიანის მონოგრაფიები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა გლობალურადაა შესწავლილი და, ბუნებრივია, ისტორიის საერთოხედიცა გამოკვლეული. აღნიშნული საკითხი სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით მიმოხილულია რიგი ავტორების წიგნებსა და სტატიებში, მაგრამ მათი დასახელებსაგან ამჟამად შეგნებულად ვიკავებთ თავს.

ეპოქა, რომელშიც მოუხდა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის, მეტად მნიშვნელოვანი იყო ისტორიული მოვლენებით. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გარკვეულად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის. ყველაზე არსებითი ხასიათისა იყო 60-70-იანი წლები — ფეოდალიზმის მსხვერვისა და მის წილში ახალი სოციალურ-ეკონომიური — კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრების პროცესი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბებას.

ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ურთიერთობებმა, ახალი, თავისი ბაზისისათვის შესაფერი იდეები მოიტანა; იდეები, რომლებ-

შიც წითელ ზოლად წარმოჩინდა ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის მოტივები.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მოთხოვნას — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს. სწორედ ამ იდეებმა, დიდმა განათლებამ და ნიჭიერებამ, ამასთან ქვეყანაში შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო ილიას პროგრესული მოღვაწეობის ფართოდ გაშლას. იგი არ ყოფილა მარტო ბრწყინვალე პოეტი და მწერალი. განმანათლებლური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი, იმდროინდელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესულ მიმართულებათა კარგი მცოდნე, ილია ჭავჭავაძე იყო ერთიანი ფილოსოფიური განათლების მქონე ღრმად მოაზროვნე პიროვნება. ამასთან იგი იყო პროფესიული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვილი ისტორიკოსიც, რომლის რიგი შრომები ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში შევიდა.

ილია ჭავჭავაძე პროგრესულად უდგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნას. სწორედ ამიტომ მის მიერ გამოთქმულ ღრმა მეცნიერულ აზრებს ისტორიის განვითარების პროცესზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი ის არის, რომ ილიას შეხედულებას ისტორიის შესახებ, მის ისტორიულ კონცეფციას საფუძვლად უდევს ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის აღიარება ზოგადისტორიული განვითარების პროცესში.

ილია ჭავჭავაძე ერთ წერილში ხამალა ქადაგებდა ისტორიის დიდი მნიშვნელობის შესახებ: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბეგრას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას“⁴ მეორე წერილში „დავით აღმაშენებელი“ ილია ამბობს: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწაწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდან მოდის და სად ამოდის, ისეც ერთი სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“⁵. საოცარი მსგავსებაა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე პუშკინისა («Уважение к минувшему, вот черта отличающих образованность от дикости...») და ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს შორის ისტორიის შესახებ როგორც ერთს, ისე მეორეს. კარგად ესმოდათ წარსულის შესწავლის აუცილებლობა.

როინ მტრემელი

„რანი ვიჰამიო, რანი მართი...“



თვითონ ამჟღავნებდა ამის მავალით. თუ პუშკინი გატაცებული იყო ანტიკურობით, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებით, აღორძინების ეპოქითა და საღვრანგეთის დიდი რევოლუციით, ილია ჭავჭავაძეც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებთან ერთად, ევროპის ისტორიასაც გარკვეულ ყურადღებას უთმობდა და მეტად საგულისნმო მოსაზრებებს გამოთქვამდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების (საღვრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის და სხვ.) შესახებ.

ქემშირიტად მატერიალისტური დაყენება იყო საკითხისა, როცა ილია ჭავჭავაძემ ისტორიის შემოქმედად მშრომელი მასები, ხალხი გამოაცხადა. იგი კრიტიკულად მიუღდა თვით „ქართლის ცხოვრებას“ და ხამამილა განაცხადა, რომ „ჩვენი ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“.⁷ 1872 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე დავით ერისთავისადმი („სამშობლოს“ ავტორი) გავზავნილ წერილში წერდა: „მე არაფერსა ვწერ, ამ „ჩრდილში“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდექე და ბაჭი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „ჩრდილს“ თავს დავანებებ-მეთქი. ეგ ოხერია ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი... მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძეს არსებითად სწორად ესმოდა ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები და პრაქტიკულად — საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობაშიც ამ მრწამსის ერთგული რჩებოდა. მთელ მის შემოქმედებას მშრომელი გლეხობისადმი დიდი პატივისცემის დადი აზის, ხალხის შემოქმედებითი ძალების რწმენითაა გააღვთილი.

იი ერთი ადგილი ი. მანსვეტაშვილის მოგონებდან:

„ილია იტყოდა ხოლმე: ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მონღელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზეც ჰკიდიათ ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყუა იქნებოდა...“


მაშ ვინდა დაგვჩინა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქართველს, წვა-დაგვის გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მავარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქართველს უძღვებს და არ ეცემი. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუხა ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებზე წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს“⁸.

სამართლიანად მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი, რომ ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორია ერთგული თვზომწინეობის დევეტ საზრისითა და ერთგული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დუნდობელი, მავრამ პირუთენელი შეფასება აინტერესებდა. მეტად საგულისნმო ილია ჭავჭავაძის პასუხი ივანე ჯაბადარის 1889 წელს ეურნალ «Северный вестник»-ში გამოქვეყნებული წერილებს («Письма о Грузии») გამო. ამ წერილში ავტორი (როგორც თვით აცხადებს) საქართველოს ისტორიის განიხილავდა ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ივ. ჯაბადარს პრეტენზია ჰქონდა, რომ ამ მეთოდებით შეიარაღებულმა სწორი შეფასება მისცა საქართველოს წარსულს. ილია ჭავჭავაძემ საამჟამაზე გამოიტანა ივ. ჯაბადარის პრეტენზიის უსაფუძვლოება, რადგან მის «Письма о Грузии»-ში საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის ნაცვლად, ავტორის მოუშზადებლობა და ზერელობა უფრო ჩანდა. ილიამ მკითხველს გააცნო ივ. ჯაბადარის ძირითადი დასკვნა, სადაც ეს უქანასენელი წერს:

«Без ясного знакомства с этими до- историческими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно- ли грузинский народ стар(!) и износил свои силы (!), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивно (?) жизнью и сберег свои силы для будущего (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою»¹⁰

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ჩვეულებრივ მკითხველზე, რომელმაც საისტორიო წყაროები და ლიტერატურა არ იცის, ივ. ჯაბადარის კატეგორიულ დასკვნებს შეიძლებოდა დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამასთან მის ნიპილისტურ მსოფლმხედველობას ვენების მოტანაც შეეძლო. ივ. ჯაბადარის წერილებს უყურადღებოდ დატოვება კიდევ უფრო დაზარალებდა მკითხველს და სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძემ ვრცლად განიხილა «Письма о Грузии» თავის წერილებში, რომელთაც საერთო სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. აქ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მწუბობრივი ისტორიული კონცეფცია, მისი დიდი ცოდნა როგორც ისტორიის ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხებისა.

შემდგომში ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა,



რომ „ივ. ჯაბადარის... ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გავამრავლებელი იყო. იგი დრეპერის ოდესოდ გავრცელებულ აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწოდეს ხოლმე“¹¹. ილია ჭავჭავაძემ მტკიცედ შეებრძოლა ივ. ჯაბადარის მცდარ და უცნაურ დებულებებს. თანაც მიუთითა, რომ დრეპერის აზრი დიდი ხნის წინ იყო უპრავთილი მოწინავე მეცნიერების მიერ („ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსავე დაწინაურებულს მეციხერს რუსეთისას არ გაეცილვოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი“¹². მას განსაკუთრებით აწვითებდა ივ. ჯაბადარის შემდგომ ფრაზებით: «Износил свои силы (ქართველ ერზეა ლაპარაკი — რ. მ.), или же он до сих пор не начинал еще жить полностью интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего»¹³. აბა, ერთი გეითხარით, ეს («сберег свои силы для будущего»). რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხიაო — კითხულობს ილია და ააშკარავებს სრულ ულოგიკობას ზემო-მოტანილ ჯაბადარისეულ დებულებებში¹³. ამ დებულებებით კი გამოდის, რომ ბედნიერი ერთი ის ყოფილა, ვინც არ აზუვა „ინტენსიური ცხოვრების“ მაცდურობას და ღონე შეუუნახავს მერმისისათვის. ილია ირონიით შენიშნავდა: „... ბედნიერი უფრო მათგანია და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც მათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზე მეტი ღონე შეუუნახავთ მერმისისათვის“¹⁴. ილია ჭავჭავაძის დასკვნა ასეთი იყო: „ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლებით შენებულა, აგებულია, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცილოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონებულად, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოიჭიდეს არსებობისათვის საკვირაოდ“¹⁵. პოეტი დაიწინით ამბობდა — კიი ნუგეშია, კაცმა ბური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოსო. ილია ჭავჭავაძის გამოხსვლა ჯაბადარისეული ცრუმეცნიერული და ზერეფ დებულებათა წინააღმდეგ სრულიად მართებული იყო. ილია ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი იყო და ამ კონკრეტულ ვითარებაში ისტორიკოსის მოვალეობის შესრულებაც მოუხდა. ილიასთვის იტორია მხოლოდ ფაქტებისაგან შეარსიწებელი ამბავი არ იყო. იგი ეძებდა ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ბერკეტსა და საფუძველს, თანაც თითოეული მოვლენის სწორად შეფასებას მოითხოვდა. სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ ილია

შთავარ ყურადღებამ საზოგადოებრივ განვითარების სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ პრობლემებს უთმობდა. ილია ჭავჭავაძემ პირველმა საქართველომ ისტორიის განხილვა მოითხოვა ეკონომიური თვალსაზრისით. „ჩვენი ხალხი — აღნიშნავდა ილია, — თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... ვსთქვათ, მკვლემა და გულმა შესლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჭკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“¹⁶ როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამოკვლევა სავსებით ისტორიის შესწავლის აუცილებელ პირობად აღიარა. ილიასდროინდელი (ისე როგორც აღნიშნული) ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო საკითხის ამგვარი დაყენება.

საერთოდ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“, „იორლანდია და ინგლისი“ (საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი)“, „ქერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები“ და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა, მიმოიხილა რა ილია ჭავჭავაძის ეკონომიური შეხედულებები, აღნიშნა, რომ ყველაზე საყურადღებო იყო ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძისაგან ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცრდნის აღიარება.¹⁷

1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომმა დღის წესრიგში დააყენა ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ძველი მიწების საკითხი. ამ პრობლემას ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს უძღვნა წერილი „ოსმალის საქართველო“, სადაც წინა პლანზე დააყენა ისტორიის ერთობის ფაქტორი ერის ცხოვრებაში და წარმოაჩინა ის განუყრელი კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და მტრისგან მიტაცებულ ოსმალის საქართველოს შორის. ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიული მხარეების — მესხეთისა და ლაზეთის საქართველოსთან გაერთიანებას და საერთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

მეტად საგულისხმოა ცალკეულ ისტორიულ მოღვაწეთა ილიასეული შეფასება, როცა იგი ამა თუ იმ პიროვნებას განიხილავდა არა ცალმხრივად, არამედ მის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას კომპლექსურად აფასებდა.

როინე მმტრამველი

„რანი მიწაპიმი, რანი ვართ...“



განსაკუთრებულად გამოყოფდა ილია ისტორიკულ მოღვაწისაგან სხვა ერთა უფლებებისა და ღირსებათა პატივისცემის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი „დავით აღმაშენებელი“, სადაც იგი მიიხვევს, რომ „უკეთესნი და უდიდესნი მომქმენდი ერისა ზომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამოიქვეყვლინა და გამახორციელებულნი“¹⁸, როცა თავის პოზიციას ნათლად აყალიბებს, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მთლიანობაში შეფასების მიზნით იგი მეტად საგულსინჯო მხარეს წარმოაჩენს: „...დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდებულებიან კაცობითაც. იგი, თავადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყურებელი სხვისა მამანი, როდესაც იგი ყოვლადშემწლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცს შესაქმელადაც არააზროვდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მავალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცთ-საგანი“¹⁹.

როცა ილია ჭავჭავაძე ასე განსაკუთრებულად აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის სხვა ერისა და რჯულის ხალხთა შემწყურებლობას (ტოლერანტობას), ბუნებრივია, იგი კარგად იცნობდა ისტორიას და იცოდა კიდევ, რომ არსად არც დასავლეთის (ქრისტიანულ) და არც აღმოსავლეთის (მუსლიმანურ) ქვეყნებში ამგვარი რამ არ არსებობდა. მართლაც XII საუკუნის დასავლეთ ევროპაში უცხოელის ბედს ის მეფე ან ფეოდალი წყვეტდა, რომლის სამფლობელოშიც საეპაროდ, ან სხვა საქმიანობისათვის უცხო პირი აღმოჩნდებოდა. ევროპის ქვეყნებში, როგორც ჩანს, საეპაროდ მძინე ადათ-წესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ; ამ უკანასკნელთა პარონებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას ზშირად დაცვის სიგელიც კი ვერ უზრუნველყოფდა. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დაშვლეთ ევროპაში მცხოვრები, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა სარწმუნოების მიმდევარნი. თავის რჯულთშეუწყნარებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც სიოკაცრეს იწინებდა არა მხოლოდ ებრაელებისა და მავშა-დაინების, არამედ მართლმადიდებლების მიმართაც, დაახლოებით იგივე მდგომარეობა მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც უფრო მეტიც, ისლამმა იმთავითვე მკვეთრად

გავალო ზღვარი მუსლიმანებსა და არამუსლიმანებს შორის. იგი უარყოფდა ეროვნებას და ერთადერთ კრიტერიუმად მუსლიმანობას აღიარებს თვლიდა. ამდენად მუსლიმანურ აღმოსავლეთში ტერმინ „უცხოელში“ ძირითადად სარწმუნოებრივი შინაარსი იყო. ყურანი ხმაშალდა აცხადებდა: „ებრძოლეთ მათ, რომელთაც არ სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება.“

უნდა აღინიშნოს, რომ XI-XII საუკუნეებში უცხოელებს რუსეთშიც პოტენციურ მტრად სახავდნენ და ამიტომ მათ მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში ანიჭებდნენ ვარკვეულ უფლებებს. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი ი. ანდრეევსკი მიმოიხილავს რა რჯულთშეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს რუსეთში დაასკვნის, რომ «Иновѣрье, как общественное явление... не дозволялось в России до Петра»²⁰. ამგვარად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაშინდანიურ აღმოსავლეთსა და რუსეთში უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა მდგომარეობა რთული იყო, რადგან უფლებრივად ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით დაბალიდგნენ.

სწორედ ამიტომ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე საქართველოს განსხვავებულ მდგომარეობას სხვადასხვა ერისა და რჯულის აღმსარებელთა მიმართ. მართლაც საქართველოში დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველ მეფეთა საეკლესიო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იმდევარად წარმართა, რომ რამდენადმე დაშვებული იქნა გამოსაკლისი საქართველოს ამ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთაგან საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებულ საერთაშორისო ევრონომიური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, იმატა უცხოელთა რიცხვმა. უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა შედარებით თავისუფლების — რჯულთშეუწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს და ზემოთაც დავინახეთ, უჩვეულო იყო. თითქმის ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც კი დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს შეეხო, არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფეთა ტოლერანტობისადმი და საგანგებო მინიშნებებით მოგვცეს იგი. როგორც არაბი ისტორიკოსი აღფარაყი გვამცნობს, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოურთა (1122 წ.), მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმანთა ხელშეუხებლობის შესახებ. თა-

ნაც „...ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმან-
ები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და
არავის დეცლა იგი მათ შორის, მან (დავით
აღმაშენებელმა — რ. მ.) მოკრა მათთვის მო-
ნეტა (ფული) ხალფასა და სულტნის სახე-
ლით. და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვა-
ზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა.
დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქარ-
თველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შე-
ვიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში,
და რომ პარასკევ დღეს შინაბრიდან ილოცე-
დნენ ხალფასა და სულტანისათვის და არა
მათთვის (დავით აღმაშენებლისათვის — რ. მ.).
იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ
სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფი-
ებს“²¹ მუსლიმანი მოსახლეობისადმი ამგვარი
დამოკიდებულების შესახებ ცნობები სხვა ის-
ტორიკოსებთანაც დასტურდება (იბნ ალ-ჯაუ-
ზი, მუჰამედ ალ-ჰამავი, დეფრემერი).

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობ-
და ხელს საქართველოში მცხოვრებ სომეხებს,
რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიურ
ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ.
თუ რას წერს სომეხი ისტორიკოსი — მათე
ურჰაელი დავით აღმაშენებლის სომეხებთან და-
მოკიდებულების შესახებ: „ის (დავით აღმაშე-
ნებელი — რ. მ.) აღმოჩნდა მიმდებარე და მოყ-
ვარული სომეხთა ტომისა... მან ააშენა სომეხ-
თა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა
ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო
ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიხა-
რულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას
მთელი სომეხი ხალხი“²².

დავით აღმაშენებელმა ყოველმხრივ შეუწყო
ხელი მუსლიმანებისაგან შევიწროებული სომ-
ხური ეკლესიის აღორძინების საქმეს. უფლებ-
რივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გა-
თანაბრებული ებრაელებიც.²³

ამგვარი რჯულთშემოქმედებითი პრინ-
ციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის დრო-
იდან დანერგა, დამახასიათებელი იყო მთელი
XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო
პოლიტიკისათვის. სწორედ ამიტომ აცხადებდა
ხმამღლა საქართველოს ისტორიის შესანიშნა-
ვი მცოდნე ილია ჭავჭავაძე: „ამისთანა კაცთ-
მკვრიული პატივისცემა სხვის ერთგებისა,
სხვის სარწმუნოებისა, ნულთ საყვირგული და
საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუ-
კუნის კაცისაგან“²⁴.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ
ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა XII საუკუნის
საქართველოს ისტორიის საკითხებისა, კვლავ
დავუბრუნდეთ პოეტის კამათს «ПИСЬМА О
ГРУЗИИ»-ს ავტორთან. იგი: ჯაბადარმა არასწო-
რად გააშუქა ისტორიული პროცესი, თამარის
ეპოქა მოიხსენია, როგორც საუკუნე «нравст-
венного разложения» და საბუთად მოიტანა

იმ მოსაზრება, რომ თითქმის თამარმა ყარსზე
ილაშქრა „მარტო იმისთვის, რომ თავის აზ-
რად დაბადებულის შვილის ვიორგის ბედზე ცა-
მოსცადოსო და ამისთვის აღუბრუნელი სისხლი და-
იღვარა ტყუილ-უპარაოდო“. ილია ჭავჭავაძე
ამ საკითხს ზოგადისტორიული პროცესის მიმ-
დინარეობის შუქზე იხილავს, თანაც კრიტიკის
ქარცეცხლში ატარებს ზემოთხსენილი მოსაზ-
რების იტორს. „გავიხილა — ამბობს ილია,
ასეთი მალე დაჭერება დაუჭერებელისა იმ კ-
ცისაგან, რომელიც მართლსავე არ იჭერებს
ვითომ-და უკრიტიკოდ“²⁵. ილია ჭავჭავაძე
ისაბუთებს, რომ ყარსზე გალაშქრება იყო თა-
მარის დროის საქართველოს პოლიტიკური სა-
პირობა, რომელიც ვითარდებოდა ქვეყნის
მშვიდობით ყოფნასა და საერთოდ არსებო-
ბას²⁶.

იგი, ჭავჭავაძე იმთავითვე შენიშნა, რომ
ილია ჭავჭავაძემ პირველმა დააყენა და განიხი-
ლა თამარის დროინდელი საქართველოს სა-
ხელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის საკითხი (ამ
პრობლემების მკვლევარ იოს. გედევანიშვილზე
26 წლით ადრე)²⁷. ილია მიუთითებდა იმ ან-
ბანური ცოდნის აუცილებლობაზე, რომ „მას
შემდეგ რაკი სომეხეთი შეიმუსრა, სამხრეთი
ჩვენი ღია დარჩა მტრთათვის შემოსასევად.
ამ მიზეზით, სომეხეთის შემუსვრის შემდეგ
არც ერთი მეფე არ ყოფილა დირსეული ამ
სახელისა, რომ თვალსაშინა სამხრეთისაგან არა
სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ ვასუ-
ლიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა სა-
ქართველთზედ შორს გაედგა მოსვენებისა
და უშიშობისათვის, ან მტრისთვის ისეთი ზარი
დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებდნა-რა
საქართველოსათვის“²⁸.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად თვლიდა,
რომ შედარებითი მეთოდის სახელი, რომლის
გამოყენებაზეც პრეტენზიას აცხადებდა «ПИСЬМА
О ГРУЗИИ-ს»-ს ავტორი, სრულიადაც არ
შეეფერებოდა საკითხის ჯაბადარისეულ კვლევას.
პოეტი მიუთითებდა, რომ „შედარება იმ მოქ-
მედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ
რამდენსავე საგანს ერთმანეთს წაუყენებს,
დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ
მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და
სხვაობა“²⁹. ამგვარი ღრმა მეცნიერული
თვალსაზრისით მიუღდა ილია ჭავჭავაძე რო-
გორც საერთოდ ისტორიის საკითხების გაგე-
ბას, ისე კონკრეტულად ისტორიის შესწავლის
მეთოდოლოგიის საკითხებსაც. მისი მოსაზრე-
ბები გარკვეულ ეტაპს ჰქმნიან ქართულ ისტო-
რიოგრაფიაში.

ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა ზოგადისტო-
რიული საკითხებისა და მისი დიდი ალღო

როინ მებრძელო

„რანი მიჰაპიო, რანი ბარო“...



ჩანს ევროპის წახელმწიფოების ახალი ისტორიის საყვანძო საყიბებზე მსჯელობისას. ილიამ ფრად საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესსა და ბურჟუაზიასა და მუშებს შორის არსებულ კლასობრივ ბრძოლზე³⁰. ილია ჭავჭავაძე ღრმად იცნობდა ევროპის სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მისი შემოქმედება მიგვიანშებს, რომ პოეტი აშკარად გამოდიოდა მშრომელი ხალხის მხარეზე. მან დიდი წუხილით აღნიშნა „კომუნის დაქემის დღე“ და ხმამაღლა განაცხადა:

**ტივითმომით და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაშალა...**

პოეტმა პარიზის კომუნის დამარცხება ისტორიის შეფერხებად მიიჩნია:

**კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგენე ძალნი...**

ამ ლექსით დიდი პოეტი ჭეშმარიტად ნამდვილ რევოლუციურ-დემოკრატიულ გვეჯლინება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ისტორიული მხატვრული ლიტერატურისადმი. პოეტი მოითხოვს ისტორიზმის პრინციპების მტკიცედ დაცვას ლიტერატურის ყველა ეპოქაში. 1890 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „ახალი დრამების გამო“, სადაც მწვავედაა გაკრიტიკებული ორი ახალი დადგმა („მტარვალი“ და „ქართლის დედა“), რომელთაც ისტორიულობის პრეტენზია ჰქონდათ. ილიას მიაჩნია, რომ თუ დრამის ავტორს სურს „ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგარკნობლად და დასაჩახავად³¹. (ხაზგასმა ჩვენი — რ. მ.).“ პოეტი მოითხოვს, რომ ისტორიული დრამის დაწერას წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, განათლება და ნიჭიერება. საკუთარი თავისადმი ბევრის მომთხოვნი ილია დიდი შრომის ვარკვე შეუქმლებლად მიიჩნევდა რაიმე ღირებულის შექმნას. „ჩვენის ფიქრით — ამბობდა პოეტი — ამაოდ ირკებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუშვადებლად და, მამასადამე, კადნიერად ეტანებიან.“³²

მეტად დიდი ნათესაობა ილია ჭავჭავაძესა და რუს კლასიკოსებს შორის მათ მიერ ისტორიული ნაწარმოების შექმნის სირთულის შეფასებაში. ა. ს. პუშკინი ვიდრე ისტორიული ნაწარმოების წერას შეუდგებოდა, ჯერ სავანგებოდ იკლევდა მას, ყოველთვის სათუთად ეპყრობოდა ისტორიულ ფაქტებს. ჩაიფიქრა

რა პეტრე I-ის ეპოქაზე ნაწარმოების შექმნა, აი რას სწერდა იგი გამოჩენილ რუს ისტორიკოსსა და მწერალს მ. პოგოდინს «К Петру приступою со страхом и трепетом, как вы к исторической кафедре»³³. პუშკინი არაერთგზის იმეორებდა, რომ ისტორიული ჭეშმარიტება შეიძლება მოპოვებული იქნეს მხოლოდ დიდი შრომით. «В наше время, — წერდა პოეტი, — главный недостаток, отрывающийся во всех почти ученых произведениях, есть отсутствие труда. Редко случается в критике указывать на плоды долгих изысканий и терпеливых разысканий»³⁴.

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც ა. პუშკინი, უციენებდა გარეგულად ეფექტური, მაგრამ არსებითად ფუჟე, ყალბ ისტორიულ საბურველში გახვეული ნაწარმოებების შექმნელებს. თვით ილია ისტორიული ნაწარმოებების შექმნისას ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომის ნათელ მაგალითებს იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე მწვავედ აყენებდა ძველ ქართული ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების აღწერის აუცილებლობის საკითხს. იგი მიანიშნებდა, რომ მონასტრებსა და ძველ ეკლესიებში ბევრი საისტორიო განძის მოპოვება შეიძლებოდა, თუ კი, რასაკვირველია, სათანადო დინტერესება იქნებოდა. „ჩვენი ისტორია, — წერდა ილია, — ჯერ კრიტიკის ცეცხლში არგატარებული და არ გადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილის შექმნისაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის ვანგილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვეთა მამაპაპათა ხელთნაქმართა და ჭკუთი ნაშთქმართა“³⁵. პოეტი მოუწოდებდა ბერ-მონაზვნებს და სამღვდლო პირთ, „რომელთაც ახარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა“, რომ შეედგინათ სათანადო კატალოგები მათდამი რწმუნებულ მონასტრებში არსებული სხვადასხვა სახის ნივთებისა, თუ წიგნებისა. ილია თვლიდა, რომ ამგვარი ნაშრომისაფარის გამოქვეყნება გახვეთებზე მეტად სასურველი იქნებოდა. იგი არანაკლებ საქება და საიდგებლად მიიჩნევდა იმ ერისკაცებს, რომელნიც არ დაზარებდნენ და გამოქვეყნებდნენ, საღ ვისთან გეულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები. პოეტი მოითხოვდა, რომ ვინც კი ამგვარი საქმის გასაკეთებლად თავს გადასდებდა, უნდა გამოეკვლია თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მიეცემული; რა დროს ეკუთვნის, რა მიწაწერები აქვს და გამოირჩევა თუ არა რაიმეთი გარეგულად. „ჩვენი გახეთი — აღნიშნავდა ილია, — ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ სავანედ ვინმე მოაწვდის რასმე“³⁶.



ილია ჭავჭავაძე სიხარულით აღნიშნავდა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ეურნალ-გავსებებში ფართოდ დაიწყო ახლადშეკრებილი ხალხური ლექსების ბეჭდვა. იგი აქვე შენიშნავდა, რომ ეს არ იყო საკმარისი. მხოლოდ ხალხურ პოეზიაში არ იყო ჩამარხული ხალხის ესთეტიკური გემოვნება და აზროვნება. საჭირო იყო ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლა. ილია აღნიშნავდა, რომ „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს... მამულის გაყიდვა და დაკრავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთ-ერთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, — სულ ხალხის ჩვეულებების ძალით სწარმოებს, ხალხის ადრთხვება დაფუძნებული და ამ ადრთს ემორჩილება“³⁷.

ილია ხალხის ჩვეულებებში ჩაკერული საუნჯის ღრმად შესწავლას მოითხოვს, რადგან სწორედ ამგვარი შესწავლით შეიძლება ხალხის წარსულისა და აწმყოს, ავისა და კარგის ყოველმხრივ შეგნება. პოეტი წარსულში ხალხის ცხოვრების კომპლექსურად, პარამორფულად შესწავლას მოითხოვს. ილია თვლის, რომ ხალხის ცხოვრების ეკონომიური და იურიდიული სფეროების შესწავლა შედარებით ადვილია, რადგან უფრო მეტად ბეჭითობასა და დაკვირვებას მოითხოვს, ვიდრე სპეციალურ ცოდნა-მომზადებას (როცა ილია ჭავჭავაძე ამგვარად აყენებდა საკითხს — მხედველობაში, რასაკვირველია, თავისი დროის მეცნიერების მდგომარეობა ჰქონდა).

ილიას არ მოსწონდა, როცა გამორჩევით („ამოჩემებით“, როგორც თვით ამბობდა) ქართველი ინტელიგენცია სახალხო პოეზიას სწავლობდა და ხალხის ზნე-ჩვეულებების სხვა მხარეები მივიწყებული იყო. პოეტი ფართო მასშტაბის ამოცანას აყენებს: „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონდეს-დასწონოს ყოველივერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის“³⁸. ეს მართლაც საკითხის დროული და საპროგრამო დაყენება იყო.

როცა საკითხი ჰემოარტების დადგენას ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ყველასა და ყოველგვარი ავტორიტეტების მიმართ. იგი მიიჩნევდა, რომ „კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს“. ილია სიხარულით შეეგება 1887 წ. აკაკი წერეთლის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საჭარბოდ ლექციების რუსულად კითხვას.³⁹ ამასთან მისი წარმოდგენით „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედაზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი.

მისი სიტყვით, ტარეელი, რადგანაც, ჭავჭავაძე — ქართველია, ავთანდილი წინდახედულია და ცბიერი — იმერელია, და ფრიდონი კი — არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო — ზღვისპირის ქართველია“⁴⁰. ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს მოსაზრებები. მართალია მას ტაქტი და თავაზიანობა არც კრიტიკულ წერილებში დაუკარგავს, მაგრამ იგი ბოლომდე პირუთუნელი და პირდაპირი დარჩა თავისი ძვირფასი მეგობრის მიმართ. ღრმა ისტორიზმი ყოველთვის იყო ილიას შემოქმედების მუდმივი თანამგზავრი.

ჩვენ საგანგებოდ არ შეგჩერდებით ილია ჭავჭავაძის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებულ პოლემიკური ხასიათის მეტად დიდმნიშვნელოვან წერილზე „ქებათა დაღაღი“,⁴¹ რომელშიც დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ღრმა მეცნიერული და სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან მედგრად გაილაშქრა საქართველოს ისტორიის გამყალბებების წინააღმდეგ. აღნიშნულ ნაშრომში ნათლად გამოჩნდა ისტორიის დიდი ცოდნით განსწავლული ღრმა ფილოსოფიური აზროვნება მოღვაწისა, რომელსაც თავის დროაზე ჰემოარტიკებისათვის ბრძოლა და სამსახური ეწერა.

ღრმა ისტორიზმი ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოების განუყოფელი საფენელია. პოეტი ზნორად მოიხმობს ხოლმე ისტორიულ პირებს. საგულისხმოა მისი ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1878 წ.). საქართველოს მეფის თავდადებულად წოდებული დემეტრე II-ის (1270-1289 წწ.) სახე და XIII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს კონკრეტული ისტორიული ვითარება ღრმად შეიკრა ილია ჭავჭავაძის ინტერესთა თვალსაწიერში. დემეტრე თავდადებული პოემა „აჩრდილიშვიტ“ არის მოხსენიებული, სადაც პოეტი ამბობს:


... თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა მხსევრპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.

განა დიმიტრი თავდადებული იქნება როსმე დავიწყებული?!

ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში აღწერა არღუნ ყაენის მიერ საქართველოს მეფის დემეტრე II-ის დასჯა. როცა არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამჟღავნდა, ყაენმა თავის მთავარი მრჩეველი ბულა დასაჯა. ბულას ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი და ამიტომ ეპვი დემეტრე მეორეზე მიიტანეს. იგი ყაენთან გაიწვიეს და ამ უკანასკნელმა საქართველოს მეფეზე განაწყენებული ხეტლუ-

როინ მებრეველი

„რანი ვიჰავიძი, რანი ვარდი“...



ბულას ჩავიხსენებთ 1289 წლის 12 მარტს დემეტრეს თავი მოჰკვეთა.

ქართალმწერელი გვაუწყებს, რომ ურდოში წასვლის წინ დემეტრე მეორემ დარბაზს მიმართა „თანადგომითა თქუენითა წარგმართე მეფობა, და აქამომდე მშუდობით ჰგეის სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვის, თუ არა წარვიდე ურდოსა“.⁴² მეფეს ჰქონდა სხვა გამოსავალიც — შეეძლო მთიულეთისთვის შეეფარებინა თავი „სიმაგრეთა შინა“, მაგრამ მან განჰკურთხა, რომ „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკლდეს და მე ტურთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უენებელად დარჩეს“.⁴³ როგორც ცნობილია, დემეტრე II შთამომავლობამ თავადლეულის ეპითეტით შეამკო და ასეა იგი ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძემაც დემეტრე თავის პოემაში გამოიყვანა, როგორც ხალხისათვის თავდადებული გმირი. მისთვის ძირითადი წყარო ქართალმწერლის თხზულება იყო. ილიას მიხედვითაც, როცა მეფეს მიმართეს

... რად მიდიხარ
იუთუ მეფევ ხსნა არ არისს.
ჭულზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი-ოჲ44.

საქართველოს მეფემ კატეგორიული უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი დიდებულის მეფისადმი მიმართულ სიტყვებში ნათლად ჩანს თვით პოეტის პოზიცია, მისი მეტროლი სული:

სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ სირცხვილს ნუ შეაქმევ
ერსა შენსა შემნატერელსა.⁴⁵

მეფე კი დარწმუნებულია, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ყაენი აახრებს ქართლის მოწა-წყალს და ქართველთა თავდადებაც ამით იქნება, ამასთან დემეტრესაც თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს:

თუ სიყვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს — მთელის ერისათვის!..⁴⁶

დემეტრეს ფიქრით:
არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს ღღენია,

მეგდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.⁴⁷

თავისთავად დამპყრობლისადმი დემეტრეს და უბრძოლველად დანებება არ ყოფილა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი. ქართალმწერელმა ხმამაღლა განაცხადა: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუთბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიყვდილი“.⁴⁸ მაგრამ დემეტრე, რომელმაც აქტიური ბრძოლის ნაცვლად თავის განწირვა არჩია, ისტორიამ არა თუ გაიცხა, თავდადებულად გამოაცხადა. ეს იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მტრის წარბ ძალუბთან შეზამას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ უნაყოფო მსხვერპლი მოჰყვებოდა და ამდენად მეფის თავდადება გმირობას უღრიდა. ილია ჭავჭავაძესაც ამგვარად ესმოდა დემეტრეს თავდადების მნიშვნელობა და სწორ შეფასებას აძლევდა მას.

ქეშმარიტი ისტორიზმი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის პოემებს: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მის მთელ რიგ ლექსებს. ასევე საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნითა დაწერილი „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?“, „გლუხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, „სარჩობლუზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“. ისტორიული თემაზეა შექმნილი მინიატიურა „ნიკოლოზ გოსტაშვილი“.

ილია ჭავჭავაძე ფართო მასშტაბის დიდი მოღვაწე იყო. მისი სიდიდე დღითი დღე ნათელი ხდება. პოეტის შემოქმედებამ თავისი საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიას დგაწლი ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ისტორიზმი პოეტის ფილოსოფიური აზროვნებისა, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების ორგანული ნაწილი იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა წარსულის შესწავლისას გამოეყენა პოლიტიკური ბრძოლის, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობისა და ეროვნული თვითშეგნებისათვის ბრძოლის მაგალითები და გაკვეთილად მიეწოდებინა ხალხისათვის. როგორც ისტორიკოსი-მკვლევარი ილია ჭავჭავაძე თავისი ეპოქის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. მისი კონცეფცია ისტორიული პროცესის, ხალხთა მასების როლის შეფასებასა და რიგ სხვა არსებით საკითხებში თავისი დროისათვის პროგრესული იყო. ისტორია სისხლბორცული იყო ილია ჭავჭავაძისათვის, რადგან იგი აძლევდა საფუძვლს პოეტს გაერყვია, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.



* А. С. Пушкин. Полн. собр. соч., т. 5. Государственное издательство художественной литературы, М., 1950, стр. 165.

1 იხ. ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1932.

2 გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1966.

3 პ. რატინი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1965.

4 ი. ჭავჭავაძე, ოსმალის საქართველო, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 9.

5 ი. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 179.

6 ა. ს. პუშკინის ისტორიული შეხედულებების შესახებ იხ. Черепнин Л. В., Исторические взгляды классиков русской литературы, М., 1968, стр. 12—56.

7 ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 175.

8 ი. მანვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 76-78.

9 ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 4.

10 ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 18.

11 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

12 ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, გვ. 20.

13 იქვე, გვ. 21.

14 იქვე, გვ. 22.

15 იქვე.

16 ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თხზ. ტ. IV, გვ. 176.

17 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

18 ილ. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თხზ. ტ. IV, გვ. 179.

19 ილ. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თხზ. ტ. IV, გვ. 181.

20 И. Андреевский, О правах иностранцев в России до вступления Иоанна III Васильевича на престол великого княжества Московского, СПб., 1854 г., стр. 34.

21 Ибн-Ал-Азрак Ал-Фарик, История Майя Фарикина, труды Института истории АН Аз. ССР, XII, 1957, стр. 223.

22 იხ. ლ. დავლიანიძე, მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 247-248.

23 შ. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში, საქართველოს ებრაელთა

სახელმწიფო ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1945, გვ. 262-280.

24 ილ. ჭავჭავაძე, აი ისტორია, თხზ., ტ. IV, გვ. 67.

25 ილ. ჭავჭავაძე, აი ისტორია, თხზ. ტ. IV, გვ. 67.

26 იქვე.

27 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

28 ილ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

29 ილ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31-32.

30 დაწერილებით ეს საკითხი განიხილა პ. რატინი იხ. მისი ილია ჭავჭავაძე, თბ., 1965, გვ. 481-486.

31 ილ. ჭავჭავაძე, ახალი დრამების გამო, თხზ., ტ. 3, თბ., 1953, გვ. 186.

32 იქვე.

33 А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. XV, стр. 124.

34 А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. V, стр. 341.

35 ილ. ჭავჭავაძე, საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი, თხზ., ტ. IV, გვ. 189.

36 ილ. ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 190.

37 ილ. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზ., ტ. IV, გვ. 191-192.

38 ილ. ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 194.

39 ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „მეფის-სიტყვაოსანი“, თხზ. ტ. 3, გვ. 166-178.

40 იქვე, გვ. 167.

41 იხ. ილ. ჭავჭავაძე, ქვათა ლაღადი, თხზ. ტ. 8, გვ. 95-194.

42 ეამთაღმწერელი, მესამოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, გვ. 287.

43 ეამთაღმწერელი, მესამოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 287-288.

44 ილ. ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თხზ., ტ. 1, თბ., 1951, გვ. 194.

45 იქვე, გვ. 184.

46 იქვე, გვ. 187.

47 ილ. ჭავჭავაძე, მეფე დიმიტრი თავდადებული, თხზ., ტ. 1, თბ., 1951, გვ. 195.

48 ეამთაღმწერელი, მესამოცდაორე მეფენი დავით, ძე მეფის ლაშა-გიორგისა, და დავით, ძე მეფის რუსუდანისა, ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 262.



მეორი მხარეანი

რე უპასუხა ვაჟა ფშაველამ აკაკი წერეთელს?

ძნელი წარმოსადგენია ქართველი მკითხველი, ვერ გაერკვეს, თუ რა პასუხზეა საუბარი. აკაკის ლექსი — „ვაჟა-ფშაველას“, ვაჟას „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ ხომ უაღრესად პოპულარულია! და თუ მაინც სამართლიანად გვეჩვენება კითხვა იმის თობაზე, თუ რა არის ძირითადი აზრი აკაკისადმი ვაჟას პასუხისა, საჭირო იქნება საქმის ვითარება ორიოდ სიტყვით შევახსენოთ მკითხველს. საჭირო კი, თუნდაც იმიტომ არის, რომ „ორივე“ ლექსზე 1913 წელსაა დაწერილი. რატომ უწოდა ვაჟამ თავის ლექსს დაგვიანებული პასუხი? ვაჟა ხომ აკაკის სწორედ ამ ლექსს პასუხობდა, ხომ სწორედ ლექსის პირველ სტროფს წარუმძღვარებს თავის პასუხს —

ენას გიწუნებ ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!!

ვაჟას (აგრეთვე მისი ძმების — ბაჩანას და თედოს) ენის გამო აკაკი წერეთელს დიდი ხნით ადრე (1899 წ.) ჰქონდა გამოთქმული დაახლოებით იგივე აზრი, რაც ამ სტროფშია გამჟღავნებული. აკაკი წერდა, რაზიკაშვილები (სამივე ძმაზე ამბობდა) ნიჭით უხვად არიან მომადლებულნი, სამარგალიტო ლექსები

აქვთ, კიდევ უკეთესი პროზა, მაგრამ ხშირად გაუმართლებელ დიალექტურ სიტყვებს ხმარობენო.

ცნობილია ისიც, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში საკითხის არსი წმინდა ენობრივი პოზიციით არის შემოფარგლული უპირატესად, განმარტებულია, რომ ვაჟამ არ მიიღო აკაკის საყვედური, ეს სწორია, მაგრამ არა მგონია, ამითი ამოიწურებოდეს ჩვენი დიდი მგოსნების პაექრობა. განსაკუთრებით ეს ითქმის ვაჟას პასუხის გამო.

ამრიგად, რა უპასუხა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთელს?

საკითხის არსში გასარკვევად, იქნებ აჯობოს ასე დავსვათ საკითხი: რაო, რად ვერ დაუმორჩილებია სიტყვაგზიანსა და ენაწყლიან, მარგალიტების მფლობელ ვაჟას სიტყვა? რატომაა, —

როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა, მოსული სათქმელად,
ენითა მომწუღა, გამექცა,
დავლონებულვარ ძალიან,
თითქოს ხახლ-კარი დამექცა.

და ეს მაშინ, როდესაც —

ზეგრი... ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა,
შენთვის, მსცოვანი პოეტო,
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.

რა იყო? რა მოხდა? რად დავცა უცებ თავ-
ზარი, სიტყვის თქმა რომ დააბირა? რა სიტყვა
იყო ასეთი? ან რად გაქცა სათქმელად მოსული
სიტყვა, რად მოწყდა ენითა და ამით რად და-
ღონებულა ისე, თითქოს სახლ-კარი დაქცეო-
დეს? თვითონ პასუხზე ასე რად ამბობს — და-
მიგვიანდა? იმის გამო, რომ ასე გაუჭირდებოდა
თავისი სიმართლე ეთქვა, ეთქვა რასაც გრძნობ-
და? რას გრძნობდა?

რადღა, რა ღმერთი გამიწურა
მარგალიტების მფლობელი ხა,
რომ თავის უშინო ენითა
ვერას ვავიგნებ მშობელსა?—

იქნებ მე, ჩემმა ენამა
სამშობლო დავაღონეთა?
ფრთხები შევკვეციეთ ოცნების,
დავამხეთ, დავამონეთა?

ვითომ ამ სათქმელად მოსული სიტყვა გაქ-
ცა და ვერ დამორჩილა აქამდე, ამისთვის იფ-
იქრა დღეცა და ღამეცა? ეს უკვე ჰქონდა ნათ-
ქვამი და არც ამისა, და არც სხვა რამის თქმი-
სას ვაქვს ჩივილი არ წამოსცდენია. სადმე
არის, რომ ვაქვს სათქმელის თქმა უჭირდეს,
მით უფრო, ამის თაბაზე ჩიოდეს? სამშობლოს
სათქმელი თუ გავაგონეთ, ამის გამო სიტყვის
რა გაქცევას უჩივის ვაჟა, როდესაც სილადით,
სიამაყით ამბობს სილადით გულდაჭერებულთ
— „ხარს ვეგვარ-ნაიალადარს“, რადგან სრული
შეგნებით იცის — „მიწას მიწურად და ცას
ციურად მივეც თავაზიო“. განა ჩიოდა, სიტყვა
ვერ დავიმორჩილეო, როდესაც ამბობდა:

უსულსა საგნებს სული ჩაებერე,
ავახაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწიარი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მაღლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალი ღვთისა.

ამ მტკიცე, ურყევი და უნდა ითქვას, სრული
საფუძვლის მქონე შეგნებით წერს ვაჟა. ამის
გამოა —

მთლად მე-მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში—მთა, ბარად—ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,

ცას ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშავი მთვარია.



განა რამ საექვო ჰქონდა ამის მთქმელს?

სიტყვა გადავადე ერშია...
რომელმაც „მარგალიტი მოიხსა,
ტანი ზურმუხტით იფარა
მთელს ქვეყანაზე სხივსა ზუნენ,
როგორც ცამ გამოიდარა.

ვაქვს, რომელიც სრული დაჭერებით, პირდა-
პირ და მიუკიბ-მოუკიბავად ამბობდა — „მიხა-
რის ჩემმა ვარსკვლავი რომ ბინა ჰქოვა ერთა-
ნაო“, შემდეგ გაუჩნდა იქვეები, ვერას ვაგონებ
მშობელსაო და ამის სათქმელად მოსული სი-
ტყვა გაქცა? ამის გამო ვერ ფლობს სიტყვას
და სათქმელს? როგორ, ვაქვს ახლა (1913 წ.)
ჰქონდა საფიქრალი და სათქმელი თუ ვის რას
ავიგნებდა? არა! რა თქმა უნდა, არა!

ვაქვს სხვა, მართლაც რომ ძნელი სათქმელი
ჰქონდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი,თ,
ვაქვს ცდილობს დაგვისტართოს, თუ როდენ
ძნელი სათქმელია ის სიტყვა, რაც მან ახლა
უნდა გაამეღავნოს. ამიტომ, თორემ, როდის
იყო ვაჟა ამდენ გამექცა, დამექცეს ამბობდა?
აქ კი, სწორედ აქ იყო ეს საჭირო და ამიტო-
მაც ამბობს ასე.

მაინც რისი თქმა გასჭირვებია ვაქვს?

ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი
ენას ხმარობს ღონდა.
და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ აავებს უორგდა,
მაინც ის არის, რაც არის,
ქორები მოაშორეთა.

საოცარია — რატომ ეს „ქორები მოაშორე-
თა“? და ამის მოსდევს:

უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არის სწორედ?

დავაკვირდეთ: ვაქვსთვის სრულიად უჩე-
ვლო — ლექსში სიტყვების ხაზგასმით დაწერა
(რადაც არ მაგონდება, რომ სხვაგან ჰქონოდეს),
სწორედ ამ ლექსში მოხდა, სადაც ასე გაძნელე-
ბია ვაქვს სიტყვების დამორჩილება. ხაზგასმუ-

მეორე მხარე
რბ უპასუხა ვაჟა ფშავებლამ
ბაბაი წამითილს?

ლია „მარვალტის მფლობელსა“, „უწრო“ და „ფშავლობა“.

ვაჟა აგრძელებს:

მიძღვნილი არის მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა,
რატომ არ ჰგუობს, არ ვიცო,
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
აქაც ხომ ქართველები ვართ,
უვალიო აქაც უვავისა,
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად
მთიელთ სამშობლო თავისა...

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი:

კაცი მტყუელი, მგრძნობადი,
ცხოვლად ამხელი თვალისა,
იმდენი ამზის მოწამე,
შევიდრკე, დავმუწადე ლამისა.

ისევ სიტყვის ვერა თქმა, დამუნჯება რატომ?
იმითომ ხომ არა, რომ ვაჟას გასკირვებია სა-
კუთარი ზემოქმედების ავ-კარგის თქმა? არა!
ზევით რომ ვნახეთ, ვაჟას საამისო სათქმელი
ჰქონდა და ამბობდა კიდევაც: ვაჟა ამ თქმის სი-
ძნელის თაობაზე მოფიქრებით გვიმახვილებს
ყურადღებას, რადგან სხვა, უფრო ძნელი სათ-
ქმელი აქვს, უფრო მეტად კი, სურს გვიჩვენოს,
თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის, რისი თქმაც
განიზრახა.

და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ასე რომ მო-
უწომია სათქმელი და ეს ყველაფერი ასეთ ფე-
რებში რომ წარმოგიდგინა, ვაჟა ამბობს თავის
პასუხს:

მანც წინ მივალ მანცაც,
არ შევინია შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა,
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართული გვარისა...

და ბოლოს უმთავრესი:

სხვა რამ მაშინებს, ისა ვთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხშობელი
და გამომკრელი კარისა...
სჯობს რომ იმაზე ვიტყვოთ,
მუდამ მოქმელი ვარ ამისა.
ნუ გეშინიათ, არ გავნებთ
მთიდან უვირილი ხარისა.

რა არის ის მზისა და მთვარის დამხშობი,
სამშობლოს დამამხშობელი, კარის გამომკრელი,
რახეც მრავალწერტილი დასევა ვაჟამ? რა არის

ის, რახეც, გემართებს თურმე ყველაზე მეტად
დაფიქრება და რისი მუდამ მოქმელია ვაჟა?


უვარგისობის მიზეზი
ფ შ ა ვ ლ ო ბ ა არის სწორედ.

მარცხენა
მარცხენა

ერთმანეთთან შეეკავშიროთ ზევით თქმული:
ვაჟამ აკაკის ლექსი საბაბად გამოიყენა, რო-
გორც შეჰფერის გენიალურ შემოქმედს, განა-
ზოგადა, კვლავაც ეფიფინა („მუდამ მოქმელი
ვარ ამისა“) ერთიან საქართველოს და ვითომ
აკაკის პასუხად ქვეყანას ამცნო კიდევ და კი-
დევ კუთხურობის დამღუპველობა, ყველაზე
დიდი მტერი ერისა, დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხშობელი.

ვთუ ეს განზოგადებული სურათი გაუგე-
ბარი ყოფილიყო, პირდაპირი მნიშვნელობით
აკაკიზე ნათქვამად მიეღოთ, ან კიდევ, ვთუ
თუ თეორონ აკაკის მოჩვენებობა ასე, მაშინ
ხომ ვაჟას ჩანაფიქრის სწორედ რომ საპირის-
პირო გამოვიდოდა — კუთხურობის გამო ერთ-
მანეთის წყენინება (მერე ვისი და ვისი წყე-
ნინება). ვაჟა ამასაც უწევს ანგარიშს და სა-
ამისო დატერეთასაც აძლევს სიტყვის თქმის
სიძნელეზე წერისას თავის გამოთქმებს. ამი-
ტომაც არის, რომ ვაჟა, სხვა დროს არსად რომ
არ შეფოთავს სიტყვის გაქცევის შიშით, აქ,
სწორედ აქ სწუხს ამის გამო. სწორი იქნება
თუ ვიტყვით ამ წუხილს „ხმარობა ღონედა“,
ხერხად, რათა სრული მხატვრული, ძალუმი
სურათი დაგვიხატოს. დაილოცოს, გენიოსო,
შენი დიდება!

და მანც, რატომ გადაწყვიტა ვაჟამ აკაკის-
თვის ეკადრებია ასეთი პასუხი? განა აკაკი წე-
რეთელი არ იყო „მუდამ მოქმელი იმისა“, რა-
საც ვაჟა ასე შეუწუხებია, განა აკაკი იხევე,
ვაჟაზეც აღრე, არ დაჰკანკალებდა თავს „ცა
ფირუხ, მხელეთ ზურმუხტ, სამშობლო მხა-
რეს?“ განა ის არ იყო აკაკის სიხარული —
„თავის ჰანგებზე, თავის ხმით წკრიალებს ერთ-
ად ყველაო, ერთი-მეორის თანხმობით?“ და არ
ატირებდა — „ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელო“, კმარა ამდენმა
ცრემლებმა სიმები დაგვისტელოა“ განა ეს ის
აკაკი წერეთელი არ არის, რომლისთვისაც იმ-
დენად იყო ერთიანი საქართველო იდეალად
წარმოსახული, რომ რუსთაველის გმირები ქარ-
თულ ხასიათებად, მათი ასპარეზო საქართვე-
ლოს კუთხებდა, ერთგვარად გამართებულად
წარმოადგინა. ილია ჭავჭავაძის აზრის სიღრ-
მეს უსათუოდ სხვა რამ ჰქონდა ნაგულისხმევი
და ილიასა და აკაკის დავა ამან გამოიწვია, თო-
რემ აკაკის დიდი ეროვნულ-პატრიოტული ჩა-
ნაფიქრი უდიდესი მოწონების მეტს რას დაიმ-
სახულებდა ერის წინამძღოლისაგანს..



როგორც ზევითაც ითქვა, ვაჟამ აკაკის ლექსი საბაბად გამოიყენა თავისი უღრმესი სატყვივარისა და იმავდროულად უდიდესი საოცნებოს გამოსახატავად. სწორედ რომ აკაკი იყო და ამიტომაც შეიძლებოდა ყოველგვარი გაუგებრობისა, მით უფრო, წყენის გარეშე. ვაჟას რომ აქვს თავის პასუხში — მშობელს თუ ვაგინებო, აქ, რა თქმა უნდა მშობელად სამშობლოა უპირველესად ნაგულისხმევა, მაგრამ ვანა აკაკიც არ იგულისხმება მისგან გამოუყოფლად, ვანა ეს ლექსი ასე არ იკითხება — იმ აზრში, იმ ფიქრში, რასაც მე ასე ვესაუთუებო, ჩვენ ერთად ვართო მშობლიურო აკაკი...
 ორი წლის შემდეგ არც აკაკი გვყავდა და არც ვაჟა ცოცხალი. უკეთესი მომავლის იმედით ანდერძი დაგვიტოვეს — „ჩონგური საქართველოა, სიმეები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი“. „ერთი მათგან-

იც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შევლო, რომ არ გაფუჭდეს ჩონგური“ — თვალცრემლიანი გვემუღარებოდა აკაკი.


... და ნუ დაგვიწყებთ გმობასა,
 რომ ბევრი საქმე დაგიგდეთ
 გასაქებლად მოდგმასა.

... ჩვენაც ვგლოვობდით, ვტიროდით.

დრო იყო შეუსაბამო,
 გარემოება ვერანი,
 ამოდ დაგვრჩა მამებისა
 ფიქრი და გულის ძგერანი.
 ეგებ თქვენ დაიჭილავოთ
 ბარათაშვილის მერანის!

ვაჟა! „მუდამ მთქმელი ვარ ამისა“. მუდამ იმავეს მთქმელი აკაკი!





ა. ბრეზვამე, ს. მიქელოვი, ა. ასათიანი

საინჟინერო ნაზრომი საქართველოს გეხნიეზეისა და სამეხნიელო პროდუქციის შესახებ*

საქართველოს მრეწველობის განვითარებისა და სამრეწველო პროდუქციის ჩამოყალიბების ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მრავალი მეცნიერული ისტორიული და ეკონომიკური გამოკვლევა დაიწერა, მაგრამ საქართველოს მრეწველობისა და სამრეწველო პროდუქციის ისტორიის საკითხთა ფართო წრის შესწავლის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გრიგოლ მარგინის სარეცენზიო ნაშრომი. 28 თაბახიან ამ ყოველმხრივ სოლიდურ მონოგრაფიაში მრავალი აქტუალური საკითხის სწორ და ორიგინალურ დაყენება-განხილვასთან ერთად ზოგიერთი ხარვეზიც გვხვდება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ავტორმა შეძლო მარტისტულ მეთოდოლოგიაზე აგებული კომპლექსური გამოკვლევის მოცემა.


ავტორს დიდი მუშაობა გაუწევია მასალების ძიების პროცესში, კრიტიკულად შეუფასებია ის და მარჯვედ შერჩეული მანერებლების ერთიანი სისტემით ანალიზური დამუშავების შედეგად საინტერესო თეორიული დასკვნები გამოტანა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომი მოიცავს ნახევარ საუკუნეზე მეტ პერიოდს. იგი იწყება საქართველოში ბატონყმობის გაუქმების მომენტიდან — 1864 წლიდან და მთავრდება 1917 წლით. ისიც აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიაში დახუცებულია სამთო მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩახახვისა და

საბადოს ექსპლოატაციის დაწყების თარიღები, დაწერილებით ურთიერთდაკავშირებულად შესწავლილი და განხილულია ბურჟუაზიული ეპოქის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება, ნაჩვენებია მრეწველობის პროგრესი და სამრეწველო პროდუქციის ჩამოყალიბება.

ნაშრომში, რომელიც უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით და უმთავრესად დღემდე უცნობი საარქივო მასალის მონაცემების საფუძველზეა დაწერილი, გაშუქებულია ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა, დადგენილია მათი თანაფარდობა მრეწველობაში, განსაზღვრულია კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების დონე და, ამგვარად, გარკვეულია სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში.

ნაშრომი შესავლისა და შვიდი თავისაგან შედგება. ვრცელ შესავალში საფუძვლიანად არის დახასიათებული ავტორის მეთოდოლოგიური პოზიცია, წარმოდგენილია ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. პირველ თავში მოცემულია ეპოქის ზოგადი დახასიათება, ნაჩვენებია კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში, სტრანსპორტო მშენებლობა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაფართოება. მეორე და მესამე თავები — დამუშავებული და სამთო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება (გვ. 137-424) — სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი ნაწილია. აქ დიდძალი საარქივო, სტატისტიკური, დოკუმენტური მასალისა და სხვ. ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოცემულია წერი-

* გ. მარგინი — საქართველოს მრეწველობისა და სამრეწველო პროდუქციატი 1864-1917 წწ., 1976, 570 გვ (რედაქტორი ვ. პეტრიაშვილი).



ლი სასაქონლო წარმოების ეკოლოგია, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა, კრიტიკულად განხილულია ზოგი მცდარი შეხედულება საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მთელი რიგი დარგების წარმოქმნა-განვითარების შესახებ. ნაშრომის ეს ნაწილი განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს იმიტომ, რომ აქ გამოთქმულია მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული მნიშვნელობის ბევრი ირიგინალური მოსაზრებანი. აქ განსაკუთრებით ფართოდ არის განხილული სპილენძისა და ქვანახშირის მრეწველობა. ირკვევა, რომ კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაზე საქართველოშიც თავს იჩენს წარმოების კონცენტრაციის ტენდენცია, ყალიბდება მსხვილი სამრეწველო დაწესებულებები, რომელთა ინდუსტრიულად აღჭურვა ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ მხრივ გამოირჩევა ალავერდისა და ქინჯაფხევის სპილენძის სამთამადნომეტალურგოული საწარმოები, ჭიათურის მარგანეცისა და ტყებულის ქვანახშირის მრეწველობა, რომელთა წინსვლა ნაშრომში მკაფიოდ და რელიეფურად არის ნაჩვენები. სწორად მოიქცა ავტორი, როდესაც ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციის წარუმატებელი ცდები დაუკავშირა რუსეთის ცარხიზმის პოლიტიკას. ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები, — წერს ავტორი, — 40 წლის მანძილზე განუწყვეტლივ ცდილობდნენ ტყვარჩელის საბადოს ათვისებას, რამაც ნაყოფი არ გამოიღო. წამოწყებები ჩაიშალა არა მარტო დონეცკელი მრეწველების მოქმედებისა და მათი მფარველი მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წყალობით, არამედ იმიტომაც, რომ რუსულმა და უცხოურმა ფირმებმა ქვეყნის შიგნით შექმნილ რთულ ვითარებაში არ გარისკეს წარმოების დასაფუძნებლად საკურო დიდძალი კაპიტალის დაბანდება, ხოლო ადგილობრივ საქმოსნებს საამისოდ აუცილებელი საბრუნავი კაპიტალი არ აღმოაჩნდათ" (გვ. 414).

ავტორის უდავო დამსახურებაა რევოლუციამდელი საქართველოს სპილენძის სამთამადნომეტალურგოული მრეწველობის მონოგრაფიულად შესწავლა (გვ. 325-425). მოცემული დარჩენისძალა განვითარება, რაც მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ბაზაზე მიმდინარეობდა, გამოკვლევაში ზედმიწევნით დეტალურად და ახლებურად არის გაშუქებული. ეს თავი საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელია.

სარეცენზო ნაშრომში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის დახასიათებული მარგანეცის მრეწველობა. აღნიშნულია, რომ მარგანეცის მრეწველობა 1897-1900 წლებში თანდათან დაწინაურდა და მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა. საბადოთა ექსპლოატაცია გაფართო-

ვდა, მადნის მოპოვების მასშტაბი გაიზარდა. საფუძველი ჩაეყარა წარმოების ინდუსტრიულ შეიარაღებას, შეივსო სამრეწველო მუშათა რიგები.

ნაშრომში სრული დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი საქართველოს მარგანეცის მრეწველობის კავშირი მსოფლიოს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკასთან, ურობისოდაც შეუძლებელი იქნებოდა რევოლუციამდელი საქართველოს მარგანეცის მრეწველობის მდგომარეობის ანალიზი და გაშუქება.

ნაშრომში ვრცელადაა გაანალიზებული, თუ რა როლი ითამაშა ამიერკავკასიის რკინიგზამ სამრეწველო კაპიტალიზმის დაჩქარებით განვითარების საქმეში, რამაც განაპირობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელისნოების შექმნა.

XIX საუკუნის დასასრულს განსაკუთრებით სწრაფი აღმავლობით ხასიათდებოდა ნავთობის პროდუქციის ექსპორტი. ამასთან დაკავშირებით ქ. ბათუმში მძლავრად განვითარდა ნავთობის პროდუქტების ტარის წარმოება. გამოკვლევაში საფუძვლიანადაა გაშუქებული ბათუმის სამრეწველო დაწინაურება, მისი ორგანული კავშირი მსოფლიო მუერწნობასა და საერთაშორისო ბაზრებთან. ნაჩვენებია ბათუმის თვალსაჩინო როლი მხარის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ავტორი სწორად დაასკვნის, რომ მოკიდებული ვასულ საუკუნის 90-ანი წლებიდან პირველ მსოფლიო ომამდე ქ. ბათუმში მოღაიანდ ცხოვრობდა სამრეწველო კაპიტალიზმის ცხოვრებით, მისთვის დამახასიათებელი ღრმა წინააღმდეგობითა და ანტიკონიზმით.

ამასთანავე ნაშრომში, ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად, ახლებურად და დამაჯერებლადაა ახსნილი ბათუმის სამრეწველო ცხოვრების დაქვეითება 1904-1905 წლებიდან. დასაბუთებულია, რომ ეს დაქვეითება ნავთობის ევროპული და ამერიკული საერთაშორისო მონოპოლების გაფთრებულმა მტოქეობამ გამოიწვია.

ნაშრომში ცალკე პარაგრაფები ეძღვნება ხეტიკის მრეწველობის, სამშენებლო მასალათა წარმოების, საფეიქრო, ტყავის, სპირტის, ლულის, თამბაქოს, მინერალური წყლების, მინის წარმოების, თბილისის ტრამვაისა და დამმუშავებელი მრეწველობის სხვა დარგებს.

სარეცენზო ნაშრომში (თავი IV) რელიეფურად არის დახასიათებული მრეწველობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და შედეგები (გვ. 426-455). აქ გაანალიზებულია მრე-

ბ. ბრეზჰამი, ხ. შიჰელოვი, ა. ასათიანი
საინტერესო ნაშრომი საქართველოს
მრეწველობისა და სამრეწველო
პროდუქტების შესახებ



წველობის განვითარების უმთავრესი შედეგები, დადგენილია, რომ საქართველოს მრეწველობა შედარებით მოკლე დროში თვალსაჩინოდ მომძლავრდა. ჩანს, რომ სამრეწველო პროგრესს ხელს უწყობდა ვაჭრობის სფეროდან მრეწველობაში კაპიტალის ინტენსიური გადაინაცვლება. საქმარისთა აღნიშვნას, რომ მსხვილ მეწარმეთა, ასევე ადგილობრივ სააქციო საზოგადოებათა წევრების დიდ უმრავლესობას ვაჭართა წრიდან გამოსული საქმოსნები შეადგენდნენ. საქართველოს მრეწველობაში სოლიდურ კაპიტალს აბანდებდნენ უცხოური სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო ფირმებიც, აგრეთვე ერთპიროვნულად მოქმედი უცხოელი კაპიტალისტები. შედარებით მცირე მასშტაბით რუსული სამრეწველო კაპიტალიც მოედინებოდა. ამასთანავე რუსული სავაჭრო და საფინანსო კაპიტალი საქართველოში უფრო ენერგიულად მოქმედებდა, ვიდრე სამრეწველო. ეროვნულად და საერთოდ ადგილობრივი ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესზე დაკვირვება მოწმობს; რომ ჩვენში გასული საუკუნის 70-ან წლებში კაპიტალის შინაგანი დაგროვება არასაკმაოა, კერძო კაპიტალისტური თაოსნობა მოისუსტეს.

საკონკრეტო ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. გაძლიერდა მეწარმეობის ერთპიროვნული ფორმიდან კოლექტიურ (აქციონერულ) ფორმაზე გადასვლა. მრეწველობის ყველა წამყვან სფეროს დაეუფლნენ მძლავრი სააქციო საზოგადოებანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი, აგრეთვე რუსული კაპიტალით მოქმედებდა.

„საკვლევ პერიოდში, — აღნიშნავს ავტორი, — საქართველოს მრეწველობა სწორხაზობრივად არ ვითარდება. 1890-იანი წლების სამრეწველო აღმავლობა 1900-იანი წლების დამდეგის კრიზისით და მისი მომდევნო დეპრესიით შეიცვალა, რაც წარმოების თითქმის ყველა ძირითადმა დარგმა განიცადა... ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა საიმპერიო და მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა“ (გვ. 432).

წიგნში დადგენილია, რომ პირველად მსოფლიო იმპერიალიზმს რამა დიდი ზემოქმედება მოახდინა საქართველოს მრეწველობაზე: მოქმედება შეწყვიტა ბერძნულ საწარმომ, ზოგიერთმა სხვა დარგმა წარმოების მასშტაბი შეამცირა, სამაგიეროდ მძლავრი განვითარება განიცადეს სამხედრო უწყების დაკვეთით მომუშავე ფაბრიკა-ქარხნებმა. ამით ავტორმა დამაჯერებლად გააბათილა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე გავრცელებული მცდარი თვალსაზრისი, რომ თითქმისდა ომის წლებში საქართველოს სამრეწველო ცხოვრების მაქსიმუმა შეწყდა.

წიგნში სტრუქტურული თავი აქვს დათმობილი

სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებასა და მდგომარეობას (იხ. VI თავი, გვ. 478-540). ამ თავში განხილულია სამრეწველო პროლეტარიატის რიგების შევსება და შემადგენლობა, საფაბრიკო ინსპექცია და მისი საქმიანობის ხასიათი, თვითმპყრობელობის ბრძოლა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ავტორმა დეტალური წყაროების მონაცემების, სტატისტიკური, პერიოდული ლიტერატურის და სხვ. მასალის დამუშავებისა და შესწავლის საფუძველზე მოგვცა რევოლუციამდელი საქართველოს მრავალეროვანი სამრეწველო პროლეტარიატის სრულყოფილი სოციალური დახასიათება, შეძლო ჩვენში სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრების დადგენა-შეფასება.

აქ მოყვანილია მრავალი ციფრი და ფაქტი, რომლებიც მეტყველებს მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშათა უუფლებობაზე და აუტანელ საყოფაცხოვრებო პირობებზე. განსაკუთრებით მძიმე იყო ტყუილის ქვანახშირისა და ჰიათურის მარგანეცის, ალავერდისა და ჰინკათხევის სპილენძის მრეწველობის მუშათა მდგომარეობა. მეწარმენი არ ზრუნავდნენ მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე. „სამთო საწარმოთა მუშების უმრავლესობა წნელით მოწულ ქობახშირში ან სავსებით მოუწყობელ ყაზარმეში ცხოვრობდა, ზოგან მუშას ღამის გათენება მდაროში (სამთო გამონამუშევარში) უხდებოდა“ (იხ. გვ. 519). იქვე სათანადო სტატისტიკური მონაცემების ანალოზის საფუძველზე მოცემულია საქართველოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა ხელფასის მდგომარეობა. მოყვანილი ფაქტები ნათელყოფენ კაპიტალისტების მიერ მუშათა კლასის აღვირახსნილ ექსპლოატაციას. რევოლუციამდელ საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობის ავტორისეული დახასიათება ცხლავფის იმას, თუ რა უსაშველოდ მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა სამრეწველო პროლეტარიატი. ამ თავს დიდი ინტერესით გაეცნობიან პირველ რიგში საბჭოთა საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასის ფართო ფენები.

მშრომელთა სოციალურ ჩაგვრას, როგორც ეს წიგნშია ნაჩვენები, თან ერთვოდა მეფის მთავრობის მოხელეთა თვითნებობა, ძალმომრეობა (იხ. მაგალითად, პარაგრაფი — „საფაბრიკო ინსპექცია და მისი საქმიანობის ხასიათი“, გვ. 529-540), რაც მუშათა კლასს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლისაგან უბიძგებდა. „შემქმნილ ვითარებაში, — წერს ავტორი, — საქართველოს მუშათა კლასი თანდათან შეიარაღდა საკუთარი მდგომარეობისა და კლასობრივი ბრძოლის შეგნებით, რასაც მოელო სიცხადით ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ყველა ცენტრალ-თუ ბერად მნიშვნელოვანი სამრეწველო



ცენტრების მუშათა ხანგრძლივი და მიმდებარეობის მთელი ისტორია“ (გვ. 540).

წიგნს დართული აქვს ვრცელი რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე (იხ. გვ. 554-570), სადაც მკაფიოდაა ჩამოყალიბებული გამოკვლევის ძირითადი დასკვნები.

მიუხედავად მაღალი ღირებულებისა, ნაშრომში ზოგიერთი სადავო დებულება და უზუსტობა. მაგალითად, დამაჯერებლობას მოკლებულია ავტორის ზოგიერთი მოსაზრება პირველი და მეორე თავის იმ პარაგრაფებში, რომლებიც ეხება ოჯახურ მრეწველობას და ხელოსნობას, წვრილი სასაქონლო წარმოების ევოლუციას, კაპიტალისტურ მართვად კოოპერაციას და მანუფაქტურულ წარმოებას. სასურველად მიგვაჩნია, რომ ავტორს აღენიშნა იმის შესახებაც, რომ მინის წარმოების აღდგენის ცდა საქართველოში დაიწყო XIX ს. პირველ ნახევარში, მაგრამ მისი წარმოება მაღალ საფეხურზე იდგა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში.

ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, რომ ავტორს სრულად გამოყენებული ჰქონოდა უახლესი ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევები. გან-

საკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ეკონომიკური მრეწველობის ზოგიერთი დარგის (კონსერვის-თევზის, ხორცისა და რძის მრეწველობა), აგრეთვე ენერგეტიკული მრეწველობის შესახებ.

შეიმჩნევა ზოგიერთი ფაქტობრივი უზუსტობაც. მაგალითად, 276-ე გვერდზე გეოგრაფიული დასახელება არაზუსტია — სოფ. ძოლიკის ნაცვლად უნდა იყოს სოფ. ძალისი. აქა-იქ შეიმჩნევა აგრეთვე სტილისტური და კორექტურული ხასიათის უზუსტობა.

მაგრამ ზემოაღნიშნული ხარვეზები სრულიადაც არ ამცირებენ სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. იგი ყურადღებას იქცევს დასმული საკითხების აქტუალობით და განხილვის ორიგინალობით. ის მეტად საჭირო და საინტერესოა როგორც სპეციალისტ მკვლევარებისათვის, ისე ყველა მკითხველისათვის.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გ. მარგინის ნაშრომი „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი“ ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია.





პუშკინის ღვწები საქართველოში

პრიგოლ იარაღი

ძმები პუშკინები კახეთში

კოეხის ნაპალავეში

კახეთში მგზავრობის დროს ა. პუშკინის თანამგზავრი, პაპკოვისა და კარაიანის გარდა, შეიძლება ყოფილიყო ა. ჭავჭავაძეც, რომელიც იმ ხანად კახეთის სასაზღვრო რაიონის უფროსად მსახურობდა და სამსახურის საქმეებზე ხშირად ჩადიოდა ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროში. თუმცა ეს არსად ფიქსირებული არ არის.

მგზავრობის საშუალებად უნდა ვივარაუდოთ ცხენები ან სამხედრო ეტლი. მარშრუტი კი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კახეთის ერთადერთი ძველი თბილის-სიღნაღის გზატკეცილი ქოტორ-მადაროს უღელტეხილზე გადასვლით. გ. ლუონიძესაც უთქვამს, რომ მშობლიურ პატარძელის უხუცესთაგან გაუგონია თითქმის მათ სოფელზე „ვიღაც დიდ მგოსანს გაველეს“.

თუ რატომ უნდა გაველოთ სიღნაღზე, ამას თავისი ახსნა აქვს: ჯერ ერთი, მაშინ სხვა საფოსტო გზა არ იყო, სადაც გარკვეული დროისა და მანძილის გავლის შემდეგ შეეძლოთ ცხენების გამოცვლა, მეორეც, გომპოროსის გზის გაყვანამდე და მას შემდეგაც წლის უმეტეს დროს თბილისიდან თელავში მიმავალ დიდიენებსაც სიღნაღზე გავლით უვლია. ამიტომაც, რომ სიღნაღ-ანავის ლამაზ „ქრუგებს“ სიღნაღელში დღემდე თელავის გზას უწოდებენ.

დილით თბილისიდან გასულ ტრანსპორტს ცხენებს უცვლიდნენ ეგრეთ წოდებულ „ბუყანბალებზე“ (ყოფილი საფოსტო შენობის ნაშთი იქ ახლაც არის), იქიდან კი დღის სინათლეზე სიღნაღამდე ერთი გადასარბენიდა რჩებოდა, ისიც არა ახალგზით, არამედ ნუკრიანის ძველი გზით, ყაზარმებზე ჩაუვლით. შემდეგ სიღნაღში ღამის გათევა, მეორე დღეს დილაადრ-

იანად საგანგებო სიღნაღური ხაზი და გზის გაგრძელება.

სიღნაღიდან ყარაღაჯისა და დედოფლის წყაროსაკენ მიმავალი საფოსტო გზა კი იყო თბილის-სიღნაღის გზატკეცილის მეორე განშტოება — წმინდა ნინოს მონასტერზე გავლით ქედელ-ბოდბისხევის „ქრუგები“, რომელსაც ადრე „სამხედრო გზა“ ეწოდებოდა. გზის ეს მონაკვეთი სამხედრო ნაწილებს გაუყვანიათ მას შემდეგ, რაც ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროში რუსეთის ჯარის ნაწილები დაბანაკებულა. ამ გზით მიმავალი მგზავრი თუ ტრანსპორტი ბოდბისხევიდან ფანიანზე გავლით ქვემო მაჩხანის ფოსტასთან ჩერდებოდა. იქ ეს გზა ორად იყოფოდა: ერთი მიდიოდა კალეების ანუ ყარაღაჯისაკენ, მეორე — დედოფლის წყაროსაკენ.

ზუსტად ამ მომენტს ასახავს სიღნაღის მუზეუმში ექსპონირებული გაგარინის ერთ-ერთი სურათი: ქვემო მაჩხანის ფოსტის შენობის წინ გრძელ სკამზე სხედან ნიკეგოროდის დრავუნთა პოლკის ოფიცრები, მათ უკან მოჩანან გლეხები, ხოლო მოშორებით ჯარისკაცები დგანან ცხენებით.

— იყო სხვა მიმართულებებიც, — მითხრა უხუცესმა სიღნაღელმა, ძველმა ბოლშევიკმა ილო მქედლიშვილმა, — რომელთაგან ერთი უღანბოვან ივრის ნაპირებს მიჰყვებოდა — ეგრეთ წოდებული „მწყემსების ბილიკი“, მეორე კი მაღაროდან ზემო ბოდბე—დაცულ ტყეზე გადიოდა და „მიშმიშის“ სასოფლო გზის სახელწოდებით იყო ცნობილი. მაგრამ ეს მიმართულებები მოუწყობელი, დაუსახლებელი და საშიში იყო. მათ არ ჰქონდა საფოსტო პუნქტები.

მაშასადამე, ყარაღაჯში მიმავალი ა. პუშკინი და მისი თანამგზავრები, რომელთაც გზაც

დასახრული, დასაწყისი ახ. „ციხკარი“ № 7.

კარგად იცოდნენ და სიღნაღის ყაზარში თა-
ვანთი გარნიზონი და მეგობრებიც ეგულე-
ბოდათ, დასასვენებლად და ღამის გასათვად
უნდა გაჩერებულიყვნენ. ეს ფაქტი გვაფიქ-
რებინებს, რომ ნ. რაევსკი, ლ. პუშკინი და
ღრავუნთა პოლკის სხვა ოფიცერები, მთ შო-
რის ცნობილი დეკაბრისტები სიღნაღის გარ-
ნიზონში ბევრჯერ უნდა იყვნენ ნამყოფი. ვ.
კიუხელბეკერი თავის მოგონებაში უთუოდ
სიღნაღ-საქობოს თვალწინდენ „ბროწეულის
ტყვებს“ გულისხმობდა. სხვა სად არის
მსგავსი მშენებელი!

ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ
იმის თქმა არ გვაინებებს, ვინაიდან ა. პუშკინ-
ის თბილისში და სხვაგან უფრო ხანგრძლივ
ყოფნაზეც ხელშესახები ბევრი არაფერი არ-
სებობს და ყველაფერი გონივრულ ვარაუდე-
ბსა და ცალკეულ მოგონებებზეა აგებული.

სიღნაღის მუზეუმსა და არქივში წერილ-
ობით საბუთს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ მუზეუ-
მის უბუცესმა მუშაკმა მ. ბეჟაშვილმა გამახ-
სენა 114 წლის პაპა კარაპეტას ნაამბობი.

შვილებისაგან განდგომილ ამ უცნაურ მო-
ხეტს სიღნაღის გარეუბანში, ანავისა და კარ-
ღაბის ხეობების შესაყართან, იქ, სადაც კო-
ტორის მთა დაწვდის და წყლის წისკვილები
რწყებოდა, იგრეთ წოდებულ გოგოსაწმი ვე-
ნახი ჰქონდა და მუდმივად იქ ცხოვრობდა. მის
გაღმა დაბახნის თავზე კი კახაეკს აბანო ჰქო-
ნდათ. ეს აბანო ყაზარშიდან იმიტომ იყო და-
შორებული, რომ სიღნაღის უწყლობის პირო-
ბებში აქ მიაღწიონ წყაროსა და კარღაბის
ჩამოაზრანის იყენებდნენ — საბანაო, სარეც-
ხისათვის, ცხენების დასარწყულებად და
გასაბანებლად.

ბავშვობაში ზაფხულობით მოხეტის შვილ-
თაშვილებთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ
გოგოსაწმი რთველში ან მაყვლის საკრფად
და ყველაფერი საყუთარი თვალით მიხიხავს.
როცა კარაპეტა დაუძლურდა და თვალში სი-
ნათლე დაკარგა, სიღნაღში წამოიყვანეს. დი-
ლადრიანად გამოიყვანდნენ ქიშკართან ჩვენი
სახლის პირდაპირ, ღამით წყალს დაუღამებ-
დნენ და მიუღ დღეს მზეს იფიცებოდა —
თავისთვის ღიღინებდა ან რაღაცას ბუტბუტე-
ბდა. სკოლიდან დაბრუნებულს ბევრჯერ მიმი-
წოდებდა დავრდომილისათვის ცივი წყალი და
ხმელი პურის ნატეხი. ყველასგან მიტოვებული
და მოწყვნილი სახელს მკითხავდა, გვერდით
მომიხებდა და თავგადასავალს მიყვებოდა. ძა-
ლზე გამოცოცხლებოდა ხოლმე, როცა სიტ-
ყვა კახაეკსა და ყაზარმაზე ჩამოვარდებოდა.

— ჩემი სიცოცხლე იქაურობას შევლოე და
დღემდე ყურში მიხუხუნებს ყაზარმის ხმაუ-
რი და ცხენების ფრუტუნე. სალდათები დღი-
სით აბანოსთან ტრიალდებდნენ და ხუნებს უე-
ლიდნენ, ღამით კი ძილი არ მქონდა მთავან:

ყაზარშიდან რუსული ნიშნულია და დუბლი
ზიკა მაყრუებდა, ოფიცერების სადგომში ვან-
წყვეტილი ღრეობა იყო, განსაკუთრებით თუ
უფროსები და სტუმრებდ ემხროვნენ. რაც
არასოდეს არ ელეოდათ, აბანოში დარჩენილი
მორიგეები და მრეცხავები კი ჩემს ვენახსა და
მარხას უთვალთვალდნენ. როცა ხმაურზე
ერთ მხარეს გაიქცეოდნენ, მეორე ბოლოდან შე-
ნომებარებოდნენ და ყველაფერს მპარავდნენ.
ვინ იცის რამდენისთვის ამიწვეუს ბარძაყები
მარლიანი ბურღანეთ, მაგრამ თავისას არ
იშლიდნენ.

და აი, ა. პუშკინი სიღნაღში! წარმოსადგენია
როგორ აღტაცებას და ემოციებს გამოიწვევდა
მგზნებარე პოეტში მისი მდებარეობა და ზღა-
პრული ბუნება. განსაკუთრებით მეორე დღეს,
ღილით, წასვლის წინ, როცა დათოვლილი კავ-
კასიონიდან უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი
ამოგორდებოდა და მზის ამოსვლის მომავ-
ლოებელი სურათი ქვეყანას ამცნობდა ახალი
დღის დაბადებას...

სიღნაღის მეც ნაცნობი „სამხედრო გზით“
წავიდი წითელწყაროსაკენ. ქვემო მაჩხანთან
ყარაღაბისაკენ არ გადაიხვევია, სითათ ა.
პუშკინი და მისი თანამგზავრები წავიდოდნენ.

როგორც სიღნაღში, წითელწყაროშიც სრუ-
ლი გავებოთა და დაინტერესებით შეხვდნენ
ჩემს კეთილმოზილურ მისიას. უმაღლ მოზი-
ლზაიცა ვაუქეთეს რაიონის საზოგადოებრიობას
ჩემს დასახმარებლად. პარტიის რაიკომში გაი-
ხსენეს და მოიწვიეს ისტორიკოსი და მხარეთ-
მცოდნე ვინმე „იოსებ მასწავლებელი“ — პენ-
სიონერი ი. მენთეშაშვილი, რომელიც დიდი
ხანა საინტერესო ძიებას ეწევა და დიდ წარ-
მატებას აღწევს. ვამხიარდა, რომ იგი ჩემი
სკოლის ამხანაგი აღმოჩნდა და გავიხსენეთ სი-
ღნაღში ვატარებული დღეები. მეგობრები შე-
მოგვეერთეს რაიონულ გაზეთ „ახალი შირა-
ქის“ რედაქტორის მთადილე ჯ. მეხრიშვილი,
რომელიც მთელი კვირა მანძილზე გვერდი-
დან არ მოგვეშორება რთულსა და ძნელ გაზეთ,
და გამოვეყვეს საჭირო ტრანსპორტი.

ბედზე შემთხვევით წითელწყაროში აღმო-
ჩნდა პეტრე ლენინოვი. თურმე ეს ყმაწვილი
ოფენსდაც გადამდგარ ყოფილ სამხედრო მოსა-
მსახურეთა („ოსტაენიების“) ერთ-ერთი შთა-
მომავალია, ბიოლოგის მეცნიერებათა კან-
დიდატი, ცხოვრობს მოსკოვში და მუშაობს
საინფორმაციო ორგანოებში, მაგრამ კავშირს
არ წყვეტს მშობლიურ მხარესთან, სადაც მო-
ხუცი დედა ჰყავს. ხშირად ჩაღის წითელ-
წყაროში, გულმოდგინედ სწავლობს წინაპა-

პრიგოლ იარალოვი
ქმეზი პუშკინიბი კახეთში

როს თავგადასავალს და რუსულ პრესაში ამუ-
ჯებს ამ რაიონის წარსულსა და დღევანდელ
ცხოვრებას. მანაც სურვილი გამოთქვა მონა-
წილეობა მიეღო ჩვენს „საინტერესო ექსპე-
დიციაში“.

ნათქვამია, ათჯერ გაგონილს ერთხელ ნახ-
ვა სჯობიაო, და ჩვენც დავიწყეთ იმის შეს-
წავლათ, თუ წითელწყაროსა და მის მიდამო-
ებში ა. პუშკინის პერიოდის რა კვალია დარ-
ჩენილი.

ყარაღჯი და მისი მიდამოები ბევრ სიკეთეს-
თან ერთად „განთქმულ“ იყო კოლოებითა და
ციხე-სახლებით. აქედან წარმოსდგება პატარა
სოფლის კოლოთის სახელწოდება. 90 წე-
ლიწადს მიღწეულმა ქვემომაჩხანელმა კოლ-
მურჩემ გ. იაკობაშვილმა ამის თაობაზე აი რა
გვიამბო:

— ერთხელ ბავშვობაში მამაჩემმა ჩარდა-
ხიანი ურმით ალავერდობაზე წაგვიყვანა. იქ
შეგვხვდა შვედები გამოწყობილი მოხუცი ქა-
ლი, რომელსაც ჩვენი ნახვა ძალიან გაუხარდა.
მისი ლაპარაკიდან გავიგე, რომ თავადაც კო-
ლოთიელი ყოფილა. ლეკების დაცემის დროს
აქედან გაქცეულან და იქ საღდაც დასახლებუ-
ლან. კოლოთიელები ჩვენ აქ ბევრნი ვართო.
თურმე ჩვენი კოლოებიანი ბარაქიანი სოფელი
ძალიან ენატრებათ, მაგრამ შიშით უკან ვერ
ბრუნდებიან. ამიტომ იქაური პატარა დასა-
ხლებისათვისაც სამახსოვროდ კოლოთი დაუ-
რქმევიათ.

შემდგომში, თელავში ყოფნისას, ეს ამბავი
მოვუყვები გოგებაშვილის სახელობის პედაგო-
გიური ინსტიტუტის დოცენტს ალ. გვენცა-
ძეს და მიჭმელ-მელექეს ს. ჩინაგვილს, რო-
მელთაც დაადასტურეს, რომ ახმეტის რაიონ-
ში მართლა არის ოღელსაც ქიზიყიდან გამო-
ქცეულითა პატარა სოფელი კოლოთი.

აი ამ კოლოებისა და სიტყვისაგან შეწუხე-
ბული ჭარბი ცალკეული ნაწილები თანდათანო-
ბით მიღობებისაკენ წამოსულან, გამოუვლიათ
„ანას ხეობა“ (არის თქმულება თითქოს ვი-
ლაც ანა აქ კლდეზე გადავარდნილიყო) და
დედოფლის წყაროს ვაკისზე დაბანაკებულან.
ამ ახალ დასახლებას, რომელსაც ქართველე-
ბი „ნაციონს“ უწოდებდნენ, რუსებს „მაზო-
ვკა“ დაურქმევიათ. ეს სიტყვა მსხვილი შვიი
რუსული ასოებით აწერია შემადლებული და-
სახლების ძირას მოჩუხჩუხედ დედოფლის წყა-
როს კედელს. პირველი შესვენება იქ გვქო-
ნდა და დავრწმუნდით, რომ ის მართლა „საა-
მიო სასმელია“.

დღეს ეს ადგილი წითელწყაროს გარეუბა-
ნია. ძველი ნაყვარაშალის ადგილზე არის ავ-
ტობუსი, რომლის კანტორა მოთავსებულია
შემხვევით შემორჩენილ ერთ-ერთი ნაწილის
შტაბის პატარა შენობაში. ამ ერთსართულიანი
ტიპური ძველებური სამხედრო სახლის გვერ-

დით მოჩუხჩუხებს სხვა წყარო, რომელიც სამ-
ხედროებს თავიანთთვის გაუყვანიაო და აქამდე
შემორჩენია თავდაპირველი სახელწოდება
„იურიცინ როდნიკ“. მას ცხენების დასარწყუ-
ლებელი გრძელი ნაგვი ახლავს.

ამ ცოტა ხნის წინათ, გარაჟის პირდაპირ,
ლენინის სახელობის კოლმურხეობის ტერი-
ტორიაზე აღმოუჩენიათ ვინმე გ. ნეჩოლო-
დოვის სანახევროდ დანგრეული სახლი. ძველ
რუსულ სასაფლაოზე კი, სამხედრო მოსამსა-
ხურეთა ზონაში, დეკაბრისტების სამარხებს
შორის ენახეთ პოლკოვნიკ ნეჩოლოდოვისა
და მისი აღზარდილი ჩერქეზი ქალის კატის
საგანგებოდ დაცული საფლავები.

ნეჩოლოდოვი ყოფილა სუვოროვის ჯარ-
სკაცი. უჩვეულო სიმამაცისა და თავგანწი-
რებისთვის მას ოფიცრის წოდება და ბევრი
სხვა წარჩინება მოუპოვებია, მაგრამ რაღაც
„პოლიტიკური ცოდვებისათვის“ წოდება აუ-
ყრიათ და რიგითი ჯარისკაცად საქართველოში
გამოუგზავნიათ. ნიჭიერ და გამოცდილ მეომარს
აქ მალე მიუქცევია ყურადღება და თავის
უფლებებში აღუდგენიათ. 1822 წელს მას
გადაუწყვეტია დედოფლის წყაროში დასა-
ხლება და საკუთარი სახლი აუგია, ხოლო მის
ირველი ევროპულ ყიდაზე დაგემილი ბა-
ლი გაუშენებია.

მალე ნეჩოლოდოვის სახლი ყარაღჯისა და
დედოფლის წყაროში მყოფ დეკაბრისტების
თავშეყრის ადგილად გადაქცეულა. ამ სახლში
ორ წელიწადს ცხოვრობდა ალ. პუშკინი, ხში-
რად უნახავთ აქ ნ. რაევსკი, ა. ქავკაძე, პ.
ბესტუჟევი, დ. ისკრიცკი, ა. რინკეიჩი, მ.
პუშჩინი და სხვ. უფრო მოგვიანებით ნეჩო-
ლოდოვების სტუმრები ყოფილან მ. ლერმო-
ნტოვი, ა. სტოლინი, ა. ოლოფსკი, ნ. სლე-
პოვი, პ. ვოლკოვი. ყველა მათ, გულთბად
საუბრისა და მხიარულების გარდა, გარკვეუ-
ლი წვლილი შეუტანიათ პატარა კატისა ფ-
ზრდაში. მაგალითად, ალ. პუშკინს მისთვის
ისტორია უსწავლებია, ბესტუჟევს — ბუნების
მეტყველება, რინკეიჩს — უცხო ენები, ორცი-
ცკის — მუსიკა.

1858 წელს დედოფლის წყაროში მყოფ
ალექსანდრე დიუმას ამ სახლში „ვიზიტი გაუ-
კეთებია ეკატერინე გრიგოლის ასულისათვის
და უსაუბრია მასთან“.

ა. პუშკინის ყარაღჯში ყოფნის დროს გ.
ნეჩოლოდოვი, როგორც დრავუნთა პოლკის
სარეზერვო ესკადრონის მეთაური, წოდებითა
და წლოვანებით უფროსი, გარნიზონის უფ-
როსად ყოფილა. ამიტომ შეუძლებელია პო-
ეტს არ ენახა ასეთი დამსახურებული და ცნო-
ბილი პიროვნება, ნაწილობით მისელოსას არ გამო-
სცხადებოდა მას და ღამე არ გაეთია ამის
ოთახში. უთუოდ ნეჩოლოდოვისაც ეცოდინე-
ბოდა ლეონისგან პოეტის მოსალოდნელი

ჩამოსვლის ამბავი და სტუმართმოყვარე მისი სახლი პირშავად არ დარჩებოდა დიდი პოეტის წინაშე.

ჩემი თანამგზავრების ი. მენთეშაშვილისა და პ. ლენსოვის დაუღალავი მეცადინეობით გ. ნეჩვოლოდოვის სახლი და მისი კარმიდამო აყვანილია სახელმწიფო აღრიცხვაზე, წარმოებს მისი აღდგენა და მალე აქ გაიხსნება მემორიალური მუზეუმი, სადაც თავს მოუყარონ ძმები პუშკინებისა და დეკაბრისტების ყოფნასთან დაკავშირებულ მასალებს. ეს ფაქტი მით უფრო მისასალმებელია, რომ მდიდარი წარსულისა და მრავალ ღირსშესანიშნობათა მქონე წითელწყაროსა და მის რაიონს მუზეუმი არ აქვს და უპირავე ძვირფასი რელიკვიები და მქსპონატები კერძო ბინებშია გაფანტული.

იმავე სიციხისა და კოლოებისაგან დასაცავად დრავუნთა პოლკს ხორანბუკის პლატოზე საზღვხულო ბანაკიც ჰქონია. ეს ადგილიც დაუხატავს გვარინს და ძვირფასი საბუთი დაუტოვებია ჩვენთვის. ბანაკის მახლობლად კო, დღეს და ჩრდილოვან დასასვენებელ ქალაში გასართობები ყოფილა. ამ ქალას „ლუტნიკს“ უწოდებდნენ, სადაც ზაფხულობით ოფიცრები თავს იყრიდნენ ოჯახებით და დღესასწაულებს აღნიშნავდნენ. „ლუტნიკი“ ამავე სახელწოდებით დღესაც წითელწყაროს მცხოვრებთა ერთ-ერთი საუკეთესო დასვენებისა და გაართობის კერაა.

„ლუტნიკის“ გადღმა, შირაქისაკენ, ტრიალ მინდორზე იყო ცხენთსაშენი. ის კარგად ახსოვრ წითელწყაროს უხუცეს მცხოვრებთ და ბუნადა იგონებენ როგორ ესწრებოდნენ დრავუნთა ცხენების წვრთნასა და აღლუმებს. აქ გამახსენდა სიღნაღში ვეტერანი კომკავშირელის ა. ყაჯრიშვილის ნათქვამი:

— არ გახსოვს, 20-იანი წლების მიწურულში, მთლიანი კოლექტივიზაციის დროს ყარაღასა და წითელწყაროს მიდამოებში ყამირი მიწების გატეხისას როგორ ამოჰქონდათ სახნისებს მიწის გულიდან ქანგაინი ნალები, უზანგები, რუსული უნაგირის დამშალი თასმები?!

როგორ არ მახსოვდა! ახლა გამეცინა კიდეც, რაც თანამგზავრებმა მათი სიტყვებისადმი უნდობლობად ჩამომართვეს. მაგრამ როცა უჩერხულობის ჩამოსასყიდად ბოდიში მოვიხადე და მიზეზი ვუთხარი, გაუხარდათ:

— აი, ხომ ხედავთ, ეს ჩვენთვისაც კარგია. ამიერიდან უფრო გულდაჭერებით ვილაპარაკებთ.

წამოიჭრა საკითხი ამ რაიონში რუსი მოსახლეობის შესახებ. ყველა დამეთანხმა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზია ძველთაგანვე აქ სამხედრო ნაწილების ყოფნა. ბევრი სამხედრობეგარამოხდილი ოფიცერი თუ ჯარისკაცი, მათ

შორის დეკაბრისტებიც შეგუებული იყვნენ ადგილობრივ პირობებთან, ხალხთან და სამუდამოდ სახლდებოდნენ. ნაყოფიერ მიწებზე, ოჯახს ეკიდებოდნენ და შთამომავლობას ტარებდნენ. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. მეორე დღეს ახალი ყაზარმების ტერიტორიაზე თავისუფლად მოსიერნე სამოქალაქო ტანსაცემში გამოწყობილმა ვ. ვაციუქმა გვითხრა:

— დიახ, ჩვენ აქ ბევრნი ვართ „ოტსტაენიკების“ შთამომავალნი. აი, მეც დავამთავრე სამხედრო სამსახური და სადღა უნდა წავიდე ცოლშვილის პატრონი? ზუსტად არ ვიცი ვინ იყო ჩემი წინაპარი, მაგრამ ეკვი არ მებატრება, რომ ერთ-ერთი გადმოსახლებულთაგანი იქნებოდა. ალბათ შეინიშნეთ, რომ წითელწყაროში შემორჩენილია ძველებური პატარა კოტეჯები. ისინი თუთრად არის შეღებილი და მკვეთრად გამოირჩევიან თანამედროვე ნაგებობებისაგან. მე საბუნაო-საექსპლოატაციო ნაწილში ვმსახურობდი და ვიცი, რომ თვითვეულ მათგანს სულ ცოტა 150-200 წლის ისტორია აქვს. ვინ იცის რამდენ სახელოვან ადამიანს უცხოვრია მათში. ერთ ასეთ სახლში დღეს ჩემი ოჯახია. ეს სახლები დიდი ხანია ასაღებია, მაგრამ თავს იკავებენ — იქნებ ნეჩვოლოდოვის სახლის ბედი რომელიმე მათგანსაც ეწიოს. ახალგაზრდობაში ღრმად მოხუცებული სიღღრისაგან ბევრი კარგი გამიგონია იმ ოჯახზე. თითქოს იქ ძმები პუშკინები, ლერმონტოვი, დეკაბრისტები და სხვა სახელოვანი რუსი მოღვაწე ყოფილა. კარგი იქნება ყველაფერი დადგინდეს.

ასეთ შეხვედრებს რა დალევდა, მაგრამ წინ დიდი და ძნელი გზა გვქონდა — ფრიალო კლდეები, ღრმა ხეობები, გაუვალი ტყეები.

ხორანბუკის შემდეგ თამარის გორაზე ავედით. წარმტაცი სანახაობა მთელი სისასხით გადაიშალა თვალწინ, მაგრამ ქაჩალ გორაზე თამარისეული მოჩუხჩუხე წყარო და მის ირგვლივ მოლივლივე საგუბარი აღარ იყო. ტყის ბილიკის ნაცვლად კი მოსაფალტრებული გზა და მთის კორწოზე წამოსკუბებული აგურის პატარა სადარაჯო სახლე დაგვხვდა, რომელშიც ილიჩის ნათურა და ტელეფონი ეკიდებოდა ხნის წინ აქ რომელიმე კინოსურათი გადაუღიათ და ბუნების პირველყოფილება წარუხლიათ.

დაბლა ქალაში კი — დრავუნთა ყოფილ საზაფხულო ბანაკის ადგილას წითელწყაროს მშრომლები ბარაქაინი მოსავლის დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ და არემარეს ნაირფერად კრავდნენ.

დამწიფებული მუქბაცი შვინდის ტყის მშუშხავი ტოტებისა და შავთვალა მავკლის ეკლია-

ბრინოლ იარალოში

ძმები პუშკინები კახიძე



ნი ბარდებისაგან დაქარულები როგორც იქნა გავედით ყარაღაჯის გადასახედზე. რა სიამოვნებით გავუსინჯეთ გემო დიდი ხნის უხილავ მსხმოიარე უცხო ნაყოფს. მესხიერებაში ჩაფერვლილმა ბავშვობის სურათმა თავბრუ დამხვია და ძლიერ გავარჩიე კენწეროებზე წამომხვდარი დილით წითელწყაროს ბაზარში ნანახი ცოლქმარი. ისიც ხის ძირში დადგმულმა ნაყოფით სავსე ვედრამ და კალათამ ამახედა მალა.

მხიარულად დავეშვით ფერდობზე. ტყის ბოლოს შემოგხვდა კიდევ ერთი ნაცნობი — ჩემი სკოლის ამხანაგი, ამჟამად ჯუგაიანის ვეტქიმი ბ. ელიაშვილი თავისი სტუდენტი ვაჟი-შვილით. ისინიც ბუნების სილამაზეს შემოვტყუებინა გზიდან ასე შორს და გახარებულნი ჩვენ გამოგვყვნენ.

ცოტა ჩავივავეთ და კირქვის კარიერთან გავიცანით ყარაღაჯის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე მ. პაპუაშვილი. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ სოფლის მიდამოებში ბევრი შეუსწაველი ადგილია. „უფადარი“ ქალაში მან გაჩვენა ბატარა მინდერიანი, სადაც ოღესღაც ოფიცერთა დეული იმართებოდა. შემდეგ დაგვათვალისწინა ძეძვითა და შამბნარით დაფარული უცნობი გვირაბის შესასვლელი. დუღობით ამოღესილი ეს მიწისქვეშა სავალი ხორნაბუჯისაკენ არის მიმართული. იგი არც ერთ ისტორიულ წყაროში მოხსენიებული არ არის.

აღმოჩნდნენ მოხალისენი — ჩვენი ყველგანმავლის მძღოლი ტ. სულაშვილი და პ. ლეს-ნოვი ჩავიდნენ მასში, მაგრამ მცირე მანძილის გავლის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, რადგან იგი ჩახერგალი და მიწით ამოვსებული აღმოჩნდა. ცუდი ხილვადობისა და მცენარეებით დაფარულობის მიუხედავად მაინც მოვახერხეთ შესასვლელთან მათთვის სურათის გადაღება.

იმდია ჩვენი მამაცი არქეოლოგები ყურადღებზე ჩვენს ნათქვამს და თავიანთ სიტყვას იტყვიან ამ გვირაბის შესახებ.

აი ყარაღაჯი!.. კომკავშირული სიჭაბუკის წლებში, პარტიტველი ბიჭი რამდენჯერ ვყოფილვარ აქ როგორც პირველი ბოლშევიკური თესვის კამპანიებისა და კულტურაშრომების მონაწილე, ახალგაზრდობის კრების ჩასატარებლად ან პიონერთა ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. მაშინ ჩვენ აქ ვხედავდით მხოლოდ შორეულ ჩაპორჩენილ სოფელს, ასათვისებელ თვალუწვდენ ტრამალებსა და უზუნდარის (გრძელი დეღე) — ვედიქის მსგავს უკაცრიელ ხეობებს, რომლებიც ავანაკების თავშესაფარი იყო და უდროოდ მარტო გავლა გვეშინოდა.

ისტორიაზე ფიქრისათვის ვის ეცალა, გვი-

გონა თითქოს ჩვენ თვითონ ვქმნიდით ახალ ისტორიას. არასოდეს აზრად მერმეცდებოდა რომ მოულოდნელად ამოტივტივდებოდა და ამდენი ხნის შემდეგ ხელახლა მომიყვანდა აგრერიგად სახეშეცვლილ ნაცნობ ადგილებში.

დღეს ყარაღაჯი, ავერ ჰე, ცივის კორწოზე წამოსკუბებულ და ცხრათვალა მზის სხივებზე მოლაპლაპე სიღნაღის რაიონის ჩვეულებრივი ბატარა საკოლმეურნეო სოფელია, რომლის მსგავსი ათასობითაა ჩვენს ქვეყანაში. აქ 400-მდე კოლმეურთა და მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს და შრომობს. ხალისიანი შრომით გართულ ყარაღაჯელებს შეიძლება სხვა არაფერი მოაგონებდეს მათი სოფლის წარსულ დიდებას, თუ არა ეს უტყვი ციხის ნანგრევები.

ისტორია ძუნწია. მან ბევრი არაფერი შემოგვიჩინა წარსულიდან და ახლა ნაშეცვლად ვაგრძელებთ რაც კი გადახდა ამ მიწა-წყალს.

ვღვაჯარ ბეჟან-ხანის ციხის ნანგრევებზე. ფიქრში წასული გავცქირე თავდადებულ მამულიშვილოთა, უღანაშულო ბავშვთა და მოხუცთა უმანკო სისხლით მოწყულ შორეთს, ჰეიურის ტყეს, რომელიც გაღმა მხრიდან შავ ზოლად დაწყდება მრავლის მომსწრე და მოწმე მღოვრე ალაზანს. თვალწინ ცოცხლებიან ბრძოლის სურათები, ყურში ჩამესმის ყალყზე შემდეგარი ცხენების ქიხინი, ხმლებს წყარუნი, შუბების ბაგუნი, დაქრილთა კენესა, დარბეულთა წვილ-კვილი. ბრძოლაში ნაწრთობი ფოლადი ნაბერწყლებს აფრქვევს, სოფელი. იწვის და არემარეს შავი სუღარა ეფინება...

სინამდვილეში დღეს ყარაღაჯის ხოდაბუნებში ბარაქიანი რთველია. სოფელს ბედნიერების ჟრიაშული ავსებს. ჩვენი აქ ყოფნის მიზანიც სასიხარულოა და ყარაღაჯელებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან.

ძველი დიდების ნაშთების დათვალისწინებით შემდეგ იქვე ვენახში შეგვიბატოყეს. ჭარვის მტევნებით დამძიმებული ვაზები ძლივს იკავებენ თავს წაქცივისაგან. შავრად დაქიმული მავთულებიც გაღუნულან, და მოუთმუნლად ელიან ტვირთისაგან განთავისუფლებას. ვენახის თავში კაკლის ქვეშ ქალები ნიგოზს არჩევენ ჩურჩხელებისათვის, გოდრები და კალათებიც მზად არის. მოშორებით ღობეზე გამობმული ციკანი კიკინებს. საბრალომ რა იცის, რომ ხვალ დილადრიანად კრფვას დაიწყებენ და მას ბარაქიან მოსავალს ზვარაკად შესწირავენ.

ჩვენ კი გარჩეული კაკლის თეთრ ლებნებს გვთავაზობენ და გვთხოვენ საკუთარი ხელით მოწყვიტოთ სასურველი მტევანი.

— კარგია, რომ გაგხსენებიათ ჩვენი სოფელი, — მხიარულად შეგვეხმანა ვენახიდან გამოსული მეთაე ამწულეულში გადამდგარი

ბ. მოსულიშვილი და ჯოხი დაყრდნობით იქვე ჩრდილო კუნძუზე ჩამოყდა. — ეჰ, რა არ გადახდენია მას! აბა, მე იმდენი რა მინახავს, რაც მშობლებისა და უფროსებისაგან ვამიგონია. არა ჰქონიათ მათ აქ მშვიდი ცხოვრება. ერთ ამბავს ვეტყვი. ჩვენში ერთი მინდვრის ნეველე იყო, თუშურაანთ ალექსი, გვარად მუჰულიშვილი. ჩემი კბილა იქნებოდა. ბიჭები შეუჩინებლად ხოლმე, მოგვიყვირებ ტყეში როგორ გაჩნდით. ეს ამბავი დედამისს უთქვამს: ლეკების შემოსევის დროს ქალი ორსულად ყოფილა ალექსაზე. რა ჩარა ჰქონდა, ქმარს ამ დღეში მყოფი ქალი კოლოთის ტყეში გაუხინდა და საბრალო შინისაგან იქ მომშობიარებულა უპატრონოდ. ვინ იცის რა იქნებოდა ჩვენი ბედი დრავუნები რომ არ მოსულიყვნენ. წარმოიდგინეთ, აი ის წყარო რომ ნახეთ, ისიც მათი გამოყვანილი ყოფილა.

— სხვა თუ რამე ვაგიგათ მაგ დრავუნებზე? — შეეკითხა ი. მენთეშაშვილი.

— რა ვიცი, შეილო, თვითონ ბევრს არაფერს მოგწერებოვარ და ლაპარაკით კი რას არ ამბობდნენ. ხალხს რომ არ ეროდნენ, ეს ცხადია, ისე კი, ე იმ მთის ძირში ტყე სროლისაგან დაყრუებული ყოფილა, ზოგჯერ წაჩხუბებულან და ერთმანეთისთვისაც უსვრიათ. ბევრი დიდი ხალხი ჩამოსულა აქ. საერთოდ ისინი მეტბრძოლი და მხიარული ხალხი უნდა ყოფილიყვნენ.

— კოლოებს აღარ უჩივით?

— დილოცა ამ ალაზნის არხის გამყვანია. მას შემდეგ კოლოც შემცირდა და ცივბაც. აი ხომ ახლაც ირევიან და ბზუიან, მაგრამ ისეთი მავნებლები აღარ არიან. არხმა საშინელი სენიც მოგავშორა და სოფელიც ააყვავა, ჩვენს ნოყიერ მიწებს მეტი ბარაქა მისცა.

— მაგ არხის გაყვანაზე ბავშვობაში მეც მიმუშავნია. — თავი ვერ შევიკავე და ჩავილაპარაკე.

— შენც გაიხარე! გეტყობა აქური ხარ და ამიტომ ვაგხსენებია ძველი ამბები. ეგერ უნდა მამა, მშობლიური კუთხე არ უნდა დავიწყოთ.

მოხუცის ენაწელიანობით გართულებმა ვერც კი შევნიშნეთ როგორ მოეყარათ თავი ჩვენს არგვლივ სოფლის თავაკებს და სულგანაბრული უსმენდნენ მასპინძლის ნაამბობს. შემდეგ სხვებმა ჩამოართვეს მას სიტყვა და საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა...

დუალი

ა. პუშკინის ჩასვლა ყარაღაჯში დიდი მოვლენა იყო. ეს ამბავი მალე გავრცელდა გარნიზონში და ყველა ფეხზე დადგა. ოფიცერთა საკრებულომ მეორე დღესვე საყვარელ პოეტს საზეიმო შეხვედრა მოუწყო. მისი მთავარი ინდივიტორი მდიდარი, მხიარული და ხელვა-

შლილი პაპკოვი იყო. მან დედოფლის წყაროდანაც მიიწვია პოეტის თავყვანსკელები. ხალხმრავალ საკრებულოს მშვენიერად შეადგინდნენ ოფიცრების ცოლები და მოსამსახურე ქალები. შეხვედრა უაღრესად გულთბილი და მხიარული აღმოჩნდა.

ა. პუშკინმა გულიანად მოიხსინა მეგობართა წრეში. ბევრი იოხუნჯა, არაერთი ლექსი წაიკითხა. მოჭადლოებული მსმენელები მჭუხარე ტანით აჯილდოებდნენ და სულ ახალ-ახალ ლექსებს ათქმევინებდნენ. პირველად აქ გაისმა პოეტის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად ჩაფიქრებული „კავკაზის“, „მონასტერი მთაზე“, „საქართველოს მთებზე“, „ზვიგისა“, და „ნუ მიმღერ ლამაზოს“ ფრაგმენტები. მოიგონეს მეგობრები და მათთან ვატარებულ დღეები. პუშკინმა ბევრი იცეკვა და იმღერა.

მხიარულება დიდხანს გაგრძელდა. ბევრი მიჩქვფარე კახური შეისვა. ჰარბლ მიღებულმა ბახუსმა ბოლოს ენატკილობა გაამწარა და საქმე იქამდე მივიდა, რომ გულითადი მეგობრები პაპკოვი და კარაიანი, რომელიც ყველაზე მეტად სურდათ ესიაზონებინათ სტუმრისათვის, შელაპარაკდნენ. შეურაცხყოფილი კარაიანი პოეტის ხათრით შარს გაერიდა და წავიდა.


მომდევნო დღეებში დროსტარება გრძელდებოდა. დედოფლის წყაროდან სულ ახალ-ახალი მეგობრები ჩამოდიდოდნენ. ერთი მათგანი იყო ზემონსენებული დონის ცხენისანი არტილერიის მესამე ბატარიის ესაული პ. ხანჯონკოვი.

იგი იფონებს, რომ პუშკინი საზოგადოების სული და გული იყო, მის ყოველ სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ. ჩამოადგებდა ლაპარაკს რაიმე თემაზე და გაჩაღდებოდა ახალ-გაზრდობის გაცხოველებული საუბარი. თვითონ პოეტი ისე გატაცებოდა და მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ დანარჩენები უშაღ გაიუმდებოდნენ და მას უსმენდნენ. ხან ექსპრომტს იტყოდა ლექსად, ან იქვე ჩაიმიუხლებდა და რაღაცას იწერდა. ამბობდა „თბილისშიც და აქაც ჩვენი ონგინის“ მეთაუ თვისა და „ბოჭის გოდუნოის“ წერას განვაგრძობო“. ყველანი გულწრფელად ესალმებოდნენ, აღტაცებულ პოეტს რაღაც განსაკუთრებული გრძობებით მსმენელებიც აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

პუშკინს მშვენიერი და საამო ხმა ჰქონდა, თვალთავან ნაპერწყლას აფრქვევდა. როცა თავს მიაბრუნებდა ხუჭუჭი თმები ერტეოდა. მას ოფიცრებზე დიდი გავლენა ჰქონდა — ყველას ანდამატევით თავისკენ იზიდავდა. პაპკოვის ბინაზე ქეიფი ორ დღელამეს გრძელდებოდა.

გრიგოლ იარალოვი

ქმიანი პუშკინიანი კახეთში



ზოღა, რაც მოულოდნელმა უსიამოვნო შემთხვევამ შეწყვიტა. უჩვეულოდ ლამაზი და ყველასგან განებობრებული პაპკოვი ახირებას არ იშლიდა და დაუზოგავად ქირდავდა კარაიანს. ბოლოს მან აგდებულად მოიხსენია ერთი ბოლკეინეის მეუღლე და სიტყვა კარაიანს გადაკრა. ეს უკანასკნელი აენთო, ნერვებმა უშტყუნეს და შეურაცხყოფელი ღუელში გამოიწვია.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვერავინ შეძლო, თვით პუშკინაც კი, მათი დამშვიდება. ორივე გაიცეცხლებული იყო და სთხოვდნენ პოეტს მათი სეკუნდანტი ყოფილიყო. პუშკინი ემუდარებოდა დაევიწყათ უსიამოვნება და შერიგებულყვენენ, სხვებიც ამას ურჩევდნენ, მაგრამ ამაოდ.

როცა პუშკინი დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვამ არ გასჭრა, გულნატკენმა და დაფიქრებულმა ოთახში ბოლოს ცემა დაიწყო. შემდეგ შეჩერდა, მიუბრუნდა მათ და უთხრა:

— კარგი, ბატონებო, თანახმა ვარ წილისყრით ერთ-ერთის სეკუნდანტობა ვიკისრო. რაც შეეხება მეორე სეკუნდანტს, ნება მომეცით მე ამოვიგრიხო.

პუშკინის საქციელმა ყველანი განაცვიფრა. მოწინააღმდეგენი დათანხმდნენ. დანიშნეს დრო და ადგილი: მეორე დღეს დილის ექვს საათზე, ყარაღაჯის მახლობლად პატარა ვალში ბრძოლა დამბაჩებით უნდა მომხდარიყო. წილისყრამ პუშკინი პაპკოვს არგუნა, კარაიანს სეკუნდანტად კი მან პოეტი მალათოვი ამოიჩნია.

კარაიანი მაშინვე წავიდა. პუშკინმა პაპკოვიც დროებით რომელიღაც ოფიცერთან გაისტუმრა, მოსამსახურეები დაითხოვა, კარი დააბარა და დამსწრეთ თავისი გეგმა გააცნო, თან სთხოვა დახმარებოდნენ. ყველანი სიამოვნებით დაეთანხმნენ და აღუთქვეს, რომ ნათქვამს საიდუმლოდ შეინახავდნენ.

პუშკინი ოლეგებელი იყო, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნევიერებინა. ის ღამე ყველამ უძილოდ გაატარა. პუშკინი და მალათოვი ორჯერ სადღაც წავიდნენ. როგორც კი ირიერაჟა, ყველანი, გარდა მალათოვისა, რომელიც უფრო ადრე წავიდა, ფრთხილად გამოვიდნენ პაპკოვის ოთახიდან და ჰალისაყენ გაეშურნენ. ნახევარი საათის შემდეგ იქვე მივიდნენ კარაიანი და მალათოვი, ხოლო მალე პაპკოვი და პუშკინიც.

პუშკინი ყველას მიესალმა, შემდეგ მალათოვს გამოელაპარაკა და როცა მოწინააღმდეგენი დამბაჩებით დანიშნულ ადგილზე დიდგნენ, მიმართა მათ:

— ბატონებო, გთხოვთ ჩემს განკარგულებას უსმინოთ და მხოლოდ მესამე ბრძანების შემდეგ ისროლოთ. აბა, ვიწყებ: ერთი!..

მის ომბიან შეძახილზე დიფგუჟნა სსსუ-ლე ორესტრმა, რომელიც წინასწარ ტყემა

იყო დამალული. იმეგ წუთის ოფიცრები ორ-ორი ბოთლი შამპანურით პაპკოვსა და კარაიანს შორის ჩადგნენ.

მოულოდნელმა სურათმა მოწინააღმდეგენი დააბნია და გაანაწყენა. მაშინ პუშკინმა მათ მიმართა:

— ბატონებო, თუ მკვლელობა მოხდება, ეს დავგულუპავს მეც, თქვენც და დანარჩენ აქ დამსწრეთაც. გთხოვთ, ღვთისა და რუქეთის სახელით, შერიგდეთ.

პოეტი ძალზე აღელვებული იყო, ნერვიულობდა, მიმდებარე სურათსაც. მისი ცეცხლოვანი თვალები ცრემლით იყო სავსე. სწრაფად მიდიოდა ხან კარაიანთან, ხან პაპკოვთან, მაგრამ ისინი ჭიუტობდნენ. ბოლოს პაპკოვმა დამბაჩა დაუშვა, მივიდა კარაიანთან და უთხრა:

— კარაიან, მე შენთან მართალი არ ვარ, გთხოვ მაპატიო!

კარაიანმა გაწვილი ხელი ჩამოართვა. ყველანი სიხარულით მისცვიდნენ მათ და ხან ერთს ჰკოცნიდნენ, ხან მეორეს, უფრო მეტად კი ა. პუშკინს, რომლის გენიამც მოხერხებულად გადაარჩინა ადამიანის სიცოცხლე. შემდეგ ეს სიხარული შამპანურით აღინიშნა. მათი აღტაცება გაიზიარეს მუსიკოსებმაც, რომლებიც იქვე კარგად დასაჩუქრეს.

მთელი ამ ამბის მომსწრე და მონაწილე ხანოვოკოვი ასე ამთავრებს თავის მოგონებას: „ასე ბედნიერად დაბოლოვდა ეს ღუელი, რომელიც მარად სსსიამოვნო მოგონებად ჩამრჩა მესსიერებაში. პუშკინმა ძალიან მომხიბლა, მოწიწება და მოკრძალება ევიგრძეინთ მის წინაშე. იგი თავის უბრატესობას არ გაგრძნობინებდა, ისე ევირა თავი, როგორც ჩვენს საუკეთესო მეგობარსა და თანატოლს...“

ღუელის შემდეგ ა. პუშკინს უთქვამს: — მე კი გადავარჩინე ისინი, მაგრამ თვითონ ვინ გადამარჩენს?! ბავშვობაში ერთმა ბოშა ქალმა მიწინასწარამეტყველა, ღუელში მოკვდებო.

მდიდარ პუშკინიანაში ბოშა ქალის ნათქვამს ვერსად წავაწყდი, მაგრამ პოეტის ერთადერთი დისწული ლ. პავლიშვივი ივანებს ასეთ შემთხვევას: მისი დედა ოლღა სერგის ასული ერთხანს ქირომანტიით ყოფილა გატაცებული. ლიცეის ამათავრების შემდეგ ა. პუშკინი ჩასციებია, დაეხდა მის ხელზე. ოლღა დიდხანს უარზე მდგარა, მაგრამ ბოლოს საყვარელი ძმისათვის ხათრი ვერ გაუტეხია, აუღია მისი ხელი, დიდხანს უუჭერია და აცრემლებულს ხელზე კოცნით უთქვამს:

— ალექსანდრე, რათ მაძულებ გიზიარა, რომ მაშინებს შენი ბედი? შენ მოველის ძალიდობით სოკვილი და არა ბუნებრივი, მოხუცებულობაში.

ოლღა სერგის ასული ისევე უწინასწარმეტყველება თავის ნათესავ ლეიბვარდიის პო-

რუჩიკ ა. ბუტურღინისათვის, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მოვარალმა ჯარისკაცმა წურის საძიებლად შეცდომით სხვის ნაცვლად მოკლა.

თუ როგორ აუხდა პოეტს დის ავბედითი წინათგარძნობა, ხომ ვიციით და ვიციით...

ა. პუშკინის მონაწილეობით პაპაივისა და კარაიანის დუელის ამბავი შ. დადიანსაც აქვს მოხსენიებული ზემოაღნიშნულ დრამაში. მაგრამ მწერალს რატომღაც მოქმედების ადგილი ყარაღაჯიდან თბილისის მიდამოებში აქვს გადატანილი.

„როგორ გამოცვლილან“..

მომხდარი ამბის შემდეგ ა. პუშკინს ყარაღაჯში აღარ ეღვინებოდა. იმავე მარშრუტით თბილისში დაბრუნდა, სადაც პასკევიჩის ნებართვაც დახვდა და 10 ივნისს ფრანტისაკენ გაემშურა.

ნ. რავესკი მას ყარაღაჯში ელოდა, მაგრამ პოეტმა იქ ვერ ჩაუხურო და არზრუმისაკენ სალაშქროდ წასულებს სოღან-ლუს გადასასვლელზე დაეწია. შემდეგ თურქებთან ბრძოლის თითქმის ყველა ეტაპს ადევნებდა თვალს, არზრუმისათვის უკანასკნელ ბრძოლაში კი უშუალო მონაწილეობა მიიღო.

წა გადახდა პოეტს მოქმედ არმიამი ყოფნისას, ეს კარგად არის აღწერილი „არზრუმს მოგზაურობაში“. მაგრამ იმის წარმოსადგენად, თუ როგორი იყო იგი იქ, მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერს ჩვენში ნაკლებად ცნობილ მის თანამედროვეთა მოგონებებიდან.

ნ. უშაკოვი „1828 და 1829 წლებში აზიის თურქეთში საომარი მოქმედების ისტორიაში“ წერს: „1829 წლის 14 ივნისის შეტაკება იმი-თაა შესანიშნავი რომ ამ ბრძოლაში ჩვენმა დიდებულმა პოეტმა ალექსანდრე სერგისძემ პუშკინმა მიიღო მონაწილეობა... პოეტმა პირველად გაიგონა თავის მახლობლად ბრძოლის ხმაური და შეუძლებელი იყო ამ ხმაურს მისი გულიც არ აეტოკებინა. პოეტური გატაცებით გაიჭრა იგი ბანაკიდან, მოახტა ცხენს და ბრძოლის წინა რიგში მოექცა. გენერალმა რავესკიმ პოეტს მაშინვე დაადგინა მითორი სემინევი, რომელიც ძლივს დაეწია პუშკინს და ბრძოლის ველიდან გამოიყვანა სწორედ იმ დროს, როდესაც პუშკინმა, ბრძოლით აღტყვილებულმა, რაც ჩვეულებრივია ჯარში ახალმოუსულ მეომრისათვის, ერთ მოკლულ კაზაკს შუბი აართვა და ცხენოსან მოწინააღმდეგისაკენ გაქანება დააპირა... კაზაკები ძალზე გაოცდნენ, როცა მათ რიგებში უცნობი გმირი დაინახეს მრგვალი შლიაპითა და ნაბლით“ (გვ. 303).

უფრო მეტი. განგებლოვს თავის მოგონებაში ჩაწერილი აქვს: „როცა რავესკი კავალერით მოწინააღმდეგეს დაედევნა, შევნი-

შენი მხედარი, რომელიც თავგამოდებით მოაკენებდა ჩვენსკენ. ეს პუშკინი იყო მოკლევალთიანი პიჯაკითა და თავზე მოკლევალთიანი ლინდრით. მან პასკევიჩისაგან თურქებზე შეაჩერა ცხენი, ქუდი მოიხადა, გადაცა მას რამდენიმე სიტყვა რავესკისაგან, და მიიღო თუ არა პასუხი, კვლავ რავესკისაკენ გაქუსლა“.

პ. ხანკონკოვი ამბობს, რომ ა. პუშკინს მეორედ შეხვდა სოღან-ლუს გადასასვლელზე; „შესანიშნავ არაბულ ცხენზე მჭადარი კარაიანთან ერთად ჩემს ბატარაის მოუახლოვდა. შორიდანვე მიცოო და მომძახა: „გამარჯობა, ხანკონკოვ, შენ კიდევ ცოცხალი ხარ?“ — „მადლობა ღმერთს, ალექსანდრე სერგისძემ, როგორც ხედავთ, ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ“. — „მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარ?“ — ოფიცრები მაშინვე შემოუხეივნენ მას. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ჩვენთან საუბრობდა, მოიკითხა ნაცნობი ოფიცრების ჯანმრთელობა, დაგვემშვიდობა და კარაიანთან ერთად მეორე ბატარაისაკენ გასწია“.

ბრძოლის ველზე წოდებაყრილი დეკაბრისტების დანახვისას პოეტს მწუხარებით ჩაულაპარაკებია: „ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილან! რა ჩქარა გარბის დრო!“.


ა. პუშკინმა თურქეთის კამპანიაში ბევრი ქართველი მეომარი გაიცნო და დაუმეგობრდა. მათ შორის იყვნენ 1827-1829 წლების ბრძოლების აქტიური მონაწილენი ქიზიყის უკანასკნელ მოუტრე „მიწის მგლის“ ძე გენერალ-ლეიტენანტი იოსებ ზაქარაისძე ანდრონიკაშვილი, რომელიც „ქართულ დრუქიანას“ მეთაურობდა და ნინო ჰუკუაძის მოგონებებშია მოხსენიებული, და მისი ახალგაზრდა ადოქტანტი ოფიცერი ვაჩნაძე. ამან ათქმევინა პოეტს:

„ქართველები მეომარი ხალხია. მათ დაამტკიცეს თავიანთი მამაცობა ჩვენი დროშის ქვეშ. მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი მომავალი მოეღოს“.

ეს ა. პუშკინის როგორც მეომრის სახე. ახლა ენახთო როგორი იყო მისი განწყობილება და ურთიერთობა მეგობრებთან და რას აკეთებდა თავისუფალ დროს.

პოეტი ნ. რავესკის კარავში ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი იმ დროისათვის უკვე გაერთიანებულ კავალერიის ბრიგადის მეთაურობდა, რომელშიც შედიოდნენ ნიჟეგოროდის დრაგუნთა და ულანთა პოლკები და დონის კაზაკთა ცხენოსანი არტილერიის მესამე ასეული. ამიტომ ბრძოლებს შორის თავისუფალ დროს ამ კარავში თავს იყრიდნენ პოეტის ძველი მეგობრები და მხიარულად ერთობოდნენ. ამ კარავიდან დაირჩა ხმა ა. პუშკინის განზრახ-

ბრიგოლ იარაღში
ძმები პუშკინები პაპაივი



ვაზე, რომ „ონეგინი დეკაბრისტებთან ან კავკასიაში უნდა დაიღუპოს“.

გადარჩენილია რაევსკის მეორე აღიუტანტის ი. იუზეფოვიჩის დღიურები. პუშკინის მოქმედ არმიაში ყოფნის პერიოდში მას ჩაუწერია: „პუშკინს 1829 წელს შევხვდი, როდესაც იგი 30 წლისა იყო, ამასთან ისეთ გარემოებაში, რომელიც ძალიან უწყობს ხელს აღმამანთა დაახლოებას. ეს იყო მცირე აზიაში, ბრძოლის ველზე, მისთვის ახლობელ აღმამანთა წრეში, საბანაკო კარავებში, სადაც ყველანი გულთბილად და გულახდილად ცხოვრობენ. თუმცა მცირე ხანი გვატარებთ ერთად, სულ ხუთი-ექვსი კვირა, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით...“

...ახლაც თვალწინ მიდგას იგი: მკვირცხლო, დამოკიდებულებაში სადა და უბრალო, მოხარხარე, მეტისმეტად მოძრავი, მშვენიერი, დიდრონი ნათელი თვალებით, რომლებშიც იხატებოდა ყველაფერი, რაც კი ბუნებაში ღამაზი იყო, და თეთრი ბროლის კბილებით, რომლებსაც ისევე უვლიდა, როგორც ბიბრონი. იგი სრულიადც არ იყო შავგვრემანი და შავთმიანი, როგორც ზოგიერთი გვარწმუნებენ. პირიქით, სრულიად თეთრი კანი ჰქონდა და წაბლისფერი ხუჭუჭა თმა. ბავშვობაში მთლად ქერა ყოფილა, როგორც დარჩა მისი ძმა ლევი. მის სახესა და გარეგნობაში რაღაც ისეთი იყო, რაც მას აფრიკის ტიპთან ანათესავებდა.

ძალზე სასიამოვნო სახის ნაკეთები და მეტად სიმპათიური გამოუმეტყველება ჰქონდა. კობრენსკის მიერ დახატული მისი სურათი ზედმიწევნით ჰგავს ჩვენს პოეტს, თითქმის უნაკლოა. ტანისამოსსა და მთელს გარეგნობაზე ემჩნეოდა მალაღობი წრის აღმამანისათვის და მახასიათებელი ზრუნვა თავის თავზე. იგი ჩვენთანაც კოხტა შავ სურათუკს იცვამდა, ხოლო თავზე მშვენიერ ცილინდრს იხურავდა. ჭარისკაცებმა არ იცოდნენ, ვინ იყო პუშკინი, და რაკი ყოველთვის ხედავდნენ ნიჟეგოროლს დრაგუნთა პოლკში, რომლის უფროსად რაევსკი იყო, პოლისკის მღვდელი ეგონათ და დრაგუნის მოძღვარს ეძახდნენ.

...პუშკინს თან სამავაგრო ჩემოდანი ჰქონდა, რომლის ძირი ქაღალდებით იყო მოფენილი... ჩემი აზრით, იგი როგორც წამკითხველი, დიდი ოსტატი არ იყო: მას ხელოვნური დეკლამაცია ჰქონდა. ლევ სერგის-ძე უკუ კითხულობდა პუშკინის ლექსებს“.

ხოლო ი. რადოვიცი იგონებს არზრუმის აღების მეორე დღეს და შენიშნავს: „... დილით მე წავედი ვენერალ რაევსკისთან ბრძანების მისაღებად. მასთან დამხვდა პოეტი პუშკინი, რომელიც ნელი ხმით რომანსს დიდებდა“.

მიუხედავად ამისა, დეკაბრისტებში მღვდლობით, დაღუპულთა მლოწონებით შემარწმუნებულმა პოეტმა დიდხანს ვერ ჯამსილ ვასკევიჩის რეჟიმში და 21 ივლისს ბანაკი და მეგობრები სინანულით დატოვა. 1 აგვისტოს თბილისში დაბრუნდა. როგორც თვითონ ამბობს, აქ მან რამდენიმე დღე დაჰყო „თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში“, რამდენიმე საღამო გაატარა „ბალეტში ქართულ მუსიკასა და სიმღერებში“ და 1829 წლის 6 აგვისტოს თბილისიდან გაემგზავრა.

პეტერბურგში დაბრუნებული პოეტი დან შესჩიოდა: „ჩამოვედი პეტერბურგში და თითქოს საკანში მოვხვდი“.

მას დიდი თავის მართლება დასჭირდა თავისი უანგარო მოქმედებისათვის. 1829 წლის 10 ნოემბერს პოეტი ა. ბენკენდორფს სწერდა:

„გენერალო, უღრმესი მწუხარებით გავიგე, რომ მისი უღიბებულებობა უკმაყოფილო ჩემი არზრუმში გამგზავრებით. თქვენი აღმატებულების მოწყალება, უსაზღვრო სიკეთე და ის თანატანობა, რომელსაც ყოველთვის იჩენდით ჩემს მიმართ, მამედვიანებს ისევ თქვენ მოგმართოთ და გულწრფელად მოგახსენოთ.“

კავკასიაში ჩასვლისთანავე ვერ მოგიტმინე, რომ არ შევხვედროდი ძმას, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობს და ხუთი წელია არ მენახა. ვიფიქრე, რომ თბილისში წასვლის უფლება მქონდა. ჩასვლისას არბია იქ არ დამხვდა. მივწერე ნიჟეგოროს რაევსკის, ისურმის მეგობარს, რათა ჩემთვის ნებართვა გამოეთხოვა ბანაკში გასამგზავრებლად. მე იქ სწორედ სოლან-ლუზე გადასვლის დღეს მივედი და, რადგან უკვე იქ ვიყავი, უხერხულად ჩავთვალე თავი ამერიდებინა იმ საქმეში მონაწილეობისათვის, რომელიც მას უნდა მოჰყოლოდა. აი რატომ ჩავატარე ის კომპანიი, როგორც ჭარისკაცმა თუ მოგზაურმა“.

ასე განაწამები და მოშხამული უახლოვდებოდა ავის მოსურნეთა გარემოცვაში მომწყვდეული ა. პუშკინი თავის აღსასრულს!

საპარტიველოზე შეხვარებული

ლევ პუშკინი უჩვეულო სიმამაცესთან ერთად უაღრესად ერთგული და მოსიყვარულე აღმამანი იყო. როდესაც თურქეთის კამპანიის მიწურულში პასკევიჩმა ჯაშუშისაგან მეფესთან დასმენილი ვენერალი ნ. რაევსკი პირადი ანგარებით ბრიგადის მეთაურობიდან გადააყენა და ეს უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ადგილს ვერ პოულობდა — ხან ყარაღაჯში იყო და ხან დედოფლის წყაროში ნეჩლოლოვების სახლში, ლევ სერგის-ძე ერთი იმათგანი იყო, ვინც სულიერად ამხნევებდა

და შოელ ნიციტხლემი მის ერთგულ მეგობრად რჩებოდა.

როცა რაევსკის საქმის გამოძიება მშვიდობიანად დამთავრდა, ლ. პუშკინი შებებულებით პეტერბურგში წავიდა და მეგობრებში კარგად მოიღობინა. ლ. პავლიჩევის ჩანაწერებში 1830 წლის ივლისის შესახებ ნათქვამია, რომ „...პოეტის ძმა, „მამაცი კაპიტანი“, ლევ სე-რგის-ძე, შებებულების ვადის გასვლის შემდეგ პეტერბურგიდან ისევ უკან კავკასიაში — ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ადგილსამყოფელში გაემგზავრა“, ესე იგი ყარაღაჯში.

აქ, რა თქმა უნდა, ლ. პუშკინი გაიგებდა მის არ ყოფნაში პოეტის მონაწილობით ჩაშლილი დუელის დაწვრილებით ამბავს, რაც ხანჯონ-კოვმა, კარაიანმა და პაპკოვმა პოეტის ხათრით ფრონტზე მას დაუმალეს, და ძალზე უკმაყოფილო დარჩებოდა.

რში თავდავიწყებამდე მამაცი ლევ სერგის-ძე, ძმის ცეცხლოვანი ხასიათის საწინააღმდეგოდ, არასოდეს არ გადიოდა დუელში, ვინაიდან ამგვარი შერკინება მას მიაჩნდა არა მამაცობად, არამედ მამაცობანას გათამაშებად. ლეონი ათასგვარ საზოგადოებაში უხდებოდა ყოფნა, მაგრამ არავისთან შეხლა-შემოხლა არ ჰქონია, პირიქით, თანამშრომლები ჭკროვანი პატივისცემით ეპყრობოდნენ და უყვარდათ იგი.

ლეონი უსიამოვნების თავიდან ასაშორებლად სმის დროსაც, რაც მას ძალიან უყვარდა, არავის არ მიმართავდა „შენობით“. გულითად მეგობარს უშეკოვსაც არ ეტყოდა „შენო“, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ნაცვალსახელო მეგობრობის დამადასტურებელი არ არის. ერთხელ დისთვის უთქვამს კიდევ: „ეს სიტყვა ნამდვილი საწამლაია, ქუჩური უბოღმობის, მასასადამე, სულელური დუელის წყაროა. დუელი სწორედ ამ უბოღმო მოპყრობისაგან ხდება, რომლის ფესვიც არის დამღუპველი სიტყვა „შენ“. ალექსანდრემ ამ ნაცვალსახელს ისე უნდა არიდოს თავი, როგორც ცეცხლს. ნუთუ საშიკომ აქამდე ვერ შეიგნო, რომ უბოღმო მეგობარი მტერზე საშიშია“.

ლ. პუშკინი ამგვარ ყარაღაჯში დიდხანს არ დარჩენილა. მალე მას მოუხდა ფინეთის პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღება პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, სადაც, რა თქმა უნდა, გულადობას არც ამგვარად უღალატნია მისთვის და ახალი ჭილოლები დამსახურა. მაგრამ პოლონეთის გულს არ ახარებდა. იქ მყოფ ფელდმარშალ პასკევიჩის მისთვის თავისი ადიუტანტობაც კი შეუთავაზებია, რაზეც ლეონს თავაზიანი უარი მოუხსენებია, მის საქართველოსაკენ მოუწვევდა გული და 1833 წლიდან დაუწყია ზრუნვა კავკასიის არმიამი დაბრუნებისათვის.

1834 წლის ზაფხულში დედამისი ნადეჟდა ოსიპის ასული ვარშავაში მყოფ ქალიშვილს

სწერდა: „...ლეონი კვ. მოუთმენლად თბილისში გამგზავრების წუთს, ხოლო მოგვიანებით: „დღიი ხანია დროა და გეტყვი ახალ ამბავს: ლეონს მოთმინება არ ეყო დაეცადა თბილისში დანიშენისათვის, ვადადგომა ითხოვა, მიაღწია ამას და სამსახურში დაუნიშნავად საქართველოში მიდის, ირწმუნება თითქოს მისთვის გაცილებით უფრო იოლი იქნება კავკასიის მოხელეთა შორის ან არმიამი მოწყობა, როცა უკვე ადგილზე იქნება... ალექსანდრეც ადასტურებს ლეონის სურვილს — უთუოდ შევა ხელახლა კავკასიის არმიამი“.

ლ. პუშკინი 1834 წლის ოქტომბერში მართლაც გამოემგზავრა კავკასიაში მოსკოვზე გავლით, სადაც რამდენიმე დღით გაჩერდა. შემდეგ მოსკოვიდან ა. რაევსკისთან ერთად ხარკოვამდე იმგზავრა, ოდესასიცი იყო და იქ მეგობრებთან თავისებურად მოიღობინა. მაგრამ ამასობაში ზამთარმა მოუღწრო და ძნელი მგზავრობისა და უფულობის გამო თბილისში არ ჩამოსულა — უკან გაბრუნდა პეტერბურგში.

ამით კავკასიაში მოტრფილეს, რა თქმა უნდა, განზრახვაზე ხელი არ აუღია. 1835 წლის იანვარში ნადეჟდა ოსიპის ასული ოლდას იცნობებდა: „...ლეონი კვლავ მიღია თბილისში, ამგვარად ნამდვილად წავა; 2 აპრილს: „გუშინ, თბილისიდან წერილი მივიღეთ ლეონისაგან“, და 7 მაისს: „ლეონი თბილისში მოუთმენლად ელის როზენს. იგი აღფრთოვანებულია თბილისით. აღტაცება გამოთქვამს შესანიშნავი ბუნებით, კარგ კალიბრით“.

უფრო ზუსტი და საინტერესოა მამის — სერგი ლეონის ძის 1835 წლის 9 ივნისის წერილი ქალიშვილისადმი: „...მამაცი კაპიტანი ლევ პუშკინი თბილისში მხარულობს, მაგრამ სდუმს, თუ რით დამთავრდა მისი მეცადინეობა კავკასიის არმიამი მოწყობის შესახებ. უკანასკნელ წერილის თანახმად „ჩემი უმცროსი“ კვლავ ელის როზენის დაბრუნებას, რომელიც თითქოს გადაწყვეტს მის ბედს? კვლავინდებურად აღფრთოვანებულია თბილისითა და კავკასიით, მიწიერ სამოთხეს უწოდებს მას. ლეონმა შემოიარა მთელი საქართველო და თხუთმეტი დღე გაატარა საბარლო გრიზოღოვის ქვრივის სოფელში, და, სასაცილოა სათქმელად, მამაცი კაპიტანის რკინის გული უცხო არ დარჩენილა პოეზიისადმი: ლეონი გვწერს, რომ ეს თხუთმეტი დღე მას თავისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღეებად მიაჩნდა; მოხბულულია თავისი განსვენებული მეგობრის მეუღლის ნიჭითა და თავაზიანობით, და როზენის მოლოდინში კვლავ ჩავა იქ. ირწმუნება, თითქოს კარიერაზე ფიქრს იწყებს... ყოველ შემთხვევაში იგი არ დაყოვნებს კვლავ იბრძოლს“.

ზრიზოლ იარალოვი

ძმები პუშკინები კახეთში



მისთვის ბრძოლა სიამოვნებაა, ჩვენთვის კი, ღმერთო ჩემო!.. იგი ჩვენ სიცოცხლეზე მეტად გვიღირს“ (ლ. პავლიშჩევი. „სოჯახო ქრონიკა“, გვ. 389-390).

1835-1836 წლებში ლ. პუშკინმა მართლაც მთელი საქართველო შემოიარა. მისი ცხოვრების ნეკსუსუდარი იყო თბილისი, მეორე სამშობლო — ყარაღაჯი და დედოფლის წყარო, ხოლო ოცნების ტაძარი, სადაც გატარებული თხოთმეტი და კიდევ ბევრი სხვა დღეები „თავისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღეებად მიაჩნდა“ — წინანდალი.

საქართველო მართო მისთვის არ ყოფილა ამქვეყნიური სამოთხე. ცნობილმა რუსმა პოეტმა, პოეზიისათვის, დრამატურგმა და ჟურნალისტმა ნ. პოლონსკიმ, რომელიც წლების მანძილზე თბილისში — მეფისნაცვლის კანცელარიასა და „ზაკავკასკაია ვესტნიკის“ რედაქტორად მსახურობდა და ბევრს მოგზაურობდა, არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები დაწერა საქართველოზე, ხოლო 1846 წელს თვით ლ. პუშკინს მიუძღვნა აღტაცებული ლექსი „გასეირნება თბილისში“.

თელავსა და წინანდალში ყოფნისას ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმსა და ა. ჭავჭავაძის სასლ-მუზეუმში ბევრი ვეძებე, მაგრამ ძებნა ა. და ლ. პუშკინების იქ ყოფნის შესახებ ვერავითარ წერილობით საბუთს ვერ მივაკვლიე. მაგრამ წინანდალის მდიდარ და ძვირფას ექსპოზიციებში აშკარად იკრძობა ლ. პუშკინის, ნ. რავესკისა და ბევრი ცნობილი დეკაბრისტის იქ ყოფნის ატმოსფერო. სასიამოვნო დროს დროსტარებასთან ერთად ისინი, ალბათ, ბევრჯერ შემოუვლიდნენ გარშემო შესანიშნავი პარკის ერთ-ერთი „უხუცესი“ ხის უზარმაზარ ფულუროს, რომელშიც ოდესღაც ლეკების დაცემის დროს ჭავჭავაძის მთელი ოჯახი დამალულა. მასზე შემორჩენილ ნაჭდეებს შორის შეიძლება რომელიმე მათგანის ნახელავიც იყოს.

რაც შეეხება ა. პუშკინს, ყარაღაჯის ისტორიისა და ოაში ნანახის შემდეგ, ცხადია, იგი ვეღარ შეიარსულებდა ვერც ბახმანის თხოვნას და ვერც საყოთარ სურვილს, რომ ეს „მიწიერი სამოთხეც“ ენაჰა.

ლ. პუშკინი კი მძის გარდაცვალების დროსაც საქართველოში იყო და კახეთა სახაზო პოლკში მსახურობდა.

თავზარდამცემი ამბის გაგებისას მას გაახსენდა თავისი გაფრთხილება, რომ ალექსანდრე „შარს მორიდებოდა“ და აცრემლებული მამას სწერდა: „ამ საზარელმა ამბავმა განმგებია, შემწლილივით არ ვიცი რას ვფიქრობ და რას ვამბობ... მისი სიკვდილის დამდუბველ დღეს ჩემს ირვლივ ათასობით ტყვიის ზუზუნნი მესმოდა, რატომ ბედმა არ მარგუნა ერთ-ერთ მათგანს მე მოვეკალი — მე, მარტოელა

კაცს, უსარგებლოს, ცხოვრებისაგან დიდლოლს, რომელიც აი უკვე ათი წელიწადია ვაჩიჩებ თავს ვინც კი მოისურვებს“.

ა. პუშკინის დაღუპვის ამბავი მწკავედ განიცადა საქართველოში დარჩენილმა მისმა მეგობრებმა. მათი გრძნობები შესანიშნავად გამოხატა ა. ბესტუევემა 1837 წლის 25 თებერვალს თავისი ძმის — ბ. ბესტუევეისათვის გაგზავნილი წერილით:

„დიდად აღშფოთებული ვიყავი პუშკინის ტრაგიკული დასასრულით... მთელ დამეს თვალი არ მომიხუტავს და დილა ადრია უკვე წმ. დავითის მონასტრისაკენ მიმავალ ციკაბო ბილიკზე ვიყავი, რომელსაც შენ კარგად იცნობ.“

იქ მისვლისას მოვიხივე მღვდელი და დავუკვეთე პანაშვიდის გადახდა გრიბოედოვის საფლავზე, უმეცარი ბრბოს მიერ გათელილი პოეტის საფლავზე... მე ვტიროდი მაშინ, როგორც ახლა, ვტიროდი მეგობარს და მეგრძოლ ამხანავს. ვტიროდი ჩემს თავს და, როცა მღვდელმა ივალბა „განუსვენე მოკვდინებულთა ალექსანდრესა და ალექსანდრეს“, ვჭვითინებდი, სული მეხუთებოდა. ეს სიტყვები მომეჩვენა არა მარტო მოგონებად, არამედ წინასწარმეტყველებადაც... დაბ, მე ვგრძნობ, რომ ჩემი საკვდილიც ვალოთვე სასტიკი და არაჩვეულებრივი იქნება, და შორს არ არის იგი. ჩემი სისხლი მეტისმეტად ცხელია, იგი სდუნს ჩემს ძარღვებში და არ გაცივდება ხანში მესვლის დროსაც კი. ღმერთს მხოლოდ ერთს ვევედრებ, რომ არ დავეძულტრდე ავადმყოფობის წარცელებზე, არ დავეცე ორთა ბრძოლაში! ყველა სხვა დანარჩენი დაე მოხდეს, როგორც ნებადვს განგებას.

მიანც როგორი ბედი დასტრიალებს ჩვენი დღეების ყველა პოეტს! აი სამი მათგანი დიოლუბა, და მერე როგორი სიკვდილით სამივენი!

არის რაღაც ღრმად ამაღლებული იმპი, რომ მომავლად დიდად ტალანტს ხალხი თანაგრძნობის ხარკს უხდის. განსვენებულის ოჯახზე ასე გულუხვად გადმოფრქვეულა მეფურმა სიხუბემ უნდა გამოიწვიოს ჩვენი საზღვარგარეთელი არაკეთილმოსურნეების გაწიითლება. მაგრამ ამით ვერ გაცივცლებ პუშკინს, და ეს დანაკარგი წარუხცივლია. თუმცა შენ მეტრისმეტად ბრალს სდებ დანტესს, — ზნეობა, ინ უფრო სწორად საზოგადო ზნეობა ამართლებს მას. — ჩემი აზრით მისი დანაშაული, ანუ მისი უბედურება, ის არის, რომ მან მოკლა პუშკინი, რაც საუცხებოთ სიკმარისია იმისათვის, რომ ჩემს თვალში ეს მკვლელობა მიუტყვევებელ შეურაცხყოფად იქცეს. მაშ მან დაიბახსოვროს, როგორც გაფრთხილება (ღმერთია ამის მოწმე, არ ეხუმრობ), რომ ერთი ჩვენთაგანი აღარ დაბრუნდება ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, რაცა მე წიგუ-

კითხე შენი წერილი მამუკა ორბელიანს, მან წყვეა აღმოხდა: „მე მოვკლავ იმ დანტესს, თუ კი ოდესმე შემხვდება“, — წამოიძახა მან.

მე შევნიშნე, რომ რუსეთში საკმარისნი არიან, შური იძიონ ძვირფასი სისხლისათვის. მაშ დღე ის გაფრთხილდეს!..“

მას შემდეგ თითქმის საუკუნუნახევარმა გაწვდო, მაგრამ საქართველოში არ ჩამქრალა დიდი პოეტის სული. მისი მხურვალე სუნთქვა ჯერ კიდევ არ შესრობია მთაწმინდასა და ხორნაბუჯს, ყარაღაჯის ძველი დიდების ნაშთებსა და უფაღარის დუელის ჭალას, მისი ნატერფალი არ წაშლილა თბილისის, სიღნაღისა და წითელწყაროს ქუჩებსა და ბაღებში. პუშკინები აქ ახსოვთ არა მარტო აღამიანებს, არამედ მოდუდუნე მტკვარსა და ალაზნისა, შირაქის მცხუნვარე ტრამალებსა და წინანდლის ასწლოვან ქაღრებს.

დიდი პოეტის სახელს მუდამ მოგვაგონებენ

თბილისის ცენტრში, ვ. აბაშიძის ქუჩაზე და დიღმის მასივში მცხოვრები მისი შთამომავალთა მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თაობების წარმომადგენლები: ა. პუშკინის უფროსი ვაჟის — ალექსანდრეს, რომელსაც თორმეტი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა, შვილთაშვილის შვილი, პენსიონერი ნატალია ევგენის ასული ვორონცოვა-ველიამინოვა, მისი ქალიშვილი პედაგოგი ვერა ვლადიმერის ასული სვანიძე, რომელიც ამჟამად ჰიდროლოგ მეუღლესთან ერთად მივლინებით სირიაშია, და ვერას ვაჟი ანდრია გრივოლის-ძე სვანიძე, რომელმაც 1974 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა, დედის პროფესია აირჩია და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე შევიდა.

ო-ო, ამ მაღალ და ძვალმსხვილა ქერა კაბუკს, სისხლის ამდენი აღრევის შემდეგაც, რარიგ შემორჩენია პუშკინების იერი — ხუ-ქუჭი თმა, ცისფერი თვალები, წვეტიანი ცხვირი და ყვრიმალებიან დიდ ოვალურ სახეზე მძიმედ დაკიდებული ბრტყელი ნიკაბი

1974 წლის ოქტომბერი.
სიღნაღი-წითელწყარო-თბილისი.



გია მარსაბიშვილი

ქართული ხელოვნების ზიზი

ხელოვნება ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. მასში მკაფიოდაა ასახული ერის მრავალსუკუნოვანი წარსული, მისი მისწრაფება. დღეს, როდესაც საუბარია ეროვნულ კულტურაზე, ქართულ მწერლობასთან ერთად, არ შეიძლება არ ვახსენოთ ხუროთმოძღვრება, მონუმენტური მხატვრობა, ქანდაკება, ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმება, ოქრომქანდაკეობა, მინანქარი.

საქართველოსათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მის გეოგრაფიულ მდებარეობას ევროპისა და აზიის მიჯნაზე, ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის მსხვილ სამეფოთა წრეში. სრულიად ბუნებრივია მისი კავშირი მეზობელ ერებთან — ჯერ აქემენელთა, ხოლო შემდეგ სასანიანთა ირანთან, ელინისტურ აღმოსავლეთთან და რომანთან, ხოლო ქრისტიანობის მიღებამ განსაზღვრა მისი კავშირი ბიზანტიასა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან. ურთიერთობის პროცესში ქართული ხელოვნება ბევრ რამე ითვისებდა, და ამავე დროს თვითონაც შექმნდა წვლილი საერთო განვითარებაში. საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ხელოვნებამ ჩამოყალიბებული, მისთვის დამახასიათებელი სახე მიიღო. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ხანაში ქართული ხელოვნება მუდამ იდგა ქრისტიანული სამყაროს მხატვრულ ამოცანათა დონეზე, იგი თვითონ სახავდა და ხსნიდა ხელოვნების მხატვრულ პრობლემებს და გარკვეული წვლილი შექმნდა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

დღეს ქართული ძეგლების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია შეიქმნას სწორი წარმოდგენა შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაზე და პლასტიურ ხელოვნებაზე. იდრეული ხანის საქართველოში მოიძებნება ისეთი მხატვრული თუ კონსტრუქციული პრობლემები, რომლებიც საერთოა მთელი ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის. საქართველოში ხდებოდა საყოველთაოდ გავრცელებული არქიტექტურული თემების გადამუშავება, რომელთა ვარიაციები შემდეგ კავკასიაში ან მხოლოდ საქართველოში გვხვდება (მაგ. სამეკლესიანი ბაზილიკა, ჯვრის ტიპის ტეტრაკონქი კუთხის ოთახებით), ქართული მონუმენტური მხატვრობა და ხელნაწერი წიგნების მხატვრული გაფორმება თავისი ვრცელი თემატიკით, საინტერესო სიუჟეტით, იკონოგრაფიით; კოლორიტით, ხალხური და ეროვნული თვისებებით მეტად საინტერესო მასალას იძლევა კვლევისათვის. ოქრომქანდაკეობისა და მინანქრის უამრავ ნიმუშებით სრული უფლება გვაქვს ხელოვნების ამ დარგების განვითარების ერთი, მთლიანი სურათის წარმოსადგენად.

ქართული ხელოვნების ძეგლები ამდირებენ შუასაუკუნეების ხელოვნების განვითარების საერთო სურათს, ამიტომ უცხოელ სპეციალისტთა ინტერესი ჩვენი ხელოვნებისადმი სრულიად ბუნებრივია.

შვეიცარიელი გეოგრაფი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, ევროპელ სწავლულთაგან პირველია ვინც მიზნად დაისახა ქართული ხელოვნების შესწავლა (საქართველოში იმერზაურა

1833-34 წ.) დიუბუას შემდეგ პირველი, ვინც ახალი სიტყვა თქვა ქართულ ხელოვნებაზე, ბიზანტიური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი აკადემიკოსი კინდაკოვი იყო. პირიზელი მეცნიერი ბალტრეშაიტიის ქართული ძეგლების კვლევის ახალი კუთხით მიუღდა. ამ დროისათვის ქართული ძეგლები ჯერ არ იყო სათანადოდ შესწავლილი, მკვლევართა მუშაობაში დამუშავებული იყო მთელი რიგი შეცდომები და რეალური შეფასების ნაცვლად ხუროთმოძღვრების განვითარების მცდარი აზრი იქმნებოდა. რაც სამწუხაროდ საკმაოდ დიდხანს შემორჩა ევროპულ მეცნიერებას. ანგარიშსასაწყვეია ის ფაქტიც, რომ გასულ საუკუნეში ხელოვნებათმცოდნეობა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული მეცნიერება.

მეცნიერთა მთელმა თაობებმა უდიდესი სამუშაო ჩატარეს ხელოვნების ნიმუშების ფაქტიური მასალის შესავარგებლად. მართალია, ისინი არ იძლეოდნენ ძეგლების მხატვრულ ანალიზს, მათ არ უცდიათ ჩამოეყალიბებინათ ქართული ხელოვნების განვითარების გზა, მაგრამ ჩატარებული სამუშაო (ანაზომები, ჩანახატები, ძეგლების აღწერები, ფოტოები, ძეგლებზე შერჩენილი წარწერები) უკვე მყარ საფუძველს ქმნიდა მომავალი კვლევისათვის.

მეცნიერული დისციპლინა — ქართული ხელოვნების ისტორია აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან პირველმა ადაღინა ქართული ხელოვნების განვითარების ქეშიარტი, მეცნიერულად დასაბუთებულად სურათი. პირველმა მოგვცა ქართული ძეგლების მხატვრული სტილის ანალიზი, რის შემდეგაც ნათლად გამოჩნდა ქართული ხელოვნების ადგილი ხელოვნების ისტორიის ზოგად განვითარებაში. უცხოეთში ქართული ხელოვნების პირველი გამოფენის ორგანიზატორად გიორგი ჩუბინაშვილი გვევლინება. 1930 წელს, გერმანიის ქალაქებში მოეწყო ქართული ხელოვნების დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა ირქიტეტორის, კედლის, მხატვრობის, ოქრომშედლობის, ხელნაწერთა, ნაქარგობის ნიმუშები იძლეოდნენ ქართული ხელოვნების განვითარების სურათს IV-დან XVIII საუკუნემდე. გამოფენისათვის გამოიცა გზამკვლევი. გ. ჩუბინაშვილი კითხულობდა ლექციებს ქართულ ხელოვნებაზე. გამოფენამ დიდი წარმატებით იმოგზაურა გერმანიის ქალაქებში, ვადადგმული იქნა პირველი ნაბიჯი ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის (სიმპოზიუმზე, გერმანელი მეცნიერის იოჰანეს ირმშერის მოხსენება „ქართული ხელოვნების გამოფენა 1930 წელს — საბჭოთა-გერმანული კულტურული კონტაქტების სამსახურში“ ამ გამოფენას ეხებოდა).

ღრთის საკმაოდ დიდი ინტერვალის შემდეგ, 60-იანი წლების დასაწყისიდან, ქართული ხელოვნებისადმი ინტერესი უცხოეთში მკვეთრად გაიზარდა. შუა საუკუნეების ევროპულ და წი-

ნა აღმოსავლეთის ხელოვნების სწორად გაგებისათვის აუცილებელი ხდება აკადემიკოს კროლ ქართული ხელოვნების შესწავლა დასავლეთში ისტამბულა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნარკვევები, მდიდრულად ილუსტრირებული წიგნები. უცხოელ სპეციალისტები საქართველოს სზირის სტუმრები არიან. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით საქართველოში იტალიელ მეცნიერთა ექსპედიცია მუშაობდა (1971-72-73 წლებში). ექსპედიციამ დიდად მასალა შეავარგა, საფუძველი ჩაეყარა „ქართული არქიტექტურის შესწავლის ცენტრს“ მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამავე ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის, ბერგამოს უნივერსიტეტის, ტერინის არქიტექტურის ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივითა და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელშეწყობით 1974 წელს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში მოეწყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სიმპოზიუმი. არქიტექტორ ენძო ჰიბოსია და პროფესორ ანდრიანო ალვაგო ნოველოს ხელმძღვანელობით ბერგამოში გაიხსნა ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომელიც დღესაც მოგზაურობს იტალიის ქალაქებში.

იტალიელ მეცნიერთა დაინტერესება ქართული ხელოვნებით სხვა მხრივაცაა საინტერესო, იტალიურად გამოიცა ქართული არქიტექტურის ბიბლიოგრაფია. გიორგი ჩუბინაშვილის მონოგრაფია „ჯგერის ტიპის ძეგლები“ I საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებითა აქტები. მზადდება მდიდრულად დასურათებული ტომი ქართული ხელოვნების შესახებ.

მიმდინარე წლის მაისში საქართველო მასპინძლობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმს. საორგანიზაციო კომიტეტმა ფართო და მრავალმხრივი მოსამზადებელი სამუშაო ჩატარა, რამდენიმე ენაზე დაიბეჭდა მუშაობის გეგმა, სექციების სხდომების პროგრამა. ყველა მოხსენება რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე ითარგმნა და გამრავლდა. დამზადდა სამკერდე ნიმუშები, დაიბეჭდა ფერადოვანი აფიშები. სიმპოზიუმთან დაკავშირებით გამოიცა მონოგრაფიების მთელ სერეები, ბუკლეტები, ხუროთმოძღვრული ალბომი, გზამკვლევები, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმებში მოხდა ექსპონატების რეექსპოზიცია. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში გაიხსნა ძველი, უნიკალური წიგნების გამოფენა. უნივერსიტეტის ფოთში, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სარესტავრაციო სახელო-

ბიზ მარსაზიშვილი

პართული ხელოვნების ზიიმი

ნომ, საქართველოში კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის მდიდარი გამოფენა მოაწყო. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ავთანდილ ვარაზისა და ლევან ტუქიძის ნამუშევრების გამოფენას. გელათში, მონასტრის ტერიტორიაზე გამოფენილი იყო ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები.

25 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სიმპოზიუმის გახსნაზე მოსული ყველა მსურველი ვერ დაიტია. სიმპოზიუმში შესავალი სიტყვით გახსნა და სტუმრებს მიესალმა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია. სიმპოზიუმის მუშაობაში ჩვენი ხელოვნებით დაინტერესებული 200-მდე მეცნიერი მონაწილეობდა. მის მასშტაბსა და მნიშვნელობას მეწმობს თუნდაც მის ფაქტი, რომ გვეწვივნენ მეცნიერები: ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, დასავლეთ ბერლინიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, იუგოსლავიიდან, ნიდერლანდიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან. გვეწვივნენ ჩვენი კოლეგები აზერბაიჯანიდან, დაღესტნიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან. მეცნიერთა დიდი ჯგუფი ჩამოვიდა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. სიმპოზიუმის მუშაობაში ჩაება ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა, არქეოლოგთა და ისტორიკოსთა დიდი რაზმი. სიმპოზიუმის გახსნის შემდეგ პლენარულ სხდომაზე მოისმინეს სამი მოხსენება. აჯად. ვახტანგ ბერიძის „IV-VII საუკუნის ქართული საკულტო ხუროთმოძღვრება“, ბერძენი მეცნიერის პავლეს მილონასის „ათონის მთის ივერთა მონასტერი“ და მოსკოველი მეცნიერის ვ. ბიჩკოვის მოხსენება „კორპუსს არეომაგიტიკუმ როგორც აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი ფილოსოფიურ-ესთეტიკური წყარო“. საღამოს და მომდევნო დღეებში სიმპოზიუმზე მუშაობდა ექვსი სექცია: წინა ქრისტიანული ხანის კულტურა და ხელოვნება, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება, შუა საუკუნეების მხატვრობა და ქანდაკება, შუა საუკუნეების მცირე და გამოყენებითი ხელოვნება, ახალი და საბჭოური ქართული ხელოვნება, კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხები.

მოსმენილი ყველა 120 მოხსენება სხვადასხვა ასპექტით განიხილა და ქართული კულტურის წარსულს და მის კავშირს დასავლეთთან და წინა აღმოსავლეთთან. სიმპოზიუმის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო ახალ და საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას, ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საკითხებს. უცხოელ და არაქართველ

ნაბჭოთა მეცნიერთა მოხსენებები, კამათი ქართული ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ეკლესიის მხატვრობის, ხელნაწერი წყნების მხატვრული გაფორმების, ქედურობის, მინაქრის სხვადასხვა პრობლემებზე ქართული კულტურის კიდევ ერთი თვალსაზრისით აღიარება. ეს გამოკვლევები და კამათი სასარგებლო იყო არა მხოლოდ ქართული ხელოვნებისათვის, არამედ წინა აღმოსავლეთისა და შუასაუკუნეების ევროპული ხელოვნების სწორი გაგებისათვის, ამ ქვეყნების ხელოვნების ისტორიის ობიექტური შეფასებისათვის.

მოხსენებებს ჩვენთვის ჰქონდათ სხვა პრაქტიკული მნიშვნელობაც. დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მოხდებოდა ქართულ ძეგლებზე სრული ინფორმაცია ფაქტიურად თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის შემდეგ არ მიგვიღია, სამი მოხსენება, ეან მიშელ ტიესის „ჩინგელის ეკლესია (ყარის ვილაიეთში), ვახტანგ ჯობაძის „ქართული ოსტატთა მოღვაწეობა ჩორნტის ანტიკოის დასავლეთ მილანოებში“ და დავიდა უინფილდის „ბიზანტიის ხელოვნება. ტაო-კლარჯეთის ხელოვნება“ ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ძეგლებს ეხებოდა. ნინო ყუყუჩიშვილი მილანის არქივში დატული საქართველოს ძველი რუკები გაგვაცნო. ბერძენმა პავლეს მილონასმა ათონის მთის ივერთა მონასტერი, ხოლო ბულგარელმა ნელი ჩანევა-დჩიკვაძემ ბაჩკოვის ქართველთა მონასტერი შეისწავლა. საქართველოს კულტურული ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან — დღესათვის მეტად აქტუალური საკითხია. საინტერესო იყო თურქოვარ განიხილავენ ამ თემას დაღესტნელი, სომეხი, რუსი, ბულგარელი, გერმანელი, ბელგიელი, აზერბაიჯანელი, ოსი, იუგოსლაველი სპეციალისტები.

მოხსენებებიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ: პროფესორ დეიხმანის მოხსენება „ბოქიბანი ბაზილიკის განვითარების შესახებ, ბოლნისის სიონის ბაზილიკა“, პაოლ ვერძონეს „მცხეთის ჭვარი. მისი ხუროთმოძღვრების, კერძოდ მისი გვემის ძირები“. ტანია ველმანის „ვედრება ქართული კედლის მხატვრობაში“, დულა მურთაყის „ზოგი დაკვირვება, ღვთისმშობლის ცხოვრების ციკლზე შუა საუკუნეების ქართულსა და ბერძნულ ხელოვნებაში“. სიუზი დიუფრენის „მისტიკის ფრესკების შედარება საქართველოს ძეგლებთან“. ედვარდ კუზნეცოვის „ფიროსმანიშვილი და XX საუკუნის მხატვრული კულტურა“. ენო. ჰიბშის „ზოგადი და მეთოდოლოგიური ჰიპოთეზები გამოქვამულ კომპლექსთა რესტავრაციის შესახებ“. დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებმა.

სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანული ნაწილი იყო უშუალო კონტაქტი ქართული ხელოვნების ძეგლებთან. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ საქართველოს მუზეუმებში, საგამოფენო დარბაზებში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ღია ცის ქვეშ მოწყობილ მუზეუმში, ვასცნობოდნენ ხელოვნების ძეგლებსა და ფრესკული ფერწერის ნიმუშებს, ოქრომჭედლობას და მინაწარს, ხელნაწერ წიგნებსა და ნაქარგობას, თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. ქართულ კულტურის უკეთ გაცნობისათვის თბილისში, ორი საღამო კონცერტებს დაეთმო. ჯერ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში კამერული და საგუნდო მუსიკის შემსრულებლები უჩვენებდნენ თავის ხელოვნებას, შემდეგ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს დაეთმო. მონაწილეებს დიდი სიმოწეზა მიანიჭა ალავერდის კათედრალურ ტაძარში და გელათის მთავარ ტაძარში შესრულებულმა ქართულმა საგალობლებმა.

სიმპოზიუმის მონაწილეები ხუროთმოძღვრების ძეგლებსაც ესტუმრნენ მცხეთაში, სჯაბასი გრძელდებოდა მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლისა და სინთავრის ტაძრებთან. მუშაობის ერთი დღე მთლიანად კახეთს დაეთმო, ამ დღეს ალავერდი და ძველი შუამთა მასპინძლობდა ჩვენ სტუმრებს. 30 მაისს სიმპოზიუმის ყველა მონაწილე ქუთაისისკენ გაემგზავრა. ვზად, ქართლში, მათ დაათვალიერეს სამთავისი, ატენი, ყინწყვისი, გაეცნენ ძველი ქართული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს. სიმპოზიუმის ბოლო დღემ ქუთაისში გადაინაცვლა.

31 მაისი, ძველ გელათს არასოდეს არ უნახავს ხელოვნების მეცნიერთა ესოდენ დიდი ყრილობა, ყრილობა, რომელიც უდიდესი მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში.

აქვე გელათის სალექციო აუდიტორიაში შედგა სიმპოზიუმის საზეიმო დახურვა. ერთკვირიანი მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ, მან მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეს, აღნიშნა სიმპოზიუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში.

ტრიბუნაზე ადიან — მოსკოველი მეცნიერები შვიდკოვსკი და პოდბედოვა, იუგოსლავი ბოშკივიჩი, ბერძენი მილონასი, ფრანგი ველმანსი, ბელგიელი — ეან ბლანკოვი, ბულგარელი მლკა ბაჯალოვა, იტალიელები ნინო ყუხჩიშვილი და სტელა მარიანი კალო, ერევნელი ვარზადატ არუთუნიანი, ინგლისელი დავით ლანგი, ლენინგრადელი ალისა ბანკი. ყველა გამომსვლელის სიტყვებში იგრძნობა აღფრთოვანება, მაღლივ-

რების გრძნობა. აქ ყველაფერია, რაც ზეიშს ალამაზებს, ბრიუსელის უნივერსიტეტის დავალებით ეან ბლანკოვი ინსტიტუტსა და ვახტანგ ბერიძეს უნივერსიტეტის მედლის გადასცემს, ცხადდება მისასალმებელი წერილი, რომლის ავტორია საფრანგეთის ხელოვნების სკოლა რომში, ტანია ველმანსი აქვეყნებს პარიზის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის გადაწყვეტილებას, ქართული ხელოვნების ისტორიის კატალოგის გამოცემაზე, პროფესორ სტელა მარიანი კალოს შემოაქვს წინადადება 1980 წელს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი 111 საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდეს სამხრეთ იტალიის ქალაქ ბარში.

არ შეიძლება აუღელვებლად გავიხსენოთ ჩვენი სტუმრების სიტყვები: ბერძენი პროფესორი პავლოს მილონასი — „ძალიან აღელვებული ვარ განშორებით. მე როგორც საბერძნეთის წარმომადგენელი მღელვარებით მოვდიოდი საქართველოში, არა ოქროს საწმისისათვის, არამედ ქართულ ხელოვნებასთან დასახლოვებლად“. ბერძენის უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ყუხჩიშვილი: — ჩვენ, იტალიელთა დელეგაციას განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ქართველ კოლეგებთან, ამ სიმპოზიუმზე იგრძნობოდა ის სიბოზ, რომელიც ჩვენი, ბერძენის სიმპოზიუმებიდან მოდის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მეგობრობისათვის“. ჩვენი სომეხი მეგობარი ვარზადატ არუთუნიანი — „ჩვენ მონაწილენი ვიყავით ქართული ხელოვნების კიდევ ერთი გამარჯვებისა, დაინახეთ თუ რა ადგილი უკავია ხელოვნებას ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქართული ძეგლები პირველად 1936 წელს ვიხილე და მახარებს ის დიდი ზრუნვა ჩემი კოლეგებისა, რასაც ისინი იჩენენ ხელოვნების ძეგლებისადმი“. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ბერიძე: „ჩვენთვის სასიხარულოა ყველა მონაწილის გამოსვლა და დახურვამდე არ შემძლია არ ვახსენო ერთი აღამიანის სახელი, ესაა გიორგი ჩუბინაშვილი, მეცნიერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას, მისი შრომების გარეშე არ იქნებოდა დღევანდელი სიმპოზიუმი“. საზოგადოება ტაშით შეეგება ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის სახელს, მათ ფეხზე ადგომით პატივი სცეს ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის ხსოვნას.

გია მარსაბიშვილი

ძარბაზის ხელოვნების ჯიში

დანართლდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღ-
ვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმში. გვიჭირს
I საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორე-
ბთან ნინო ყაუხჩიშვილთან, აღრინო ალპაგო-
ნოველოსთან, ენძო ჰიბშთან, პაოლო ვერძონეს-
თან განშორება. გვიჭირს სტუმრებთან დამშვი-
დობება, მაგრამ ვიცით ქართული ხელოვნების
მაღალი ღირსება, საქართველოში კიდევ შეგვა-
ხვედრებს ჩვენ სტუმრებს.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, ეს დიდმნი-
შვნელოვანი და ფართო წარმომადგენლობითი
ღონისძიება შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის

ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით, ნა-
კავშირო და საქართველოს მეცნიერებათა აკადე-
მიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის, თბილისის, მცხეთის, თელავის, გორის, ქუ-
თაისის პარტიული ორგანიზაციების, თბილისის
„ინტურისტის“ სამმართველოს, ქართული პრე-
სისა და ტელევიზიის ხელშეწყობით.

არ შეგვიძლია მადლობა არ ვუთხრათ ყველას
ვინც მაისის, თითქოს ჩვეულებრივი, ერთი კვი-
რა ქართული ხელოვნების სახალხო დღესასწა-
ულად გადააქცია.



ზადრი კანდელაკი

გზა და ოცნება

აღბათ ეს წიგნი უფრო ადრე უნდა გამოსულიყო. ვინც კი თვალს ადევნებს თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის აღმანახ „პიტველ სხივს“ აუცილებლად დაამახსოვრდებოდა ავთანდილ გურგენიძის ლექსები. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ავტორს წიგნის გამოცემა დაუგვიანდა ან დაუგვიანეს. ამ პატარა კრებულში ბევრი ლექსია „პირველი სხივიდან“. ზემოდ თქმული არაფერს ვნებს წიგნს, არაფერს აკლებს, პირიქით, შეიძლება უფრო ჰარბათაც იგრძნობა ახალგაზრდული, ჰაბუქური ძალა და სიხალისე.

„ყოველ კეთილშობილ პიროვნებას ღრმად აქვს შეგნებული თავისი სისხლით ნათესაობა, თავისი სისხლისმიერი კავშირი სამშობლოსთან“ (ბელინსკი).

ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლოა წაემძვარებია წიგნისათვის ავთანდილ გურგენიძეს. პირველ ლექსიდანვე იგრძნობა ის დიდი სიყვარული მშობელი მიწისა და ხალხის, რაც ახალგაზრდა ავტორს აქვს, რითაც ცოცხლობს პოეტით:

მიწა,
რომელზეც დადინარ მჩატედ,
ზეცა,
რომელიც მსუბუქად გზურავს,
ხალხი,
რომელიც გიყვარს უღმერთოდ,
ხელისბიჭივით რომ გიმსახურებს.

ავთანდილ გურგენიძე დარწმუნებულია, რომ მკითხველი, პოეზიის ქართველი მკითხველი გაუღმნათლია თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და მოვალეობის გრძნობით. ეს რწმენა

იგრძნობა, აშკარაა „გზა და ოცნების“ კითხვისას.

კრებულში ყურადღებას იქცევს „სამი ლექსი მამუკას“, ტომედიც შეიღწეა უძღვნა ავთანდილ გურგენიძემ. არ არის საჭირო ამის ისე გაგება, იქამდე დაყვანა, რომ მხოლოდ პოეტის ვაჟს, მამუკა გურგენიძეს ეკუთვნოდეს ლოცვა და შეგონება.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ლექსებიდანვე ეხედვით პოეტის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი და ეს სტრიქონები სწორედ ამიტომ მათ სანდო, მართალი:

არ შეიძლება ყოველი გაჭრეს,
(უნდა უმდერო მზიან აპრილებს...)
სული უბერე ამ ციხის ნანგრევს
უვითელ ქალებსა და კლდიან ნაპირებს.

ყველას მოეხსენება, რა ძნელია მიძღვნიით ლექსის წერა. უღროოდ წასული შოთა ჩანტლაძე ბევრმა მოიგონა ლექსით. ერთ-ერთი საუკეთესო ამ კრებულშია შესული:

წენი ლექსების პატარა წიგნი...
მე მომეჩვენა იწექი შიგნით,
იხედებოდი თვალმოკუთუთლი
შორსა და მაღლა
და ცხრა მთას იქეთ.

ი. ფრანკო „პოეტური ხელოვნებანი საიდუმლოებაში“ ხშირად აღნიშნავს პოეზიის სიახლოვეს ფერწერასთან. ამასთანავე ერთგან განსხვავებული შრიფტით გამოყოფს, ფერწერა ბუნებისაგან უმოძრაობით განსხვავდებოდა.

პოეზიაში კი, ქეშმარიტ პოეზიაში უმოძრაობა გამორიცხულია:

გაშავებული ღრუბელი ყველა
თითქოს ფრთებია მოსულ ქორთა...
მუხის ფესვივით გაშლილმა ელვამ
ცა დაამსგავსა გაბზარულ ქოთანს.

ამ კრებულში არის პოემაც. ალბათ „შენ მა-
პატიე ეს სიყვარული“ აზრთა სხვადასხვაობას
გამოიწვევს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ავთან-
დილ გურგენიძე ძიების პროცესშია და ეს ძი-

ება არ მიდის უაზრობამდე, არ აზნებს „მე-
თხველს“.

ზოგიერთ ლექსს მეტი დაკვირვება სჭირდება
ბოდა, შესულიყო თუ არა წიგნში „აი, ის კა-
ცი“... „ახლა როდესაც ჩემი ფიქრები“...).

„გზა და ოცნება“ რამდენიმე განყოფილე-
ბადაა დაყოფილი. მიუხედავად ამისა და სხვა-
დასხვა განწყობის ლექსებისა ავთანდილ გურ-
გენიძე პირველ რიგში სამშობლოს მოჭირნა-
ხულე, მისი უსაზღვროდ მოყვარული პოეტია
და ეს წიგნიც ამ გრძნობითაა სავსე.



აქროლი

დიდორდ მიკაუში
(უნგრეთი)

დეფიციტური საქონელი

ჩვენს უოფა-ცხოვრებაში ქება — დეფიციტური საქონელია. ძალიან იშვიათად მოიხმენ. საჭიროება კი დიდია. დამტკიცებულია, რომ ქებასაგან უმჯობესდება სახის ფერი, თვალები ბრწყინვალეობას იძენენ. ქება ჩინებული საშუალებაა ნერვული სისტემის დასამშვიდებლად. ტონუსს ამაღლებს და თან — თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია — კურნავს ბრტყელტერფიანობას. ჩვეულებრივ, ქება შეიძლება მიიღო გაცვლის გზით, ესე იგი, პრინციპით: „შემაქე და შეგაქე“, მაგრამ უოველთვის მეთის გადახდა გიწევს.

სამაგიეროდ, რაც შეეხება უოველგვარ გაციხვას და გაკილვას, უველა საწულობა გატენილია მრავალი წინასწარი წლის მარაგით. თუ ვინმეს სჭირდება ეს საქონელი, უოველგვარი კავშირის გარეშე შეუძლია იმდენი მიიღოს, რომ სიბერეშიც ეყოს.

ესეთი ადამიანებიც არსებობენ, ვისაც საერთოდ არ გააჩნია შექების უნარი. როცა საჭიროა წარმოთქვან რამდენიმე მარტივი თბილი სიტყვა, სახე ულურჯდებათ, თვალებს გადმოკარკლავენ და უურებს ჩამოურიან ხოლმე. და რა გინდ თავს ძალა დაატანონ, ქების ერთ სიტყვასაც ვერ ამოღერდავენ.

ამას წინათ საავადმუოფოში მიიყვანეს მსგავსი სიმპტომებით დაავადებული რომელიღაც დირექტორი, უურადლებით გასინჯეს, მაგრამ ვერაზგზით ვერ გამოიკვლიეს მისი სატივიარი. თავში ჩახედეს — არაფერია. ჩახედეს მუცელში — ტოლმია. ბოლოს და ბოლოს, მომქანცველი შრომის შედეგად, აღმოაჩინეს დაავადების მიზეზი. სასულემიო გარდიგარდმო შექება გასჩხეროდა. ფრაზა ასეთი იყო: „ხოლმეა ბალოგო, თქვენ კარგად იმუშავეთ!“

როცა უელიდან ეს პატარა ფრაზა ამოცალეს, ავადმუოფი მაშინვე გამოჯანმრთილდა და საავადმუოფოდან გაეწერა. მის ადგილას კი სწორედ ის კოლეგა ბალოგო დააწვინეს. ვინც შექებას ვერ ეღიროს, თუმცა ეს მისთვის აუცილებელია საჭირო იყო.

იმის შესახებ, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა შექებაზე, მოწმობს ჩემი მეგობარი ბელას შემთხვევა. ამ რამდენიმე დღის წინ ქუჩაში შევხვდი. ძეწნასავით ნაღვლიანი იყო. ცხვირი მუხლებამდე ჩამოეშვა, ქარი თმებს სამგლოვიარო ბიარლივით უფრიალებდა. უცებ აზრად მომევიდა, მისთვის შექების ინექცია გამეკეთებინა. მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რის გამო უნდა შემექო? დიდხანს ვიფიქრე და ბოლოს შევთხვე: — რა მშვენიერად და თანაბრად სუნთქავ!

იმწამსვე შეიცვალა: წელში გასწორდა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა, ჭკვიანი შუბლიდან რამდენიმე ნაოჭი გაუქრა და მხნე და რიხიან სმით მითხრა:

— ზო, ძველო, ღმერთივით ფილტვები მაქვს! უველა ამ ნათქვამის შემდეგ ვფიქრობთ, დასკვნა თავისთავად გვებადება.

შეაქეთ მტკბერ, მთელი გულით მაგრამ არ იფიქროთ, უოველივე იმის გულიანათვის დავეწერე, რომ შექება გამოცინილოთ ჩემი მომხიბლავი იუმორესკის გამო. არა, დიდი მაღლობა, მე ეს არ მჭირდება. შექების მხრივ უკვე დიდი ხანია... თვითმომსახურებაზე გადავიდი.

გარეკანის მეორე გვერდი — ნახატი სპ. ცინცაძისა

მოთხრობის ილუსტრაცია ბ. თოდუნიანი

ტექნიკური ხელმძღვანელი ხ. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-89-44, მდივანი-მემანქანე — 93-58-35, ბ. შვ.
მდივანი — 99-71-69, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 99-84-66, ლიტერა-
ტურული თანამშრომლები — 99-75-69, „ციხერის“ დამატება — 93-17-63, საკორექტორო —
99-85-28.

გადაეცა ასაწყობად 16/VI-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII-77 წ., ქაღალდის ზომა
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.
თაბახი 15,35. შეკვეთა № 2113. უე 00771. ტირაჟი 29.060.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

611/25

3260 60 323.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236